პროექტი ეძღვნება ხმელთაშუა ზღვის, შავი და კასპიის ზღვის ეკოლოგიურ ცვალებადობასა და ადამიანის მიგრაციას მეოთხეულ პერიოდში. ეკოლოგიურ ცვლილებებს ეთმობა უდიდესი ყურადღება ამ პროექტში. მონაწილეობას ღებულობს 15 ქვეყანა. 2013 წლის 12-19 ოქტომბერს, ქ. თბილისში ილიას უნივერსიტეტში შედგა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ამ პროექტის დაწყებას. საქართველო ამ პროექტის წამყვანი ქვეყანაა. 5 წლის მანძილზე შესწავლილი იქნება ხმელთაშუა ზღვის, შავი და კასპიის ზღვების აკვატორია.

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3	გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია-მუზეუმის ინფორმაციული ბანკის და ახალი კოლექციების (მოსაპირკეთებელი და სანახელავო ქვების) შექმნა	სტუ (შიდა გრანტი)	დავით ბლუაშვილი (გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი)	ოლღა სესკურია (მენეჯერი) ვაჟა გელეიშვილი (მთ. მეცნ. თანამშრ.) ვერა აბზიანიძე (ინჟინერი) სულხან გველესიანი (უფრ.მეცნ. თანამშრ.) ნათია ინანაშვილი (მეცნ.თანამშრ.)
პროექტის ძირითადი მიზანია გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის სასწავლო სამეცნიერო ლაბორატორია-მუზეუმის ვიტრინების განახლება და კოლექციის შევსება, მუზეუმის კოლექციის ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა და მისი განთავსება მუზეუმის საიტზე, მუზეუმის შესახებ ბუკლეტების და კატალოგების მომზადება და დაბეჭდვა.				

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
4	თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოფლების - ართანას, ჯუღაანის, ფშაველის, იყალთოს, შალაურის, ბუშეტის და ვანთას სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების არსებული სისტემების რეაბილიტაციის და წყალმომარაგების შესაძლო	შპს „LMC“	მ. მარდაშოვა	უ. ზვიადაძე, მ. სისაური

	ალტერნატიული ვარიანტები			
--	-------------------------	--	--	--

საველე რეკონსტრუქციების განმავლობაში მოვინახულეთ თელავის მუნიციპალიტეტის დასახელებული სოფლების სასმელი წყალმომარაგების სადღეისოდ არსებული სისტემები, შევიმუშავეთ რეკომენდაციები მათი რეაბილიტაციისთვის საჭირო ღონისძიებების შესახებ, დაესახეთ კონკრეტულად სოფლების ბუშეტის და ვანთას სასმელი წყალმომარაგების არსებულთან შედარებით უფრო რაციონალური წყალმომარაგების ვარიანტები.

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
5	ხაშურის რაიონის სოფლების მიწობის და პატარა ფლევის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება	შპს „სენსორი“	მ. მარდაშოვა	უ. ზვიადაძე, მ. სისაური

ხაშურის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლები მიწობი და პატარა ფლევი წყალმომარაგების დეფიციტის პირობებში ცხოვრობს. მეორე მხრივ, არსებობს წყალმომარაგების ჯერჯერობით გამოუყენებელი წყაროები, რომელთა ათვისებას შეუძლია გადაჭრას დღესდღეობით აქ არსებული დეფიციტი. ჩვენს მიერ შედგენილ საპროგნოზო ჰიდროგეოლოგიურ დასკვნაში კონკრეტულად არის მითითებული აღნიშნული წყაროების გამოყენების პრაქტიკულ შესაძლებლობაზე და მათი ათვისების ტექნიკურ პირობებზე.

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
6	დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლების – ანანურის, ოძისის, მჭადიჯვრის, საშაბუროს, ბაგას, ძველი საკრამულოს, პირმისაანთ-ვარსიმაანთკარის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება	შპს „LMC“	მ. მარდაშოვა	უ. ზვიადაძე, მ. სისაური

პროექტის მონაწილენი ველზე ეცნობოდნენ ბაზალეთის ტბის შემოგარენში და მოშორებით მდებარე სოფლების სასმელი წყალმომარაგების დღევანდელ მდგომარეობას და სქემებს. მათ მიერ სათანადო ანალიზის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების განხორციელებით აღნიშნული სოფლების წყალმომარაგების პრობლემა წარმატებით გადაწყდება.

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი	პროექტის	პროექტის
---	---------------------	----------------	----------	----------

		ორგანიზაცია	ხელმძღვანელი	შემსრულებლები
7	მდ. თვალთხევის (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი) წყალშემკრები აუზის ფარგლებში სეისმური ძიების ჩატარების პირობები	შპს „კანარგო“		უ. ზვიდაძე, მ. მარდაშოვა

როგორც ცნობილია, ქ. საგარეჯოს წყალმომარაგება ძირითადად მდ. თვალთხევის ფილტრატების კაპტაჟის გზით ხორციელდება. წყალამღების ტერიტორია საკმაოდ ფართოა და მდინარის ორივე ნაპირს მოიცავს. გარდა ამისა, მდინარის მარცხენა სანაპიროზე, არცთუ დიდ მანძილზე, მარიაძჯვარის აღკვეთილის ტერიტორია მდებარეობს. პროექტის შემსრულებელთა მიერ შემუშავებულ იქნა კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც მკვეთრად ზღუდავს სეისმურ პროფილირებას წყალამღების ფარგლებში და მასთან უშუალოდ აღმოსავლეთიდან მიმდებარე ტერიტორიაზე.

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
8	UNDP project: “Immediate Response to 2012 Disasters in Georgia”	UNDP		უ. ზვიდაძე, მ. მარდაშოვა

2012 წლის სტიქიურმა მოვლენებმა (ღვარცოფი, წყალდიდობა) მნიშვნელოვნად დააზარალა საქართველოს მოსახლეობა. განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაღვა კახეთის რეგიონს და კონკრეტულად რეგიონის ცენტრს – ქ. თელავს. ღვარცოფული მდინარე თელავის ხევი უშუალოდ ქალაქის დასახლებული ნაწილის ტერიტორიაზე ჩამოედინება და მიუხედავად იმისა, რომ კალაპოტი ბეტონის ხელოვნურ კედლებში არის მოქცეული, წყალმოვარდნის დროს ქალაქის მეურნეობა პრაქტიკულად პარალიზებულია. პროექტის მონაწილეებმა 10 დღის განმავლობაში დეტალურად შეისწავლეს მდ. თელავის ხევის ხეობა, აღწერეს იქ მიმდინარე საინჟინრო-გეოდინამიკური პროცესები, გაეცნენ ხერხეულიძის არსებულ სელდამჭერ კონსტრუქციებს და ყოველივე ამის საფუძველზე დამკვეთ ორგანიზაციას წარუდგინეს დასაბუთებული მოსაზრებები დამატებითი ღონისძიებების შესახებ, რომელთა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს ქალაქის უსაფრთხოება ნებისმიერი სიმძლავრის ღვარცოფის გავლის შემთხვევაში.

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
---	---------------------	----------------------------	-----------------------	------------------------

9	მუხრანის არტეზიული აუზის ფარგლებში არსებული საექსპლუატაციო ჭაბურღილების ჰიდროდინამიკური რეჟიმის შესწავლა საექსპლუატაციო მარაგების შეფასების მიზნით	შპს „GWP“	მ. მარდაშოვა	ა. აბშილავა, ჟ. გაბეჩავა, ხ. ავალიანი, ა. ქემოკლიძე, ბ. გურამიშვილი
---	--	-----------	--------------	---

ჩვენი დედაქალაქის წყალმომარაგების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო მუხრანის არტეზიული აუზის მიწისქვეშა წყლებია. იმის მიუხედავად, რომ საბადოს ექსპლუატაცია თითქმის სამი ათეული წელია რაც მიმდინარეობს, საექსპლუატაციო მარაგები დღემდის ნაანგარიშევი და დამტკიცებული არ არის. ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრულია, რომ პროექტის მონაწილეებს ევალებათ მომავალი წლის შემოდგომაზე მარაგების სახელმწიფო კომისიას წარუდგინონ დასამტკიცებლად მუხრანის არტეზიული აუზის წნევიანი მიწისქვეშა წყლების საექსპლუატაციო მარაგები. პროექტი განხორციელების სტადიაშია და სამუშაოები გეგმაზომიერად ტარდება წინასწარ შედგენილი და დამკვეთ ორგანიზაციასთან (GWP) შეთანხმებული კალენდარული გეგმის მიხედვით.

სხვა მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი პროექტები:

№	პროექტის დასახელება	დამკვეთი ორგანიზაცია	პროექტის შემსრულებლები
10	ბაკურიანის წყაროების საექსპლუატაციო მარაგების შეფასება (2013-2014 წწ.)	“IDS – ბორჯომი საქართველო”	ი. ლომინაძე, სამეცნიერო კვლევითი ფირმა “გამა კონსალტინგთან” ერთად

სამუშაო „ბორჯომის რაიონში ბაკურიანის წყაროების მტკნარი მიწისქვეშა წყლების შესწავლაზე და საექსპლუატაციო მარაგების შეფასებაზე 2014 წლის 1 აპრილის მდგომარეობით“ არსებული წყაროების მიწისქვეშა წყლების მარაგების შეფასებისა და შემდგომში მისი ექსპლუატაციის მიზნით მიმდინარეობს. სამუშაო სრულდება ერთობლივად, შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯის კომპანის“, საქართველოს ფილიალის საქვეუწყებო ფირმა სს „ბორჯომმინწყლების“ და შპს “გამა კონსალტინგის“ მიერ. აღნიშნული პროექტის მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორის კომისიას (მსკ) წარუდგინება წყაროთა საექსპლუატაციო მარაგები, 25 წლის ვადით $C_1 + C_2$ კატეგორიით გათვლილი მარაგების ოდენობით.

პუბლიკაციები:

საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	. . . , . . .		თბილისი, გამომცემლობა "უნივერსალი" 2013	110 გვ.
2	ბ. ზაუტაშვილი ბ. მხეიძე	"საქართველოს ჰიდროგეოლოგიური რუკა" მასშტაბი: 1:1 000 000, "საქართველოს მინერალური წყლების რუკა" მასშტაბი: 1:1 000 000, საქართველოს ეროვნული ატლასი	თბილისი, გამომცემლობა სს "კარტოგრაფია"	6 გვ.
3	უ. ზვიდაძე, ბ. ზაუტაშვილი, დ. როგავა, მ. ლაპიაშვილი, თ. ჯიქია	"თბილისის საინჟინრო გეოლოგია" (გ. ჯაფარიძე, თარგმანი რუსულიდან)	თბილისი, ელ. ვერსია, სტუ-ს ბიბლიოთეკა CD №667	130 გვ.

დასახელებულ მონოგრაფიებში განხილული საკითხები ქვემოთ თანამიმდევრობით არის მოცემული.

1. მონოგრაფიაში – "

" წარმოდგენილია აღმოსავლეთ საქართველოს სარმატული ნალექები, რომლებიც პალეოლოგიური მეთოდით ჩვენს მიერ პირველად იყო შესწავლილი. სპორებისა და მტვრის მარცვლების კომპლექსები ინტერპრეტირებულია ლანდშაფტურ-ფიტოცენოლოგიური მეთოდით, რამაც საშუალება მოგვცა აღგვედგინა აღმოსავლეთ საქართველოს მცენარეული საფარის ისტორია და დაგვედგინა განვითარების 5 ეტაპი. ეტაპების გამოყოფის საფუძველი იყო ცალკეული მცენარეების ეკოლოგიურ-კლიმატური ჯგუფების არეალების მერყეობა. ფლორისტული ეტაპების შეპირისპირებამ ფორამინიფერების განვითარების სტადიებთან გამოავლინა გარკვეული მსგავსება ხმელეთისა და ზღვის ბიოცენოზების დინამიკაში, რაც უპირველეს ყოვლისა, უკავშირდებოდა საარსებო გარემოს ცვლილებებს. აღმოსავლეთში დაიწყო ქსეროფიტოზაციის პროცესი, რომლის პირველი ნიშნები გამოჩნდა ჯერ კიდევ ადრესარმატულში. მშრალი ჰავის გაძლიერების მომდევნო ტალღას ადგილი ჰქონდა შუასარმატულში, მაგრამ ამ მოვლენამ გაცილებით მკვეთრი ხასიათი მიიღო შუა და

- ზედასარმატულის საზღვარზე. მთლიანობაში ეს პროცესი იყო დაკავშირებული ჰავის არიდოზაციის საერთო პროცესთან;
- საქართველოს ეროვნული ატლასი სამეცნიერო-საცნობარო ხასიათის კომპლექსურ გეოგრაფიულ და კარტოგრაფიულ ნაშრომს წარმოადგენს. მასში განთავსებული თემატური რუკები შედგენილია ცნობილი ქართველი მეცნიერების მიერ და საფუძვლად უდევს შესაბამისი დარგების თანამედროვე მეცნიერული მიღწევები. ატლასში 135 სხვადასხვა თემატური რუკა არის მოთავსებული, მათ შორის დასახელებული რუკები. საქართველოს ჰიდროგეოლოგიურ რუკაზე სტრუქტურულ-ჰიდროგეოლოგიური დარაიონების თანახმად, მოცემულია ძირითადი ჰიდროგეოლოგიური ოლქები მოკლე დახასიათების ფონზე, ხოლო საქართველოს მინერალური წყლების რუკაზე დატანილია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი და შესწავლილი მინერალური წყლების საბადოები. რუკას თან ერთვის ტექსტური ნაწილი, რომელიც მოიცავს საქართველოს მინერალური წყლების მოკლე დახასიათებას ტერიტორიული გავრცელების და ქიმიური შედგენილობის მიხედვით;
 - რუსულიდან ითარგმნა პროფ. გ. ჯაფარიძის მონოგრაფია “თბილისის საინჟინრო გეოლოგია” (ნაშრომის რეცენზენტები: გ. ჭოხონელიძე, დ. ჩხეიძე. გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1984 წელი). მონოგრაფიაში განზოგადოებულია ქ. თბილისის ტერიტორიაზე 1934-დან 1975 წლამდე შესრულებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგები, განხილულია ნაგებობათა მშენებლობის და მათი ექსპლუატაციის დროს აღმოცენებული საინჟინრო-გეოლოგიური პროცესები. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი 100 მეტრზე მეტ სიღრმეში გრუნტების გავრცელებას და მათ საინჟინრო-გეოლოგიურ შეფასებას, როგორც მიწისზედა, ისე მიწისქვეშა მშენებლობისათვის.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ. ქაჯაია	წიადისეულის საბადოების წარმოშობის და სივრცეში განაწილების კანონზომიერებები	თბილისი, საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”, დასტამბ. შპს “პრინტ ჯორჯია”	A-4 112 გვ.
2	ნ. ქაჯაია, ნ. აბაკელია, ნ. ჯაფარიძე	სტრუქტურული გეოლოგია და გეოლოგიური კარტირება	თბილისი, საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”	A-4 129 გვ.

3	თ. ლომინაძე, ი. წერეთელი	საქართველოს გეოლოგია	სტუ, ელ.ვერსია CD-1337	152 გვ.
4	გ. ლომსაძე, გ. ტაბატაძე, გ. ლობჯანიძე	სამთო საწარმოთა მენეჯმენტი	თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	235 გვ.
5	უ. ზვიადაძე	ჰიდროგეოლოგიური კვლევების მეთოდოლოგია	თბილისი, გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”	127 გვ.
6	უ. ზვიადაძე, მ. მარდაშოვა	მიწისქვეშა წყლების დინამიკა	თბილისი, გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”	189 გვ.
7	დ. როგავა	ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის საფუძვლები	თბილისი, საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”	84 გვ.
8	მ. ლაპიაშვილი	გრუნტმცოდნეობა – საინჟინრო პეტროლოგია	თბილისი, გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”	228 გვ.
9	მ. ლაპიაშვილი	ფერდობის მდგრადობის საანგარიშო მეთოდები	თბილისი, გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”	59 გვ.

სახელმძღვანელოებში განხილული ძირითადი საკითხები მოკლე ანოტაციების სახით თანამიმდევრობით არის მოცემული.

1. სახელმძღვანელოში – “წიაღისეულის საბადოების წარმოშობის და სივრცეში განაწილების კანონზომიერებები” – დეტალურად არის აღწერილი საბადოების ყველა გენეტიკური ტიპის წარმოშობის, მადნების მინერალური შედგენილობის და სივრცობრივი განლაგების განმპირობებელი სტრუქტურულ-გეოქიმიური პროცესები ეტალონური საბადოების მაგალითებით;
2. სახელმძღვანელოში – “სტრუქტურული გეოლოგია და გეოლოგიური კარტირება” – განხილულია დედამიწის მყარი ქერქის ზედა ნაწილის აგებულების და მისი გამომწვევი მიზეზების აღწერა, გეოლოგიური რუკების რაობა, გეოლოგიური აგეგმვის წარმოების წესების და მეთოდების დახასიათება;
3. სახელმძღვანელოში – “საქართველოს გეოლოგია” – დახასიათებულია საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიური აგებულება ტექტონიკური დარაიონების თანამედროვე სქემით დადგენილი სტრუქტურულ-მორფოლოგიური ერთეულების მიხედვით. განხილულია ტექტონიკური დარაიონების, სტრატეგრაფიის, მაგმატიზმის, გეოლოგიური განვითარების და წიაღისეულის სივრცეში განაწილების საკითხები. სახელმძღვანელო

განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სწავლების სტუდენტებისთვის და აგრეთვე, დახმარებას გაუწევს მაგისტრატურის მსმენელებს;

4. სახელმძღვანელოში – “სამთო საწარმოთა მენეჯმენტი” – განხილულია ახალ ეკონომიკურ პირობებში სამთო საწარმოთა მენეჯმენტის არსი, მათი მართვის თანამედროვე პრინციპები, მეთოდები და ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბების თავისებურებანი საბაზრო ურთიერთობათა პირობებში; გაანალიზებულია ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ საწარმოს სამეურნეო საქმიანობაზე და მართვის ოპტიმალური სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე; გადმოცემულია საწარმოო მენეჯმენტის მეთოდური საფუძვლები და მისი პრაქტიკული გამოყენების რეკომენდაციები. სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამთო-გეოლოგიური და მონათესავე სპეციალობის სტუდენტებისათვის, დარგში მომუშავე სპეციალისტებისა და სხვა დაინტერესებული მკითხველისათვის;
5. სახელმძღვანელოში – “ჰიდროგეოლოგიური კვლევების მეთოდთა” – დეტალურად არის განხილული ის მთავარი ხერხები და მეთოდები, რომელთა საშუალებითაც მიწისქვეშა წყლების საბადოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახვენებლების შეფასება ხდება, რაც აუცილებელი წინაპირობაა საბადოს მარაგების შესაფასებლად და შემდგომში ექსპლუატაციაში გადასაცემად;
6. ნაშრომში – “მიწისქვეშა წყლების დინამიკა” – განხილულია ჰიდროგეოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განხრის – მიწისქვეშა წყლების დინამიკის თეორიული საფუძვლები, სხვადასხვა დანიშნულების ჰიდროდინამიკური გათვლების მათემატიკური ხერხები და მეთოდები, საკუთარი გამოცდილების მიხედვით, ჰიდროგეოლოგიური საანგარიშო პარამეტრების განსაზღვრის პრაქტიკული მაგალითები;
7. “ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის საფუძვლები” სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის გამოიცა. სახელმძღვანელოში განხილულია ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ასახავს მიწისქვეშა წყლების ფორმირებისა და გავრცელების, აგრეთვე გეოლოგიური გარემოს საინჟინრო-გეოლოგიურ თავისებურებებს. აღწერილია ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, თანამედროვე გეოლოგიური პროცესები და მოვლენები, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ამოცანები და სახეობანი;
8. სახელმძღვანელო “გრუნტმცოდნეობა – საინჟინრო პეტროლოგია” განკუთვნილია საინჟინრო გეოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისა და სპეციალისტთა იმ წრისთვის, რომლებიც შეისწავლიან ქანების სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობების მშენებლობის საკითხებს. სახელმძღვანელო ეხება საინჟინრო-გეოლოგიურ კლასიფიკაციაში მიღებული სხვადასხვა ჯგუფის ქანების გრანულომეტრიული და ნივთიერი შედგენილობის, ფიზიკურ-მექანიკური და წყლოვანი თვისებების შესწავლას, საანგარიშო მახვენებლების მათემატიკურ-სტატისტიკურ დამუშავებას, სხვადასხვა ჯგუფის ქანებზე შენობა-ნაგებობების დაპროექტების თავისებურებებს;
9. სახელმძღვანელოში – “ფერდობის მდგრადობის საანგარიშო მეთოდები” – განხილულია ფერდობების მდგრადობის პირობები მეწყრული სხეულის ფიქსირებული და არაფიქსირებული ცოცვის ზედაპირიანი ნაირსახეობებისათვის. წყალსაცავის

სანაპიროს გადამუშავების სქემა, ფერდობების მდგრადობის რაოდენობრივი შეფასება საანგარიშო მაგალითებით, რაც წარმოადგენს ტერიტორიების საერთო საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მახვენებელს.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამოცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლ. მახარაძე, რ. სტურუა, დ. როგავა, ი. გუჯაბიძე	“სამთო ჟურნალი” №1 (30)	თბილისი, გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”	128

1998 წლის დასაწყისში ახლად შექმნილმა “სამთო ჟურნალის” სარედაქციო კოლექტივმა (მთავარი რედაქტორი პროფესორი ბორის დემეტრაძე) სამთოელთა დიდი ჯგუფის შემოქმედებით საქმიანობით უზრუნველყო ჟურნალის დაფუძნება. პირველ ნომერში აისახა აკადემიკოს არჩილ ძიძიგურის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის მასალები (1998 წლის 21-22 მაისი). მას შემდეგ ჟურნალი სისტემატურად აწვდის მკითხველს როგორც ჩვენი, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების სამთო მრეწველობის პრობლემებზე სამეცნიერო, საინჟინრო, ინფორმაციული, ანალიზური ხასიათის ფართო პუბლიკაციებს. 2013 წელს შესრულდა “სამთო ჟურნალის” გამოცემის 15 წელი. მის 30-ე ნომერში (მთავარი რედაქტორი პროფესორი ლევან მახარაძე, გამომცემელი პროფესორი რევაზ სტურუა), 10 რუბრიკაში მოთავსებულია 37 სტატია. ამჟამად რედაქციის ამზადებს 2013 წლის მე-2 (31) ნომერს. სხვა მასალებთან ერთად, დაიბეჭდება მაგისტრანტთა და დოქტორანტთა სტატიებიც.

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამოცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	M. Shariqadze, M. Kakabadze, I. Kakabadze	Stratigraphical Correlation of the Barremian-Aptian Sedimentary Sequences of the Okriba-Khreiti and Dzirula Tectonic Subzones (Georgia)	v.7, №2, 2013	Georgian national academy of sciences “Bulletin”	11 გვ.
2	მ. შარიქაძე, ი. თავდუმაძე, ვ. ნახტმანი,	გეოლოგიური ექსკურსიის გზამკვლევი (ქართულ და ინგლისურ ენებზე)	-	თბილისი 2013	54 გვ.

	ზ. სურამელაშვილი, რ. პაატაშვილი	AAPG Europe-რეგიონალური კონფ. „პარატეთისის ნავთობის სისტემები: ევროპიდან აზიისკენ მიმავალი გზების ძიება“			
3	L. Maisuradze, I. Shatilova, M.Vekua, K. Koiava, I. Kokolashvili, L. Ruchadze	The results of micropaleontologi- cal analysis of the Late Meotian - Early Pontian deposits of the Black Sea region. “Proceedings” Georgian National Museum	№5	თბილისი 2013	8 გვ.
4	ო. სესკურია, ხ. გაჩეჩილაძე	“გრანატის თვლების გამოყენება ანტიკური ხანის საქართველოში” იბერია-კოლხეთი (საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ცენტრის სამეცნიერო სერიული ჟურნალი)	№9	თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი	10 გვ.
5	ი. შეყრილაძე, ნ. ფოფორაძე, უ. ზვიადაძე	“საქართველოს თიხაფიქლები: შეიღვაზის მოპოვების კონტექსტი” მოამბე	ტომი 7, №1	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	9 გვ.
6	ნ. ფოფორაძე, ო. სესკურია	“ძამის მადნიანი ველის გრანატები” მიღებულია “სამთო ჟურნალში” გამოსაქვეყნებლად	№1 (31)	თბილისი	7 გვ.
7	ი. ახვლედიანი	“კავკასიის შუა იურული ასაკის განამარხებული მერქნები” საქართველოს ეროვნული მუზეუმის მაცნე, საბუნებისმეტყველო და პრეისტორიული სექცია, (მიღებულია დასაბეჭდად)	№5	თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი	13 გვ.
8	ი. ახვლედიანი	“ნამარხ ძუძუმწოვართა ძვლების მინერალოგიური კვლევა”	№5	თბილისი, საქართველოს ეროვნული	8 გვ.

		საქართველოს ეროვნული მუზეუმის მაცნე, საბუნებისმეტყველო და პრეისტორიული სექცია (მიღებულია დასაბუჯდად)		მუზეუმი	
9	ი. ახვლედიანი, მ. დგებუაძე, ნ. დემურიშვილი	“მეშხედური ქვისაგან დამზადებული ჭურჭლის კოლექციის ატრიბუციისათვის” საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე	ტომი 4	თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი	
10	გ. ტაბატაძე, ნ. ხუნდაძე, ბ. ცერცვაძე	“ორგანიზაციული ცვლადები საინოვაციო მენეჯმენტში” ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“,	№2(26), 2013 წ.	თბილისი, გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”	5 გვ.
11	დ. აბზიანიძე, გ. ტაბატაძე, ნ. ხუნდაძე, თ. მესხიშვილი	“მათემატიკის მოდელირების მეთოდების გამოყენება გარემოს დაცვის ამოცანების გადასაწყვეტად” ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“,	№2, 2013 წ.	თბილისი, გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”	5 გვ.
12	გ. ტაბატაძე, ო. ოშიაშვილი, ნ. მაჭავარიანი, გ. ლობჯანიძე, ვ. ხითარიშვილი	“ხარჯებისა და დანახარჯების შესახებ” ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“,	№3, 2013 წ.	თბილისი. გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”	5 გვ.
13	გ. ლობჯანიძე	“ნავთობის მსოფლიო ბაზრის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები” ჟურნალი „სამთო ჟურნალი“	№2, 2013 წ.	თბილისი, გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”	8 გვ.
14	გ. ლობჯანიძე	“OPEC-ის ზეგავლენა ნავთობის მსოფლიო ბაზრის ტენდენციებზე და ნავთობის მომპოვებელი ქვეყნების სტრატეგიები”	№2, 2013 წ.	თბილისი გამომცემლობა “პოლიგრაფი”	8 გვ.

		ჟურნალი „საქართველოს ნავთობი და გაზი“,			
15	გ. ლობჯანიძე, რ. სარჩიმელია	“მეცნიერება და რელიგია ეკონომიკური გლობალიზაციის გააქტიურების პირობებში” ჟურნალი „ეკონომიკა“	7-8, 2013 წ.	თბილისი, გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”	11 გვ.
16	უ. ზვიადაძე, მ. მარდაშოვა, ა. ქემოკლიძე	“ხუდონქვის მშენებლობის განახლებასთან დაკავშირებული საინჟინრო-გეოლოგიური საკითხები”. სტუ-ს შრომები	№2(488)	თბილისი, გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”	7
17	დ. როგავა	“მთა-ნაოჭა რეგიონის საინჟინრო-გეოლოგიური (ფორმაციული) დარაიონების ზოგადი თავისებურება დასავლეთ აფხაზეთის მაგალითზე”. სტუ-ს შრომები	№1 (483)	თბილისი, საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”	8
18	ვ. გვახარია, ი. ლომინაძე, ნ. ცირდილაძე, ჯ. გაბეჩავა, ბ. მიგინეიშვილი	“ჰიდრაულიკური და ჰიდროდინამიკური მეთოდების ერთდროული გამოყენების უპირატესობა საექსპლუატაციო მარაგების შესაფასებლად რთული ჰიდროგეოლოგიური ობიექტისთვის საირმის მინერალური წყლის საბადოს მაგალითზე”. საერთაშორისო სამეცნიერო- ტექნიკური საინფორმაციო- ანალიტიკური რეფერირებული ჟურნალი “საქართველოს ნავთობი და გაზი”	№28, 2013	თბილისი, გამომცემლობა “პოლიგრაფი”	7
19	ნ. ქიტიაშვილი	“საქართველოს დასახლებული პუნქტების სასმელი წყალმომარაგების	№1 (30)	თბილისი გამომცემლობა “ტექნიკური	4

		ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ” ჟურნალი „სამთო ჟურნალი”		უნივერსიტეტი”	
20	თ. ჯიქია	“არიდული კლიმატის ზონებში ბუნებრივი მასალების გამოყენებით მცენარეული საფარის შექმნა” მიღებულია სტუ-ს შრომათა კრებულში გამოსაქვეყნებლად	-	თბილისი გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”	-
21	თ. ჯიქია	“ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენა ბუნებრივი მასალების გამოყენებით” მიღებულია სტუ-ს შრომათა კრებულში გამოსაქვეყნებლად	-	თბილისი გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”	-
22	ჯ. ტატიშვილი, მ. ლაპიაშვილი	“გეოლოგიური გარემო და მისი დაცვა” მიღებულია სტუ-ს შრომათა კრებულში გამოსაქვეყნებლად	-	თბილისი, “ტექნიკური უნივერსიტეტი”	-

გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ 2013 წელს შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესახებ საკითხები ზემოთ დასახელებული სტატიების სახით გამოქვეყნდა. ქვემოთ, თანამიმდევრობით მოცემულია ნაშრომთა მოკლე ანოტაციები მიმართულებების მიხედვით.

გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის მიმართულება.

1. სტატიაში განხილულია ოკრიბა-ხრეთისა და ძირულის ტექტონიკური ქვეზონების (საქართველო) ბარემულ-აპტური სექვენსების შეპირისპირების საკითხი. აღნიშნული ტერიტორიის ბიო და სექვენს-სტრატოგრაფიული კვლევების ობიექტად არჩევა განაპირობა აქ გავრცელებული ბარემულაპტური ნალექების ფაციესურმა მრავალფეროვნებამ, მდიდარი ფაუნისტური კომპლექსების არსებობამ და სელიმენტაციური ციკლების ხშირმა მონაცვლეობამ. ძირულის ქვეზონის ფარგლებში ბარემულ-აპტურ ნალექებში უთანხმო ზედაპირების, აგრეთვე ზღვის შედარებით ღრმა და მარჩხი ფაციესების მონაცვლეობის შესწავლის საფუძველზე გამოიყოფა 5 სელიმენტაციური სექვენსი ($Br_1^1 - Br_1^3$, $B_2^1 - A_1^1$, $A_1^2 - A_1^4$, $A_2^1 - A_2^2$, $A_3^1 - A_1^1$), რომლებიც

ოკრიბა-ხრეთის ქვეზონაში ადრე გამოყოფილ ბარემულ-აპტურ სექვენსებს შესაბამებია. დაზუსტებულია ამ სექვენსების ბიოსტრატиграფიული ჩარჩოები და შესწავლილია მათი ლითო-და ბიოფაცციური ცვალებადობის ხასიათი სივრცესა და დროში. უმეტეს შემთხვევაში სექვენსებს შორის საზღვრები ეროზიული ზედაპირით არის გამოხატული, ხოლო იმ ჭრილებში, სადაც სექვენსები ზღვის შეღვის შედარებით უფრო ღრმა ფაცციით არის წარმოდგენილი, სექვენსებს შორის საზღვარი თანხმობითია. იმ შემთხვევაში, როდესაც სექვენსის საზღვარი სტრატиграფიული ხარვეზით არის წარმოდგენილი, ორივე მოსაზღვრე სექვენსის ამგები ქანების დაქანების აზიმუტი და დახრის კუთხე ერთნაირია. შესაბამისად, ყოველი ასეთი საზღვარი წარმოადგენს ტიპურ პარალელურ უთანხმოებას და ირკვევა, რომ მისი დეგრადაციული სიცარიელის ქრონოსტრატиграფიული ამპლიტუდა შესწავლილ რეგიონში ცვალებადია;

2. ნაშრომი ეძღვნება 2013 წლის 26-27 სექტემბერს თბილისის საერთაშორისო კონფერენციის (“პარატეთისის ნავთობის სისტემები”) დასრულების შემდეგ მოწყობილ გეოლოგიურ ექსკურსიას (თბილისი-მცხეთა-კავთისხევი-ახალქალაქი-უფლისციხე, მდ. ტანის ხეობა-გორი). იგი შესრულებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე. გზამკვლევის პირველ ნაკვეთში მოკლედ არის გადმოცემული საქართველოს ოროპიდროგრაფია, გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკური განვითარების ისტორია. მეორე ნაკვეთი უშუალოდ გეოლოგიური მარშრუტის ძირითადი ობიექტების გეოლოგიურ აღწერას ეთმობა. კერძოდ, მოკლედ არის დახასიათებული თბილისისა და მცხეთის მიდამოების, მცხეთა-უფლისციხის (მტკვრის მარჯვენა სანაპირო) მონაკვეთის, მდ. ტანის ხეობის ქვედა ნაწილის გეოლოგიური აგებულება; მოტანლია ცნობები აქ არსებული ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების შესახებ. ნაშრომს თან ერთვის საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული და გეოლოგიური რუკები, გეოლოგიური ჭრილები და გეოლოგიური და ისტორიულ-არქიტექტურული ობიექტების ამსახველი სურათები;
3. სტატიაში მოცემულია გვიანმეოტური და ადრეპონტური ნალექების მიკროფაუნისა და პალინომორფების შესწავლის შედეგები. მიკროფაუნისტური მასალა შეგროვილია დასავლეთ საქართველოში და ყირიმში საკვლევი ნალექების ჭრილებიდან. პალინოლოგიური მასალა შეგროვილია ორი ჭრილიდან - მდ. მდ. ატაპის და ზანას ხეობებში. შესწავლილ ჭრილებში გამოყოფილია ფაუნისტურად დათარიღებული გვიანმეოტური და ადრეპონტური (ევპატორიული, ოდესური) ნალექები, მათი უხარვეზო თანდათანობითი, მდორე, გადასვლით. ფაუნისტური კომპლექსების შემადგენლობა და მათი ხასიათი ცალკეული პონტური სახეობების მეოტურ წინაპრებთან მემკვიდრეობითობას აჩვენებს. გვიანმეოტურ აუზში ეკოლოგიური პირობების გაუარესება (განმარილიანება) ფორამინიფერების თანდათანობითი გაღარიბებისა და შუაპონტურის დასაწყისისთვის მათი ამოწყდომის მთავარი მიზეზი გახდა, იმ დროს როდესაც შექმნილი ბიონომიური პირობები ოსტრაკოდებისათვის იმდენად ოპტიმალური აღმოჩნდა, რომ მათ გაფურჩქვნას ანუ ახალი გვარებისა და სახეობების გაჩენას შეუწყო ხელი. მსგავსი პროცესი გრძელდებოდა მთელი პლიოცენის განმავლობაში;

მინერალოგიის, პეტროლოგიისა და გეოქიმიის მიმართულება

4. ცნობილია ბევრი მინერალი, რომლებიც ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანიდან გამოიყენებოდა საქართველოში, მაგრამ მათი უმრავლესობის, როგორც საიუველირო საქმეში გამოყენებადი ნედლეულის, საბადოები საქართველოში არ არის. ისინი შემოჰქონდათ სხვა ქვეყნებიდან. მათ შორის არის გრანატიც. გრანატის თვლებით შემკული არქეოლოგიური ნივთები ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით დეტალურადაა შესწავლილი, რასაც ვერ ვიტყვით მინერალოგიური თვალსაზრისით ამ ნივთების სამეცნიერო კვლევაზე. ამიტომ ლიტერატურაში აღმანდინის სახელით მოხსენიებული მინერალების უმეტესობა გრანატის ჯგუფის აღმანდინ-პიროპის და პიროპ-აღმანდინის სახესხვაობებს წარმოადგენს;
5. გლობალურ ენერგეტიკულ ბაზარზე ე.წ. “თიხაფიქლების რევოლუციის” მიერ გამოწვეული შორსმიმავალი ძვრები წინა პლანზე აყენებს საქართველოს თიხაფიქლების კვლევის პრობლემას. სტატიაში მოცემულია საქართველოს თიხაფიქლების მოკლე მიმოხილვა მათი ბუნებრივი გაზის (შეილგაზის) მოპოვების კონტექსტში. დასახულია ნაბიჯები საწყისი გეოლოგიური და ეკოლოგიური ცოდნის გაღრმავებისთვის. რიგ გარემოებათა გამო, ქვეყნის ტერიტორიის ჯერჯერობით არალიცენზირებულ ნაწილში პირველი რიგის კვლევის არედ ყაზბეგ-ომალოს კვლევის არე არის რეკომენდირებული. შემდგომ გაფართოებას მოითხოვს მონაცემთა ბაზები სხვადასხვა სექტორებისა და სიდრმეების თიხაფიქლების კატაგენეზის დონეზე, ქანების მთლიან ორგანულ მდგენელსა და სხვა თვისებებზე. შეილგაზის მოპოვებისადმი წაყენებული მკაცრი ეკოლოგიური მოთხოვნებიდან გამომდინარე, ნაჩვენებია დამატებითი ჰიდროგეოლოგიური კვლევების ჩატარების აუცილებლობა. ძირითადი ინსტრუმენტის როლი ზონის ტერიტორიისა და სიდრმის მიხედვით გაზშემცველი ქანების განაწილების დადგენაში ქანების მძლავრი გაშიშვლებებიდან აღების ანალიზმა უნდა შეასრულოს, რაც შემდგომში საძიებო ბურღვის სტრატეგიის განსაზღვრის საფუძველი უნდა გახდეს;
6. სტატიაში განხილულია ძამის მადნიანი ველის გრანატების სახესხვაობები. მადნიანი ველის რაიონში სკარნების ორი უბანი გამოიყოფა: სათურძქვ უბანი და ღართის უბანი. გრანატის ჯგუფის მინერალების შემცველობა ორივე უბანზე აღინიშნება. როგორც ჩატარებული კვლევები აჩვენებს, მადნიანი ველის ფარგლებში გავრცელებული გრანატების გარდატეხის მაჩვენებლები უგრანდიტების რიგის გრანატებს შეესაბამება და ძირითადად, გროსულარ-ანდრადიტიანი, ანდრადიტიანი და გროსულარიანი სახესხვაობებითაა წარმოდგენილი. აღნიშნული გრანატები საიუველირო საქმისათვის გამოუსადეგარია;
7. კავკასიის განამარხებულ პიკნოქსილურ მერქნებს შორის დადგენილია შემდეგი მორფოგვარები: *Simplicioxylon* Andreanzsky, *Agathoxylon* Hartig, *Xenoxylon* Gothan, *Podocarpoxyylon* Gothan, სავარაუდოდ წარმოდგენილი სახეობებით: *Simplicioxylon*, *S. hungaricum* Andreanzsky, *Xenoxylon latiporosum* (Cramer) Gothan; *Podocarpoxyylon Svanidzei* n. sp; *Agathoxylon*, *.desnoyersii* (Lemoigne) Philippe;
8. სტატიაში ნამარხ ძუძუმწოვართა ძვლების მაგალითზე ჩატარებულია მინერალოგიური კვლევა, რომელმაც საშუალება მოგვცა აღგვედგინა შესწავლილი ძვლოვანი ფრაგმენტების საწყისი შემადგენლობა, აგრეთვე მათი განამარხებისა და გარდაქმნის პროცესების გეოქიმიური და გეოდინამიკური პირობები საქართველოს შესწავლილი რაიონების ტერიტორიული და ვულკანოგენურ-დანალექი ქანების გავრცელების ზოლში;

9. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური კოლექციების საცავებში, ინახება ქვისაგან დამზადებული ჭურჭლის ჯგუფი – სულ 25 ერთეული, ცნობილი როგორც მეშვედური (ირანი) ქვის კოლექცია, რომელიც მთლიანად საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებითაა წარმოდგენილი. ამ ნაკეთობათა მასალის ატრიბუციისათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ნაკეთობათა ქვის მასალის იდენტიფიცირება და მინერალოგიური კვლევა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მეშვედის ქვა არის ტალკ-ქლორიტ-დოლომიტური მეტასომატიტია წარმოქმნილი ულტრაფუჟე ქანების – ჰარცბურგიტების (ოლივინი და რომბული პიროქსენი) გასტეატიტების შედეგად და ის ეკუთვნის ქალაქ მეშვედის სამხრეთით მდებარე ვირანის ოფიოლიტურ კომპლექსს;

ეკონომიკისა და მენეჯმენტის მიმართულება.

10. სტატიაში განხილულია ცვლადები (ორგანიზაციის პერსონალი, მისი სოციოკულტურული გარემო, მართვის სტილი და მუშაკთა მოტივაციის სისტემა, რომლებიც აქტიურ გავლენას ახდენენ ორგანიზაციის საინოვაციო პოტენციალზე;
11. სტატიაში განხილულია მათემატიკის მოდელირების მეთოდების გამოყენება გარემოს დაცვის ამოცანების გადასაწყვეტად და მათემატიკის შესაძლებლობები გავლენა მოახდინოს ეკოლოგიურ პროცესებზე;
12. სტატიაში განხილულია ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოებისას დანახარჯებისა და ხარჯების ცალ-ცალკე აღრიცხვიანობის აუცილებლობა კომპანიის საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის შესაფასებლად;
13. ნაშრომში მოცემული და განხილულია ნავთობის ფასების კონიუნქტურა მსოფლიო ბაზრის თანამედროვე ტენდენციების სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ამასთან, შესწავლილი და გაანალიზებულია მსოფლიოში ნავთობის მარაგები, მოხმარება, მოთხოვნა, მსოფლიო ფასების დინამიკა, ნავთობმომპოვებელი და ნავთობმომხმარებელი ქვეყნების სტრატეგიები, მცირეტონაჟიანი ნავთობქიმიური მრეწველობის პროდუქციის წარმოების აუცილებლობა და მნიშვნელობა და ასევე სხვა აქტუალური საკითხები, რომელთა გათვალისწინება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას და დამოუკიდებლობას მნიშვნელოვნად განამტკიცებს;
14. ნაშრომში წარმოდგენილი და განხილულია ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია (ოპეკი-OPEC), მისი მიზანი, საქმიანობა, ფასების კონიუნქტურა, ოპეკის როლი ეკონომიკაში და ზეგავლენა ნავთობის მსოფლიო ბაზრის ტენდენციებზე, რეგიონული ასპექტები, ნავთობის მსოფლიო ბაზრის განვითარების თანამედროვე ტენდენციები; ამასთან, გაანალიზებულია ნავთობის მომპოვებელი ქვეყნების სტრატეგიები ნავთობის მოპოვებასთან დაკავშირებით, ნავთობის მსოფლიო ბაზრის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, ნავთობის მოპოვებისა და მისი გადაამუშავების სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენა მსოფლიოს ქვეყნებზე;
15. 21-ე საუკუნის ეკონომიკური გლობალიზაცია ეფექტიანია როგორც მისი მეცნიერებაში თავისუფალი გამოყენების შესაბამისად, ასევე რელიგიაში. ცხადია ისიც, რომ პოლიტიკურ გლობალიზაციაში არ უნდა ჩავერთოთ, როგორც დახმარების მიმდებნი. ამ მხრივ ჩვენც უნდა გაგვაჩნდეს გარკვეული შესაძლებლობები. მიუღებელია ისიც,

რომ მსოფლიოს მდიდარი სახელმწიფოები დანარჩენ სამყაროს მოსახლეობაზე დახმარებას მხოლოდ ნარჩენი კაპიტალის ნაწილობრივი გამოყენებით ახორციელებენ. მიუხედავად ამისა, ყველა შემთხვევაში გლობალიზაციას გონივრული გამოყენება სჭირდება, რაც ქვეყნის სასიკეთოდ უნდა იქნას მიმართული. თანამედროვეობის მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მატერიალური ყოფიერების სრულყოფას საფუძვლად დაუდოს სულიერი ფუნდამენტი, დაუბრუნოს პრაქტიკას მორალურ-ზნეობრივი საფუძვლები. როგორც საღრმითო წერილიდან და ცხოვრებისეული გამოცდილებიდან არის ცნობილი, ქვეყნიური სიკეთენი ამაო და წარმავალია; ამიტომ, აუცილებელი და მნიშვნელოვანია, გლობალიზაციის ურთულეს და უსწრაფეს პირობებში გაფართოვდეს კვლევა-ძიება ზემოაღნიშნულ საკითხებზე რელიგიური, ბიბლიური გააზრებით, რადგან ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ფასეულობათა შორის ზეაღმატებული ადგილი ბიბლიას, თეოლოგიურ, ქრისტიანულ ზნეობას და მასზე დაფუძნებულ სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობას უკავია, რომელთაც მთლიანობაში მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ გლობალიზაციის ნეგატიური ტენდენციებსა და გამოვლინებებთან;

ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის მიმართულება.

16. სტატიაში განხილულია საინჟინრო-გეოლოგიური, ნაწილობრივ ჰიდროგეოლოგიური პროცესები, რომლებიც ფაქტობრივად არსებული ობიექტური მიზეზების გამო, ნეგატიურად უნდა იქნას მიჩნეული ხუდონის ჰიდროკვანძის მშენებლობის და შემდგომი ექსპლუატაციის პერიოდში არა მარტო გარემოზე, არამედ საკუთრივ ჰიდროკვანძის ნაგებობებზე უარყოფითი ზემოქმედების თვალსაზრისით;
17. დასავლეთ აფხაზეთის ტერიტორია დაიყო ოთხ საინჟინრო-გეოლოგიურ ზონად. თითოეულ ზონაში გამოიყო ქანების განსაზღვრული ფორმაცია და გეოლოგიურ-გენეტიკური კომპლექსები. გეოლინამიკური პროცესების წარმოქმნის და განვითარების სივრცობრივი კანონზომიერება განპირობებულია სტრუქტურულ-ფაციალური ზონალურობით და ტექტონიკური ფაქტორი ქანების შედგენილობასთან ერთად გადამწყვეტ როლს ასრულებს ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასებისას;
18. მიწისქვეშა წყლების საექსპლუატაციო მარაგების შეფასებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჰიდროგეოლოგიური მეთოდის სწორ შერჩევას, რათა მიღებულ იქნას ბუნებრივ პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებული შედეგები. 2009 წელს საირმის მინერალური წყლის საბადოს მარაგების გადასათვლელად არჩევანი გაკეთდა ცალკეული ჭაბურღილებისთვის (№68) ჰიდროლინამიკური და მთელი საბადოსთვის ჰიდრაულიკური მეთოდის გამოყენებაზე. მარაგების შეფასებისას საშუალება მოგვეცა დადგენილიყო საშუალო დებიტები და დონის დაწვევის უსაფრთხო სიდიდეები, რომლის დროსაც საირმის მინერალური წყლის საბადო იქნება რესურსულად უზრუნველყოფილი და ეკოლოგიურად და ხარისხობრივად დაცული;
19. გარემოზე ინტენსიური, სულ უფრო მზარდი ანთროპოგენური დატვირთვის პირობებში თანამედროვე კაცობრიობის ერთ-ერთ უმწვავეს საკითხად ეკოლოგიური პრობლემა გადაიქცა. ნაშრომში განხილულია საქართველოს მიწისქვეშა წყლების სასმელი და სამეურნეო წყალმომარაგების მიზნით ათვისებასთან დაკავშირებით წლების განმავლობაში მიმდინარე მონიტორინგი სხვადასხვა დასახლებული პუნქტების

- წყალამღები ნაგებობების საშუალებით მოპოვებული წყლის ხარისხზე. გაანალიზებულია მონიტორინგის შედეგები, მითითებულია ის ნეგატიური ფაქტორები, რომლებიც შეინიშნება სასმელ წყალმომარაგებაში გამოყენებული მიწისქვეშა წყლების ორგანული თუ არაორგანული ტოქსიკანტებით გაჭუჭყიანების გამო. მოცემულია ცალკეული ტოქსიკანტების მიწისქვეშა წყლებში განაწილების რაოდენობრივი მაჩვენებლების რუკები და ეს მაჩვენებლები შედარებულია ნორმატივებით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებთან (ზდკ);
20. ნაშრომი ეხება კაცობრიობისათვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა არიდულ ზონებში მცენარეული საფარის შექმნა და სარწყავი წყლის ხარჯის შემცირება მისი რაციონალური გამოყენების გზით. ნაშრომში წარმოდგენილი ორიგინალური მეთოდი წყლის აკუმულირებისა, რომელიც შესაძლებელს ხდის არიდულ ზონებში მცენარეული საფარის შექმნას სარწყავი წყლის ხარჯის მნიშვნელოვანი შემცირებით დღევანდელობის მეტად აქტუალური და დიდი სარგებლის მომტანია;
21. ნაშრომში განხილულია დღევანდელობის მეტად მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა ეროზირებული, დეფორმირებული ფერდობების სტაბილიზაციარეკულტივაცია, არიდული კლიმატის ზონებში სარწყავი წყლის აკუმულაციის ორიგინალური მეთოდის გამოყენებით ბალახეული საფარის შექმნა, რაც მოსავლიანობის გაზრდისა და გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებას წარმოადგენს, ბუნებრივი მასალების გამოყენებით ფიტორემედიაციის პირობების გაუმჯობესება და პროცესის დროის შემცირება;
22. გეოლოგიური გარემო ადამიანის ყოველდღიური სამეურნეო და საინჟინრო საქმიანობის უშუალო ობიექტია. ნებისმიერი სახეობის მშენებლობა, წიაღით სარგებლობა და ა.შ. გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების ნიშნით მიმდინარეობს. ბუნებრივია, რომ ტექნიკური პროგრესის კვალობაზე გარემოზე ანთროპოგენური დატვირთვა განუხრელად მატულობს და თუ ეს დატვირთვა ზომიერების ჩარჩოებში არ თავსდება, შედეგი, როგორც წესი, მძიმეა. სტატიაში – “გეოლოგიური გარემო და მისი დაცვა” – განხილულია გეოლოგიური გარემოს თვისებები, ბუნებრივი და ტექნოგენური ზემოქმედებით მასში მიმდინარე პროცესები. ასევე, რეკომენდაციები შესაძლო ზარალის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით;

უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	------------------	---	--------------------------	--------------------------------	---------------------

1	. . .	()			12
2	kh. Mikadze, A. Menabde	Distribution of planktonic foraminifera on the K/T. 9th International Symposium on the Cretaceous System. Ankara, Turkey	სიმპოზიუმის კრებული	ანკარის ტექნიკური უნივერსიტეტი	მიღებულია რედაქციაში
3	T. Gvartadze, Kh. Mikadze, Z. Chkhaidze	Some data on the Late Cretaceous paleogeography in the Georgia (on the basis planktonic foraminifera and nannoplankton)	სიმპოზიუმის კრებული	ანკარის ტექნიკური უნივერსიტეტი	მიღებულია რედაქციაში
4	Kh. Mikadze	The question of the Turonian-Coniacian boundary in Western Georgia (on the basis of planktonic foraminifera)	MIKRO-2013, #1	Poland, Krakov, Institute of Paleobiology	
<p>1. სტატიაში გადმოცემულია ავტორის აზრი, რომ მეტალოგენიაში, კერძოდ მადანგანა-წილების პროცესების გაშიფვრისას საჭიროა გათვალისწინებული იყოს ანალოგიური გეოლინამიკური მოვლენების ზეგავლენის შესაძლებლობა. რეკომენდირებულია ნავთობის ძებნით პრაქტიკაში გათვალისწინებული იქნეს ღრმა და ზეღრმა ჰორიზონტების ბურღვა, რადგან, როგორც მსოფლიო მაგალითები გვიჩვენებს, ბოლო დროს სწორედ ღრმა ჰორიზონტების ნავთობდაგროვებები გახდა მსოფლიო ნავთობმოპოვების უმნიშვნელოვანესი რეზერვი;</p> <p>2. სტატია ეძღვნება საქართველოში ცარც/პალეოგენის საზღვრის ლითოლოგიას. ჩატარდა კვლევები ზედაცარცული ფორამინიფერების გავრცელებაზე და დადგინდა საზღვარზე ამ კომპლექსების რადიკალური დაკნინება, რომელიც შედარებული იქნა ხმელთაშუა ზღვის, აგრეთვე ამერიკის კვლევებთან ანალოგიურ საკითხებზე. გამოვლინდა ძლიერ საინტერესო ფაქტები ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემის თაობაზე – რამ გამოიწვია ცოცხალი სამყაროს თვისობრივი და რაოდენობრივი დივერსიფიკაცია ცარც/პალეოგენის საზღვარზე;</p> <p>3. სტატია ეხება ნანო და მიკროფორამინიფერების კომპლექსების გავრცელებას გვიანცარცულ პერიოდში. ჩატარდა მათი ლითოფაციალური ანალიზი. დადგინდა პალეოგეოგრაფიული რეკონსტრუქციის ზოგიერთი საკითხები მთელ გვიან ცარცულ პერიოდში;</p> <p>4. სტატია ეხება ძლიერ აქტუალურ საკითხს სტრატეგრაფიაში – ტურონ/კონიაკის საზღვრის დადგენა. გვიანცარცულ პერიოდში მნიშვნელოვან, ჯერ კიდევ გადაუჭრელ ფორამინიფერების პრობლემად არის ტურონ-კონიაკ-სანტონის სასაზღვრო საკითხი. პლანქტონური ფორამინიფერების საშუალებით ამ საკითხის ნაწილობრივი გადაწყვეტა</p>					

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	N. Popradze, O. Seskuria, G. Narimanishvili, M. Kvachadze	“White color beads of the Bronze Age from Trialeti barrows”	12-19 ოქტომბერი თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო კონფერენცია “From the Caspian to Mediterranean: Environmental Change and Human Response during the Quaternary”
2	უ. ზვიადაძე, მ. მარდაშოვა, ა. ქემოკლიძე	“მდ. თელავისხევის ხეობაში ღვარცოფული კერების წარმოქმნა- განვითარების გეოლოგიური ფაქტორები და სელსაწინააღმდეგო ღონისძიებები” II საერთაშორისო სიმპოზიუმი კავკასია და გლობალიზაცია: პრობლემები და პერსპექტივები.	ქ. თელავი, 3 - 5 ოქტომბერი, 2013 წელი

1. In barrows of various periods In Georgia there have been found lots of important adornments representing fine arts pieces; they belong to various epochs and are of diverse destinations; white color beads found in Eli-Baba cemetery on the territory of the Tsalka municipality are among them. Till our researches they have been studied only from historical-ethnographic point of view and they have been described as talc mineral or white pasta beads. On the basis of our researches it can be definitely told that talc mineral, used as raw material for making beads, has been heated at various temperatures; while heating talc at above 500⁰C it gradually turns into enstatite; the higher is the temperature the more enstatite is obtained and higher than at 1000⁰C talc entirely turns into enstatite;

2. საქართველოსთვის დამახასიათებელი ძლიერ დანაწევრებული მთაგორიანი რელიეფი, მდინარეთა ღრმა ეროზიული ხეობები, მრავალფეროვანი და ცვალებადი კლიმატური პირობები, ტერიტორიის მაღალი სეისმური აქტიურობა და სხვა ბუნებრივ-ტექნოგენური ფაქტორები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე საინჟინრო-გეოდინამიკური პროცესების – ღვარცოფების, მეწყერების, ზეგვების და ა.შ. სისშირეს და განმეორადობას განაპირობებს. ამ პროცესების ერთ-ერთი მძლავრი გამოვლინება 2012 წლის ივლისში თავსდატეხილი ძლიერი წყალდიდობა იყო, რომელმაც განსაკუთრებით დაზარალა კახეთის რეგიონი და, კერძოდ, ქ. თელავი, მასთან მიმდებარე მრავალი

სოფლით. ოფიციალური ცნობით, „წყალდიდობით გამოწვეულმა ზარალმა კერძო და საჯარო სექტორში 10 მლნ. ლარი შეადგინა, რომლის 75% იყო ზარალი, რაც გლეხების ოჯახებმა განიცადა“.

უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Khatuna Mikadze (poster)	The question of the Turonian-Coniacian boundary in Western Georgia (on the basis of planktonic foraminifera)	1st International Congress on Stratigraphy (STRATI 2013) 1-7 July
2	Khatuna Mikadze (oral)	Distribution of planktonic foraminifera on the K /T	Ankara, Turkey, 1-5 სექტემბერი, 2013
3	Khatuna Mikadze (oral)	The question of the Turonian-Coniacian boundary in Western Georgia (on the basis of planktonic foraminifera)	the Polish-Czech-Slovak Palaeontologic Conference, Kraków, POLAND
4	· · · · ·	« · · · · · (· · · · ·) »	27 - 1 , 2013 - : · · · · ·
5	· · · · ·	« · · · · · »	27 - 1 , 2013 - : · · · · ·

1. გაკეთდა სასტენდო მოხსენება, რომელზედაც ნაჩვენებია იქნა თუ როგორ ვრცელდება პლანქტონური ფორამინიფერები ტურონ/კონიაკის საზღვარზე. ამის გარდა გაკეთდა ფორამინიფერების კოლექციის ფოტოგრაფირება, რომელიც თან ერთვოდა პლაკატს;
2. მნიშვნელოვანი ფაქტორი ამ მოხსენების ის იყო, რომ კონფერენციას ესწრებოდა მსოფლიოში ცნობილი მიკროპალეონტოლოგი – გერტა კელერი, რომელიც სწავლობს მთელ მსოფლიოში ცარც/პალეოგენის საზღვარს. ჩემთვის, როგორც მომხსენებლისთვის საინტერესო იყო მიღებული შედეგების ანალიზის დეკლარირება და გაგება რამდენად არის მისაღები ჩემს მიერ წარმოდგენილი დასკვნები მსოფლიოში ანალოგიური კვლევების დასკვნებს. დასკვნებს იმის თაობაზე, თუ რამ გამოიწვია ცოცხალი სამყაროს მასიური ამოწვევტა ცარც/პალეოგენის საზღვარზე;
3. გაკეთდა პრეზენტაცია, სადაც დოკუმენტურად ნაჩვენებია იქნა, თუ რა მნიშვნელოვანი კომპლექსებით ხასიათდება ტურონული სართული და ტურონსა და კონკურ სართულს

	მიზნით (რუსთავი-წითელი ხიდის მონაკვეთზე)		
<p>საქართველოს ტერიტორიებზე ტექნოგენური დატვირთვა ყოველწლიურად იზრდება, უარესდება ბუნებრივი გარემოს მდგომარეობა, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. რუსთავი-წითელი ხიდის მონაკვეთი ხასიათდება გაჭუჭყიანების მაღალი დონით და აქედან გამომდინარე, არამდგრადი ეკოსისტემით. კერძოდ ქიმიური გამაჭუჭყიანებლების ზემოქმედების ობიექტია. პრობლემის გადასაწყვეტად, სიტუაციის სრული ანალიზი შეუძლებელია პროგრესული ტექნოლოგიებისა და მეთოდების გარეშე. პროექტის იდეაა მათემატიკური და გეოინფორმაციული მოდელირების კომპლექსური გამოყენება, როგორც კვლევის ინსტრუმენტის, ეკოლოგიური უსაფრთხოების შეფასებისა და პროგნოზირებისათვის. პროექტის ფარგლებში მოცემულია საანგარიშო ფორმულები, ცხრილები, რუკები. კვლევის და ანალიზის შედეგები თეორიულად დასაბუთებულია.</p>			

პუბლიკაციები:

საქართველოში

სტატია

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	ბმერ-დების რაოდენობა
1	დ. აბზიანიძე, ბ. ტაბატაძე, ნ. ხუნდაძე, თ. მესხიშვილი	“მათემატიკის მოდელირების მეთოდების გამოყენება გარემოს დაცვის ამოცანების გადასაწყვეტად” ბიზნეს – ინჟინერინგი	№2 (2013)	სტუ, საქართველოს საინჟინრო აკადემია	3 გვ.

მოცემულ ნაშრომში გადმოცემულია მათემატიკოსების მიდგომა ეკოლოგიის მიმართ, მათ პრობლემებზე, მათ უნარებზე – გამოიყენონ ცოდნა ამ პრობლემების გადასაჭრელად. იმისათვის, რომ გამოვიყენოთ მათემატიკური მოდელირების მეთოდები ეკოლოგიაში, ჯერ უნდა შევქმნათ მოდელი, შემდეგ შევუთანადოთ სათანადო მათემატიკური აპარატი, რომელიც საშუალებას მოგვცემს ჩავატაროთ შესასწავლი პროცესის ანალიზი, შევაფასოთ ჩვენი შესაძლებლობა სხვადასხვა ალტერნატივით და ამ ანალიზის საფუძველზე ჩამოვყალიბოთ მიზანი. ეკოლოგიური მოდელი წარმოდგენილია პირველი რიგის არაწრფივი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის სახით. ეკოსისტემების მართვის მიზანია როგორც გარემოს სათანადო ხარისხის უზრუნველყოფა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, ასევე ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირება. ამიტომ, ბუნებრივია, მოდელირების დროს ეს პარამეტრები განიხილება როგორც გამომავალი პარამეტრები.

ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტი

დეპარტამენტის უფროსი: საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი, სრული პროფესორი – გურამ ვარშალომიძე.

დეპარტამენტის პერსონალური შემადგენლობა:

- ნანა ხუნდაძე, სრული პროფესორი;
- ირაკლი გოგუაძე, სრული პროფესორი;
- გიორგი დურგლიშვილი, სრული პროფესორი;
- თემურ ბარაბაძე, სრული პროფესორი;
- ვალერი ხითარიშვილი, სრული პროფესორი;
- ნოდარ მაჭავარიანი, სრული პროფესორი (მოწვეული);
- რუსუდან მანაგაძე, სრული პროფესორი;
- მიხეილ მაჭარაძე, სრული პროფესორი (მოწვეული);
- თამარ ტურიაშვილი, ასოც. პროფესორი;
- ნიაზ ჯიქია, ასოც. პროფესორი;
- მარინა კუმელაშვილი, ასისტ. პროფესორი;
- ნათია მაისურაძე, ასისტ. პროფესორი;
- გიორგი ხეცურიანი, ასისტ. პროფესორი (0,5 საშტატო ერთეული);
- ნინო ჩახნაშვილი, უფ. მასწავლებელი (მოწვეული საათობრივ ანაზღაურებაზე);
- ქეთევან ქოიავა, უფ. მასწავლებელი (მოწვეული 0,5 განაკვეთზე);
- ტარიელ სარჯველაძე, უფ. მასწავლებელი (მოწვეული);
- ნინო ბერიძე, უფ. მასწავლებელი (მოწვეული 0,5 განაკვეთზე);
- ლალი კაკაშვილი, უფ. ლაბორანტი (მოწვეული საათობრივ ანაზღაურებაზე უფ. მასწ.)
- ნელი ჩხეიძე, დეპ. სპეციალისტი;
- მაია სურამელაშვილი, უფ. ლაბორანტი;
- თამარ მახარაშვილი, ლაბორანტი;
- ცირა ხარატიშვილი, ლაბორანტი;
- თამარ რაზმაძე, ლაბორანტი (მოწვეული 0,5 განაკვეთზე უფ. მასწ. თანამდებობაზე);
- თენგიზ ჯავახიშვილი, (მოწვეული საათობრივი ანაზღაურებაზე);

პუბლიკაციები

საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი,	გვერდების რაოდენობა
---	-----------------	---------------------	-------------------	---------------------

			გამომცემლობა	
1	გ. ვარშალომიძე	ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვისას გამრეცხი და ცემენტის ხსნარების დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიები	თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2013 (იბეჭდება)	780
1. ნაშრომში მოცემულია ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვის დროს გამრეცხი და ცემენტის ხსნარების დამუშავებისათვის საჭირო ტექნიკური რეაგენტების დასახვა და ნამატების სახეები, დანიშნულება და თვისებები. მათი გამოყენების თანამედროვე ტექნოლოგიები				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ. ხუნდაძე ნ. ბოჭორიშვილი ა. აბშილავა ლ. მახარაძე	უსაფრთხოების ტექნიკის საფუძვლები ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და ექსპლოატაციისას. (I-II ნაწილი) (სახელმძღვანელო)	თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2013	660
2	ნ. მაისურაძე ქ. ქოიავა ნ. ბერიძე	ნავთობგაზიანი ფენის ფიზიკა (სახელმძღვანელო)	თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი (იბეჭდება)	206
<p>1. ნაშრომში წარმოდგენილია ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და ექსპლოატაციისას არსებული უსაფრთხოების ტექნიკის საფუძვლები, რომელთა დაცვა სავალდებულოა.</p> <p>2. ნაშრომში განხილულია ნავთობგაზიანი ფენების ფილტრაციულ-ტევადობითი მახასიათებლები, ფლუიდებისა და ქანების თვისებები, ფენიდან ნავთობის გამოდევნის ფიზიკური საფუძვლები და პროდუქტიულ ფენაზე ზემოქმედების მეთოდები.</p>				

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდ. რაოდ.
1	გ. ვარშალომიძე, თ. ტურიაშვილი	ფიქლის გაზი. ჟურნალი საქართველოს ნავთობი და გაზი	№28, 2013	თბილისი, პოლიგრაფი	10
2	გ. ვარშალომიძე, ვ. ხითარიშვილი, ვ. ყურბანოვი, ნ. მაჭავარიანი, ა. ყურბანოვი	ჭაბურღილების ბურღვისას ანომალურად მაღალი ფენის წნევიანი ზონების პროგნოზირების ზოგიერთი საკითხი. ჟურნალი საქართველოს ნავთობი და გაზი	№28, 2013	თბილისი, პოლიგრაფი	9
3	გ. ვარშალომიძე, ვ. ხითარიშვილი, გ. ხეცურიანი	ცემენტის ხსნარის ადგეზიის ძალის გაზრდა და მისგან შექმნილი ცემენტის ქვის შეჭიდების გაუმჯობესება საკონტაქტო ზედაპირებით ჭაბურღილების დაცემენტებისას. სამთო ჟურნალი	№1 (30), 2013	თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი	3
4	გ. ვარშალომიძე, ვ. ხითარიშვილი, გ. ხეცურიანი	ჭაბურღილის დაცემენტებისას, პერლიტის, როგორც აქტიური დანამატის გამოყენება. სამთო ჟურნალი	№1 (30), 2013	თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი	5
	ნ. ხუნდაძე, დ. აბზიანიძე,	მათ მატეკის მოდელირების		თბილისი,	

5	გ. ტაბატაძე, თ. მესხიშვილი	მეთოდების გამოყენება გარემოს დაცვის ამოცანების გადასაწყვეტად. ჟურნალი ბიზნეს- ინჟინერინგი	№1 (30), 2013	სტუ. საქართველ ოს საინჟინრო აკადემია	3
6	ნ. ხუნდაძე გ. ტაბატაძე, ბ. ცერცვაძე	ორგანიზაციული ცვლადები საინოვაციო მენეჯმენტში. სოციალური ეკონომიკა, XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები	№2 (26), 2013	თბილისი, საქართველ ოს ტექნიკური უნივერსიტე ტი	4
7	ნ. მაჭავარიანი, გ. ტაბატაძე, ო.ონიაშვილი, კ. ხითარიშვილი	პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების ზოგიერთი ტერმინის შესახებ. ჟურნალი საქართველოს ნავთობი და გაზი.	№28, 2013	თბილისი, პოლიგრაფი	5
8	გ. ტაბატაძე, ო. ონიაშვილი, ნ. მაჭავარიანი, გ. ლობჯანიძე, კ. ხითარიშვილი	ხარჯებისა და დანახარჯების შესახებ. ჟურნალი ბიზნეს- ინჟინერინგი	№3, 2013	თბილისი, სტუ. საქართველ ოს საინჟინრო აკადემია	5
9	რ. მანაგაძე, ლ. ზუროშვილი, ჯ. ზუროშვილი	ისევ მიწისძვრების წინამორბედების შესახებ. სამთო ჟურნალი	№1 (30), 2013	თბილისი, ტექნიკური უნივერსიტე ტი	4
		ვერტიკალური გრაფიკული			

10	გ. მანაგაძე, რ. მანაგაძე, ბ. კუთელია	ზონდირების მეთოდით დანალექი კვლევის ეფექტურობის შემოწმება თბილისისპირა რაიონის გლდანი- ნორიო-მარტყოფის პროფილის მაგალითზე. ჟურნალი საქართველოს ნავთობი და გაზი	№28, 2013	თბილისი პოლიგრაფი	9
11	ლ. ბაშალეიშვილი, მ. კუმელაშვილი	გეოფიზიკური მონაცემების გეოლოგიური ინტერპრეტაცია და ადმოსავლეთ საქართველოს ნოლასური სოფის სიდრმული აგებულება. ჟურნალი ენერჯია	№1 (61), 2013	თბილისი	5
12	ლ. ბაშალეიშვილი, მ. კუმელაშვილი ნ. რუსაძე	ნატურალური და მოდელირებული ტექტონიკური სტრუქტურების იდენტიფიკაცია საქართველოს ზოგიერთი რეგიონის მაგალითზე. ჟურნალი საქართველოს ნავთობი და გაზი	№28, 2013	თბილისი პოლიგრაფი	7
13	თ. ხითარიშვილი, ი. გოგუაძე, ნ. მამულაშვილი	პროდუქტიულ ფენზე ელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედება ნავთობის და გაზის ჰაბურდილების			

		ინტენსიფიკაციის მიზნით. ჟურნალი საქართველოს ნავთობი და გაზი	№28, 2013	თბილისი პოლიგრაფი	6
14	თ. ტურიაშვილი, დ. თავდომაძე	პორიზონტალური ბურღვის პერსპექტივები. ჟურნალი საქართველოს ნავთობი და გაზი	№28, 2013	თბილისი პოლიგრაფი	4
15	ნ. ჩხეიძე, მ. სურამელაშვილი	დრმა და ზედრმა ჭაბურღილები. ჟურნალი საქართველოს ნავთობი და გაზი	№28, 2013	თბილისი პოლიგრაფი	5
16	Stephen J. Vincent, Teimuraz G. Barabadze, Vladimir A. Lavrishev	The western Greater Caucasus the evolution of a new sediment source for the lastern Black sea during the birhof Paratethys	AAPG IX, 2013	თბილისი საინჟინრო აკადემია	1
პუბლიკაციები:
საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ. ბუალავა, თ. ჯიშკარიანი	მყარი სათბობის გაზიფიკაციის პროცესის კომპიუტერული მოდელირება	სტუ. საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”	114 გვ.
<p>განხილულია ადგილობრივი მყარი სათბობის გამოყენების გრძელვადიანი სტრატეგია საქართველოს სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში. გენერატორის აირის მიღების კომბინირებული გაანგარიშების მეთოდის გამოყენებით დადგენილია ტყიბულ-შაორის საბადოს ქვანახშირის გაზიფიკაციის დროს მიღებული გენერატორის აირის ძირითადი თბოტექნიკური მაჩვენებლები; შექმნილია ნახშირის გაზიფიკაციის პროცესის</p>				

გაანგარიშებისათვის საჭირო თბოტექნიკური მონაცემების ბაზა და დამუშავებულია ნახშირის გაზიფიკაციის პროცესის ინჟინრული გაანგარიშების ალგორითმები; შექმნილია გაანგარიშების კომპიუტერული მოდელი და განხორციელებულია მისი აპრობაცია-რეალიზაცია Visual Basic for Application პროგრამირების ენის გამოყენებით.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ზ. წვერაიძე, ხ.ბარდაველიძე, მ. სიხარულიძე, ლ.თედეშვილი, ქ. კვესელავა	კომპიუტერის არქიტექტურისა და ორგანიზაციის საფუძვლები	თბილისი, სტუ, 2013 (ISBN 978-9941-0-5582-9)	86 გვ.
2	ხ.ბარდაველიძე	ბიზნეს-პროცესების ვიზუალური და ფუნქციონალური მოდელირების ინსტრუმენტული საშუალებები (MS Visio 2010, Bpwin 7.3.1)	სტუ, თბილისი, 2013 (ISBN 978-9941-0-5722-9)	82 გვ.
3.	თ. სტურუა ქ. კვესელავა ლ. თედეშვილი ც. სილაძე	კომპიუტერული გრაფიკა და ძირითადი გრაფიკული რედაქტორები	თბილისი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი, 2013 წ.	88 გვ.
4.	თ. სტურუა ქ. ნანობაშვილი მ. დოლიძე	Web-გვერდების დაპროექტება HTML ენის გამოყენებით	თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2013 წ.	223 გვ.
5.	ჰ. მელაძე, ზ. წვერაიძე	ალგორითმების თეორიის საწყისები	თბილისი, სტუ, 2013.	326 გვ.
6.	თ. კიშაური, ქ. კვესელავა, ლ. თედეშვილი, მ. მაღალაშვილი	კომპიუტერული გრაფიკის პრაქტიკული კურსი“ მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად Adobe Photoshop (1 ნაწილი)	საგამომცემლო სახლი,ტექნიკური უნივერსიტეტი“	55 გვ

7.	ზ. ბაიაშვილი, მ. ნიჟარაძე, ც.უთურგაიძე, ნ.ცისკარიშვილი	მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა MS ACCESS 2007 (დამხმარე სახელმძღვანელო)	თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტის, 2013	46
8.	ზ.წვერაიძე, ფ.პაატაშვილი, მ.სინარულიძე	პრაქტიკუმი დაპროგრამების ენა C++-ში	თბილისი, “ტექნიკური უნივერსიტეტი”	46
9.	ზ.წვერაიძე, ლ. ჯიქიძე ი. ირემაძე, ქ.კვესელავა	LightWave (რუსულად)	საქტექ უნივერსიტეტი	464 გვ
10.	ზ.წვერაიძე, ლ. ჯიქიძე ი. ირემაძე, ქ.კვესელავა	LightWave	საქტექ უნივერსიტეტი	180 გვ
11.	ზ.წვერაიძე, ლ. ჯიქიძე ი. ირემაძე, ქ. კვესელავა	3ds max	საქტექ უნივერსიტეტი	128. გვ
12.	ზ.წვერაიძე, ლ. ჯიქიძე ი. ირემაძე, ქ.კვესელავა	3ds max (რუსულად)	საქტექ უნივერსიტეტი	286 გვ
13.	გ.კოტრიკაძე, ვ.კაკელია	კომპიუტერის არქიტექტურისა და ორგანიზაციის საფუძვლები (მეთოდური მითითებები და სამუშაო რვეული პრაქტიკული ამოცანების შესასრულებლად)	სტუ-ს საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი” ISBNBN 978-9941-20- 210-0, უაკ 62-5.	84გვ.
14.	ნინო ცისკარიშვილი	გადაწყვეტილებათა მიღების კომპიუტერული მხარდაჭერა	გამომცემლობა ”ტექნიკური უნივერსიტეტი”	130გვ.

1. კომპიუტერის არქიტექტურისა და აპარატურულ-ლოგიკური ორგანიზაციის საკითხები;
2. ბიზნეს-პროცესების ვიზუალური და ფუნქციონალური მოდელირების ინსტრუმენტულ
საშუალებებთან მუშაობის საფუძვლები.
3. სახელმძღვანელოში მოცემულია კომპიუტერული გრაფიკის ზოგადი მიმოხილვა.
განხილულია კომპიუტერული გრაფიკის სახეობები, გრაფიკული გამოსახულების ფორმატები.
მოცემულია ფერთა ძირითადი მოდელები, გრაფიკასთან სამუშაო პროგრამული პაკეტები და
კომპიუტერული გრაფიკის გამოყენების სფეროები.
4. სახელმძღვანელოში მოცემულია HTML ენის ელემენტარული საფუძვლებიდან დაწყებული
და რთული პრაქტიკული საკითხებით დამთავრებული, ვებ-გვერდების ინტერნეტში
განთავსებისა და ინფორმაციის ძებნის საკითხები. მოყვანილია Web-გვერდების შექმნის

მრავალი მაგალითი და შესასრულებლად გამზადებულ პროგრამათა ტექსტები.
 5. სახელმძღვანელოში განხილულია ალგორითმების თეორიის ფუნდამენტური პრობლემები: ალგორითმის დაზუსტების აუცილებლობა, გამოთვლადი და რეკურსიული ალგორითმები, ტიურინგისა და URM-მანქანები, ალგორითმის სირთულის ცნება, ალგორითმულად ამოუხსნადი ალგორითმები და სხვ.

6. სახელმძღვანელოში მოცემულია კომპიუტერის არქიტექტურისა და ორგანიზაციის საფუძვლების სხვადასხვა საკითხები. განხილულია კომპიუტერების განვითარების ისტორია, კომპიუტერული სისტემების აღწერა, კომპიუტერის მოწყობილობები, მათი მახასიათებლები და მუშაობის პრინციპები. ასევე თვლის სისტემები და ლოგიკური სქემების აგების საკითხები, კომპიუტერული ქსელები და კომპიუტერული ქსელის ელემენტები. ნახვენებია სხვადასხვა ტიპის კომპიუტერების კლასიფიკაცია და თანამედროვე ტენდენციები მათი განვითარების სფეროში.

8. “პრაქტიკული დაპროგრამების ენა C++-ში” განკუთვნილია C++-ში პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად. მასში განხილულია სამუშაოების შესრულების ძირითადი ეტაპები, მოყვანილია ცალკეული სამუშაოების შესრულების მეთოდთა კატეგორიები. ყველა სამუშაოს თან ერთვის იდიდიფიკაციური დავალებები. ეს დამხარე სახელმძღვანელო სტუდენტებს დაეხმარება C++ დაპროგრამების ენაში დავალებების შესრულებაში.

9-10-11-12. სახელმძღვანელო ეძღვნება სამგანზომილებიანი გრაფიკის შექმნის საკითხებს.

13. მეთოდურ მითითებებში მოყვანილია ყველა ის მასალა და პრაქტიკული სამუშაო, რომელიც სტუდენტმა უნდა შეასრულოს ყოველკვირეული პრაქტიკული მეცადინეობისას როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში;

14. სახელმძღვანელო ეძღვნება თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას მართვის გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერის ამოცანებში. ნაშრომი შეიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილს. თეორიულ ნაწილში ძირითადი ყურადღება ეთმობა ინდივიდუალური და კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების მეთოდებს, აგრეთვე იმ კომპიუტერულ ინფორმაციულ სისტემებს, რომლებიც ამ მეთოდების რეალიზებისათვის გამოიყენება. პრაქტიკულ ნაწილში განხილულია საწარმოო და ფინანსური მენეჯმენტის ამოცანები, რომელთა გადაჭრა მნიშვნელოვანია მართვის გადაწყვეტილებების მოღების მხარდასაჭერად. აღნიშნული ამოცანების გადაჭრისას გამოიყენება ცნობილი ეკონომიკა-მათემატიკური მეთოდები და მოდელები. ამოცანების ამოსახსნელად გამოიყენება ცხრილური რედაქტორი MS Excel.

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	ზ. ბუაჩიძე, ა. გიგინეიშვილი, ა. ჭირაქაძე, ი. ხომერიკი, ზ. სიყმაშვილი, მ. უირმანი	მდგრადი განვითარების ინდექსის მარტივი რიცხვითი გათვლები და მისი კორელაცია საზოგადოების ცნობიერების ინდექსზე სსიპ არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული 2013 წ.	№ 17	თბილისი	გვ. 49-54
2	გ. ძიძიგური, ზ. ზურაბიშვილი, ნ. ჩადუნელი	პერსონალის მართვის ავტომატიზებული სისტემის შექმნისა და დანერგვის ზოგიერთი საკითხი. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი “ინტელექტი”.	N1(45), 2013	თბილისი, საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდი.	4
3.	T. Macharadze, A. Milnikov. Sh. Demurashvili,	Total Revenue Function and Integrated Demand Model. Georgian Engineering News.	3 (vol. 67), 2013	თბილისი	pp. 30-34.
4.	T. Macharadze, A. Milnikov. Sh. Demurashvili,	Distributions of Implicit and Explicit Maximums in the Integrated Demand Model. “ბიზნეს ინჟინერინგი”.	4, 2013	თბილისი	5
5.	.	.	გადაცემულია დასაბუქდად	თბილისი	6
6.	I. Rodonaia	Security modeling of autonomic-component ensembles. the IBSU’s Journal of Technical Science & Technologies	3-rd volume (JTS T), 2013	თბილისი	5
7.	I. Rodonaia	Using of information theory metrics in security modeling of autonomic cloud computing. Transactions, Georgian Technical University, Automated Control Systems	No.1 (14), 2013	თბილისი	5

8.	Kh.Bardavelidze	Optimal digital control system of drying apparatus. Journal of Technical Science & Technologies.	Vol. 2, Issue 1 (June/2013).	Tbilisi, International Black Sea University	4 p.
9.	ხ. ბარდაველიძე	ეკონომიკის ციკლების და კრიზისების კვლევა MATLAB-ის გამოყენებით (გადაცემულია გამოსაცემად)	№17, 2013	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ვლიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი	5 გვ.
10.	თ. სტურუა ქ. კვესელავა ლ. თედეშვილი მ. ბერიშვილი	კომპიუტერული გრაფიკა და მისი გამოყენების სფეროები, თბილისის დია სასწავლო უნივერსიტეტის შრომათა კრებული	№ 3	თბილისი	9 გვ.
11.	ე. როჭიკაშვილი, ბ. კოტრიკაძე	კომპანია Stonesoft-ის ვირ- ტუალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკუთარი წესები და გადაწყვეტილებ- ები გამოყენების თავისე- ბურებები სამეცნიერო ჟურნალი “პარალელი”	5, 2013წ.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	5
12.	ბ. კოტრიკაძე	კრიპტოგრაფიაში ცნობილი დიფი-ჰელმანის ალგორითმის გატეხვის მცდელობა (ნაწილი II) ჟურნალი –“ბიზნეს ინჟინერინგი”	6, 2013წ.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	4
13.	ბ. კოტრიკაძე, ე. როჭიკაშვილი, მ. კეკელია	შებრუნებული მატრიცის მეთოდით დაშიფრული ინფორმაციის დაბალი მედეგობა ტურიზმის აკადემია, ჟურნალი სამეცნიერო ძიებანი	IX ტომი, 2013წ.	თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტი	5
14.	ბ. კოტრიკაძე, ე. როჭიკაშვილი, მ. კეკელია, თ. მამუკაშვილი	ინფორმაციის შენახვის ზოგიერთი პრობლემები. ტურიზმის აკადემია, ჟურნა- ლი “სამეცნიერო ძიებანი”	IX ტომი, 2013წ.	თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტი	6

15.	ბ. კოტრიკაძე, ე. როჭიკაშვილი, მ. კეკელია	О методах синтеза структуры вычислительной системы ტურიზმის აკადემია, ჟურნალი “სამეცნიერო ძიებანი”	IX ტომი, 2013წ.	თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტი	4
16.	ბ. კოტრიკაძე, ე. როჭიკაშვილი, IV კურსის სტ. ბ. კუჭავა, ა. გაფრინდაშვილი, თ. მამუკაშვილი	ინფორმაციის დაცვა გასაღების გარეშე, მხოლოდ შავი ფერის გამოყენებით შრომები, მართვის ავტომატიზირებული სისტემები	2(15), 2013წ.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	4
17.	ბ. კოტრიკაძე, ე. როჭიკაშვილი, IV კურსის სტ. ზ. ჯობავა, ნ. ყანდაშვილი, თ. მამუკაშვილი	ასიმეტრიული კრიპტოსისტემის RSA-ს მეთოდის გატეხვა შრომები, მართვის ავტომატიზირებული სისტემები	2(15), 2013წ.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	4
18.	ბ. კოტრიკაძე, ე. როჭიკაშვილი, IV კურსის სტ. ბ. კუჭავა, ა. გაფრინდაშვილი, თ. მამუკაშვილი	ინფორმაციის დაცვა RGB ფერთა კოდების გამოყენებით შრომები, მართვის ავტომატიზირებული სისტემები	2(15), 2013წ.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	4
19.	რ. კაკუბავა ზ. ჯოჯუა ნ. ჯოჯუა მ. კეკელია	ტექნიკური სისტემების ხარისხისა და საიმედობის უზრუნველყოფის ზოგი ერთი საკითხების შესახებ, შრომები-“მართვის ავტომატიზებული სისტემები”.	№1(14), 2013.	სტუ	5
20.	ო. გაბედავა მ. კეკელია ნ. გაბედავა	ინფოკომუნიკაციისა და მულტიმედიაური ტექნოლოგიები თანამედროვე მარკეტინგში, შრომები-“მართვის ავტომატიზებული სისტემები”.	№1(14), 2013	სტუ	5
21.	გ. მაჭარაშვილი ნ. ბუაღავა	ელექტროენერჯის ხარისხის აღრიცხვა და მართვა. შრო- მები “მართვის ავტომატი- ზირებული სისტემები”	№ 2(15) 2013 წ. გვ.133-136	სტუ	4

22.	ნ. ბუაღავა გ. მაჭარაშვილი	IPv4-დან IPv6 პროტოკოლზე მიგრაციის უპირატესობა და სირთულეები. შრომები “მართვის ავტომატიზირებული სისტემები”	№ 2(15) 2013 წ. გვ.137-141	სტუ	5
23.	ქ. კვესელავა, ნ.ბუაღავა, ი. ირემიძე, ნ. ვერულავა	სარიტუალო ნივთების მონაცემთა ბაზის აგება CAD/CAM სისტემების საფუძველზე. შრომები “მართვის ავტომატიზირებული სისტემები”	№1 (14) 2013 წ. გვ. 223-228	სტუ	
24.	ნ. ბუაღავა	ობიექტის კომპიუტერული მოდელირების ერთფაქტორიანი დისპერსიული ანალიზი. თბილისის ტურიზმის აკადემია. “სამეცნიერო ძიებანი”.	IX ტომი 2013 წ. გვ. 13-15	თბილისის ტურიზმის აკადემია	3
25.	ნ. ბუაღავა, ქ. კვესელავა, ლ. თედეშვილი მ. სიხარულიძე	მულტიმედია ტექნოლოგიები, როგორც ვირტუალური და რეალური გარემოს დაახლოება. სამეცნიერო ჟურნალი “პარალელი”	№5 2013 წ. გვ. 253-259	სტუ	7
26.	ნ. ბუაღავა, ქ. კვესელავა,	Мультимедийные технологии. Условия и факторы, влияющие на культуру мультимедийных систем и технологии. ”ბიზნეს-ინჟინერინგი”	№4 2013 წ. გვ. 127-134	სტუ	8

1. სამუშაოში განხილულია და შემოწმებულია მდგრადი განვითარების (მგ) ინდექსის I_{SD} -რიცხვითი (რაოდენობრივი) განსაზღვრის უმარტივესი მოდელი და მიღებული მონაცემები შედარებულია მგ-ინდექსებისა და ცოდნაზე დამყარებული საზოგადოების (K-საზოგადოების) ინდექსების I_{KK}, I_{SEC} გამოკვეთებულ მნიშვნელობებთან.

2. სტატიაში მოცემულია ადამიანური რესურსების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნის ასპექტები და წინაპირობები. საინფორმაციო სისტემის სტანდარტით დადგენილი აუცილებელი მოდულების გარდა დამატებით განხილულია სამი კომპონენტის (შესრულებული სამუშაოს შეფასება, შერჩევა, სწავლება და განვითარება) დამუშავება. მოცემულია შესაბამისი არგუმენტაცია და რეკომენდაციები.

3., 4. შემუშავებულია და გამოკვლეულია ინტეგრალური მოთხოვნის არაწრფივი მოდელი. გაანალიზებულია ერთობლივი შემოსავლის ფუნქცია, როგორც ინტეგრალური მოთხოვნის არაწრფივი მოდელის შედეგი. შემოტანილია ერთობლივი შემოსავლის ფუნქციის ფარული და ცხადი მაქსიმუმების ცნებები. შემოთავაზებულია კრიტერიუმები ერთობლივი შემოსავლის ფუნქციის მაქსიმუმების ხასიათის (ფარულის ან ცხადის) განსაზღვრისათვის.

5. განხილულია პერიოდული დეტერმინირებული კომპონენტების შემცველი დროითი მწკრივების ფსევდოსპექტრების შეფასების ახალი მეთოდი. შემოთავაზებული მეთოდის არსი მდგომარეობს საწყისი მწკრივის შეცვლაში ისეთი ახალი მწკრივით, რომელიც აგებულია საწყისი მწკრივის მონაცემთა მატრიცის ორივე ტიპის სინგულარული ვექტორების გაერთიანების გზით. შემოთავაზებული მეთოდი საშუალებას იძლევა ფსევდოსპექტრების შეფასებისას საგრძნობლად ავამაღლოთ სპექტრული გარჩევადობა. მიღებული შედეგები დასაბუთებულია კონკრეტულ რიცხვით მაგალითებზე დაყრდნობით.

8-9. ნაშრომებში განხილულია სტრატეგიული და ტაქტიკური დაგეგმვის მოდელური ექსპერიმენტის მეთოდების ანალიზი და ექსპერიმენტული კვლევის ახალი მიდგომის შემუშავება, სისტემის სტატიკური იმიტაციური მოდელირებისას; ეკონომიკაში ციკლებისა და კრიზისების კვლევა Simulink-ის ტიპური ბიბლიოთეკური ბლოკებით, მათემატიკური მოდელის გარეშე; წრფივი ციფრული სისტემის ოპტიმალური მართვის ამოცანა გადაწყვეტილია დისკრეტული ოპტიმალური მდგომარეობის დამკვირვებლის საშუალებით.

10. სტატიაში განხილულია კომპიუტერული გრაფიკის განვითარების მოკლე ისტორია, კომპიუტერული გრაფიკის სახეობები და მათი გამოყენების სფეროები. აგრეთვე, განხილულია კომპიუტერული გრაფიკით ხატვის საშუალებანი;

11-18. განხილულია ინფორმაციული უსაფრთხოებისა და ინფორმაციის დაცვის მეთოდების გამოყენების საკითხები. სეფასებულია მათი გამოყენების ეფექტიანობა;

19. განხილულია ტექნიკური ობიექტების ფუნქციონირების ხარისხის და საიმედობის უზრუნველყოფის საკითხები, სტრუქტურული მართვის თვალსაზრისით. ნაჩვენებია, რომ საიმედობის მათემატიკური მოდელი საშუალებას იძლევა განისაზღვროს მართვის სისტემების ძირითადი მახასიათებლები დაპროექტების საწყის სტადიაზე, როდესაც არ არსებობს საკმაოდ ზუსტი საწყისი მონაცემები;

20. განხილულია თანამედროვე ინფოკომუნიკაციისა და მულტიმედიის ტექნოლოგიების უნიკალური სისტემა, რომელიც წარმოადგენს მარკეტინგის ეფექტურ გარემოს. ეს ტექნოლოგიები ეკონომიკურ სფეროში გამოიყენება, რათა გადაამუშავდეს ოპერატიული და საიმედო ინფორმაცია გადაწყვეტილებების მისაღებად, მართვის ოპტიმალური პარამეტრების მისაღწევად;

21. ელექტროენერჯის ხარისხზე და საიმედობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ კონდუქტიური ელექტრომაგნიტური ხელშეშლები, რომლებიც ხასიათდებიან ელექტროენერჯის ხარისხის მახვენებლებით. თანამედროვე აპარატურისა და ელექტროენერჯის ხარისხის ანალიზის მეთოდებით შესაძლებელია იმ ეკონომიკური ზარალის ზუსტი აღრიცხვა, რომელიც ადგებათ საწარმოებს ელექტროენერჯის მიწოდების შეფერხებით ან მისი არასაკმარისი ხარისხით;

22. ინტერნეტის ინტესიურმა გამოყენებამ, მასში უამრავი ობიექტის ჩართვამ IP მისამართების კატასტროფული უკმარისობა გამოიწვია, ამიტომ დღის წესრიგში დადგა IPv4-პროტოკოლი და IPv6 პროტოკოლზე გადასვლის აუცილებლობა. მიგრაცია უნდა მოხდეს გემაზომიერად და გააზრებულად, გარდამავალი ეტაპების სწორი დაგეგმვით, რათა IPv6-ის მწარმოებელმა კომპანიებმა, პროვაიდერებმა და უშუალოდ მომხმარებელმა, გარდამავალი პროცესი გაიაროს მაქსიმალურად უბეზოლოდ;

23. თანამედროვე, მესამე თაობის CAD/CAM სისტემები, ორიენტირებულია წარმოების ტექნოლოგიური მომზადებისა და ინჟინრული ანალიზის პროცესების ავტომატიზებულ დაპროექტებაზე. ისეთი ტექნოლოგიური პროცესის წარმართვა, როგორცაა საეკლესიო

ნივთებისათვის მოსაქარგი ესკიზების დამუშავება და შემდეგ მისი ნაქარგობად გარდაქმნა, გულისხმობს ხატვების მკაცრი კანონიკური შეზღუდვების გათვალისწინებას, რაც მხოლოდ გრაფიკული რელაქტორის გამოყენებით, შეუძლებელია. ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთერთი გზა სარიტუალო ნივთების მონაცემთა რელაციური ბაზის შექმნაა, რომელიც ოპერატორს დაეხმარება ხატის ზუსტი ესკიზის დამუშავებაში;

24. მართვის სხვადასხვა პრინციპების შეფასებისას მნიშვნელოვანია ფაქტორებს შორის დამოკიდებულების გარკვევა და დადგენა. მხოლოდ რაოდენობრივი ფაქტორების გათვალისწინება არ არის საკმარისი საბოლოო ეფექტურობის შესაფასებლად. დისპერსიული ანალიზის გამოყენება ისეთი ფაქტორების ზემოქმედების შესაფასებლად, რომელთაც აქვთ როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მახვენებელი, საშუალებას იძლევა სწორედ შეფასდეს ნებისმიერი ფაქტორების ზემოქმედების შედეგი;

25. თანამედროვე მულტიმედია სისტემები გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და სირთულით, რომელიც ერთის მხრივ განპირობებულია მულტიმედიის ვირტუალობით, ინტერაქტიულობით, 3Dვიზუალობით, ხოლო მეორეს მხრივ მისი ჩართულობით რადიო, კინო, ტელევიზიასა და ინტერნეტ, ექსტრანეტ, ინტრანეტში;

26. განხილულია სხვადასხვა სფეროში მულტიმედია ტექნოლოგიებისა და სისტემების გამოყენების საკითხები.

უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	A. Milnikov, A. Prangishvili	Some Problems in the Theory of Engineering Systems: Geometric Approaches , 2013	NOVA, New York, ISBN-10: 1628089962 ISBN-13: 978-1628089967	140

It has been proven that to any electric circuit there exists a corresponding two pairs of conjugate linear vector spaces. One of these pairs is generated by a homological group, while the other is cohomological. A new method of analysis of mechanical and electric circuits is proposed, which consists of representing the main variables and matrices of oscillatory circuits in terms of many-dimensional tensor objects.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	ბმურდების რაოდენობა
1	V.Gvakharia, A.Chirakadze, N.Chakvetadze, T.Adamia, Z.Buachidze, K.Chigogidze, M.Chokheli, I.Khomeriki, M.Mirtskhulava, N.Machitadze, W.Toskano	Arsenic pollution of soils and morbidity prevalence in Racha-Lower Svaneti district of Georgia	Sent to peer review on November 12, 2013.	Enviromental Toxicilogy Online ISSN:1522-7278	5
2	C. Mert, A. Milnikov, A. Prangishvili	Tensor Approximation Approach to Calculation of Singular Values and Vectors for SVD Problem. Journal of Mathematical Sciences.	Vol. 195, 4, December 2013	Springer, New York. http://www.springerlink.com/openurl.asp?genre=article&id=doi:10.1007/s10958-013-1598-9	pp. 512-517

1. Different kinds of arsenic bearing ores located in mountainous area of Racha-Lower Svaneti had been mined, processed and used for producing of chemical weapon of the Soviet Army during almost 60 years. The heavy contamination of soil around the landfills and ruined storages causes severe pollution of food products and livestock feed. All this causes a sharp increase of morbidity of adults and children.. According to the data of researchers a significantly higher health risk ratio (RR) was determined for 8 types of diseases in children and 13 types of diseases in adults. The future work should involve multidiscipline research and several stages of development and implementation. Additional Research for determination of Risk Ratios (RR) for genetic abnormalities and mental and behavioral disorders in adults and children including methods of psychological testing should be undertaken..

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
---	-----------------------------	---------------------	---------------------------------

1.	ბ. ბარდაველიძე, ა. ბარდაველიძე	ექსპერიმენტის დაგეგმვის სტრატეგიული და ტაქტიკური ტექნოლოგიის იმიტაციური მოდელირება Matlab-ის გარემოში.	VI საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტი- კული კონფერენცია „ინტერნეტი და საზო- გადოება“ - ინსო, ქუ- თაისი, 2013.
2.	I.Khomeriki	Georgian Status in Science and Research in ICT	IEEE BlackSeaCom 2013 First International Black Sea Conference on Communications and Networking July 3-5, 2013 Batumi, Georgia
3.	A. Milnikov, A. Prangishvili	Algebraic approach to pseudospectra estimation	International Conferewnces and Workshop Lie Groups, Differential Equations and Geometry. June 10-22, 2013, Batumi, Georgia
4.	ქ. კვესელავა თ. სტურუა ლ. თედეშვილი	მულტიმედიური ტექნოლოგიები განათლებაში	2013 წლის 17-18 ოქტომბერი, ქ. თბილი- სი. ტექნიკური უნივერ- სიტეტი, პირველი საე- რთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს და ხვალ“
5.	ქ. კვესელავა, ლ. თედეშვილი, ბ. ცხადაძე, თ. კაიშაური, ლ. ტაკაშვილი, გ. მაისურაძე	ქართულ-ინგლისურ-რუსულ ზოგადტექნიკური ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი (ელ ვერსია)	17-18 ნოემბერი ტექ- უნივერსიტეტის ბიზ- ნეს-ინჟინერინგის ფა- კულტეტი ღია დიპლო- მატიის ასოციაცია სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“ (ისტო- რია, თეორია, პრაქ- ტიკა) საერთაშორისო კონფერენცია ხელი- სუფლება და საზოგა- დოება“

1. განხილულია სტრატეგიული და ტაქტიკური დაგეგმვის მოდელური ექსპერიმენტის მეთოდების ანალიზი და ექსპერიმენტული კვლევის ახალი მიდგომის შემუშავება, სისტემის იმიტაციური მოდელირებისას;

4. ნაჩვენებია, რომ მულტიმედია ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ჩართვამ იგი სტატიკური პროცესიდან დინამიურ პროცესად გადააქცია. შესაძლებელი გახდა იმ პროცესების მოდელირება, რომლებიც დროში ვითარდება, ამ პროცესების პარამეტრების ინტერაქტიულად შეცვლა, მულტიმედიაური სასწავლო სისტემების ძალზე მნიშვნელოვანი დიდაქტიკური უპირატესობაა. მითუმეტეს, რომ მრავალი საგანმანათლებლო ამოცანებში აუდიტორიებში შესასწავლი მოვლენის ჩატარება შეუძლებელია, ამ შემთხვევაში დღეს-დღეობით მულტიმედიაური საშუალებები ერთადერთ შესაძლებლობას წარმოადგენს.

უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	A. Milnikov	The Electrical Groups Theory and Groups of Algebraic Topology.	Proceedings of the 2 nd international Conferences on Circuits, Systems, Communications, Computers and Applications (CSCCA'13), Dubrovnik, Cratia, 2013, http://www.wseas.org/multimedia/books/2013/Dubrovnik/TELECIRC.pdf
2	A. Milnikov	Singular decomposition of data matrix of time series with periodic components and resolving capacity of their pseudospectra estimation.	Proceedings of of the 2 nd international Conferences on Circuits, Systems, Communications, Computers and Applications (CSCCA'13), Dubrovnik, Cratia, 2013, http://www.wseas.org/multimedia/books/2013/Dubrovnik/TELECIRC.pdf
3	I. Rodonaia	Formal security modeling in autonomic cloud computing environment.	4th International Conference on Applied Informatics and Com-

			puting Theory, Valencia - AICT '13 , August 2013
--	--	--	--

კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტი

დეპარტამენტის ხელმძღვანელი: სრ. პროფ. ლევან იმნაიშივილი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

№	სახელი, გვარი, მამის სახელი	თანამდებ
1	რომან სამხარაძე იუზას ძე	სრ.პრ
2	მედია ანდლულაძე ქრისტეფორეს ას	სრ.პრ
3	ოთარ ნატროშვილი გიორგის ძე	სრ.პრ
4	მზია კიკნაძე გურამის ას	სრ.პრ
5	ოლეგ ნამიჩიშვილი მიხეილის ძე	სრ.პრ
6	კონსტანტინე კამკამიძე ნიკოლოზის ძე	სრ.პრ
7	თეიმურაზ შარაშენიძე ელიზბარის ძე	სრ.პრ
8	ოთარ ქართველიშვილი მიხეილის ძე	სრ.პრ
9	ლევან იმნაიშივილი შოთას ძე	სრ.პრ
10	ზურაბ გასიტაშვილი აკაკის ძე	სრ.პრ (0.5)
11	ნიკოლოზ ჩხაიძე ზევარის ძე	სრ.პრ
12	არჩილ ფრანგიშვილი ივერის ძე	სრ.პრ (0.5)
13	თენგიზ გიორგელიძე დომენტის ძე	სრ.პრ
14	ნინო ბერაია ოლეგის ას	სრ.პრ
15	ოლღა ხუციშვილი გმირის ას	ასოც
16	ალექსანდრე ბენაშვილი მიხეილის ძე	ასოც
17	ქეთევან ავალიშვილი ვახტანგის ას	ასოც

18	მარინე თუშიშვილი ანდროს ას	ასოც
19	თეა თოდუა ღათიკოს ას	ასოც
20	ნატალია გაბაშვილი ვლადიმერის ას	ასოც
21	ელენე კამკამიძე კონსტანტიეს ას	ასოც
22	ნანი არაბული ვიქტორის ას	ასოც
23	ცისანა ხოშტარია ნიკოლოზის ას	ასოც
24	სიმონ ხოშტარია ნიკოლოზის ძე	ასოც
25	ზაურ ჯოჯუა სერაფიონის ძე	ასოც
26	მაკა ხართიშვილი	ასოც
27	თამარ გაბაშვილი	ასისტ
28	ეკატერინე ბოჭორიძე ვასილის ას	ასისტ
29	ნინო ჯოჯუა მამელის ას	ასისტ
30	ლევან ჯიქიძე რეზოს ძე	ასისტ
31	ია ირემაძე ზაალის ას	ასისტ
32	ეკატერინე გვარამია გურამის ას	ასისტ
33	მაგული ბედინეიშვილი მიტროფანეს ას	ასისტ
34	მიხეილ რამაზაშვილი თამაზის ძე	ასისტ

**საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები**

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	მდ. დურუჯის წყალშემ- კრებ აუზში გარემოს დაცვის პროგნოზირების სრულყოფა	საქართველოს წყალთა მეურ- ნეობის ინსტი- ტუტის სამეცნი- ერო პროექტი	ტექ.მეცნ.დოქტორი გივი გაგარდაშვილი	პროფესორი კონსტანტინე კამკამიძე

სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში შემუშავებულია მდინარე დურუჯის წყალშემკრებ აუზში გარემოს დაცვის აუცილებელი ღონისძიებების პროგნოზირებისა და გატარების ამოცანათა ალგორითმები, ნეირონული ქსელის პრინციპებისა და შესაძლებლობების გამოყენებით.

**საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	გრანტი № 12-2013-1 „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ინფორმაციულ-ანალიტიკური ერთიანი ავტომატიზებული სისტემის შექმნა“.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ლ. იმნაიშვილი	მ. ბედინეიშვილი გ. არაბიძე გ. აბრამიშვილი გ. ძნელაძე ა. ტიტვინიძე ნ. კირკიტაძე კ. ჩხიკვაძე მ. ოსიპოვი ა. ჯაგინოვი ზ. მაცაბერიძე (შემსრულებეთა რაოდენობა და პერსონალიები გარდამავალია სამუშაოს სხვადასხვა ეტაპზე)
სამუშაო დაიწყო 2013 წლის 1 ნოემბერს. მოცემულ მომენტში დამუშავების პროცესშია სისტემური საკითხები და ცალკეული პროგრამული მოდულები.				
№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	წყალმომარაგებისა და გაზმომარაგების ეფექტური SCADA სისტემა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგალითზე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ნ. ნაცვლიშვილი	დ. ჯაფარიძე თ. მუსელიანი ლ. იმნაიშვილი ი. კლიმიაშვილი

სამუშაო დაიწყო 2013 წლის 1 ოქტომბერს. შემუშავებულია SCADA სისტემის გამოყენებით წყლისა და გაზის მოხმარების შემცირების მექანიზმები და სისტემის აგების კონცეფცია.				
№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3	სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის სრულყოფა	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, დოქტორანტურის საგანათმებლო პროგრამის გრანტი	ლ. იმნაიშვილი	ა. ტიტვინიძე
პროექტი დაიწყო 2013 წლის 1 დეკემბერს.				
№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
4	დაწესებულებაში სუბიექტის საქმიანობის მონიტორინგის სისტემის დამუშავება და კვლევა (სასწავლო დაწესებულების მაგალითზე)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, დოქტორანტურის საგანათმებლო პროგრამის გრანტი	ლ. იმნაიშვილი	ნ.კირკიტაძე
პროექტი დაიწყო 2013 წლის 1 დეკემბერს.				
№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
5	ვიდეოგაკვეთილების შემუშავება დაპროგრამების C# ენის შემსწავლელთათვის	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	რომან სამხარაძე	მზია კიკნაძე
შემუშავდა დისტანციური სასწავლო-საგამოცდო კომპლექსი, რომელიც მოიცავს				

სახელმძღვანელოს (რ. სამხარაძე, Visual C#.NET), ტესტების კრებულს, მეთოდურ მითითებებს და ვიდეოგაკვეთილებს. მათგან სახელმძღვანელო, ტესტებისკრებული და მეთოდური მითითებები გამოცემულიას ტამბური წესით, მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია სტუ-ს საიტზე. ამავე საიტზე განთავსდება ვიდეო გაკვეთილები.

ამავე პროექტის ფარგლებში შესრულდება სახელმძღვანელოს გაახლება. მას დაემატება ახალი თავი, შესრულდება არსებული მასალის გადამუშავება.

შემუშავებული დისტანციური სასწავლო-საგამოცდო კომპლექსი სტუდენტს საშუალებას მისცემს დისტანციურ რეჟიმში მისთვის საინტერესო თემატიკით აირჩიოს შესაბამისი ვიდეო გაკვეთილი, წაიკითხოს ლექტრონული სახელმძღვანელო, შეასრულოს მეთოდური მითითებების გამოყენებით სავარჯიშოები, შეადგინოს შესაბამისი პროგრამები C# ენაზე. შემუშავებული ტესტების გამოყენებით შესაძლებელია სტუდენტებს ჩაუტარდეს პირველი და მეორე შეაღედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები.

პირველ ეტაპზე შემუშავებულია ოცდაერთი ვიდეოგაკვეთილი. მეორე ეტაპზე შესრულდება მათი განთავსება სტუ-ს საიტზე.

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
6	„საქართველოში ოლიგონუკლეოტიდების სინთეზისა და ბიონფორმატიკის სერვისის პილოტირება“.	CRDF და GRDF ფონდები	ჯანმრთელობის კვლევის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი მაია ქაჯაია	ასოც. პროფ. ელენე კამკამიძე

პროექტი „საქართველოში ოლიგონუკლეოტიდების სინთეზისა და ბიონფორმატიკის სერვისის პილოტირება“ ერთობლივად ფინანსდება CRDF და GRDF ფონდების მიერ. აღნიშნულ პროექტში ელენე კამკამიძის ფუნქციას წარმოადგენს ბიონფორმატიკის on-line მოდულის შემუშავება და მისი პრაქტიკაში დანერგვა. პროექტის ფარგლებში დაიწყება ახალგაზრდა მეცნიერების სამეცნიერო ტრეინინგის ფართომასშტაბიანი პროგრამის განხორციელება, რომელიც სხვა უმაღლესი განათლების დაწესებულებებთან ერთად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე განხორციელდება. ე.კამკამიძე არის საკვანძო მეცნიერი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ამ პროექტის განხორციელების განმავლობაში.

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
7	ხანგამძლეობისა და დადლილობით გამოწვეული რღვევის დაჩქარებული ტესტირება კომპიუტერული მოდე-	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სრ. პროფ. ოლეგ ნამიჩეიშვილი	სრ. პროფ. დავით გორგიძე ასისტ. პროფ. მიხეილ რამაზაშვილი

ლირებით			
<p>დადლილობაზე ტესტირების დაჩქარებული და ფორსირებული მეთოდების გამოყენება გამოწვეულია ახალი კონსტრუქციების სრულყოფამდე დაყვანის, ნახევარფაბრიკატებისა და დეტალების წარმოების ახალი ტექნოლოგიის დანერგვის, შენადნობთა ქიმიური შედგენილობის კორექტირების და სხვა ამდგვარი პროცესების ხანგრძლივობის შემცირების აუცილებლობით.</p> <p>ამასთან დაკავშირებით მოხდა პრობლემასთან დაკავშირებული ლიტერატურისა და საპატენტო ინფორმაციის მოძიება, დაჩქარების ფუნქციის ცნების გაანალიზება მისი გამოყენების შესაძლებლობის დასადგენად შემდგომ კვლევებში.</p>			

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
8	ციფრული გამოსახულების სეგმენტაცია და სეგმენტირებული გამოსახულების აღწერა	შოთა რუსთაველის ფონდი	ო. თავდიშვილი	თ. სულაბერიძე თ. თოდუა

შემუშავდა ციფრული გამოსახულების მახასიათებელ ნიშან-თვისებათა სივრცის კლასტერიზაციის მეთოდი, კლასტერიზაციის გამოთვლითი ალგორითმის საფუძველზე შეიქმნა შესაბამისი კომპიუტერული პროგრამა; შემუშავდა ციფრული გამოსახულების სეგ-მენტაციის ახალი მეთოდი.

პუბლიკაციები:

საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ა. ფრანგიშვილი, ზ. გასიტაშვილი, ე. ბარათაშვილი, მ.კიკნაძე	რეგიონის მდგრადი განვითარების პარადიგმა	ტექნიკური უნივერსიტეტი, 2013	480

2	ზ. გასიტაშვილი, გ. კირცხალია, მ.კიკნაძე	კომპიუტერული ქსელების მეთოდოლოგია	ტექნიკური უნივერსიტეტი, 2013	263
<p>რეგიონის მდგრადი განვითარების პარადიგმ განხორციელებულია მოდელირების თანამედროვე ტექნოლოგიების ბაზაზე კომპიუტერული ქსელების დაპროექტების მეთოდოლოგიური გარემოს დამუშავება.</p> <p>დამუშავებულია საკვლევი მოდელები, რომლებიც უზრუნველყოფს პროვაიდერული ცენტრების დაგეგმარებისა და მართვის ამოცანის ეფექტურ გადაწყვეტას და პროვაიდერული ცენტრების, როგორც ერთიანი სისტემის, გააზრებას.</p> <p>კომპიუტერული ქსელების მეთოდოლოგია მონოგრაფიაში განხილულია ქსელების იმიტაციური მოდელირების და დაპროექტების ტექნოლოგიები. იმისათვის, რომ შერჩეულ იქნას ალტერნატიული გადაწყვეტილების პირობებში საუკეთესო საინჟინრო გადაწყვეტილება.</p>				
№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	ნ. ბერაია ე. გვარამია	„მეორე და მესამე რიგის როტატაბელური გეგმების თვისებების კვლევა ექსპერიმენტის შეცდომების პირობებში“	თბილისი საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“	157
<p>მონოგრაფია განკუთვნილია მეცნიერ-მუშაკებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისათვის, რომლებიც იყენებენ ექსპერიმენტის მათემატიკური დაგეგმვის მეთოდებს ტექნიკური სისტემების აღწერისა და ოპტიმიზაციისათვის.</p> <p>მონოგრაფიაში გამოკვლეულია ორი ცვლადის შემცველი მესამე რიგის როტატაბელური გეგმის თვისებები, ორი ცვლადის შემცველი მესამე რიგის როტატაბელურთან მიახლოებული ეკონომიური გეგმების თვისებებიც.</p> <p>ჩატარებული კვლევების საფუძველზე გაკეთებულია ორი ცვლადის შემცველი მესამე რიგის სიმეტრიული როტატაბელური და ეკონომიურ როტატაბელურთან მიახლოებული გეგმების ყველა თვისების გაუარესების შედარებითი ანალიზი.</p> <p>ასევე განხილულია ცდომილებების გავლენა სამი ცვლადის შემცველ მესამე რიგის როტატაბელური გეგმების თვისებებზე.</p> <p>თითოეული სამფაქტორიანი როტატაბელური გეგმისათვის ექსპერიმენტატორს მიეწოდება ინფორმაციის ამა თუ იმ თვისების გაუარესების ხარისხის შესახებ, რაც უნდა დაეხმაროს მას პრაქტიკაში საზომი საშუალებების ამორჩევაში, რომელიც გამოიყენება გეგმიდან გამომდინარე ფაქტორების დონეების დაყენებისას.</p>				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	-----------------	-----------------------------	--------------------------------	---------------------

1	ა. ბენაშვილი. ო. ქართველიშვილი, გ. ბენაშვილი.	კომპიუტერის არქიტექტურის და ორგანიზაციის საფუძვლები	თბ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. 2013	220
<p>ნაშრომში წარმოდგენილია კომპიუტერის არქიტექტურისა და ორგანიზაციის საკითხები იერარქიის სხვადასხვა დონეზე. განხილულია როგორც თვლის პოზიციური სისტემები და ციფრული ლოგიკური დონე, ასევე კომპიუტერის მოწყობილობები, მათი მახასიათებლები და მუშაობის პრინციპები, კავშირი კომპიუტერებს შორის. გაკეთებულია სხვადასხვა ტიპის კომპიუტერების კლასიფიკაცია. ნაჩვენებია თანამედროვე ტენდენციები კომპიუტერების განვითარების სფეროში.</p> <p>სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.</p>				
№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	რომან სამხარაძე, ნინო ჯოჯუა, ლია გაჩეჩილაძე	მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად საგანში: ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (C#-ის ბაზაზე) (I ნაწილი)	თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	36
<p>მეთოდური მითითებების პირველი ნაწილი განკუთვნილია იმს ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად. მასში განხილულია C# ენის ისეთი ძირითადი საკითხები, როგორცაა კლასები, მეთოდები, კონსტრუქტორები და ა.შ. თითოეულ ლაბორატორიულ სამუშაოს ახლავს მოკლე თეორიული ცნობები და შესაბამისი საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტა.</p>				
3	რომან სამხარაძე, ნინო ჯოჯუა, ლია გაჩეჩილაძე	მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოების შე შესასრულებლად საგანში: ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (C#-ის ბაზაზე) (II ნაწილი)	თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	52
<p>მეთოდური მითითებების მეორე ნაწილი განკუთვნილია იმს ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად. მასში განხილულია C# ენის ისეთი ძირითადი საკითხები, როგორცაა სახელების სივრცე, ინტერფეისების რეალიზების საშუალებები, თარიღთან სამუშაო ფუნქციები, ფაილებთან და გრაფიკულ გამოსახულებებთან მუშაობის საშუალებები და ა. შ. თითოეულ ლაბორატორიულ სამუშაოს ახლავს მოკლე თეორიული ცნობები და შესაბამისი საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტა.</p>				

4	რომან სამხარაძე, ნინო ჯოჯუა, ლია გაჩეჩილაძე	მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად საგანში: დაპროგრამება NET გარემოში (C#-ის ბაზაზე მაგისტრატურის სტუდენტებისთვის)	თბილისი, “ტექნიკური უნივერსიტეტი”	60
---	---	---	---	----

მეთოდური მითითებების პირველი ნაწილი განკუთვნილია იმს ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტებისთვის ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად. მასში განხილულია C# ენის ისეთი ძირითადი საკითხები, როგორცაა მოწყობილობის პროტოკოლის ანალიზი და ამ მოწყობილობის მართვის პროგრამის შედგენა, გრაფიკების ფორმირება, მონაცემთა ბაზებთან მიმართება Visual Studio .NET-ის საშუალებებით, ADA.NET კლასები მონაცემთა ბაზებთან სამუშაოდ და ა. შ.

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
5	ზ. წვერაძე ზ. ბაიაშვილი ლ. ჯიქიძე ი. ირემაძე ქ. კვესელავა	3ds max (ქართული) ISBN 987-9941-0-5777-9	თბილისი	180
6	ზ. წვერაძე ზ. ბაიაშვილი ლ. ჯიქიძე ი. ირემაძე ქ. კვესელავა	3ds max (რუსული) ISBN 987-9941-0-5778-6,	თბილისი	284

Autodesk 3ds Max, ყოფილი 3D Studio Max - 3D კომპიუტერული გრაფიკული პროგრამა, რომელიც განკუთვნილია 3D ანიმაციის, მოდელების და სურათების შესაქმნელად. მისი დეველოპერი და მწარმოებელია Autodesk Media and Entertainment. მას აქვს მოდელების ფუნქციები, ჩანართების თავისუფალი არქიტექტურა. პროგრამის გამოყენება შესაძლებელია Microsoft Windows-ის პლატფორმაზე. მას ხშირად იყენებენ ვიდეო-თამაშების, სატელევიზიო კომერციული და არქიტექტურული სტუდიები. იგი აგრეთვე გამოიყენება ფილმების ეფექტებისა და წინასწარი ვიზუალიზაციისათვის. Autodesk 3ds Max მისაწვდომია ორი ლიცენზირებული ვერსიის სახით: სტუდენტური – უფასო (საჭიროა დარეგისტრირდეთ autodesk.com საიტზე) რომელიც წარმოადგენს პროგრამის სრულ ვერსიას (მაგრამ მისი გამოყენება კომერციული თვალსაზრისით არ შეიძლება) და კომერციული (ფასიანი €3800).

7	ზ. წვერაიძე ზ. ბაიაშვილი ლ. ჯიქიძე ი. ირემაძე ქ. კვესელავა	3ds max lightware (ქართული) ISBN 987-9941-0-5780-9	თბილისი	180
8	ზ. წვერაიძე ზ. ბაიაშვილი ლ. ჯიქიძე ი. ირემაძე ქ. კვესელავა	3ds max lightware (რუსული) ISBN 987-9941-0-5779-3	თბილისი	466

LightWave არის ძლიერი პროგრამა 3D-მოდელირებაში, ანიმაციაში და ვიზუალიზაციაში. ეს პროდუქტი შესაძლებელია გამოვიყენოთ სხვადასხვა სფეროებში: დაწყებული პოლიგრაფიისათვის მაღალხარისხოვანი გამოსახულების შექმნიდან, დამთავრებული სრულყოფილი ეფექტებით კინო ინდუსტრიასა და ტელევიზიისათვის. პაკეტი LightWave წარმოგვიდგენს მოდელირებისა და ანიმაციის ფართო ინსტრუმენტების კრებულს, რისი საშუალებითაც შესაძლებელია შევქმნათ, მაგალითად, "ტიტანიკის" ჩაძირვის ანიმაცია, ან გავაცოცხლოთ ვიდეო თამაშის გმირი.

ამ წიგნის წაკითხვით სრულყოფილად ავითვისებთ LightWave 3D-ს ინტერფეისს, ასევე წარმოდგენილი ინსტრუმენტების შესაძლებლობებს. მიუხედავად იმისა რომ LightWave 3D არის ძლიერი პროგრამული პროდუქტი, ის ადვილად შესასწავლია და ამას გარდა, ადვილია მისი კონფიგურირება. განხილულია დამწყები და პროფესიონალი მომხმარებლების კონფიგურაციები.

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
9	თენგიზ გიორხელიძე, ზაურ ჯოჯუა	ციფრული სქემოტექნიკა	თბ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“.	97

სახელმძღვანელოში განხილულია ციფრული სქემოტექნიკის, სხვადასხვა ფიზიკო-ტექნოლოგიური რეალიზაციის, ბაზური ლოგიკური ელემენტების ფუნქციონირების პრინციპები: ტრანზისტორულ-ტრანზისტორული ლოგიკა(ტტლ), უნიპოლარული ტრანზისტორების ლოგიკა, ემიტერულად დაკავშირებული ლოგიკა. განხილულია სხვადასხვა ტიპის ტრიგერული ელემენტების აგების და ფუნქციონირების პრინციპები და მათი საშუალებით შექმნილი ფუნქციონალური კვანძები - რეგისტრები, მთვლელები, მულტიპლექსორები, დემულტიპლექსორები, შიფრატორები, ამჟამავები.

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	ბკერდების რაოდენობა
1	კონსტანტინე კამკამიძე, ნათია ფირყულაშვილი	კომპიუტერული ქსელის გამტარუნარიანობის ანალიზი. მართვის ავტომატიზირებული სისტემები	№1(14)	თბილისი	4
<p>ამოცანას აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ასევე შესაძლებელია მისი გამოყენება როგორც ერთ-ერთი ეტაპისა იმ ქსელის გამტარუნარიანობის ანალიზის ამოცანის გადაჭრისას, რომელიც განსაზღვრებაში მოიცავს გარე ნაკადების მაქსიმალურად შესაძლო ინტენსივობას და აჯერებს გასაანალიზებელ ქსელს და უზრუნველყოფს შეტყობინების მიტანის დასაშვებ სიდიდეს გადაცემისას საწყისიდან დანიშნულების მარშრუტიზატორამდე, განსაზღვრული მარშრუტიზატორში მომსახურების ხანგრძლივობით (დროით) და კავშირის ხაზით – გადაცემის ხანგრძლივობით (დროით).</p>					

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	ბკერდების რაოდენობა
2	ზაურ ჯოჯუა	კომპიუტერული ქსელები - პრობლემები და პერსპექტივები	№ 2(15)	თბილისი, შრომები, მართვის ავტომატიზირებული სისტემები	8
<p>კომპიუტერული ქსელების სწრაფი, სრულყოფილი და ეფექტიანი მართვის საშუალებად დამუშავებულ იქნა ახალი ტექნოლოგია – ცენტრალიზებულად პროგრამი რებადი ქსელი (Software defined networks, SDN), რომელიც გულისხმობს მართვის გადაცემას ცალკე სერვერ-კონტროლერებზე, ხოლო მარშრუტიზატორები და კომუტატორები განახორციელებენ პაკეტების გადაცემას. ყველა მანიპულაცია ქსელის კონფიგურირებისათვის ხორციელდება ცენტრალიზებულად, დროის და შრომის მინიმალური დანახარჯებით. ქსელის ეფექტიანობა იზრდება 25-30%-ით, ხოლო საექსპლოატაციო დანახარჯები მცირდება 27-30%-ით. SDN ტექნოლოგიის გამოყენება შეიძლება როგორც ახალ, ისე არსებულ ქსელებში, ქსელის მოდერნიზაციით.</p>					
3	რევაზ (ივერი) კაკუბავა, ზაურ ჯოჯუა,	საიმედოობის უზრუნველყოფა, როგორც სტრუქტურული მართვის ამოცანა. არ-	№1(14)	თბილისი	6

	ნინო ჯოჯუა	თვის ავტომატიზირებული სისტემები			
<p>ნაშრომში განიხილება რთული ტექნიკური ობიექტის საიმედოობის უზრუნველყოფის პრინციპები სტრუქტურული მართვის ასპექტში. სახელდობრ, აღწერილია სტრუქტურული მართვის ფუნქციები: ტექნიკური დიაგნოსტიკის, ობიექტის სტრუქტურის რეკონფიგურაციის, ავარიული დაცვის, რეზერვების მართვის და ტექნიკური მომსახურების. ეს ფუნქციები განხილულია ობიექტის კოორდინატული და პარამეტრული მართვის ფუნქციების გათვალისწინებით. რამდენადაც შეშფოთებები წარმოიშობა როგორც მართვის ობიექტში, ისე მმართველ სისტემაში, ისინი გაერთიანებული არიან ერთი ცნების ქვეშ – სტრუქტურული მართვის ობიექტი</p>					
4	რევაზ (ივერი) კაკუბავა, ჯოჯუა, ჯოჯუა, კეკელია	ტექნიკური სისტემების ხარისხისა და საიმედოობის უზრუნველყოფის ზოგიერთი საკითხის შესახებ	№1(14)	თბილისი	5
<p>განიხილება ტექნიკური ობიექტების ფუნქციონირების ხარისხის და საიმედოობის უზრუნველყოფის საკითხები. საკითხი განიხილება სტრუქტურული მართვის თვალსაზრისით. ნაჩვენებია, რომ საიმედოობის მათემატიკური მოდელი საშუალებას იძლევა განისაზღვროს მართვის სისტემის ძირითადი მახასიათებლები დაპროექტების საწყის სტადიაში, როდესაც არ არსებობს საკმარისი ზუსტი ამოსავალი მონაცემები. ნაჩვენებია, რომ სისტემის საიმედოობის მახასიათებლების განსაზღვრისას უნდა იქნეს მიღწეული რაციონალური თანაფარდობა მართვის ობიექტის და მმართველი სისტემის საიმედოობებს შორის, რათა არ იქნეს დაშვებული არამიზნობრივი ხარჯები მმართველი სისტემის საიმედოობის ამაღლებაზე</p>					

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
5	ე.კამკამიძე ი.ბერძენიშვილი	გაზსადენების კოროზიული რღვევის კინეტიკური ანალიზი	№3(16) 2013	სტუ-ს თემატური სამეცნიერო შრომების კრებული.მართვის ავტომატიზებული სისტემები.	4
<p>ნაჩვენებია, რომ გაზსადენი სისტემის დაზიანებით გამოწვეული მატერიალური და ეკოლოგიური ზიანი დიდია. დადგენილია, რომ კოროზიული რღვევა გაზსადენების მტკუნებათა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. შესწავლილია ფოლადის ნიმუშების ქცევის და</p>					

მასის კარგვის კინეტიკა გოგირდწყალბადით გაჯერებულ მოდელოვან ელექტროლიტის სსნარში მიღებული მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ გაზსადენი სისტემის გამართული ფუნქციონირების და ეკოლოგიური უსაფრთხოების ერთ-ერთი მადესტაბილიზებელი რისკ-ფაქტორია გოგირდწყალბადის შემცველი წყალსსნარის ზემოქმედებით გამოწვეული ლითონის ზედაპირის კოროზია. მოყვანილია ექსპერიმენტის მონაცემების სტატისტიკური დამუშავების შედეგები.

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
6	K.Kamkamidze I.Berdzenishvili	Some concepts about biocorrosion and preventive measures	„ინფორმაციული ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები“	საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომები, ქუთაისი, 2013	3
<p>შემოთავაზებულია თანამედროვე შესვლადებიანი ლითონთა ბიოკოროზიაზე. ნაჩვენებია, რომ ლითონის ზედაპირის ბიოდესტრუქცია გამოწვეულია მიკროორგანიზმების მიერ გამოყოფილი პროდუქტების მონაწილეობით. დადგენილია ფუნქციური მინანქრის დანაფარების გამოყენების პერსპექტიულობა ფოლადის მიღების ანტიკოროზიული დაცვისათვის. მომინანქრების უახლესი ტექნოლოგიით მიღებული დანაფარი უზრუნველყოფს 90%-ან ანტიბაქტერიულ ეფექტს.</p>					

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
7	ჭინჭარაული მ.გ., ნამიჩიეშვილი ო.მ.	უსაფრთხოების პრობლემები მობილურ ad hoc ქსელებში.	№1	თბილისი. საქართველოს საინჟინრო სიახლენი	14
<p>უსაფრთხოება იქცა მთავარ ამოცანად აგრესიულ გარემოში მობილურ კვანძებს შორის კომუნიკაციის დაცულობის უზრუნველსაყოფად. სადენიანი ქსელებისაგან განსხვავებით მობილური უსადენო თვითორგანიზებადი ქსელების უნიკალური მახასიათებლები წარმოქმნის ამ ქსელების დაპროექტებისას უსაფრთხოების მთელ რიგ არატრივიდულ პრობლემას, როგორცაა დეცენტრალიზებული არქიტექტურა, გამოყოფილი ფაილ-სერვერის არარსებობა, მკაცრი სარესურსო შეზღუდვები და ქსელური ტოპოლოგიის</p>					

მაღალი დინამიკურობა. ეს პრობლემები ცხადყოფს მრავალდონიანი უსაფრთხოების უზრუნველყოფი გადაწყვეტილებების დამუშავების აუცილებლობას ქსელის სასურველი ეფექტურობისა და ფართო დაცულობის მისაღწევად. ამ სტატიაში ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ უსაფრთხოების ფუნდამენტურ პრობლემაზე, რომელიც წარმოიქმნება მრავალი რეტრანსლატორის მქონე მობილურ ქსელებში კვანძების ბმულობის ასპექტში. ჩვენ შევიცნობთ უსაფრთხოების პრობლემას, მასთან დაკავშირებულ საკითხებს, ვიხილავთ უსაფრთხოების საშუალებათა დაპროექტებას და მიმოვიხილავთ იმ იდეათა თანამედროვე მდგომარეობას, რომლებიც ეხება უსაფრთხო ქსელებში მრავალრეტრანსლატორიანი არხით პაკეტების მიტანის საარსო (კვანძებისათვის მონაცემების გადაცემის) და ქსელური (ერთიანი ტრანსპორტირების) ოპერაციების უსაფრთხოების დაცვას. უსაფრთხოების პრობლემის სრული გადაწყვეტა უნდა ეხებოდეს ორივე (Data Link layer, Network layer) დონეს და მოიცავდეს უსაფრთხოების პრევენციის, გამოვლინებისა და რეაგირების სამივე მდგენელს.

8	ფრანგიშვილი ა. ნამიჩიშვილი ო. ელენტი გ. ჭოლიკიძე ლ. სერიუკაძე ვარგისიანი	ელექტრონული სქემების დაპროექტების ამოცანა	2(38)	თბილისი. Publishing House «Technical University», Elec- tronic Media Department	33
---	---	--	-------	--	----

ნაშრომში კვლევის ობიექტია ელექტრონული სქემა, ხოლო კვლევის საგანს წარმოადგენს ამ ობიექტის მანქანური დაპროექტება პარამეტრული მტყუნებების გათვალისწინებით და სერიული ვარგისიანობის უზრუნველყოფა მისი მასობრივი წარმოების პირობებში. უპირატესობა ეძლევა სქემების ან სისტემების დაპროექტებისას სტატისტიკური კრიტერიუმების გამოყენებას და ამ პროცესის განხორციელებას ორ ეტაპად. პირველ - დეტერმინირებულ - ეტაპზე იძებნება ე.წ. დასაშვები ამონახსნი, ანუ ელემენტთა პარამეტრების იმ მნიშვნელობათა ნაკრები ან ერთობლიობა, რომლებისთვისაც სრულდება ტექნიკურ მოთხოვნათა პირობები. მეორე - სტოქასტიკურ - ეტაპზე ხორციელდება პროდუქციის საწყისი გამომავალი ხარისხის ან საიმედოობის მაჩვენებლის ოპტიმიზაცია თანდათანობითი მტყუნებების მიხედვით, სახელდობრ: ა) დაპროექტების ამოცანის ხსენებული დასაშვები ამონახსნი გამოიყენება საწყის წერტილად და ბ) ელემენტთა პარამეტრების სტატისტიკური განაწილებების გათვალისწინებით ხორციელდება ამონახსნის შემდგომი ძებნა.

9	არჩილ ფრანგიშვილი, დავით გორგიძე, ოლეგ ნამიჩიშვილი, მიხეილ რამაზაშვილი	ხანგამძლეობისა და დაღლილობით გამოწვეული რღვევის დაჩქარებული ტესტირება კომპიუტერული მოდელირებით	№ 2(38)	თბილისი Publishing House «Technical University», Elec- tronic Media Department	30
---	--	--	---------	---	----

ნაშრომში ხანგამძლეობის დასადგენად მოცემულია დაჩქარებული ტესტირების ამოცანათა

ფორმულირება და ძირითადი განმარტებანი, შემოტანილია ე.წ. დაჩქარების ფუნქციის ცნება, რომლის განსაზღვრითაც, წრფივი მოდელის შემთხვევაში, მიიღება მოწყობილობის უმტყუნო მუშაობის დროის განაწილების ინტეგრალური ფუნქცია. ჩამოყალიბებულია დაჩქარების ფუნქციის წრფივობის კრიტერიუმი და პალმგრენ-მაინერის თანაფარდობის განზოგადებული პრინციპის ამსახველი თანაფარდობის საფუძველზე, რომელიც ნაშრომშია მიღებული, შემუშავებულია დაჩქარებული ტესტირების ჩატარების მეთოდი საიმედოობის განსაზღვრისათვის უწყვეტი და საფეხურიანი დატვირთვის შემთხვევაში.

10	ფრანგიშვილი ა. ნამიჩიშვილი ო. ქლენტი ბ. ჭოლიკიძე ლ.	საწყისი მონაცემების გაურკვეველობა სისტემათა დაპროექტებისას	№ 3	თბილისი Georgian Engineering News,	6
----	--	--	-----	--	---

ელექტრონული სქემის პარამეტრული საიმედოობის გამოთვლის ალგორითმებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მისი შემავალი, ანუ პირველადი, პარამეტრების განაწილებათა კანონების ცოდნას, რადგან სწორედ ამის საფუძველზე ხორციელდება შემდეგ გამომავალ პარამეტრთა განაწილების კანონების შეფასება. თუ შემავალი პარამეტრების განაწილების კანონები უცნობია, აუცილებელი ხდება მათი პოსტულირება. ზოგადი წინაპირობები ელექტრონულ სქემათა შემავალი პარამეტრების განაწილების კანონების პოსტულირებისათვის შეიძლება გამომდინარეობდეს იმ განაწილებათა ძეგნის საინფორმაციო ამოცანიდან, რომლებსაც მოცემულ პირობებში მაქსიმალური ენტროპია აქვს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა მოიძებნოს x რეალიზაციათა მქონე X შემთხვევითი შემავალი სიდიდის ალბათობათა განაწილების $p(x)$ სიმკვრივე, რომელიც მოცემულ პირობებში (ე.ი. მოცემული აპრიორული ინფორმაციისათვის) უზრუნველყოფს დიფერენციალურ ენტროპიად წოდებული გამოსახულების მაქსიმუმს.

11	ფრანგიშვილი ა. ნამიჩიშვილი ო. გოგიაშვილი მ.	ფორმალური ნეირონის ადაპტაცია უიდროუ-ჰოფის ალგორითმით	№ 3	თბილისი საქართველოს საინჟინრო სიახლენი	6
----	---	--	-----	---	---

უიდროუ-ჰოფის ალგორითმით უწყვეტი ადაპტაციისას უკუკავშირის გარეშე თითოეული შემავალი არხის წონის შემთხვევითი ნამატი, რომელიც იტერაციის მომდევნო ბიჯზე ხორციელდება, განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ სხვაობით ნეირონში შემავალი სიგნალების აწონილ ჯამსა და ამ ჯამის სიდიდეზე დადებულ გარკვეულ შეზღუდვას შორის. ამიტომ ნებისმიერ ბიჯზე წონათა ნამატის აბსოლუტური სიდიდე ერთნაირია ყველა შესასვლელისათვის. დამყარებულ რეჟიმში ამ ნამატების მათემატიკური ლოდინი ნულის ტოლია და წონები, რომელზეც მიიღწევა ასეთი მდგომარეობა, აკმაყოფილებს სავსებით განსაზღვრულ პირობებს. სახელდობრ, მტკიცდება, რომ უიდროუ-ჰოფის ალგორითმით განხორციელებული უწყვეტი ადაპტაციის შემთხვევაში მყარდება მაჰალანობისის მანძილისათვის მაქსიმუმის მიმნიჭებელ სიდიდეთა პროპორციული წონები. ასეთი წონებით ფუნქციონირება თითქმის ოპტიმალურია (ე.წ. ენტროპიულ წონებთან შედარებით).

12	,		3(39)	GESJ: Computer	34
----	---	--	-------	----------------	----

				Sciences and Telecommunications	
<p>არსებობს ფორმალური ნეირონის ადაპტაციის მრავალი სახე ამ ნეირონის გამოყენებისას ბინარული სიგნალის აღმდგენად. იგულისხმება, რომ ფორმალური ნეირონის შესასვლელებს მიეწოდება მტყუნების სხვადასხვა ალბათობის მქონე არხებით ერთისა და იმავე შემთხვევითი ბინარული სიგნალის სხვადასხვა ვერსია და ნეირონით უნდა მოხდეს სწორი საწყისი სიგნალის აღდგენა, ანუ გადაწყვეტილების მიღება, ამ ვერსიათა საფუძველზე. ამის განსახორციელებლად აუცილებელი ხდება ფორმალური ნეირონის ადაპტაცია. იგი ინტერპრეტირდება როგორც ნეირონის შესასვლელების წონათა მართვის პროცესი ამ წონების მოსაყვანად შესაბამისობაში შემომავალი არხების შეცდომათა მიმდინარე ალბათობებთან. ასეთი მართვის ამოცანაა უფრო საიმედო შესასვლელებისათვის მეტი გავლენის უზრუნველყოფა მისაღებ გადაწყვეტილებაზე (ე.ი. სწორი სიგნალის აღდგენაზე) ნაკლებად საიმედო შესასვლელებთან შედარებით. ამასთან ერთად ადაპტაცია შეიძლება სხვადასხვა მეთოდით, სხვადასხვა ალგორითმით ხორციელდებოდეს. ნაშრომში შესწავლილია მისი მხოლოდ ერთ-ერთი ნაირსახეობა - ადაპტაცია უკუკავშირის გარეშე უიდროუ-ჰოვის ალგორითმით.</p>					
13	ფრანგიშვილი ა., ნამიჩიშვილი ო., გოგიაშვილი მ.	აღმდგენი ფორმალური ნეირონის შეცდომის ალბათობის მინიმალური ზედა შეფასების მიღება ორი მეთოდით	№ 4	Georgian Engineering News	67
<p>ნაჩვენებია, რომ მინიმალური ზედა შეფასება ფორმალურ ნეირონის შეცდომის ალბათობისათვის ამ ნეირონის გამოყენებისას აღმდგენ (გადამწყვეტ) ელემენტად შეიძლება იყოს მიღებული როგორც კონვოლუციის ლაპლასის გარდაქმნის აპარატის საფუძველზე, ასევე დამოუკიდებელი შემთხვევითი სიდიდეების ჯამის ფაქტორიალური მომენტის მაწარმოებელი ფუნქციის საშუალებით. მტკიცდება, რომ ორივე შემთხვევაში ხსენებული შეფასებები სავსებით იდენტურია.</p>					

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	ბჰერდების რაოდენობა
14	ს. ხოშტარია ჟ. ებანოიძე ფ. კოგანი ა. ჩიხლაძე	საკაერო ხომალდის მართვის კონტროლის ალგორითმი	№3(6)	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, განათლება	5
15	Т.Чумбуридзе,	Функционирование компьютерной сети в режиме обслуживания отдельных	№1(8)	Т .	10

	К.Одишария	требований.			
16	.			T	8
17	S. Xoshtaria C. Xoshtaria K. Bareladze	Models of the description of the accepted decisions in ergatic systems.	N1(8).	T	4

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	ბჰპრდების რაოდენობა
18	ა. ბენაშვილი, გ. ბენაშვილი.	სისტემური პლატის სამიპიანი არქიტექტურის მოდიფიკაცია. „განათლება“,	№2(8)	თბილისი, სტუ	6
სტატიაში პერსონალური კომპიუტერის პარამეტრების გაუმჯობესებისთვის შემოთავაზებულია სამიპიანი სისტემური პლატის მოდიფიცირებული ვარიანტი. კერძოდ, მრავალდონიანი არქიტექტურის ნაცვლად შემოთავაზებულია ერთდონიანი მაგისტრალური არქიტექტურის გამოყენება ასინქრონული მიმდევრობითი სალტის ბაზაზე. დასაბუთებულია, რომ სისტემური პლატის არქიტექტურის მოიცემული სახით მოდიფიკაცია ამცირებს მოხმარებულ ენერგიას და ზრდის სწრაფქმედებას.					
19	გ. ბენაშვილი	მონაცემების კოდირება ციფრულ ვიდეოინტერფეისებში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მართვის ავტომატიზებული სისტემები. შრომები	№1(14)	თბილისი, სტუ	4
სტატიაში განხილულია ციფრული ვიდეოინტერფეისების განვითარების ტენდენციები. დადასტურებულია, რომ უპირატესობა მონაცემების გადაცემის მიმდევრობით პრინციპს ენიჭება, ხოლო თანამედროვე ვიდეოინტერფეისებისთვის აუცილებელი მაღალი გამტარუნარიანობის მისაღწევად მონაცემთა დიფერენციალური გადაცემის პრინციპი და მონაცემების სპეციალური კოდირების მეთოდები უნდა იქნას გამოყენებული.					
20	ა. ბენაშვილი, გ. ბენაშვილი.	სისტემური პლატის ორჩიპიანი არქიტექტურა. „განათლება“.	№1(7)	თბილისი, სტუ	4

სტატიაში განხილულია სისტემური პლატის ორჩიპიანი არქიტექტურა. შემოთავაზებულია სისტემური სალტის მოდერნიზაცია ინტერფეისების განვითარების თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად. კერძოდ, რეალიზებულია ჩიპებს შორის ასინქრონული მიმდევრობითი კავშირი, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სისტემური პლატის სწრაფქმედებას.

21	გ. ბენაშვილი.	თხევადკრისტალური მონიტორის ინტერფეისი. „განათლება“,	№1(7)	თბილისი, სტუ	5
----	---------------	---	-------	--------------	---

სტატიაში განხილულია თხევადკრისტალური მონიტორების ინტერფეისების განვითარების თანამედროვე ტენდენციები. დასაბუთებულია ციფრული ვიდეოინტერფეისების უპირატესობები ანალოგურ ვიდეოინტერფეისებთან შედარებით გამოსახულების ხარისხის, გარჩევადობის და ღირებულების კუთხით.

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	ბეჭდვის რაოდენობა
22	ი. ქართველიშვილი, თ. თოდუა	საგამოცდო ტესტების გენერირების დიალოგური პროცედურების დამუშავება. ქესუ: კომპიუტერული მეცნიერებანი და ტელეკომუნიკაციები. დეცენზირებადი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი.	No.1(37)		6
23	თ. თოდუა, ი. ქართველიშვილი	ინტერნეტ დამოკიდებულების კვლევა და მისი თავისებურებები. ქესუ: კომპიუტერული მეცნიერებანი და ტელეკომუნიკაციები. რეცენზირებადი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი.	No.1(37)		5
24	T. Sulaberidze, O. Tavdshvili, T. Todua.	An approach to enhance the segmentation results. Georgian Engineering News.	#2(vol.66)	თბილისი	4
25	Д. Капанадзе, Т. Жвания, Т. Тодуа.	Организация систем электронного обучения для обеспечения непрерывного юридического образования.	Computer Science and Information Technologies	ერევანი Yerevan, 2013.	4

			(CSIT) Conference 2013. http://www.csit.am/2013/ . Armenia		
<p>22. ნაშრომში წარმოდგენილია საგამოცდო ტესტების გენერირების ავტომატიზებული სისტემის დიალოგური პროცედურების დამუშავების საკითხი. სისტემა საშუალებას იძლევა თითოეული გამოსაცდელი პირისათვის ავტომატურად შეიქმნას თანაბარი სირთულის მქონე ტესტების სხვადასხვა ვარიანტი.</p> <p>23. ნაშრომში განხილულია ინტერნეტ-დამოკიდებულების საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები და ნაჩვენებია მათი აღმოფხვრის გზები.</p> <p>24. ნაშრომში განხილულია ციფრული გამოსახულების მახასიათებელ ნიშან-თვისებათა სივრცის კლასტერიზაციის მეთოდი და კლასტერიზაციის გამოთვლითი ალგორითმის საფუძველზე შექმნილი კომპიუტერული პროგრამის განხორციელებით მიღებული შედეგები;</p> <p>25. სტატიაში განხილულია სასწავლო ვებ პორტალი და ინტერაქტიული სასწავლო კურსის მოდელი, რომელიც განხორციელდა სწავლების მართვის სისტემა Moodle-ის გარემოში.</p>					

უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ფრანგიშვილი ა., ნამიჩიშვილი ო., გოგიაშვილი მ.	აღმდგენი ფორმალური ნეირონის შეცდომის ალბათობის მინიმალური ზედა შეფასების მიღება ორი მეთოდით	№ 4	Riga, Latvia	67

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
---	-----------------------------	---------------------	---------------------------------

1	L. Imnaishvili, G.Benashvili.	About the Particular Problem of Usage Of Multifunction Digital Measuring Devices in SCADA-Systems.	International Scientific Conference "Nanosensory Systems and Nanomaterials", Georgian Technical University. June 6-9, 2013. Tbilisi, Georgia.
---	-------------------------------	--	---

SCADA სისტემაში გამოყენებული მრავალფუნქციური გამზომი ხელსაწყოს დისპლეის ფუნქციური შესაძლებლობების გაფართოება მწმუნელოვან ამოცანას წარმოადგენს. პრობლემის გადაჭრის ერთ გზად შემოთავაზებულია მრავალფუნქციური ციფრული გამზომი ხელსაწყოს დაკომპლექტება ფართოფორმატიანი მონიტორით და შესაბამისი ფუნქციური შესაძლებლობების მქონე კონტროლერით.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
2	I. Kalandadze. A.Benashvili.	Computerized Diagnostics and Laser Therapy in Nanomedicine.	Georgian Technical University. International Conference Nanosensory Systems and Nanomaterials. Tbilisi. 2013.

№	მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის დასახელება, ჩატარების დრო და ადგილი
3	Archil Prangishvili Oleg Namicheishvili	Linear Mathematical Theory of <i>Accelerated Life Testing</i> «ხანგამძლეობაზე დაჩქარებული ტესტირების წრფივი მათემატიკური თეორია»	International Conference and Workshop «Lie groups, differential equations and geometry» June 10-22, 2013, Batumi, Georgia

ხანგამძლეობის დასადგენად მოცემულია დაჩქარებული ტესტირების ამოცანათა მკაცრი მათემატიკური ფორმულირება და ძირითადი განმარტებანი, შემოტანილია ე.წ. დაჩქარების ფუნქციის ცნება, დადგენილია მისი წრფივობის აუცილებელი და საკმარისი პირობები და შესწავლილია შესაბამისი წრფივი მოდელები ისევე, როგორც მათი თვისებები.

მართვის სისტემების დეპარტამენტი

დეპარტამენტის ხელმძღვანელი - ნოდარ ჯიბლაძე

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

№	სახელი, გვარი, მამის სახელი	თანამდებობა
1	ნოდარ ჯიბლაძე ილარიონის ძე	სრული პროფ.
2	გურამ ბელთაძე ნიკოლოზის ძე	სრული პროფ.
3	ომარ კოტრიკაძე გრიგოლის ძე	სრული პროფ.
4	თამაზ ობგაძე აბესალომის ძე	სრული პროფ.
5	ვალიდა სესაძე კონსტანტინეს ასული	სრული პროფ.
6	ბესარიონ შანშიაშვილი გიორგის ძე	სრული პროფ.
7	ნინო მჭედლიშვილი ფარნაოზის ას	სრული პროფ.
8	ჯემალ გრიგალაშვილი სერგოს ძე	სრული პროფ.
9	სულხან ხუციშვილი ალექსის ძე	სრული პროფ.
10	ჯოხაძე პაატა შოთას ძე	სრული პროფ.
11	ლელა გაჩეჩილაძე ფრიდონის ას	ასოც. პროფ.
12	ვლადიმერ კეკენაძე მიხეილის ძე	ასოც. პროფ.
13	ქეთევან კოტრიკაძე ომარის ას	ასოც. პროფ.
14	ირმა კუცია სევერიანეს ას	ასოც. პროფ.
15	ვასილ კუციავა ალექსანდრეს ძე	ასოც. პროფ.
16	ნოდარ ნარიმანაშვილი ივანეს ძე	ასოც. პროფ.
17	ოლღა ხუციშვილი გმირის ას	ასოც. პროფ.
18	ირმა დავითაშვილი ალექსანდრეს ას	ასოც. პროფ.
19	ნანა მაღლაკელიძე ილიას ას	ასოც. პროფ.
20	ია მოსაშვილი ომარის ას	ასოც. პროფ.
21	თეა ხუციშვილი გმირის ას	ასისტ. პროფ.

**საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები**

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	ვირტუალური სასწავლო ლაბორატორიული სამუშაოების და სადემონსტრაციო ვიდეო- მასალის შექმნა და დანერგვა ქიმიაში (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)	ჟუჟუნა პეტრიაშვილი	1. ჟუჟუნა პეტრიაშვილი 2. ია მოსაშვილი
2	პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემის განვითარების პროექტი – 1.ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებლის პროფესიული სტანდარტის შექმნა; 2.მობილურ- საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსის სტანდარტის შექმნა (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი)	თეა სიფრაშვილი	1. ია მოსაშვილი; 2. ბადრი ჯარიაშვილი
<p>1. მიმდინარეობს მუშაობა პროექტის პირველ ნაწილზე. შედეგებს წარმოვადგენთ პროექტის დაწყებიდან 6 თვის შემდეგ. პროექტი დაიწყო 2013 წლის ოქტომბერში. ამ ეტაპზე ვახორციელებთ პირველი სამი სამუშაოს შესახებ კვლევას და ვიზუალური მასალების დამუშავებას. პროექტის ხანგძლივობაა 12 თვე.</p> <p>2. პროექტზე მუშაობა დაწყებულია 2013 წლის 9 ოქტომბერს და გრძელდება 2013 წლის ბოლომდე. ამ დროისთვის განხორციელდა ბაზრის კვლევა, მოძიებულ იქნა სტანდარტზე მომუშავეთა ჯგუფი, რომლებიც დარგის პროფესიონალები და/ან დამსაქმებლები არიან. სამუშაო ჯგუფებში ჩატარდა სტანდარტის შესამუშავებლად სემინარები, წარმოდგენილ იქნა სემინარების DACUM მეთოდოლოგიით შემუშავებული სტანდარტის სქემები.</p>			

**საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ჩაშენებული სისტემები საქართველოს განათლებაში, ფაზა 2 (კაიზერსლაუტერნის ტექნიკური უნივერსიტეტი, გერმანია)	ფოლკცვაგენის ფონდი	ვოლფგანგ კუნცი	ია მოსაშვილი; დავით მხეიძე; ვალიდა სესაძე
<p>1. პროექტი დაიწყო 2012 წლის ივლისში და მისი ხანგრძლივობაა 2 წელი. პროექტის განმავლობაში მომზადდა 2 მაგისტრი ქუთაისის აკ.წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, რომლებიც შემოგომში გაგზავნილ იყვნენ გერმანიაში, კაიზერსლაუტერნის ტექნიკურ უნივერსიტეტში სტაჟირებაზე. ასევე, 2013 წლის მეორე სემესტრში მოხდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის, ხელსაწყოთმშენებლობა, ავტომატიზაცია და მართვის სისტემების დეპარტამენტის 2 ბაკალავრის გაგზავნა კაიზერსლაუტერნის ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლებლად, ერთი სემესტრით. მათ პროექტში მონაწილე პროფესორების ხელმძღვანელობით (ია მოსაშვილი; დავით მხეიძე) იმუშავეს თემაზე “Hardware and software for controlling a 3D manipulator based on an All-programmable System-on-Chip”. თემის პრეზენტაცია წარმატებით განხორციელდა კაიზერსლაუტერნის ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტროტექნიკისა და საინფორმაციო ტექნიკის დეპარტამენტში, გერმანია.</p>				

პუბლიკაციები:

საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ირმა კუცია, სოფიო ბარნოვი	სეისმოგრაფების სინერგეტიკული მოდელირება	თბილისი 2013	100
2	ლელა გაჩეჩილაძე	გლობალური ოპტიმიზაციის მეთოდების კვლევა და	თბილისი	78

		შედარებითი ანალიზი	2013	
3	ვ. სესაძე, ა. კეკელიძე, გ. ჭიკაძე და სხვ.	სინერგეტიკა, ეკონომიკური პროცესების კვლევა.	თბილისი 2013	211
<p>1. მონოგრაფიაში დიდი ყურადღება ექცევა სეისმოგრაფიაში ახალ მიმდინარეობას-ტალღური ტიპის სეისმოგრაფებს, მათი სიმარტივისა და მასში შესასწავლი პროცესების დედამიწაში მიმდინარე პროცესებთან იდენტურობის გამო. მონოგრაფიაში დამუშავებულია ტალღური ტიპის სეისმოგრაფი. დადგინდა მისი მათემატიკური მოდელი არაწრფივი დინამიკის მეთოდების საშუალებით და შემდეგ მოხდა გაზომილი ინფორმაციის შეკუმშვა და აღდგენა. მიწისძვრის პროცესის პროგნოზირება ფრაქტალების თეორიის საშუალებით.</p> <p>2. ნაშრომში განხილულია გლობალური ოპტიმიზაციის მეთოდები, როგორცაა Ψ-გარდაქმნის მეთოდი, სიმძიმის ცენტრების მეთოდი და ექსტრემუმის ძებნის სხვადასხვა კომბინირებული მეთოდები. აღნიშნული მეთოდების ეფექტურობის შესაფასებლად ტესტურ ფუნქციებზე ჩატარებულია გამოთვლითი ექსპერიმენტები და გაანალიზებულია მიღებული შედეგები.</p> <p>3. მონოგრაფიაში განხილულია სინერგეტიკის მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა ეკონომიკური პროცესების კვლევაში. თვითორგანიზება ეკონომიკურ სისტემებში მიმდინარეობს იმ მეთოდების მიხედვით, რომლებიც მონოგრაფიაში დეტალურად არის აღწერილი. ასეთი მიდგომა იძლევა ეკონომიკური პროცესების პროგნოზირებისა და იმ პირობების დადგენის საშუალებებს, რათა გვერდი ავუაროთ სისტემის განვითარების არასასურველ სცენარებს და მივუახლოვდეთ სასურველს. მოყვანილია კატასტროფების თეორიის გამოყენების პრაქტიკული მაგალითები. მეცნიერებაში სინერგეტიკას უწოდებენ XXI საუკუნის პარადიგმას.</p>				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ბ. შანშიაშვილი, ნ. მჭედლიშვილი	სისტემების იდენტიფიკაცია და მოდელირება MATLAB-ის გამოყენებით	თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი. 2013	157
2	ი. დავითაშვილი	დაპროგრამების ალგორითმული	საქ. ტექნიკური უნივერსიტეტი,	182

		ენა C#	თბილისი, 2013	
3	ნ. მჭედლიშვილი, ი. დავითაშვილი	იმიტაციური მოდელირების სისტემები	ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2013	107
4	ქ. კოტრიკაძე, ო. კოტრიკაძე	მართვის სისტემების ელემენტები და მოწყობილობები, ტესტირების ნიმუშები, მეთოდური მითითებანი	თბილისი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ISBN 978-9941-20-255-1,	76
5	ქ. კოტრიკაძე, ო. კოტრიკაძე	ელქტრული წრედები, ნაწილი I, დამხმარე სახელმძღვანელო	თბილისი, ISBN 978-9941-0-5659-8 (ორივე ნაწილის), ISBN 978-9941-0-5660- 4 (პირველი ნაწილის)	195
6	ლელა გაჩეჩილაძე	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (ალგორითმული ენა C++).	საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა თბილისი 2013	174
7	ზურაბ წვერაიძე, ლელა გაჩეჩილაძე, ლია ნონიკაშვილი	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (ალგორითმული ენა Visual Basic) II ნაწილი მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად.	სტუ თბილისი 2013	67
8	ლელა გაჩეჩილაძე, ლია ნონიკაშვილი	დაპროგრამების საფუძვლები (ალგორითმული ენა C++). I ნაწილი მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად.	თბილისი 2013	101
9	ნ. მაღლაკელიძე	მიკროპროცესორების გამოყენება ავტომატური მართვის სისტემებში.	საქ. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2013	17
10	ნ. მაღლაკელიძე	მენეჯმენტისა და მარკეტინგის საფუძვლები.	საქ. ტექნიკური უნივერსიტეტი,	25

			თბილისი, 2013	
11	ნ. მჭედლიშვილი, თ. ხუციშვილი, ი. ღაგითაშვილი	მოდელირების ინსტრუმენტული საშუალება MATLAB/SIMULINK	საქ. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2013	138
12	თ. ობგაძე	მათემატიკური მოდელირების კურსი(დინამიკური სისტემები და ქაოსი), ტომი 6	სტუ	200
13	გ. ჭიკაძე, ა. ედიბერიძე, ვ.სესაძე.	პროგრამირება EXCEL გარემოში VBA(პირველი ნაწილი)	თბილისი, 2013	216
14	ნ. ფაილოძე, ჯ. ალანია, ზ. ლიპარტია, ვ. კეკელიძე, ო. ხუციშვილი	საბუღალტრო საქმე, მესამე გამოცემა, (თეორია, ფინანსური აღრიცხვა)	სტუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2013წ.	354
15	ჯემალ გრიგალაშვილი	სასმელებისა და პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციის შესახებ, ტომი 1, (გადამწოდები და შემსრულებელი მოწყობილობები).	სტუ, 2013 წ.	161
16	ჯემალ გრიგალაშვილი	სასმელებისა და პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციის შესახებ, ტომი 2, (პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერები და მათი დაპროგრამების საფუძვლები)	სტუ, 2013 წ.	192
17	ჯემალ გრიგალაშვილი	სასმელებისა და პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციის შესახებ, ტომი 3, (სამრეწველო ქსელები)	სტუ, 2013 წ.	131
<p>1. განხილულია მართვის თეორიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების - სისტემების იდენტიფიკაციის ძირითადი ცნებები და ამოცანები, მოდელის ტიპები და მათი აგების ხერხები, და ასევე სისტემების იდენტიფიკაციის სხვა ზოგადი საკითხები. მოყვანილია MATLAB-ის პაკეტის System Identification Toolbox-ის მოკლე დახასიათება. განიხილება გამოყენებული მოდელის ტიპები, შეფასების მეთოდები. წარმოდგენილია 18</p>				

- ლაბორატორიული ამოცანა მეთოდური მითითებებითა და დავალებებით. ამოცანები დაფუძნებულია MATLAB-ის პაკეტის, კერძოდ System Identification Toolbox-ის გრაფიკული ინტერფეისისა და Simulink პაკეტის გამოყენებაზე.
2. განხილულია ობიექტზე-ორიენტირებული დაპროგრამების ენა C#-ის ძირითადი პრინციპების მადემონსტრირებელი ამოცანები და შესაბამისი პროგრამები. თემატურ შესაბამისობაშია საგნის “დაპროგრამების ალგორითმული ენა C# “ სილაბუსთან. მოიცავს 15 ლაბორატორიულ სამუშაოს მეთოდური მითითებებითა და დავალებებით.
 3. მოცემულია 15 ლაბორატორიული სამუშაო. განხილულია იმიტაციური მოდელირების სისტემები: Matchad, Matlab, Simulink.
 4. განხილულია ავტომატური მართვისა და კონტროლის სისტემების განზოგადებული ფუნქციური სქემა და მისი აგების პრინციპები; აღწერილია ფუნქციური სქემის შედგენისთვის აუცილებელი ზოგიერთი ელემენტის დანიშნულება, მუშაობის პრინციპი; მოცემულია ტესტირების ნიმუშები, სხვადასხვა სახის ავტომატური მართვის და რეგულირების სისტემების ფუნქციური სქემების მაგალითების სახით.
 5. დამხმარე სახელმძღვანელო ”ელექტრული წრედები”, ნაწილი I განკუთვნილია თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის დისციპლინაში „ელექტრული წრედები“. სახელმძღვანელოში მოცემულია ელექტრული წრედების ანგარიშის მეთოდები; თითოეული პარაგრაფის ბოლოს განხილულია შესაბამისი ამოცანების ამოხსნა; მათი ძირითადი ნაწილი შედგენილია ავტორთა მიერ, ხოლო ნაწილი - აღებულია ლიტერატურიდან.
 6. ნაშრომში განხილულია ალგორითმულ ენა C++-ზე ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების ძირითადი პრინციპები და მათი გამოსახვის სხვადასხვა საშუალებები, კერძოდ, მომხმარებლის მიერ შექმნილი სტრუქტურები და კლასები, კლასების რეალიზაციის დაფარვის შესაძლებლობები, კომპოზიციის ელემენტები, მეხსიერების დინამიური დანაწილების საშუალებები, მემკვიდრეობითობის საკითხები საბაზო და წარმოებულ კლასებში, ვირტუალური ფუნქციები, პოლიმორფიზმი და სხვ.
 7. ნაშრომში განხილულია 15 ლაბორატორიული სამუშაოს შესრულების მეთოდიკა. ყოველი სამუშაოსთვის აღწერილია გრაფიკული ინტერფეისის დამუშავების, პროგრამული კოდის ჩაწერისა და Visual Basic (VB) –პროექტის შესრულების პროცედურები.
 8. ნაშრომში განხილულია 15 ლაბორატორიული სამუშაოს შესრულების მეთოდიკა. ყოველი სამუშაოსთვის აღწერილია პროგრამული კოდის ჩაწერისა და C++ პროექტის შესრულების პროცედურები.
 9. განხილულია მიკროპროცესორების გამოყენების სფეროები: დოზირების ავტომატური მართვის სისტემების დაპროექტება მიკროპროცესორების გამოყენებით. აირის ხარჯის გაზომვა ანალოგური გამზომი მოწყობილობებით და აირის ხარჯის გაზომვა მიკროპროცესორების გამოყენებით.
 10. განხილულია მარკეტინგის არსი, როლი, ფუნქციები და კონცეფციები. საჭიროებათა იერარქიის სქემა, ბაზრის სეგმენტაციის ვარიანტები, მარკეტინგის კომპლექსი, მომსახურება და მისი მახასიათებლები, სადისტრიბუციო არხები, ფასწარმოქმნის მეთოდები, მარკეტინგული კომუნიკაციები და კონკურენტების ანალიზი.
 11. განხილულია მოდელირების მძლავრი ინსტრუმენტული საშუალება - სისტემა Matlab/Simulink, მისი ზოგიერთი შესაძლებლობა: ელემენტარული გამოთვლები, ოპერატორები და ფუნქციები, ოპერაციები ვექტორებსა და მატრიცებზე, წრფივი ალგებრის და პოლინომებთან მუშაობის ოპერაციები, გრაფიკა, ოპტიმიზაციის ამოცანების გადაწყვეტის და აპროქსიმაციის საშუალებები. განხილულია სისტემის გაფართოება Simulink-ი.
 12. ნაშრომი მიძღვნილია თანამედროვე წრფივი სისტემების თეორიისა და ქაოსის შესწავლის რთული პრობლემებისადმი. მასში განხილულია არაწრფივი დიფერენციალუ-

- რი განტოლებების განსაკუთრებული წერტილების გამოკვლევისა და კლასიფიკაციის ამოცანები.
13. დამხმარე სახელმძღვანელოში ეძღვნება Microsoft ფირმის ფართოდ გავრცელებული პროგრამული პროდუქტის MS Office -ის ათვისებას. წარმოდგენილ სახელმძღვანელოში განხილულია MS Office-ის გარემოში ობიექტზე ორიენტირებული, პროგრამირების ენა Visual Basic for Application (VBA).
 14. სახელმძღვანელოში ჩამოყალიბებულია ბუღალტრული აღრიცხვის თეორიის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე სააღრიცხვო პოლიტიკის ფორმირების ფუძემდებლური პრინციპები, ფინანსურ მენეჯმენტში ეკონომიკური ინფორმაციების მოპოვების, დამუშავებისა და ანალიზის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტები.
 - 15-17. სახელმძღვანელოებში განიხილება Siemens-ის კომპანიის კომპლექსური ავტომატიზაციის (TIA (Totally Integrated Automation) კონცეფციაზე დამყარებული პროგრამულ-ტექნიკური გადაწყვეტილებები, დაწყებული საველე დონიდან დამთავრებული განაწილებულ SCADA სისტემებამდე. აღნიშნული კონცეფცია შესაძლებლობას იძლევა შეიქმნას ნებისმიერი დანიშნულებისა და ნებისმიერი სირთულის ხარისხის მქონე მართვის სისტემები სტანდარტული კომპონენტების ბაზაზე. სახელმძღვანელოები ძირითადად ეხება საქართველოს საწარმოებში, ისეთებში როგორცაა: უდკოპოლო და ადკოპოლოური სასმელების, აგრეთვე საკონსერვო, რძის და სხვ. საწარმოებში ფართოდ დანერგილ პროგრამირებად ლოგიკურ კონტროლერებს, მათთან მიერთებულ სხვადასხვა ტიპის გადამწოდებსა და შემსრულებელ მექანიზმებს, სხვადასხვა ტიპის სამრეწველო ქსელებს, დაპროგრამირების ენებსა და დაპროგრამირების ინსტრუმენტალურ საშუალებებს. მთავარი ყურადღება ექცევა Siemens-ის კომპანიის SIMATIC 300/400 ტიპის კონტროლერებსა და მათი დაპროგრამირების საშუალებებს Step 7-ს.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ჯემალ გრიგალაშვილი და სტუდენტთა ჯგუფი	პრაქტიკული ელექტრონული მოწყობილობები თანამედროვე ავტომატიკაში	სტუ, 2013 წ.	390
2	ჯემალ გრიგალაშვილი	ლექციათა კონსპექტი	სტუ, 2013 წ.	154 გვ.
<p>1. ნაშრომის “პრაქტიკული ელექტრონული მოწყობილობები თანამედროვე ავტომატიკაში” მთავარი ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ იგი შედგენილია მართვისა და ავტომატიზაციის დეპარტამენტის დაბალი საფეხურის (უმაღლესი პროფესიონალური და საბაკალავრო) საფეხურების სტუდენტების აქტიური მონაწილეობით. ისე, რომ ამ წიგნის თანაავტორებად გვევლინება 80 სხვადასხვა სტუდენტი. თანაავტორობა გამომდინარეობდა იმაში, რომ სტუდენტს ეძლეოდა</p>				

დავალება თემის სახელწოდების სახით და ლიტერატურის დასახელება უცხო ენაზე. დავალება უნდა შეხებოდეს თანამედროვე ავტომატიკის არც თუ ისე რთულ ტექნიკურ საშუალებებს. სტუდენტი მოვალე იყო დაემუშაებინა ეს თემა და წარმოედგინა იგი მოხსენების სახით აუდიტორიის წინაშე. ამის შემდეგ, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა რეალურად უნდა აეწყო ეს სქემა და მოეხდინა მისი დემონსტრირება.

2. ნაშრომში “ლექციათა კონსპექტი” შეტანილია ავტორის მიერ ბოლო წლებში ნათარგმნი სამუშაოები ელექტრონიკაში, დიაგნოსტიკასა და მომსახურებაში, არამკაფიო ტექნოლოგიებში, კომპიუტერების არქიტექტურაში.

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Shanshiashvili B., Salukvadze M.	Model validation at identification of one class of nonstationary systems. . Archil .Eliashvili Institute of control systems. Georgian Technical University. Proceedings.	17, 2013.	Tbilisi.	7.
2	გ. ბელთაძე, ვ. ბელთაძე.	პროკურორის საპროცესო გადაწყვეტილების სამართლიანობის და ეფექტურობის მოდელირების შესახებ. საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი “ინტელექტი”.	№ 1(45), 2013.	თბილისი, საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდი “ინტელექტი”.	5
3	გ. ბელთაძე, ნ. ჯიბლაძე.	საკონკურსო ამოცანის გადაწყვეტა ბუნების წინააღმდეგ თამაშის მოდელის ანალიზით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, შრომები, მართვის ავტომატიზებული სისტემები.	№ 1(14), 2013.	თბილისი, “ტექნიკური უნივერსიტეტი”.	14
4	ირმა კუცია, ვლადიმერ კეკელიძე	სპექტრის გრძელპერიოდური ნაწილში რხევების სეისმური	(N4 2013)	თბილისი, სტუ	4

		კვლევა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, შრომები, მართვის ავტომატიზებული სისტემები.			
5	ქ. კოტრიკაძე, ო. კოტრიკაძე	„იმპულსური ავტომატური რეგულირების სისტემის მდგრადობის ანალიზი და სინთეზი ფესვური ჰოლოგრაფებით“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, შრომები, მართვის ავტომატიზებული სისტემები.	No 1 (14),	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ISSN 1512-3979, თბილისი	5
6	ლელა გაჩეჩილაძე, ლია ნონიკაშვილი	კლასის ინტერფეისის გამოყოფა რეალიზაციისგან. Georgian Engineering News (GEN) LTD.	No.2 (vol. 66)	თბილისი, სტუ 2013	2
7	ლელა გაჩეჩილაძე, ნანა კურკუმული, სოფიო ბარნოვი, ლია ნონიკაშვილი	საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრა. შრომები. მართვის ავტომატი-ზირებული სისტემები.	2(15)	თბილისი, სტუ 2013	5
8	ნ. მაღლაკელიძე, ბ. ჭიკაძე, ვ. კეკელიძე.	არაწრფივი აგრეგირებული რეგულატორების ანალიზური კონსტრუირების განზოგადოებული მეთოდი. შრომები მართვის ავტომატიზებული სისტემები.	2(15)	“ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბილისი, 2013	5
9	ნ. მჭედლიშვილი, ს. ხუციშვილი, ბ. ამილახვარი	სარეალიზაციო ფასის ოპტიმიზაციის ამოცანა კორელაციურ- რეგრესიული ანალიზის და MATLAB-ის ბაზაზე. შრომები მართვის ავტომატიზებული სისტემები.	1(14)	“ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბილისი, 2013	6
10	ვ. ასკურავა, ნ. ჯიბლაძე	სტატიკური ოპტიმიზაციის მეთოდების ექსპერიმენტული შეფასების შესახებ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. შრომები.	4(17), 2013	თბილისი, სტუ	6

		მართვის ავტომატიზებული სისტემები.			
11	ნ. ნარიმანაშვილი	მართვადობის პრობლემა განაწილებულპარამეტრებიან სისტემებში. შრომები. მართვის ავტომატიზებული სისტემები.	№1 (14)	თბილისი, სტუ 2013	5
12	პაატა ჯოხაძე, ვასილ კუციავა	ჰიდრო-ელექტრო სადგურების მართვის თანამედროვე სისტემა. მე-2 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: “ენერგეტიკა, რეგიონალური პრობლემები და განვითარების პერსპექტივები”. მოხსენებათა კრებული.		ქუთაისი, საქართველო 2013	4
13		GEORGIAN ENGINEERING NEWS	No.2(vol.66), 2013	GFID GEN LTD Tbilisi. Georgia.	5
14			2(15)	, 2013	6
15			3(16)	, 2013	6
16	ა. ედიბერიძე, ო. ქართველიშვილი, ვ. სესაძე.	უნივერსიტეტის თანამშრომლობა წარმოებასთან – მიღებული გამოცდილებიდან სტრატეგიის დამუშავებამდე. ბიზნეს-ინჟინერინგი, შრომები.	2 (vol.66), 2013.	სტუ, თბილისი	6

17	ს. დადუნაშვილი, ვ. კეკელიძე, ვ. სესიაძე.	ჩაშენებული კვანძები მონაცემთა შეგროვებისა და მართვის სისტემებისათვის. Georgian Engineering News.	2 (vol.66), 2013.	თბილისი, 2013	5
18	გ. დალაქიშვილი, გ. ჭიკაძე, ვ. კეკელიძე, ვ. სესიაძე.	ენერგოსისტემებში სინქრონიზებული მართვა სინერგეტიკის მეთოდების გამოყენებით. სტუ-ს შრომები, მართვის ავტომატიზებული სისტემები.	№ 2(15).	თბილისი, 2013	4
19	ვ. კუციავა, გ. გოგოლაძე	ცვლად პარამეტრებიანი დაშიფრის RSA კრიპტოსისტემა. შრომები, მართვის ავტომატიზებული სისტემები.	№ 2(15).	“ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბილისი, 2013	5

1. განხილულია წრფივი არასტაციონალური დინამიკური სისტემების მოდელის დადასტურების საკითხი მეორე რიგის სისტემების იდენტიფიკაციის მაგალითზე. პარამეტრული იდენტიფიკაციის ამოცანა დასმულია როგორც წრფივი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებების კომის ამოცანის გარკვეული აზრით შებრუნებული ამოცანა. ნაჩვენებია, რომ სისტემას შესავალ და გამოსავალი ცვლადების შესახებ არსებული ზუსტი ინფორმაციის არსებობისას აგებული მოდელის გამოსავალი სიგნალები ემთხვევა სისტემის გამოსავალ სიგნალებს მათ შესავალებზე ერთი და იგივე სიგნალების მიწოდებისას.

2. სტატიაში შემოთავაზებული გადაწყვეტილების მიღების კონცეფცია გულისხმობს მის გამოყენებას საპროცესო სამართლის გარკვეულ სტადიაზე კონკრეტული საკითხის გადაწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დახასიათებისათვის. განსაზღვრულია წინასწარი გამოძიების სტადიაზე პროკურორის სამართლიანი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების თამაშის მათემატიკური მოდელი. იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს ცალკეული გადაწყვეტილების მიღებისათვის იმ საპროცესო პროცედურასთან დაკავშირებით, რომელშიც წარმოებს გადაწყვეტილების ფაქტიური საფუძვლების დადგენა და მის მიმართ სისხლის საპროცესო სამართლებრივი ნორმების გამოყენება.

3. ჩამოყალიბებულია საკონკურსო ამოცანა ზოგადი სახით, რომელიც წარმოდგენილია ბუნების წინააღმდეგ მატრიცული თამაშის მოდელის სახით. მოდელის ანალიზისათვის პირველად გამოყენებულია გადაწყვეტილების მიმღები პირის - აქტიური A მოთამაშის ოპტიმალურობის მაქსიმინის პრინციპი შერეული სტრატეგიებით. აღნიშნული პრინციპით ვპოულობთ თამაშის ოპტიმალურ ამონახსნს, რომელიც ყოველთვის არსებობს. ოპტიმალური ამონახსნის დახმარებით გამოითვლება კონკურსის მონაწილე $S = \{a_1, \dots, a_m\}$ კანდიდატთა მოსალოდნელი საშუალო შეფასებები $u(a_i)$, $i = 1, \dots, m$ და მათი საშუალებით განისაზღვრება მოსალოდნელი საშუალო შეფასების კრიტერიუმი $a_i \succ a_k \Leftrightarrow u(a_i) \geq u(a_k)$. კრიტერიუმის გამოყენებით ვახდენთ კანდიდატთა

რანჟირებას.

4. სტატიაში განიხილება შესაძლებლობა, დაბალი სიხშირის რხევების რეგისტრაციისა, რომელიც შესაძლოა არსებობენ მიკროსეისმურ ფონზე მიწისძვრის წინ. დედამიწის ნაწილის ქერქის გადასვლისას მეტასტაბილურ მდგომარეობაში, მისთვის დამახასიათებელია რხევა.
5. ნაშრომში მოცემულია იმპულსური ავტომატური რეგულირების სისტემის მდგრადობის ანალიზი ფესვური პოდოგრაფებით. კერძო მაგალითზე ნაჩვენებია სისტემის გადაცემის კოეფიციენტის ზღვრული მნიშვნელობის გამოთვლის შესაძლებლობა; მითითებულია სისტემის პარამეტრების ისეთი მნიშვნელობები, როცა სისტემა სტრუქტურულად არამდგრადია.
6. ნაშრომში წარმოდგენილია ობიექტზე ორიენტირებულ დაპროგრამების ენა C++-ში კლასის ინტერფეისის მისი რეალიზაციისაგან გამოყოფის (ინკაფსულაციის) მარტივი მეთოდი, რომელიც კომპიუტერული დროის მინიმალური დანახარჯებითა და კომპიუტერის ოპერა-ტიული მეხსიერების ეკონომიის გზით გვაძლევს სასურველ შედეგს.
7. ნაშრომში დასმული და გადაწყვეტილია საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის მათემატიკური მოდელის შემუშავებისა და მისი ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრის ამოცანა.
8. ნაშრომში განხილულია ჩაკეტილი ოპტიმალური დისიპატიური მართვის სისტემების სინთეზი, კერძოდ ოპტიმალური რეგულატორების ანალიზური კონსტრუირების პრობლემის გადაწყვეტა სინერგეტიკული მეთოდების გამოყენებით. ნაჩვენებია, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტისას დამოუკიდებელ პრობლემას წარმომადგენს შესაბამისი ხარისხის კრიტერიუმის ფორმირება.
9. განხილულია მომხმარებლის გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების კირელაციურ-რეგრესიული ანალიზი და აგებულია მოთხოვნის ერთფაქტორიანი რეგრესიული მოდელი. ამოხსნილია ფასის ოპტიმიზაციის ამოცანა. მოდელირების და გამოთვლების მთლიანი პროცესი რეალიზებულია პროგრამა MATLAB-ის საშუალებით.
10. სტატია ეხება ოპტიმიზაციის პრობლემატიკას, კერძოდ, ნაშრომში განხილულია სტატიკური ოპტიმიზაციის მეთოდების ტესტურ ფუნქციებზე სწრაფქმედების მიხედვით ექსპერიმენტული შეფასების ტექნოლოგია. ერთმანეთს შედარებულია სტატიკური ოპტიმიზაციის რვა მეთოდი.
11. დასმულია განაწილებულპარამეტრებიანი სისტემების მართვადობის ამოცანა. ფორმულირებულია ასეთი სისტემების მართვადობის აუცილებელი პირობები, სისტემაზე მართვის და შემფოთების ერთდროული ადიტიური ზემოქმედების პირობებში.
12. განხილულია სტუ-ს თანამშრომლების მონაწილეობით შემუშავებული ჰიდრო-ელექტრო სადგურების აგრეგატების მართვისთანამედროვე სისტემები, რომელთა აგებისას ფართოდ გამოიყენება საყოველთაოდ აღიარებული თანამედროვე კონტროლერები, ინდუსტრიული კომპიუტერები და ინფორმაციული ტექნოლოგიები.
13. განხილულია კრიპტოგრაფიული ალგორითმი, რომელშიც გამოყენებულია ბიტების გადაადგილების და განთავსების ორიგინალური პრინციპი. ალგორითმი სიმეტრიულია და მას შეუძლია 1024 ბიტის სიგრძის მონაცემებისბლოკების დაშიფვრა. ამასთან,

- პირველი 16 ბიტის დაშიფვრა სრულდება გარკვეული ალგორითმის მისედევი შერჩეული საიდუმლო საწყისი გასაღებით, ხოლო შემდეგი გასაღებების ფორმირება ხდება დაშიფრული მონაცემების გამოყენებით. წარმოდგენილი ალგორითმი ხასიათდება საიმედო კრიპტოგრაფიული მედეგობით და მაღალი სწრაფქმედებით.
14. ნაშრომში აგებულია სამშენებლო კომპანიის ღირებულების დროში ცვლილების მათემატიკური მოდელი ფრანგიშვილი-ობგაძის მიდგომის ბაზაზე, რაც საშუალებას იძლევა თვალი მივადევნოთ მოცემული კომპანიის ღირებულების დინამიკას და ვაწარმოთ პროცესის ოპტიმალური მართვის ღონისძიებანი.
 15. ნაშრომში აგებულია ქარის ტურბულენტური ნაკადის მათემატიკური მოდელი და მოცემულია ალგორითმი რვაჩოვ-ობგაძის RO-ფუნქციის მეთოდზე დაყრდნობით საინჟინრო ნაგებობებზე დატვირთვების გამოსაანგარიშებლად, ნაგებობათა რთული გეომეტრიული კონსტრუქციის გათვალისწინებით.
 16. Tempus-ის პროექტი Cap4Com შეიქმნა, იმისათვის რათა შეუსაბამოს განათლების სისტემა საბაზრო ეკონომიკისა და საზოგადოების მოთხოვნებს, რაც საშუალებას მოგვცემს დამყარდეს პარტნიორული ურთიერთობა უნივერსიტეტებსა და სხვადასხვა საწარმოებსა და ბიზნესის ფართო სპექტრს შორის.
 17. ნაშრომი ეძღვნება ჩაშენებული კვანძების გამოყენების საკითხებს მონაცემთა შეგროვებისა და მართვის სისტემებისათვის.
 18. ნაშრომში განხილულია ენერგოსისტემებში სინქრონიზებადი მართვის პროცესები სინერგეტიკის მეთოდების გამოყენებით.
 19. განხილულია კორპორაციულ ქსელში გადაცემული ინფორმაციის დაცვის ორგანიზება RSA კრიპტოსისტემის ისეთი ალგორითმით, რომელშიც დაშიფვრის და გაშიფვრის პროცედურების შესრულებისას გამოიყენება ცვლადი პარამეტრები, ამასთან, კორპორაციული ქსელის კავშირის ხაზში არ გადაიცემა პროცედურებში მონაწილე არცერთი პარამეტრის ნამდვილი მნიშვნელობა და იდენტური ინფორმაციული სიმბოლოების დაშიფვრისას მიიღება შიფრტექსტი განსხვავებული გამოსახულებებით.

უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	I. Gorgidze, T. Lominadze, A. Prangishvili, V. Burjanadze, Z. Gasitashvili, D. Gorgidze,	System Thinking in the Control of Organizational and Technical Problems	New York, Nova Science Publishens, Inc.	230

	S. Khutsishvili			
1.	<p>მონოგრაფია წარმოადგენს მართვის ორგანიზაციული და ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტაში სისტემური მიდგომის მეთოდების გამოყენების საკითხებს. განხილულია სისტემური მიდგომის კონცეფცია და ძირითადი პრინციპები, რომელთა პრაქტიკული გამოყენებასრულყოფილს ხდის ორგანიზაციული და ტექნიკური სახის პრობლემების კვლევის მეთოდებს. მნიშვნელოვანია ასეთი სისტემების მართვის მექანიზმების ანალიზის და სინთეზის ამოცანების სისტემური დამუშავება და კვლევა. წარმოდგენილია მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების ფუნქციონალური და ადაპტური სახეები და გაანალიზებულია მათი გამოყენების პრაქტიკული მიმართულებები. ასევე განხილულია კორპორატიულ სისტემებში მართვის სხვადასხვა ფუნქციის (დაგეგმვა, სტიმულირება, კორდინაცია და ა.შ.) სინთეზის ოპტიმიზაციის ამოცანები და მათი გადაწყვეტის მეთოდები.</p>			

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Mindia Salukvadze, Besarion Shanshiashvili	Identification of nonlinear Continuous Dynamic Systems with Closed Cycle. International Journal of Information Technology & Decision making.	Vol. 12, No. 2, March 2013,	Singapore, Stallion Press.	21
2	G. N. Beltadze.	Lexicographic Bimatrix Game's Mixed Extension with Criteria. Several Problems of Applied Mathematics end Mechanics. Mathematics Research Developments Dedicated to the 105 th Birth Anniversary of Professor Alexi Gorgidze. Editors Ivane Gorgidze and Tamar Lominadze.	15-apr-2013.	USA, New York, Nowa Science Publishers.	7
3	G.N. Beltadze.	Foundations of Lexicographic Cooperative Game Theory. International Journal of Modern Education and Computer Science.	Volume 5, Number 3, April 2013	Hong Kong, MECS (Modern Education and Computer Science Publishers).	8

4	G.N. Beltadze.	Lexicographic Strategic Games' Nonstandard Analysis. International Journal of Intelligent Systems and Applications.	Volume 5, Number 7, June 2013.	Hong Kong, MECS (Modern Education and Computer Science Publishers).	9
5	Manana Janiashvili, Nodar Jibladze, Teimuraz Matcharashvili, Alexander Topchishvili.	Comparison of statistical and distributional characteristics of blood pressure and heart rate variation of patients with different blood pressure categories. Model Assisted Statistics and Applications.	8, 2013.	Amsterdam,	7
6	Robert Gogsadze, Archil Prangishvili, Paata Kervalishvili, Rafael Chikovani, Vakhtang Gogichashvili, Nodar Jibladze.	Formulation and solution of the boundary value problem of viscous liquid flow in a nanotube taking external friction into account. Nanotechnology Perceptions.	Vol. 9 Num. 1, March 2013.	Basel, Switzerland.	13
7	Teimuraz Matcharashvili, Nodar Jibladze, Zurab Tsveraidze, Tamar Matcharashvili.	The US Dollar/Georgian Lari exchange rate variation, Proc. of Management Innovation and Business Innovation International Conference 2013, In Lecture Notes in Management Sciences, vol. 15. 2013, Published by Singapore Management and Sports Science Institute, Singapore.	vol. 15. 2013,	Singapore. Published by Singapore Management and Sports Science Institute.	6
8	Javakhadze G, Gorgidze D, Burjanadze V. Khutcishvili S.	Planning problems production and design works.	Computer Science, Technology and Applications.	New York, Nova Science Publishers, Inc.	7

1. განხილულია ჩაკეტილით ციკლით მომუშავე არაწრფივი დინამიკური სისტემების სტრუქტურული და პარამეტრული იდენტიფიკაციის ამოცანები უკუკავშირიანი უწყვეტი ბლოკურად-ორიენტირებული მოდელების სიმრავლეზე. სტრუქტურული იდენტიფიკაციის მეთოდი დამყარებულ რეჟიმში დამუშავებულია სისტემის შესავალი პერიოდული ზემოქმედებისას. პარამეტრული იდენტიფიკაციის ამოცანა დაყარებულ და გარდამავალ რეჟიმებში გადაწყვეტილია უმცირესი კვადრატების მეთოდის გამოყენებით. სტრუქტურული და პარამეტრული იდენტიფიკაციის ალგორითმები გამოკვლეულია როგორც თეორიული, ისე კომპიუტერული მოდელირების საშუალებით.
2. მოცემულ ნაშრომში სასრული განზომილების ლექსიკოგრაფიული ბიმატრიცული

$\Gamma = (\Gamma^1, \dots, \Gamma^r)$ თამაშისათვის განიხილება შერეული გაფართოების ახალი ცნება. ასეთ გაფართოებაში მოთამაშეები ირჩევენ Γ თამაშის $\Gamma^1, \dots, \Gamma^r$ კომპონენტებს მოცემული ალბათური განაწილებებით ასეთი სკალარული თამაშების – კრიტერიუმების სიმრავლეზე. ახალ ლექსიკოგრაფიულ თამაშში შემოტანილია აგრეთვე ახალი ცნებები სიტუაციის, სიტუაციის შეთანხმებულ სტრატეგიებში, უპირატესობების დადებითი წონებით წონასწორობის სიტუაციის და მტკიცდება ლექსიკოგრაფიულ ბიმატრიცულ თამაშში ასეთი წონასწორული სიტუაციის არსებობის პირობები.

3. სტატიაში მოთამაშეთა $N = \{1, 2, \dots, n\}$ სიმრავლისათვის განსაზღვრულია m განზომილების ლექსიკოგრაფიული არაკოოპერატიული თამაშები $\Gamma^L = (\Gamma^1, \dots, \Gamma^m)$, რომელთათვისაც არსებობს მახასიათებელი ფუნქცია $v = (v^1, v^2, \dots, v^m)^T$. დადგენილია v ფუნქციის ზოგიერთი ძირითადი თვისება ლექსიკოგრაფიულ შემთხვევაში. ლექსიკოგრაფიული კოოპერატიული თამაშში ეწოდება წყვილს $\langle N, v \rangle$, სადაც v ნამდვილი ვექტორ-ფუნქციაა N -ის ქვესიმრავლეებზე და აკმაყოფილებს პირობებს: $v(\emptyset) = \mathbf{0}$; $v(T \cup S) \geq^L v(T) + v(S)$, $T, S \subseteq N$, $T \cap S = \emptyset$. ასეთი კოოპერატიული თამაშში აღნიშნულია $v = (v^1, v^2, \dots, v^m)^T$ -ით. განსაზღვრულია v თამაშში განაწილება X და მისი სიმრავლე $E(v)$. დამტკიცებულია, რომ $E(v)$ არაცარიელია და აღწერილია მისი დახასიათება. განსაზღვრულია $E(v)$ სიმრავლეზე დომინირება. ამრიგად შემოტანილია ძირითადი საფუძვლები, რომლის საფუძველზე შესაძლებელია ლექსიკოგრაფიულ კოოპერატიულ თამაშებში შესწავლილი იქნეს ოპტიმალობის ძირითადი პრინციპები.

4. m -განზომილებიანი ლექსიკოგრაფიული არაკოოპერატიული $\Gamma = (\Gamma^0, \Gamma^1, \dots, \Gamma^{m-1})$ თამაშისათვის შემოტანილია მოთამაშის ახალი შერეული სტრატეგიის ცნება, როცა წმინდა სტრატეგიების სიმრავლეზე მოცემულია m -განზომილებიანი ალბათური განაწილებები. ამ შემთხვევაში Γ თამაშის თითოეულ Γ^k ($k = 0, 1, \dots, m-1$) კრიტერიუმს შეესაბამება თავისი ალბათური განაწილებები მოთამაშეთა წმინდა სტრატეგიების სიმრავლეებზე და m -განზომილებიან ალბათურ განაწილებათა სიმრავლეზე მოცემულია ლექსიკოგრაფიული უპირატესობების რიგი. აგებული კონსტრუქცია განხორციელებულია არასტანდარტული ანალიზის მეთოდოლოგიით, კერძოდ კი გიპერნამდვილი უსასრულო მცირე რიცხვების ანალიზით. ამის გამო ლექსიკოგრაფიულ თამაშს ასეთ სტრატეგიებში ეწოდება არასტანდარტული შერეული გაფართოება. განსაზღვრულია Γ თამაშის ასეთ გაფართოებაში წონასწორობის სიტუაცია. საფუძვლიანადაა შესწავლილი ლექსიკოგრაფიული მატრიცული თამაშების არასტანდარტული შერეული გაფართოება. დამტკიცებულია ასეთ თამაშებში უნაგირა წერტილის არსებობის აუცილებელი და სამარისი პირობები. განხილული მაგალითები მოწმობს, რომ არასტანდარტული შერეული გაფართოება წარმოადგენს სტანდარტული შერეული გაფართოების განზოგადებას.

5. ნაშრომი ეძღვნება არტერიალური წნევის ცვლილების თავისებურებების კვლევას არტერიული ჰიპერტენზიის მქონე პაციენტებში. ნაშრომში შესწავლილია სტატისტიკური მომენტები და განაწილებითი თავისებურებანი. ნაჩვენებია, რომ

- გაიდლაინის სხვადასხვა კატეგორიის ჯგუფების პაციენტები სარწმუნოდ განსხვავდებიან არტერიული წნევის შესწავლილი მახასიათებლების მიხედვით.
6. სტატია ეხება თანამედროვე ნანოტექნოლოგიების პრობლემატიკას, კერძოდ, ნაშრომში ფორმულირებული და გადაწყვეტილია სასაზღვრო ამოცანა ნანომილაკში ბლანტი სითხის დინების მექანიზმისა გარე ხახუნის გათვალისწინებით.
 7. ნაშრომი ეძღვნება აშშ დოლარის მიმართ ქართული ლარის გაცვლითი კურსის ცვლილების დინამიკური თავისებურების შესწავლას. გამოყენებულია რეკურენტული რაოდენობრივი ანალიზის მეთოდი. ნაჩვენებია, რომ გაცვლითი კურსის დინამიკურ თავისებურებებზე გავლენა მოახდინეს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა.
 8. ნაშრომში წარმოდგენილია პროდუქციის წარმოების და დაგეგმვის ამოცანა, რომელიც წარმოადგენს წრფივი პროგრამირების მნიშვნელოვან ამოცანას, თუმცა მისი გადაწყვეტა შესაძლებელია დიქტომიური პროგრამირების მეთოდის გამოყენებითაც. კერძოდ განიხილება სამუშაოების განაწილების ოპტიმიზაციის ამოცანა, რომელმაც უნდა მოგვცეს მაქსი-მალური მოგება. ამოცანის გადაწყვეტა ხდება დიქტომიური პროგრამირების მეთოდის გამოყენებით.

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ირმა კუცია, გიორგი სულაშვილი, ლევან ვაჩაძე	ფარმაცევტული ბაზრის თანამედროვე კონცეფციები და მათი გამოყენების პრობლემები.	თბილისი, სტუ. 2013
2	ოლღა ხუციშვილი, თეა ხუციშვილი, ლევან ვაჩაძე	ჯანდაცვის ბაზრის ანალიზი საქართველოში	პირველი საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია-IEC 2013. „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუმინ, დღეს და ხვალ“ 17-18 ოქტომბერი, 2013 წ. თბილისი
1. საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი სწრაფად ვითარდება და ყველა სექტორში			

სხვადასხვა ცვლილებებს განიცდის. მნიშვნელოვანია, რომ, განვითარების პროცესში, მეტი ყურადღება მიექცეს კონკურენციის ზრდასა და ხარისხის გარანტიების შექმნას. ფარმაცევტული ბაზრის ამჟამინდელი სტრუქტურა ქაოტური და არასტრუქტურირებული განვითარების შედეგია. ერთიანი, ცენტრალიზებული ბაზარი, რომელზეც მოთხოვნასა და მიწოდებას სახელმწიფო არეგულირებდა, არ შეუცვლია ისეთ სისტემას, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნებოდა განვითარების კონკრეტული ხედვა.

2. ჯანმრთელობის დაცვა სოციალური სფეროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. მისი განვითარება ნებისმიერი ხელისუფლების ზრუნვის ძირითადი საგანია. ცივილიზებულ საზოგადოებაში, ადამიანთა სოციალური მდგომარეობისა და მატერიალური უზრუნველყოფის დონის მიუხედავად, ჯანდაცვის მომსახურება ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ჯანმრთელობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინიციატივა, სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო სტრატეგიასთან, რომელიც მკაფიოდ აყალიბებს მთავრობის სტრატეგიულ მიზნებს ჯანდაცვის სფეროში და განსაზღვრავს ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელ პარამეტრებს.

უცხოეთში

№	მომსენებელი/ მომსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Alexander Sichinava, Olga Khutsishvili, Nino Pailodze, Tea Khutsishvili, George Sulashvili	Internationalisation Aspects in Higher Education	Prague Development Center, s.r.o.www.pradec.eu Praha 3, Zizkov, Czech Republic, 2013
2			- , 2013 .
3	Teimuraz Matcharashvili, Nodar Jibladze, Zurab Tsveraidze, Tamar Matcharashvili	Changes in scaling characteristics of the US Dollar/Georgian Lari exchange rate variation. Proc. of Management Innovation and Business Innovation International Conference 2013.	Singapore Management and Sports Science Institute, Singapore. April 21-22, 2013.

4	. . . , . . .		14 აგვისტო 2013წ. ” : “: XXVIII - ,
5	. . . , . . .		14 სექტემბერი 2013წ. XII - , «” XXI : » -
6	Olga Khutsishvili, Alexander Sichinava, Irma Kutsia, Nino Pailodze, Tea Khutsishvili, George Sulashvili	Internationalisation Aspects in Higher Education	Internationalisation in Higher Education: Evaluating concepts, challenges and strategies (IHE 2013). April 25-26, 2013. Prague, Czech Republic. Prague Development Center,
7		” , -

			<p style="text-align: right;">", 2013 . - ,</p>
<ol style="list-style-type: none"> 1. Internationalization in higher education and relations with other scholars offer important opportunities for co-operation among universities. Current paper briefly considers how these exchanges have recently been employed to broaden the basic scientific base at the institutions of higher education in Georgia. 2. , , , . 3. მოხსენება ეძღვნება აშშ დოლარის მიმართ ქართული ლარის გაცვლითი კურსის ცვლილების დინამიკური თავისებურების შესწავლას. გამოყენებულია რეკურენტული რაოდენობრივი ანალიზის მეთოდი. ნაჩვენებია, რომ გაცვლითი კურსის დინამიკურ თავისებურებებზე გავლენა მოახდინეს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა. 4. კონფერენციაზე მოხსენებულ იქნა ჩვენი ნაშრომის შედეგები, სადაც აგებულია სამშენებლო კომპანიის ღირებულების დროში ცვლილების მათემატიკური მოდელი ფრანგიშვილი-ობგაძის მიდგომის ბაზაზე, რაც საშუალებას იძლევა თვალი მივადევნოთ მოცემული კომპანიის ღირებულების დინამიკას და ვაწარმოთ პროცესის ოპტიმალური მართვის ღონისძიებანი. ნაშრომი გამოქვეყნდა კონფერენციის მასალებში. 5. კონფერენციაზე მოხსენებულ იქნა ჩვენი ნაშრომის შედეგები, რაც არის ნოვატორული, ემყარება ფრანგიშვილი-ობგაძის მიდგომას ეკონომიკური პროცესების მოდელირების პროცესებისათვის და საშუალებას იძლევა დინამიკაში განვიხილოთ სხვადასხვა ტიპის კომპანიის ღირებულების განმსაზღვრელი პარამეტრების ცვლილება და შესაბამისად, დავსახოთ ღირებულების ოპტიმალური მართვის ღონისძიებანი. 6. Internationalization of higher education has gained more importance in recent years with the purpose of improving the quality of education and promoting competitiveness of higher educational institutions. Internationalization covers the mobility of students and educational staff, joint educational programs, international cooperation within the limits of different research projects. 7. - , , , , , , , , , . 			

ხელოვნური ინტელექტის დეპარტამენტი

დეპარტამენტის ხელმძღვანელი – სრ. პროფ. ოთარ ვერულავა

დეპარტამენტის თანამშრომლები

№	სახელი, გვარი, მამის სახელი	თანამდ
1	რამაზ ხუროძე	სრ.პრ
2	მარიამ ჩხაიძე	სრ.პრ
3	რევაზ ჩოგოვაძე	ასოც.
4	ოთარ თავდიშვილი	ასოც.
5	მაკა ტაბატაძე	ასოც.

პუბლიკაციები:

საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამოცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ოთარ ვერულავა	სისტემური ანალიზი. რთული ობიექტების მოდელირება	თბილისი, “ტექნიკური უნივერსიტეტი”	296
2	ოთარ თავდიშვილი	კომპიუტერული ხედვა. I ნაწილი	“ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბილისი	418 გვ

სისტემური ანალიზი. რთული ობიექტების მოდელირება.
 სისტემური ანალიზი ადამიანის მოდელის პრაქტიკულად ყველა სფეროში ფართოდ გამოყენებული მეთოდია და ის ერთადერთია, რომლის საშუალებით ხდება მრავალთვისებიანი (მრავალგანზომილებიანი, მრავალპარამეტრიანი), ე.წ. რთული, ობიექტებიდან მიღებული ინფორმაციის გადამუშავება და მის საფუძველზე, ჩვენთვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღება.
 წინამდებარე ნაშრომში განხილულია ხელოვნური ინტელექტში შემავალი რადენიმე რთული ობიექტის აღწერა, ანუ მათემატიკური მოდელის შექმნის პროცესი, სისტემური ანალიზის

მეთოდების გამოყენებით იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს მათი შესწავლა ბაკალავრიატის სტუდენტების მიერ.

სახელმძღვანელოში თეორიული მასალის გარდა, მოცემულია პრაქტიკული მასალაც, სავარჯიშოები და მაგალითები, მათი გამოყვანის, ან, ამოხსნის, დეტალური აღწერით. აქედან გამომდინარე, ნაშრომი, ლექციების გარდა, გამოდგება პრაქტიკუმების ჩასატარებლადაც. ყოველი თავის ბოლოს მოცემულია კითხვათა ნუსხა განვლილი მასალის განმეორებისა და ცოდნის შეფასებისათვის.

კომპიუტერული ხედვის სახელმძღვანელოში განხილულია 2D ციფრული გამოსახულებების დამუშავებისა და ანალიზისთვის საჭირო აუცილებელი თეორიული საკითხები და მათი პრაქტიკაში გამოყენების კონკრეტული მაგალითები. ომპიუტერულ ხედვას ფართო გამოყენება აქვს ბიოლოგიაში, დედამიწის ზონდირების ამოცანებში, მანქანურ ხედვაში, სამედიცინო დიაგნოსტიკაში, სასოფლო-სამეურნეო ამოცანებში, კარტოგრაფიასა და, საზოგადოდ, სცენათა ანალიზის ამოცანებში.

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ოთარ ვერულავა, მარიამ ჩხაიძე, მაკა ტაბატაძე	ამოცნობის შეცდომების გასწორება ნეირონული ქსელის სწავლების პროცესში	N2(15)	მართვის ავტომატიზებული სისტემები	6
2	მარიამ ჩხაიძე	უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები – ბიომეტრია და კრიპტოგრაფია	#1(65)	საქართველოს საინჟინრო სიახლენი,	7
3	მარიამ ჩხაიძე	ბიომეტრიული ტექნოლოგიების ბაზარი და მისი კვლევა	#4(64)	საქართველოს საინჟინრო სიახლენი,	8
4	T. Sulaberidze, O. Tavdishvili, T. Todua	“An approach to the improvement of the result of segmentation”	vol. (66), #2,	Georgian Engineering News, , Tbilisi	5

ნაშრომის - “უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები – ბიომეტრია და კრიპტოგრაფია”

მიზანი არის უსაფრთხოების დაცვის ამოცანის დასმა და განხილვა საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით, რომელიც წარმოდგენილია კრიპტოგრაფიითა და ბიომეტრიით. მათი შეპირისპირებით ერთ მთლიანობაში წარმოჩენა, თუ რა ალტერნატივებით მიიღწევა ის საერთო მიზანი, და შესაბამისად, მიღებული საერთო შედეგი, რასაც უსაფრთხოების უზრუნველყოფა ჰქვია. განხილულია შესაძლო შეტევები და საფრთხეები, ასევე წარმოჩენილია ბიომეტრიული უსაფრთხოების დაცვის დიდი მნიშვნელობა.

ნაშრომში “ბიომეტრიული ტექნოლოგიების ბაზარი და მისი კვლევა” განხილულია ბიომეტრიული ტექნოლოგიების სფეროში თანამედროვე გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საკითხები. გაანალიზებულია დარგის განვითარების პროგნოზები, თუ რა ვითარება და რა პერსპექტივებია საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზრის ამ სეგმენტზე და რა ადგილი უკავია მასში თითოეულ ტექნოლოგიას თუ სისტემას.

ნაშრომში “ამოცნობის შეცდომების გასწორება ნეირონული ქსელის სწავლების პროცესში” განიხილება ფორმალური ნეირონის სწავლების პროცესი, ბინარული, თანაბარგანზომილებიანი რეალიზაციებისთვის, მაგალითად ამოცნობის ამოცანების სწავლების პროცესი ხორციელდება ამოცნობის პროცედურების გამოყენებით, რაც მაქსიმალურად აახლოებს სწავლების, ანუ ნეირონის ნიშნით კოეფიციენტების ცვლილებებს (ეტალონური აღწერების აგებას), უშუალოდ ამოცნობის ალგორითმთან. სწავლების ალგორითმი შედგება ორი ეტაპისაგან: პირველი - საკუთარი სახის ეტალონური აღწერის აგება, მეორე - მიღებული აღწერის კორექტირება სხვა სახის აღწერებთან მიმართებაში, სახეების სასწავლო ნაკრების რეალიზაციების გამოყენებით. ამოცნობის პროცედურების დროის მიხედვით მეტობების გასწორება ხდება წონითი კოეფიციენტების შეცვლით, კერძოდ, დაჯილდოების ალგორითმის პროცედურების გამოყენებით. შედეგად შესაძლებელია ამომცნობი პროგრამული მოდულის შექმნა, რომელიც უშეცდომოდ ამოცნობს ნებისმიერი სახეს, რომლებიც წარმოდგენილი იქნება თანაბარგანზომილებიანი ბინარული ვექტორებით ან მატრიცებით. ასეთი რეალიზაციები მიიღება ქართული ანბანის სიმბოლოების, მათემატიკური ნიშნების, პიროვნების დადგენისას მისი ნაკვთების: თითების, სახის, თვალების ანალიზისა და სხვა.

The paper “An approach to the improvement of the result of segmentation” is a definite attempt to establish possibilities for enhancement the quality of segmentation on the basis of appropriate selection of parameters of the segmentation procedure and statistical decision.

(ქართულად) ნაშრომში “სეგმენტაციის შედეგის გაუმჯობესების ერთი მიდგომა” განიხილება გამოსახულების სეგმენტაციის ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობა სეგმენტაციის პროცესში მონაწილე პარამეტრების სათანადო შერჩევის ხარჯზე და შესაბამისი სტატისტიკური გადაწყვეტილების საფუძველზე.

ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტი

დეპარტამენტის ხელმძღვანელი - ირინა გოცირიძე
 დეპარტამენტის თანამშრომლები

№	სახელი, გვარი, მამის სახელი	თანამდ
1	გოცირიძე ირინა ალექსანდრეს ას.	სრ.პრ
2	ლაზარაშვილი ლევან თენგიზის-ძე	სრ.პრ
3	ღურწკაია ზვიად თეიმურაზის -ძე	სრ.პრ
4	ყუბანიეშვილი ელგუჯა სოლომონის -ძე	სრ.პრ
5	ინვია ნიკოლოზ სენიის-ძე	ასოც

**საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული
 სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	პროექტის დასახელება	დაფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	კომპიუტერით მართვადი გალვანიზაციო- იონოფორეზის აპარატი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ირინა გოცირიძე	ზვიად ღურწკაია ზვიად მგალობლიშვილი

პუბლიკაციები:

საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ე. ყუბანიეშვილი	ბიოსიგნალების ციფრული დამუშავება	თბილისი, სტუ, 2013, http://gtu.ge/books/cifruli_damushaveba	186

			.pdf	
2	ე. ყუბანეიშვილი	ბიოსტატისტიკა	თბილისი, სტუ, 2013, http://gtu.ge/books/biostatistika .pdf	127
3	ე. ყუბანეიშვილი	ხელოვნური ნეირონული ქსელები მედიცინაში	თბილისი, სტუ, 2013, http://gtu.ge/books/ms/xel_medicina.pdf	67
4	ი.გოცირიძე	“ბიოსამედიცინო ინჟინერია”, ნაწ.2;	ელექტრონული სახელმძღვანელო http://gtu.ge/books/ims/biosamedicino_inj.pdf	145
5	ზ. ღურწყაია, მ. მესხია	ვიზუალური დაპეროგრამების საფუძვლები		260

„ბიოსიგნალების ციფრული დამუშავება“: ბიოსიგნალების კლასიფიკაცია. სიგნალის მათემატიკური წარმოდგენა. ფურიეს ანალიზი. შემთხვევითი პროცესების ალბათური ფუნქციები და სპექტრული მახასიათებლები. დისკრეტული სიგნალები და სისტემები. Z – გარდაქმნა. კორელაციური და სპექტრული ანალიზის საფუძვლები. არარეკურსიული და რეკურსიული დისკრეტული ციფრული ფილტრები. დაქვანტის ეფექტი ციფრულ სისტემებში. ჰილბერტის დისკრეტული გარდაქმნა. სიგნალების მოდულაცია და დემოდულაცია.

<p>1. წარმოდგენილ მონოგრაფიაში განიხილება აქტუალური პრობლემები, რომლებიც ზოგადად ეხება საფინანსო-საბანკო ორგანიზაციისათვის ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის კომპლექსური მეთოდების შემუშავებას, მოდელისა და ინსტრუმენტული საშუალებების სტრუქტურების ფორმირებას და რისკების მართვას.</p> <p>2. მონოგრაფიაში განხილულია ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმირებისა და განვითარების ეკონომიკური მექანიზმები საქართველოში. ამასთან დაკავშირებით, შესწავლილია ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმირებისა და ორგანიზაციის თეორიული საფუძვლები, შეფასებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური საფუძვლების ფორმირებისა და განვითარების საზღვარგარეთული პრაქტიკა, დასაბუთებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური საფუძვლების სტრუქტურის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი თანამედროვე საქართველოში.</p> <p>3. მონოგრაფია ეძღვნება საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების მაკროეკონომიკური რეგულირების პრობლემის განხილვას. მასში შესწავლილია სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები, შეფასებულია სასურსათო უსაფრთხოების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში, განსაზღვრულია საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების მაკროეკონომიკური რეგულირების ძირითადი მიმართულებები.</p>				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ.ცაავა	ფინანსური ინჟინერია: ლექციების კურსი UDC(უაკ)336(042.4) ც-12	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“ 2013 წ.	665

2	გ. ხანთაძე გ. ცაავა	საჯარო ფინანსები (თეორია და მეთოდები) UDC(უაკ)336(075.8) ს-22 ISBN 978-9941-0-4778-7	თბილისი გამომცემლობა “დანი” 2013 წ.	430
3	ა. ქუთათელაძე	სოციალური ქსელების დაპროექტება UDC(უაკ)004738.52 კ-842 ISBN 978-9941-0-4495-3	თბილისი გამომცემლობა „დანი“ 2013 წელი	92
4	რ. ბურდიაშვილი	ფინანსური აღრიცხვა ბანკში UDC(უაკ)336.71 ბ-966 ISBN 978-9941-0-5781-6	თბილისი 2013 წელი	264
5	ვ. მოსიაშვილი	საბანკო საქმის საფუძვლები UDC(უაკ)336.71(075.8) მ-866 ISBN 978-9941-0-5344-3	თბილისი გამომცემლობა “დანი” 2013 წ.	415
6	მ. ვანიშვილი გ. გიგუაშვილი	სოციალური პოლიტიკა	თბილისი: შპს „საარის“ გამომცემლობა	252
7	ნ. ფაილოძე, ჯ. ალანია, ზ. ლიპარტია, მ. კეკელიძე და ო. ხუციშვილი, გ. სულაშვილი	საბუღალტრო საქმე, მესამე გამოცემა, (თეორია, ფინანსური აღრიცხვა)	თბილისი სტუ-ს გამომცემლობა, 2013წ.	354
8	ნ. ფაილოძე, ჯ. ალანია, გ. სულაშვილი	ბუღალტრული აღრიცხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში	თბილისი სტუ-ს გამომცემლობა, 2013წ..	250

1. ჩამოყალიბებულია ახალ ფინანსურ დისციპლინასთან და ფინანსურ ინჟინერიასთან დაკავშირებული თანამიმდევრული საკითხები. მასში განხილულია ფინანსური პროდუქტების ბაზარზე არსებული სიახლეები და ფინანსური ბაზრების განვითარების მოსალოდნელი ტენდენციები, როგორებიცაა: ფინანსური ინჟინერიის განვითარება; მსოფლიო ფინანსური და მსოფლიო ეკონომიკური გარემო; მსოფლიო ფულადი სისტემა; საერთაშორისო ფინანსური ბაზარი და სხვ. ნაშრომი განკუთვნილია ფინანსურ ინჟინერიასთან დაკავშირებით სალექციო კურსის შემსწავლელი სპეციალისტებისათვის, ბაკალავრების, მაგისტრანტების და დოქტორანტებისათვის.
2. ჩამოყალიბებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა-დამტკიცებისა და კონტროლის

პროცესის პრაქტიკულად ყველა ძირითადი საკითხები. განხილულია სახელმწიფო ბიუჯეტი, მისი სოციალურ-ეკონომიკური არსი და საბიუჯეტო სისტემა; საბიუჯეტო პროცესი და მისი სტადიები; ადგილობრივი და ავტონომიური წარმონაქმნების ბიუჯეტები; საჯარო ფინანსების მართვის არსი და ამოცანები; ბიუჯეტგარეშე ფინანსები; საბიუჯეტო ფედერალიზმი; საგადასახადო პროგნოზირება; ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების სისტემა; ბიუჯეტის დეფიციტი და მისი მართვა; სახელმწიფო სექტორში რისკების მართვა.

3. სოციალური ქსელების საშუალებით სულ უფრო მარტივი გახდა ნაცნობებთან, მეგობრებთან კონტაქტი, სურათებისა თუ ახალი ამბების გაზიარება. ინფორმაციის მიღებაც გაცილებით სწრაფი და მოქნილი გახდა. ადევნებ თვალს ყველა მნიშვნელოვან მოვლენას. სოციალურ ქსელებს ასევე ბევრი უარყოფითი მხარეც გააჩნია. ყველა ეს პრობლემა და სოციალური ქსელების დაპროგრამება არის განხილული სახელმძღვანელოში.
4. სახელმძღვანელოში განხილულია ბანკში ფინანსურ აღრიცხვასთან დაკავშირებული ისეთი აქტუალური საკითხები, როგორცაა: ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები და მათი თავისებურებები საბანკო სექტორში; ძირითადი საშუალებების აღრიცხვა და მისი თავისებურებები ბანკში; არამატერიალური აქტივების აღრიცხვა და მისი თავისებურებები ბანკში; ფინანსური და ოპერაციული იჯარის აღრიცხვა ბანკში; მიმდინარე ანგარიშების, დეპოზიტებისა და მიღებული სესხების აღრიცხვა; ღია სავალუტო პოზიციის (უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების) აღრიცხვა; გაცემული სესხების და სესხების შესაძლო დანაკარგების აღრიცხვა; ფასიანი ქაღალდების და ინვესტიციების აღრიცხვა; ადმინისტრაციული ხარჯების აღრიცხვა; ბალანსგარეშე ანგარიშების აღრიცხვა; საკუთარი სავალუტო ფასიანი ქაღალდებისა და კაპიტალის აღრიცხვა.
5. წიგნში ლოგიკური თანმიმდევრობითაა განხილული საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებული ისეთი აქტუალური საკითხები, როგორცაა: ბანკების წარმოშობისა და საქმიანობის განვითარების რეტროსპექტივა, განვითარებული ქვეყნების საბანკო სისტემები, ცენტრალური ბანკი, კომერციული ბანკები, კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის შეფასების მეთოდები საქართველოში, კომერციული ბანკის რესურსები, კომერციული ბანკის საკრედიტო ბაზარი, რისკები საბანკო სფეროში, საბანკო მენეჯმენტი, საბანკო მარკეტინგი, საბანკო ინოვაციები, უნაღდო ანგარიშსწორება, სავალუტო ოპერაციები, ფინანსური გლობალიზაცია და ოფშორული საბანკო ცენტრების განვითარება.
6. ნაშრომში თანმიმდევრულადაა განხილული სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა ისეთი მნიშვნელოვანი თემების მიხედვით, როგორცაა: სოციალური პოლიტიკა როგორც საზოგადოებრივი თეორია და პრაქტიკა; სოციალური პოლიტიკის საგანი, ობიექტი და სუბიექტები; საზოგადოების სოციალური სტრუქტურა; სოციალური ტრანსფორმაცია და სოციალური უსაფრთხოება; შრომის ბაზარი, უმუშევრობა და დასაქმების პოლიტიკა; შრომის ანაზღაურების რეგულირების პრობლემები და შემოსავლების განაწილების პოლიტიკა; შრომის მწარმოებლურობა, როგორც სოციალური პოლიტიკის ეკონომიკური საფუძველი; სოციალური დაზღვევის სისტემა და მისი რეფორმირების პრობლემები; მოსახლეობის ცხოვრების დონე, როგორც სოციალური პოლიტიკის ეფექტიანობის ინდიკატორი; სოციალური პარტნიორობა,

<p>როგორც სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის უზრუნველყოფის საკვანძო მიმართულება; სოციალური პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის საზღვარგარეთული გამოცდილება; სოციალური პოლიტიკის სტრატეგია და პრიორიტეტები თანამედროვე საქართველოში.</p> <p>7. საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ტრანსფორმაციის დასახქარებლად და ბიზნესის მართვის ფუნქციების წარმატებით შესრულებისათვის ერთ-ერთ საკვანძო მიმართულებად საბუღალტრო საქმის შემდგომი სრულყოფა და მეწარმეობის პრაქტიკაში მისი ცივილიზებული განვითარება - დამკვიდრება გვევლინება, რომელიც ფრიად მნიშვნელოვანია ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობის აღორძინებისათვის. სახელმძღვანელოში ჩამოყალიბებულია ბუღალტრული აღრიცხვის თეორიის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე სააღრიცხვო პოლიტიკის ფორმირების ფუძემდებლური პრინციპები, ფინანსურ მენეჯმენტში ეკონომიკური ინფორმაციების მოპოვების, დამუშავებისა და ანალიზის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტები.</p> <p>8. ნაშრომში განხილულია ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის თეორიული და პრაქტიკული საკითხები. გადმოცემულია ფინანსური აქტივების და დებიტორული დავალიანებების, არაფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების, ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების, წმინდა ღირებულების, შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის საკითხები ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად. სახელმძღვანელო განკუთვნილია ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისა და ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის.</p>
--

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ.ხანთაძე ა.ქუთათელაძე	საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის სამართლებრივი და აქტუალური საკითხები. სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“.	# 2, 2013წ. გვ.209–214.	თბილისი, სტუ	7
2	ა.ქუთათელაძე	საფინანსო-საბანკო დაწესებულებაში დაკრედიტების პროცესის	#3, 2013წ. გვ.178 – 182.	თბილისი, სტუ	5

		ინოვაციური რისკები. სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“.			
3	ა.ქუთათელაძე	ფინანსური რისკები თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში. სამეცნიერო ჟურნალი “ეკონომიკა”	#5 - 6, 2013 წ. გვ. 70-75.	თბილისი, სტუ	6
4	ა.ქუთათელაძე ი.ჩხაიძე	საბიუჯეტო პროცესში ფინანსური მენეჯმენტის გამოყენების მეთოდოლოგიური ასპექტები.სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“.	2013წ., # 3. გვ. 58–61.	თბილისი, სტუ	4
5	გ.ცაავა	მსოფლიო ფულის ფუნქციების რეალიზაციის თავისებურებები გლობალურ ფულად მეურნეობაში. სამეცნიერო ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“.	# 7. 2013 წ. გვ. 94–98.	თბილისი	5
6	გ.ცაავა	მსოფლიო სავალუტო სისტემის ევოლუციის განვითარების ტენდენციები. სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“.	# 1. 2013 წ. გვ. 109–113.	თბილისი, სტუ	5
7	გ.ცაავა	სტრატეგიული მართვის ფილოსოფია, ფინანსური უზრუნველყოფა და კონტროლინგი. სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს- ინჟინერინგი“.	# 3. 2013წ. გვ. 106–109.	თბილისი, სტუ	4
8	გ.ხანთაძე	საქართველოს საგარეო ვალის ზრდის პრობლემები. სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“.	# 1. 2013წ. გვ. 204–208.	თბილისი, სტუ	5

9	გ. ხანთაძე	ლიკვიდობის რისკის მართვისა და მომგებიანობის ტენდეციები საბანკო სექტორში. სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა.“	# 2. 2013წ. გვ. 174-177.	თბილისი, სტუ	4
10	გ. ხანთაძე	იაფი კრედიტები მცირე ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. სამეცნიერო ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“.	# 1. 2013 წ. გვ. 144-147	შპს „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“	4
11	გ. ხანთაძე	რისკების ანალიზისა და სტრეს-ტესტების აუცილებლობა საბანკო სექტორში. სამეცნიერო ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“.	# 2. 2013 წ. გვ. 32-37	შპს „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“.	6
12	ვ. მოსიაშვილი	„საქართველო გლობალიზაციის მიმდინარე ტენდეციებში“, ჟურნალი ბიზნეს-ინჟინერინგი.	# 1. თბ., 2013. გვ., 201-204,	თბილისი სტუ	4
13	მ. ვანიშვილი ნ. ვანიშვილი ე. კვირიკიშვილი	ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსების გამოყენების სრულყოფის ძირითადი მიმართულებები // ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“	2013, №1	თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	8
14	მ. ვანიშვილი თ. ბედოშვილი ქ. წიქარიშვილი	შრომის ანაზღაურების რეგულირების პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები საქართველოში // ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“	2013, №2	თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	4
15	მ. ვანიშვილი, გ. ნიქაბაძე, ნ. ვანიშვილი	აგრობიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების აქტუალური საკითხები საქართველოში // ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“	2013, №2	თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	5
16	ნ. ფაილოძე, გ. სულაშვილი,	ფარმაცევტული ბაზრის სახელმწიფო რეგულირების	№3. 2013.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.	4

	ლ. ვაჩაძე	სისტემა		შრომების კრებული, თბილისი 2013. გვ71-74.	
17	ნ. ფაილოძე, გ. სულაშვილი, ლ. ვაჩაძე	ფარმაცევტული ბაზრის ინოვაციური სტრატეგია	№3. 2013.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. შრომების კრებული, თბილისი 2013, გვ74-77.	3
18	გ. სულაშვილი, ს. ჯაფარიძე	გადასახადები, როგორც თანამედროვე ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი და მისი სრულყოფის პერსპექტივები	№4. 2013	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. შრომების კრებული, №4. თბილისი 2013	4
19	გ. სულაშვილი, ს. ჯაფარიძე	გადასახადების სტრუქტურა და მისი ობიექტური აუცილებლობა	№4. 2013	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. შრომების კრებული, №4. თბილისი 2013	4

1. სტატიაში მიმოხილულია, რომ საქართველოში დანერგილია საგადახდო და ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების ახალი სისტემა (GPSS), მართვის თანამედროვე მაღალტექნოლოგიური მექანიზმებით. სისტემა იძლევა შესაძლებლობას, ქვეყანაში განხორციელებული ბანკთაშორისი ანგარიშსწორება შესრულდეს კიდევ უფრო უსაფრთხოდ და სწრაფად. მოქმედებს საქართველოს კანონი „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“, რომლითაც საგადახდო ბაზრის ყველა მონაწილისათვის განისაზღვრა ერთიანი სამართლებრივი ჩარჩო მათი საქმიანობის განხორციელებისათვის, შეიქმნა სამართლებრივი საფუძველი როგორც სისტემური, ლიკვიდობისა და საკრედიტო რისკების მართვის მხრივ. კანონით განისაზღვრა საგადახდო მომსახურების სახეები, საგადახდო სისტემების, საგადახდო მომსახურების რეგულირებისა და ზედამხედველობის პრინციპები, ფინანსური გირაოს გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა. ეს კანონი შესამჩნევად აძლიერებს მომხმარებელთა დაცვის მექანიზმებს საგადახდო მომსახურების ურთიერთობებში. ამავე კანონით განისაზღვრა საგადახდო ინსტრუმენტით (მათ შორის საგადახდო ბარათით) საქართველოში განხორციელებული არაავტორიზებული ოპერაციის შემთხვევაში ინსტრუმენტის მფლობელისა და გამომშვების პასუხისმგებლობები.

2. ინოვაციური რისკის რეალიზაციის დიდმა ალბათობამ შესაძლოა კრედიტორი მიიყვანოს საგრძნობ დანაკარგებამდე. აღნიშნული პრობლემა შეიძლება გადაიჭრას ახალი ტიპის ფასიანი ქაღალდების – “ინოვაციური სასესხო ვალდებულებების” მიმოქცევაში გამოშვებით. ინოვაციური დაკრედიტების პროცესთან ასოცირებული რისკების ნაკრები პირველ რიგში დამოკიდებულია არჩეულ საკრედიტო სქემაზე. თუმცა დაკრედიტების პროცესთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ძირითად რისკს წარმოადგენს საკრედიტო რისკი.
3. ფინანსური რისკები დაკავშირებულნი არიან ფინანსური რესურსების (ე.ი. ფინანსური სახსრების) დაკარგვის ალბათობასთან. ეს რისკები იყოფა ფულის მყიდველობით უნართან დაკავშირებულ რისკებად და კაპიტალის ჩადების (საინვესტიციო) რისკებად.
4. ჩამოყალიბებულია ტერიტორიული ერთეულების საბიუჯეტო პროცესში ფინანსური მენეჯმენტის ინსტრუმენტების გამოყენების მეთოდოლოგიური ასპექტები. ფინანსური მენეჯმენტი განიხილება, როგორც ფინანსური მმართველობის ინსტრუმენტი. მისი ფუნქციები შესაბამისად დაყვანილია გადაწყვეტილებების მისაღებად სამი ძირითადი მიმართულებით: აქტივების, ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის მართვის პროცესების რეგულირებისას.
5. გადმოცემულია მსოფლიო ფულის ფუნქციებში საგადახდო საშუალებების მიმოქცევის კანონზომიერებების თეორიულ გააზრებასთან დაკავშირებული საკითხები, როგორც საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობების თეორიის სრულყოფის მნიშვნელოვანი დაბრკოლება და ყურადღებაა გამახვილებული თანამედროვე პირობებში აღნიშნული საკითხების დამატებით შესწავლისა და კვლევების განხორციელების აუცილებლობაზე.
6. ხაზგასმულია, რომ თანამედროვე პირობებში მონეტარიზმი უკვე ეკონომიკის განვითარების კეინსიანური კონცეფციის სრულ ანტიპოდს არ წარმოადგენს და რომ დღეს არსებობს გარკვეული კეინსიანურ-ნეოკეინსიანური დამოუკიდებელი თეორიული მოდელი, რომელშიც ერთდროულად ორივე ეკონომიკური თეორიის ელემენტებია აკუმულირებული და შემოთავაზებულია მსოფლიო ფულის სამომავლო რეგიონულ ჭრილში განვითარების ტენდენციები.
7. განხილულია სტრატეგიის არსი, მარკეტინგული ძალისხმევა და წარმოების საქმიანობის აქტუალური საკითხები, ფინანსური უზრუნველყოფის ხერხები, კონტროლის ინსტრუმენტები. მითითებულია, რომ სტრატეგიული მენეჯმენტი აზროვნებისა და მართვის პროგრამული ხერხია და მფლობელების შესაძლებლობების უზრუნველყოფელია. დასაბუთებულია კონტროლინგის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაზე დაფუძნებული ინსტრუმენტების საკონტროლო მაჩვენებლების ბაზის საფუძველზე ჩამოყალიბების საკითხები
8. ნებისმიერი ერთი ფისკალური წლის განმავლობაში ვალის მომსახურებაზე უნდა მიიმართებოდეს საბიუჯეტო შემოსავლების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი, რაც საშუალებას იძლევა რომ საბიუჯეტო ასიგნებები მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებზე და სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე. სტატიაში ჩამოყალიბებულია, რომ სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისაგან ფინანსური რესურსის მოზიდვა მაქსიმალურად შეღავათიანი პირობებით, რათა შენარჩუნებული იქნას სახელმწიფო ვალის არსებული ხელსაყრელი

პარამეტრები. სტატიაში ჩამოყალიბებულია, რომ მართალია, ობლიგაციების ემისიით და მისი რეალიზაციის შედეგად საგარეო ვალების რესტრუქტურისაცია მოხდა, მაგრამ უახლოეს მომავალში საქართველო დადგება გადავადებული სესხის მომსახურების აუცილებლობის წინაშე. ამდენად, საგარეო ვალების მართვის კუთხით ქვეყანა გარკვეული გამოწვევის წინაშე დგას, რომლის გადალახვაც არ უნდა გახდეს აქილევსის ქუსლი.

9. სტატიაში განხილულია, რომ გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა აჩვენა მოქმედი ზოგიერთი საბანკო სტანდარტის და ინდიკატორის არაეფექტურობა. ამ პერიოდამდე მიზნული იყო, რომ ფინანსურ ბაზრებზე, როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი დაფინანსება პრობლემას არ წარმოადგენდა და ყოველთვის იყო შესაძლებელი საჭირო ლიკვიდობის უზრუნველყოფა უმოკლეს დროში, მცირე დანახარჯებით. თუმცა, რამდენიმე წლის წინ მომხადრი ფართომასშტაბიანი ფინანსური კრიზისის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ლიკვიდობის მართვის არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფდა საბანკო სისტემის დაცვას ლიკვიდობის შოკისგან და ბაზელის კომიტეტის ინიციატივით შეიქმნა ახალი მაჩვენებლები, რომლებიც ასტიმულირებდნენ ბანკების მხრიდან სტაბილური დაფინანსების წყაროების გამოყენებას და უზრუნველყოფდნენ ლიკვიდობის ეფექტიან მართვას.
10. ნებისმიერი სახის ბიზნესისათვის საბანკო სექტორთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც მომსახურების ისე დაკრედიტების კუთხით. მცირე ბიზნესისათვის საბანკო კრედიტები სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, მისი განვითარება შეუძლებელია კაპიტალის გარეშე. მცირე ბიზნესის ცოცხალურ-ეკონომიკური სიკეთე დიდწილადაა დამოკიდებული ბანკების სტაბილურ საქმიანობაზე. სტატიაში მიმოხილულია, რომ საქართველოში დასაქმების პრობლემის მოგვარება და უმუშევრობის შემცირება პირდაპირაა დაკავშირებული იაფი საბანკო კრედიტების გაცემით მცირე ბიზნესის საქმიანობის გაფართოებასა და ხელშეწყობასთან
11. ფინანსური სისტემისთვის ნეგატიურ შოკებად განიხილება ლარის გაუფასურება, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპის შემცირება, მოზიდულ სახსრებზე საპროცენტო განაკვეთის გაზრდა და ფინანსური სისტემისადმი ნდობის შემცირება, რაც დეპოზიტების გადინებით გამოიხატება. სხვადასხვა შოკის ანალიზი გვაჩვენებს, რომ სისტემისთვის მთავარ რისკს ვალუტის კურსის გაუფასურება წარმოადგენს, რაც მაღალი დოლარიზაციით არის განპირობებული. სტრეს-ტესტი მიზნად ისახავს რისკების შეფასების შევსებას ანომალური საბაზრო პირობებში, ბანკის პოტენციური ეკონომიკური ზარალის შეფასების მეშვეობით, რათა დადგინდეს ბანკის მგრძობელობა რისკფაქტორების ცვლილებებისადმი და იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბანკის პორტფელზე.
12. თანამედროვე პირობებში მიმდინარეობს საქართველოს მსოფლიო თამანეგობრობაში ინტეგრაციის პროცესი. საქართველოს მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებში ინტეგრაციის ხარისხზე მეტყველებს ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან და მსოფლიო წამყვან საფინანსო ინსტიტუტებთან (საერთაშორისო სავალუტო ბანკი, მსოფლიო ბანკი და სხვ.). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში უკვე ფუნქციონირებს ორი თავისუფალი ეკონომიკური ზონის ნაირსახეობა - თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ფოთსა და ქუთაისში. 2012 წლის თებერვალში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ იქნა გაცხადებული, რომ ქ. თბილისში, სავაჭრო ცენტრ „ლილო მოლის“ ტერიტორიაზე გაიხსნება თავისუფალი სავაჭრო ზონა. თავისუფალი სავაჭრო ზონისთვის გათვალისწინებულია საგადასახადო შეღავათები, კერძოდ იქ

ფუნქციონირებადი ფორმები და ფიზიკური პირები არ დაიბეგრებიან მოგებისა და საშემოსავლო გადასახადით, გადაიხდიან მხოლოდ რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლის 3%-ს.

13. სტატიაში გადმოცემულია ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსების ფორმირებისა და გამოყენების მექანიზმის სრულყოფის საკითხები. ხაზგასმულია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსების ცენტრალურ რგოლს წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, რომლის არსებობა განამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, ხელს უწყობს შესაბამისი ტერიტორიების სამეურნეო საქმიანობის აქტივიზაციას და ინფრასტრუქტურის განვითარებას.
14. სტატიაში განხილულია შრომის ანაზღაურების რეგულირების პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები საქართველოში, შეფასებულია შრომის ანაზღაურების ფუნქციები, შრომის ანაზღაურების ყველაზე პრიორიტეტულ ფუნქციად მიჩნეულია მისი კვლავწარმოებითი და მასტიმულირებელი ფუნქციები.
15. სტატიაში განხილული და მეცნიერულად დასაბუთებულია ქვეყანაში აგრობიზნესის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების გამოყენების მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, წარმოდგენილია აგრობიზნესის სფეროში სახელმწიფოს მიერ აქტიურად გამოყენებული რეგულირების ფორმები და მეთოდები; გაანალიზებულია აგრობიზნესის სახელმწიფო რეგულირების ისეთი პრინციპების გამოყენების თავისებურებანი, როგორცაა: მოთხოვნა-მიწოდების რეგულირება, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის სტიმულირება; სოფლად ტერიტორიულ-სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნის ხელშეწყობა; აგრობიზნესის სამეურნეო სუბიექტების საინფორმაციო უზრუნველყოფის სისტემის ფორმირება. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი აგრობიზნესის სახელმწიფო რეგულირების ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორს, როგორცაა ფასწარმოქმნა და ბაზარზე ფასთა რეგულირება. წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე პარიტეტული ფასების დადგენის აშშ-ში გამოყენებული გამოცდილება და მოცემულია საქართველოში მისი გამოყენების მნიშვნელობა საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების პირობებში.
16. ფარმაცევტული ბაზრის ფუნქციონირების პროცესზე გავლენას ახდენს მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა, რომლის შედეგია მუდმივი სტრესების, ცუდი კვების, წამლებზე მაღალი ფასების გამო ადამიანთა ჯანმრთელობის გაუარესება; ქვეყანაში მძიმე ეკოლოგიური სიტუაცია, რომელიც გამოწვეულია ძირითადად ბუნების დაცვით ღონისძიებებზე დაფინანსების არარსებობით; ასევე გავლენას ახდენს მეცნიერებაში ფუნდამენტური კვლევების დაუფინანსებლობა, რომელიც, ერთი მხრივ, განპირობებულია ბიუჯეტის დეფიციტით, ხოლო, მეორეს მხრივ – რესურსების არასწორი გადანაწილებით
17. ფარმაცევტული კომპანიის კვლევითი პროცესი აგებულია ინოვაციური სტრატეგიის საფუძველზე, რომელიც შემუშავებულია სხვადასხვა საფინანსო-ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით, რომლებიც ერთობლიობაში შეადგენენ კომპანიის საინოვაციო სტრატეგიის სამეცნიერო-საფინანსო მეთოდოლოგიას.
18. თანამედროვე ეტაპზე საქართველოში მიმდინარე საგადასახადო პოლიტიკის ტრანსფორმაციის პროცესმა განაპირობა გადასახადებისა და საგადასახადო სისტემის მნიშვნელობა ფინანსურ აღრიცხვაში, მისი როლი სახელმწიფო ფინანსური

რესურსების ფორმირებაში. გადასახადები არ წარმოადგენს ბიუჯეტის ფორმირების ერთადერთ წყაროს, თუმცა სახელმწიფო შემოსავლების ფორმირებაში მათ უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭებათ. თვით სახელმწიფოს არსებობა განუყოფლადაა დაკავშირებული გადასახადებთან.

19. საგადასახადო შემოსავლების დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით გადასახადების განაკვეთების განსაზღვრას, მისი ამოღების წესებსა და მეთოდებს და მთლიანად ქვეყანაში ეფექტიანი საგადასახადო სისტემის ფუნქციონირებას. აღნიშნული ორგანულად უკავშირდება საბიუჯეტო შემოსავლების ოპტიმალური საგადასახადო ბაზის ფორმირებას და ოპტიმალური საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელებას. გამომდინარე აქედან, მეტად მნიშვნელოვანია საქართველოში ოპტიმალური საგადასახადო შემოსავლების ფორმირება, რომელიც იქნება სახელმწიფო ფინანსების სტაბილურობის მყარი გარანტია.

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

საქართველოში

№	მომსხენებელი/ მომსხენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გ.ცაავა	მცირე ბიზნესის საწარმოების ძირითადი ფინანსური პარამეტრები და მისი ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებები. პირველი საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 17-18 ოქტომბერი, 2013 წ.
2	ა.ქუთათელაძე	ფინანსური ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. გვ. 74-77.	ქუთაისი 25-25 მაისი 2013 წ
3	ა.ქუთათელაძე ი.ჩხაიძე	საბიუჯეტო ფედერალიზმი და საგადასახადო პოლიტიკის განვითარება საქართველოში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია. გვ. 146-150.	ქუთაისი 25-25 მაისი 2013 წ

4	ა.ქუთათელაძე	უცხოური კაპიტალის მონაწილეობა ეროვნულ ეკონომიკაში. პირველი საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია.	თბილისი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 17-18 ოქტომბერი, 2013 წ.
5	ა.ქუთათელაძე ა.სიჭინავა მ.ქალიაშვილი	უცხოური საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობის განსაზღვრა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მეექვსე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია.	გორი 15-16 ნოემბერი 2013 წელი
6	გ.ხანთაძე	თავისუფალ ინდისტრიული ზონებში თუ რეალობა. პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია.	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 2013 წ.
7	ლ.გვენეტაძე	საფინანსო სისტემის არსი და მისი ფუნქციონირების ზოგიერთი პრობლემები საქართველოში. პროფესორ გ.პაპავას დაბადებიდან 90წ. მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. გვ. 226-228	თბილისი, 2013 წ.
8	მ. ვანიშვილი, ნ. ვანიშვილი, დ. ადვაძე	აგრობიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების საკითხები საქართველოში	მოსხენება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე“, 2013 წლის 24-25 მაისი
9	მ. ვანიშვილი, ნ. ვანიშვილი, დ. ხაჭაპურიძე	საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა და მისი გავლენა სიღარიბეზე	მოსხენება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის, ღია დიპლომატიის ასოციაციისა და სამეცნიერო

			<p>ჟურნალის „ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“ ყოველწლიურ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „ხელისუფლება და საზოგადოება - 2013“. 2013 წლის 16 ნოემბერი</p>
10	მ. ვანიშვილი, ნ. ვანიშვილი	ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსების სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში	<p>მოსხენება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მექსე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციაზე 2013 წლის 15-16 ნოემბერი</p>
11	მ. ვანიშვილი, დ. ადვაძე	მცირე ბიზნესის განვითარების უცხოური გამოცდილება	<p>მოსხენება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მექსე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციაზე 2013 წლის 15-16 ნოემბერი</p>
12	გ.სულაშვილი, ლ.ვაჩაძე, ი. კუცია	ფარმაცევტული ბაზრის თანამედროვე კონცეფციები და მათი გამოყენების პრობლემები	<p>პირველი საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია-IEC 2013. „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს და ხვალ“</p>

1. ჩამოყალიბებულია მცირე ბიზნესის საწარმოების ძირითადი ფინანსური პარამეტრები მისი სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ეტაპებთან მიმართებაში. გამოყოფილია მცირე საწარმოების სასიცოცხლო ციკლის ოთხი ძირითადი ეტაპი. ჩამოყალიბებულია მსხვილ და მცირე ბიზნესს შორის არსებითი განსხვავებები. როგორებიცაა: რესურსებისადმი მიღწევადობა, მიზნების დასახვა, რისკების თავისთავზე აღებადობა და ლიკვიდობის დონე. ყურადღება გამახვილებულია მცირე ბიზნესის ფინანსური მენეჯმენტის უმნიშვნელოვანეს მიზნებზე – დავალიანება, ფულადი სახსრები და მოკლევადიანი ვალდებულებები, რომლებიც საწარმოებისათვის ლიკვიდური სახსრების მოზიდვისა და გადახდისუნარიანობის გაზრდის საშუალებაა.
2. დღეისათვის, მეტი შესაძლებლობა არსებობს უცხოური კაპიტალის მოზიდვისათვის და სხვა ქვეყნების გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. ამიტომ ახალ ბაზრებზე პროცესები ხასიათდება მკვეთრი რხევებით და განვითარების უფრო სწრაფი ტემპით. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ევროპის სავავე ბაზრებზე გამოვლინდა, სადაც მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სტაბილიზაციამ, საფინანსო ბაზრების ლიბერალიზაციამ, ფასიანი ქაღალდების ლიკვიდობის ამაღლებამ, აგრეთვე საპროცენტო განაკვეთების შემცირებამ, ძლიერი იმპულსი მისცა სასესხო კაპიტალის ბაზრების განვითარებას.
3. საბიუჯეტო ფედერალიზმის მოდელის ფუნქციონირების ძირითადი პოზიციებია: საბაზრო მეურნეობის ფინანსური საფუძვლებისა და განვითარების პირობების შექმნა; საბიუჯეტო რეგულირების მექანიზმის გამოყენება ცალკეული ტერიტორიების ჩამორჩენილობის დასაძლევად და ადგილობრივი თვითმართველობის ფინანსური საფუძვლების განმტკიცება. საბიუჯეტო ფედერალიზმის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებში საბიუჯეტო ურთიერთობათა ყველაზე ეფექტიანი მოდელის შერჩევაში.
4. უცხოური კაპიტალის მოზიდვა დამახასიათებელია ნებისმიერი ეკონომიკური სისტემისათვის. როგორც ცნობილია, უცხოელი ინვესტორი კაპიტალურ რესურსებს აბანდებს მხოლოდ სტაბილური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რომლებიც თავის მხრივ ადგილობრივი ინვესტორის ნდობითაც ხასიათდებიან. მიუხედავად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გარკვეული მიმზიდველობისა, მათი ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძლება სხვადასხვაგვარად შეფასდეს. ერთის მხრივ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში შემოსვლა ხელ უწყობს შიდა რესურსების დეფიციტის შემცირებას, ახალი ტექნოლოგიებისა და ბიზნესის წარმოების ახალი სტანდარტების დანერგვას, ხოლო, მეორეს მხრივ, უცხოელი ინვესტორები, რომელთა როლშიც ხშირად გვევლინებიან ტრანსნაციონალური კომპანიები, აქტიურად ერევიან ქვეყნის საკანონმდებლო პროცესებში და საჭიროების შემთხვევაში არც კორუფციულ გარიგებებზე ამბობენ უარს ადგილობრივ ჩინოვნიკებთან.
5. ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საქმეში განსაკუთრებული როლი ენიჭება საივესტიციო გარემოს შეფასებას, რომელშიც ძაზე მნიშვნელოვანია ქვეყნის საკრედიტო რეიტინგისა და სახელმწიფო ვალის მოცულობის განსაზღვრა. სარეიტინგო კომპანიები საკრედიტო რეიტინგის მინიჭებისას ყურდნობიან მეთოდოლოგას, რომლის მიხედვითაც ქვეყნების მთავრობები იღებენ შეფასებას სპეციალური შკალის

მიხედვით.

6. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, ფინანსური გლობალიზაციის მასშტაბების ზრდამ, კონკურენციული გარემოს გაფართოებამ და დახვეწამ დღესდღეისობით ახალი გამოწვევების წინაშე დაგვაყენა. ქვეყნის განვითარებისათვის საჭირო გახდა მეტი ნოვაციებისა და რეფორმების დანერგვა-განხორციელება. სტატიაში მიმოხილულია, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონა ეროვნული ეკონომიკური სივრცის განცალკევებულ ნაწილს (ტერიტორიასა თუ სეგმენტს) წარმოადგენს, სადაც შეღავათებისა და სტიმულირების ისეთი განსაკუთრებული სისტემაა შემოღებული, რომელიც ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე (ან ეკონომიკის სხვა სეგმენტებში) არ გამოიყენება. თავისუფალი ეკონომიკური ზონის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა ისეთი ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედება, როგორცაა, საგადასახადო შემოსავლების დაწესება შეღავათიანი ტარიფების შემოღების გზით. ასეთ ზონებში არცთუ ისე იშვიათად შეღავათებს აწესებენ ფუნქციონალური თვალსაზრისითაც, ეს უკანასკნელი გულისხმობს გარკვეული ახალი ტექნოლოგიების ათვისების სტიმულირების მიზნით საგადასახადო განაკვეთების შემცირებას.
7. ჩამოყალიბებულია ფინანსური დაგეგმვის აუცილებლობით განპირობებული ფულადი სახსრების მოძრაობით გამოწვეული საზოგადოებრივ კვლავწარმოებაზე ფულადი სახსრების აქტიური ზემოქმედების საკითხები. მითითებულია, რომ ფინანსების განვითარების კანონზომიერებები, სასაქონლო-ფულად ურთიერთობებში მათ მიერ მოცული სფერო და როლი საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში ეკონომიკური მოწყობის სახელმწიფო ბუნებით და ფუნქციებით განისაზღვრება.
8. მოხსენებაში დახასიათებულია საქართველოს მთავრობის მიერ ქვეყანაში აგრობიზნესის განვითარების ხელშეწყობისა და რეგულირების მიზნით უკანასკნელ პერიოდში გატარებული ღონისძიებები და მოცემულია მათი შეფასება მომავალში ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარების საქმეში; დასაბუთებულია აგრობიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლების საქმეში სახელმწიფოს მხრიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სერტიფიცირებისა და სტანდარტიზაციის მნიშვნელობა, რაც საგრძნობლად ზრდის ქვეყანაში წარმოებული აგრარული პროდუქციის საექსპორტო ორიენტაციას და ქართული სასურსათო პროდუქტების პოპულარობას მსოფლიო ბაზარზე.
9. მოხსენებაში დასაბუთებულია, რომ სიღარიბე საქართველოს ძირითადი სოციალური პრობლემაა, – საქართველოს ოჯახების ორი მეხუთედი საარსებო მინიმუმზე ნაკლებს მოიხმარს. სოციალური დაცვის სისტემა სიღარიბის შემცირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს – პენსიების და სხვადასხვა სახის სოციალური დახმარების გარეშე, სიღარიბე 51 პროცენტს მიაღწევდა. ამ ფონზე სოციალური ტრანსფერების განაკვეთების ზრდა ნამდვილად მისასალმებელია. ავტორთა პროგნოზით დაგეგმილი ზრდა სიღარიბეს ექვსი პროცენტული ერთეულით შეამცირებს.
10. მოხსენებაში გადმოცემულია ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსების ფორმირებისა და გამოყენების მექანიზმის სრულყოფის საკითხები. ხაზგასმულია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსების ცენტრალურ რგოლს წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, რომლის არსებობა განამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, ხელს უწყობს შესაბამისი ტერიტორიების სამეურნეო საქმიანობის აქტივიზაციას და ინფრასტრუქტურის განვითარებას.
11. მოხსენება ეძღვნება მცირე ბიზნესის განვითარების უცხოური გამოცდილების

შესწავლას. მასში, უახლეს ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, თანმიმდევრულადაა განხილული მცირე ბიზნესთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: მცირე ბიზნესის ცნება და ეკონომიკური შინაარსი; მცირე ბიზნესის კლასიფიკაციის რაოდენობრივი მაჩვენებლები: საწარმოში დასაქმებულთა რიცხოვნობა, წარმოების წლიური მოცულობა, გაყიდვების წლიური მოცულობა, აქტივების საშუალო წლიური საბალანსო ღირებულება; მცირე ბიზნესის კლასიფიკაციის ხარისხობრივი მაჩვენებლები: საწარმო ფლობს ბაზრის მცირე წილს, საწარმოს მართვა ხორციელდება პირადად მისი მფლობელის მიერ, საწარმო წარმოადგენს დამოუკიდებელს; მცირე ბიზნესის საწარმოდ აღიარების კრიტერიუმები და მათი პარამეტრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

12. საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი სწრაფად ვითარდება და ყველა სექტორში სხვადასხვა ცვლილებებს განიცდის. მნიშვნელოვანია, რომ, განვითარების პროცესში, მეტი ყურადღება მიექცეს კონკურენციის ზრდასა და ხარისხის გარანტიების შექმნას. ფარმაცევტული ბაზრის ამჟამინდელი სტრუქტურა ქაოტური და არასტრუქტურირებული განვითარების შედეგია. ერთიანი, ცენტრალიზებული ბაზარი, რომელზეც მოთხოვნასა და მიწოდებას სახელმწიფო არეგულირებდა, არ შეუცვლია ისეთ სისტემას, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნებოდა განვითარების კონკრეტული ხედვა.

უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ვ.მოსიაშვილი	„ინტეგრითის (Integrity) პრობლემები კავკასიის რეგიონში „საერთაშორისო ორგანიზაცია (integrity-action) მიერ ორგანიზებული კონფერენცია.	სომხეთი, წახკაძორი 2013წ.
2	Alexander Sichinava, Olga Khutsishvili, Irma Kutsia, Nino Pailodze, Tea Khutsishvili, George Sulashvili	Internationalisation Aspects in Higher Education	Prague Development Center, s.r.o.www.pradec.eu Praha 3, Zizkov, Czech Pepublic, 2013
3	. „ . „ . „ . „ . „ . „		- "

			", 2013 . - ,
<p>1. კორუფციის პრობლემა ზოგადად და კონკრეტულად კი საჯარო სამსახურში საკმაოდ პრობლემურია, საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დადგა დღის წესრიგში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების რელიურ ცხოვრებაში, როდესაც გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან დაიწყო ახალი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების შენება. სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესში, როგორც ეს მიმდინარე პროცესებში აჩვენა, ერთ-ერთი პრობლემური და ძნელად გადასატრედი საკითხი გახდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მისი "მკურნალობის რეცეპტების" უკვე აპრობირებული მეთოდების გამოყენება და პრაქტიკაში რეალიზება გახდა მნიშვნელოვანი ფაქტორი. ქვეყნებმა რომლებმაც მეტ-ნაკლებად მიაღწიეს წარმატებას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენეს სწორედ განვითარებად ქვეყნებში არსებული მეთოდები და პრინციპები.</p> <p>2. Internationalization of higher education has gained more importance in recent years with the purpose of improving the quality of education and promoting competitiveness of higher educational institutions. Internationalization covers the mobility of students and educational staff, joint educational programs, international cooperation within the limits of different research projects.</p> <p>3.</p>			

საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი

დეპარტამენტის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი გენადი იაშვილი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

სრული პროფესორები:

- შოთა დოლონაძე;
- ალექსანდრე ედიბერიძე;
- გენადი იაშვილი;
- ირინე იაშვილი;
- ბესარიონ ფარცვანია;
- ალეკო ცინცაძე;

ასოცირებული პროფესორები:
 გიორგი ბალათურია;
 ნუნუ ოვსიანიკოვა;
 თამარ რევაზიშვილი;
 ოთარ ქოჩორაძე;
 გელა ჭიკაძე;

ასისტენტ პროფესორები:
 ოთარ ბალათურია;
 თეონა ბაქანიძე.

საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	“Building capacity for University-Enterprise partnerships towards competency based training in Armenia, Georgia and Ukraine” (Cap4Com) N516613	ევროგაერთიანება	ალექსანდრე ედიბერიძე	მ. ქანთარია ლ. ადამია მ. რაზმაძე
<p>საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ტემპუსის 516613 პროექტის პროგრამის გათვალისწინებით გახსნილია წარმოებასთან თანამშრომლობის სასწავლო-სამეცნიერო საინოვაციო ცენტრი.</p> <p>ცენტრის სამუშაო პროგრამის მიმდინარე ეტაპზე სრულდება შემდეგი კვლევები:</p> <ul style="list-style-type: none"> • უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის სამეცნიერო პოტენციალის შესწავლა შესაბამისი მონაცემთა ბაზის შექმნით; • საქართველოს მასშტაბით ყველა ორგანიზაციის შესწავლა, გამოშვებული ან დაგეგმილი პროდუქციის ჩვენებით, ამ ინფორმაციის შესაბამის მონაცემთა ბაზაში ასახვით. <p>პროექტი ეძღვნება უნივერსიტეტის საწარმოებთან თანამშრომლობის ჩამოყალიბებას და გაღრმავებას. კერძოდ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სხვადასხვა ბიზნეს-ორგანიზაციებთან და მწარმოებლებთან კავშირს. გამოყენებულია წამყვანი ევროპული უნივერსიტეტების (ბელგიის, საფრანგეთის, გერმანიის და ინგლისის უმაღლესი სასწავლებლების) მდიდარი გამოცდილება ამ დარგში. პროექტის ფარგლებში დიდი მოცულობის მონაცემთა ბაზების შექმნა არამარტო ტექნიკურ უნივერსიტეტში სხვადასხვა ფაკულტეტზე მონაცემების შეგროვებით, არამედ საქართველოს მასშტაბით ქ. თბილისსა და რეგიონების მცირე და მსხვილი ბიზნეს-ორგანიზაციების მონაცემების შეგროვებითაც, მათი შემდგომი ანალიზის განხორციელების მიზნით.</p>				

პუბლიკაციები:

საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	შოთა დოღონაძე გენადი იაშვილი	საჯარო სამსახური საქართველოში: რეფორმები, გამოწვევები - „ელექტრონული მთავრობა“	თბილისი, გამომცემლობა „ცის ნამი“, 2013	429
<p>1. წიგნი მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ ვითარდებოდა და იქმნებოდა საქართველოს საჯარო სამსახური, რეფორმირების რა ეტაპები გამოიარა და რა გამოწვევების წინაშე დგას. ნაშრომში მკითხველისათვის ხელმისაწვდომი ხდება ბევრი ისეთი ინფორმაცია და დეტალი, რომელიც უცნობი იყო ფართე საზოგადოებისათვის, გაკეთებულია მათი შეფასებები და ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი დემოკრატიზაციის პროცესის შეუქცევადობის მიღწევის ამოცანებს, იმ შეცდომებისა და პრობლემების ანალიზს, რომელიც დაშვებული იქნა ახალი ქვეყნის, ახალი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბების პროცესში. ცალკე თავი აქვს მიძღვნილი ელექტრონული მთავრობის დანერგვისა და გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის საკითხებს.</p>				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გენადი იაშვილი ევგენი ბარათაშვილი	სტრატეგიული მენეჯმენტი	თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“ ISBN 978-9941-0-5458-7	430
2	ოთარ ქოჩორაძე შოთა დოღონაძე	საქმიანი ურთიერთობების თანამედროვე ტექნოლოგიები	თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2013	270

3	გელა ჭიკაძე ალექსანდრე ედიბერიძე ვალიდა სესაძე	პროგრამირება Excel-ის გარემოში VBA(I ნაწილი)	თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“ ISBN 978-9941	175
<p>1. სახელმძღვანელოში „სტრატეგიული მენეჯმენტი“ განხილულია სტრატეგიული მენეჯმენტის კონცეფცია, გარემოს საბაზო პროცესების სკანირების საფუძველზე აგებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების მოდელი, სტრატეგიის ფორმულირება და მისი რეალიზაცია, შეფასება და კონტროლი; მ. პორტერის მიდგომა დარგებისა და კონკურენტული სტრატეგიის ანალიზისადმი; რესურსების ანალიზი კომპანიის ძლიერი და სუსტი მხარეების შესაფასებლად და საკვანძო და განმასხვავებელი კომპეტენციების გამოსავლენად; ფუნქციონალური ანალიზი და ფუნქციონალური სტრატეგიები; სტრატეგიების რეალიზაციის კავშირი სტრუქტურასთან, შემსრულებელი დონის ხელმძღვანელ სუბიექტთან, ხელმძღვანელობის ცვლის პოლიტიკასთან, ხარისხის მართვასთან; კომპანიის საქმიანობის საერთაშორისო ასპექტები.</p> <p>2. აღამიანების ურთიერთობის პროცესი წარმატებებისა და წარუმატებლობის უმთავრესი წყაროა. არ არსებობს ისეთი პროფესია, რომელიც არ მოითხოვდეს საქმიან ურთიერთობას. ურთიერთობის პრობლემა რთული და მნიშვნელოვანია. მოიცავს მრავალ ასპექტს. საქმიანი ურთიერთობების თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა, რომელზედაც აქ არის საუბარი, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სტუდენტებსა და ამ პრობლემატიკით დაინტერესებულ მკითხველებს სწორად დაგეგმონ და გაიაზრონ პარტნიორობთან დაკონკურენტებთან საქმიანი კონტაქტების სქემები და სცენარები, მიაღწიონ რაც შეიძლება მეტ ეფექტს. შეძლონ უნარიანად მოამზადონ საჯარო გამოსვლები, ადვილად მიიტანონ აუდიტორიამდე სათქმელი. წინამდებარე სახელმძღვანელო გათვალისწინებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც საქმიანი ურთიერთობების კურსს შეისწავლიან.</p> <p>3. დამხმარე სახელმძღვანელო ეძღვნება Microsoft ფირმის ფართოდ გავრცელებული პროგრამული პროდუქტის MS Office-ის ათვისებას. წარმოდგენილ სახელმძღვანელოში განხილულია MS Office-ის გარემოში ობიექტზე ორიენტირებული, პროგრამირების ენა Visual Basic for Application (VBA). ამ ენის საფუძველზე, შესაძლებელია მომხიბლავი პროგრამული პროდუქტების აგება, რომლებიც გვაძლევენ MS Office-ის პროგრამების განსაკუთრებით Excel-ის მძლავრი შესაძლებლობების პროგრამული ანუ (ავტომატიზებული) გამოყენების საშუალებას. წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს სახელმძღვანელოს პირველ ნაწილს, სადაც განხილულია Excel-ის გარემოში პროგრამირების სხვადასხვა ტრადიციული ასპექტები, მოყვანილია მაგალითები.</p> <p>სახელმძღვანელო გათვლილია ყველა იმ მკითხველისათვის, ვინც დაინტერესებულია MS Office-ის გარემოში პროგრამებით.</p>				

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	ბმურდების რაოდენობა
1	გენადი იაშვილი ირინე იაშვილი ქეთი ბეთლემიძე	“საერთაშორისო ბაზარზე მცირე და საშუალო საწარმოთა გასვლის მოდელები“, (სოციალური ეკონომიკა XXI-საუკუნის აქტუალური პრობლემები).	№1 2013	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	5
2	გენადი იაშვილი თინათინ იაშვილი ირინე იაშვილი	„ეროვნული კულტურის გავლენა საერთაშორისო მენეჯმენტის თეორიაში“, (მსოფლიო და კავკასია - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები).	17-19 მაისი 2013	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	3
3	გენადი იაშვილი ირინე იაშვილი	„მომსახურების ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში“, (სოციალური ეკონომიკა XXI-საუკუნის აქტუალური პრობლემები).	№3 2013	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2013	4
4	გენადი იაშვილი ირინე ბრეგაძე ბესიკ შერაზადაშვილი	„ინოვაციები მომსახურების სფეროში“, (სოციალური ეკონომიკა XXI-საუკუნის აქტუალური პრობლემები).	№4 2013	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	4
5	ოთარ ქონორაძე ელისო ცირეკიძე	„შედარებითი მსოფლიო პოლიტიკა და თანამედროვეობა (შედარებითი პოლიტიკის განვითარების ძირითადი ეტაპები)“, (სამეცნიერო ჟურნალი “ხელისუფლება და საზოგადოება. თეორია, ისტორია პრაქტიკა“).	2013, 1(25)UDC 378(479.22) (051.2) x. 402 ISSN 1512-374X.	თბილისი, ღია დიპლომატიის ასოციაცია	11
6	ოთარ ქონორაძე ელისოცირეკიძე	„სოციოკულტურული ანალიზი შედარებით პოლიტიკაში“, (სამეცნიერო ჟურნალი	2013, 2(26) ტომი I. UDC	თბილისი, ღია დიპლომატიის ასოციაცია	10

		“ხელისუფლება და საზოგადოება. თეორია, ისტორია პრაქტიკა”).	378(479.22) (051.2) x. 402 ISSN 1512-374X.		
7	ოთარ ქოჩორაძე	„ორგანიზაციული კულტურა”. (სამეცნიერო ჟურნალი “ხელისუფლება და საზოგადოება. თეორია, ისტორია პრაქტიკა”).	2013, 2(26) ტომი II. UDC 378(479.22) (051.2) x. 402 ISSN 1512-374X.	თბილისი, ღია დიპლომატიის ასოციაცია	10
8	ოთარ ქოჩორაძე	„ორგანიზაციული ქცევა. (ნაწილი I)” (სამეცნიერო ჟურნალი “ხელისუფლება და საზოგადოება. თეორია, ისტორია პრაქტიკა”).	2013, 3(27) UDC 378(479.22) (051.2) x. 402 ISSN 1512-374X.	თბილისი, ღია დიპლომატიის ასოციაცია	14
9	შოთა დოდონაძე	„ხელისუფლება და ძალაუფლება თანამედროვე საქართველოში” (სამეცნიერო ჟურნალი “ხელისუფლება და საზოგადოება. თეორია, ისტორია პრაქტიკა”).	2013, 2(26) ტომიII. UDC 378(479.22) (051.2) x. 402 ISSN 1512-374X.	თბილისი, ღია დიპლომატიის ასოციაცია	10
10	გიორგი ბარათურიას; ფ. ფარანდი	Defects Prevention Forecasting Methodology (Journal of Business)	Volume 2, Issue 1, June , 2013	International Black Sea University	9
11	თამარ რევაზიშვილი	„ეკოლოგიური ეთიკა და მდგრადი განვითარება” (სამეცნიერო ჟურნალი “ხელისუფლება და საზოგადოება. თეორია, ისტორია პრაქტიკა”).	2013, 1(25) ტომიII . UDC 378(479.22) (051.2) x. 402 ISSN 1512-374X.	თბილისი, ღია დიპლომატიის ასოციაცია	6

12	ნუნუ ოვსიანიკოვა	დეკლარირება საჯარო სამსახურში და საჯაროობა (სამეცნიერო ჟურნალი “ხელისუფლება და საზოგადოება. თეორია, ისტორია პრაქტიკა”).	2013, 4(28) UDC 378(479.22) (051.2) x. 402 ISSN 1512-374X.	თბილისი, ღია დიპლომატიის ასოციაცია	9
----	------------------	---	---	------------------------------------	---

1. ექსპორტი ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი გზაა. განვითარებულ ქვეყნებში ექსპორტით დაკავებულია საწარმოთა 50%. მათ შორის მცირე და საშუალო საწარმოთა წილად მოდის საქსპორტო ეკონომიკის 30% (სხვადასხვა ქვეყნებსა და სხვადასხვა დარგებში ვარიაციის გათვალისწინებით). მცირე საწარმოთა ინტერნაციონალიზაციის განსაკუთრებული ფორმაა – არაპირდაპირი ექსპორტი.

არაპირდაპირი ექსპორტი მცირე საწარმოთათვის ინტერნაციონალიზაციის პერსპექტიულ მოდელს წარმოადგენს, რომელიც ინოვაციური იდეას შემუშავებით არიან დაკავებულნი. ასეთი ფორმებისათვის საერთაშორისო საქმიანობის ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც მათთვის აუცილებელია ახალი პროდუქციის, ან ახალი პროცესის ფინანსური სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება. ცნობილია, რომ რადიკალური ინოვაციური იდეები იბადება ზუსტად მცირე საწარმოებში. ამის მაგალითები ბევრია მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში. ფორდით დაწყებული და Xerox და Microsoft-ით დამთავრებული. მოცემულ ნაშრომში შემოთავაზებულია საერთაშორისო ბაზარზე მცირე და საშუალო საწარმოთა გასვლის მოდელები.

2. გლობალიზაციის პირობებში კომპანიების ინტერნაციონალურმა მოღვაწეობამ მთელი სიმწვავეით დააყენა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მენეჯმენტის ეროვნული თავისებურებების შესწავლის საკითხი. მენეჯმენტში კულტურულ-ინსტიტუციონალური განსხვავებების გათვალისწინება წარმატების მიღწევის საშუალებას იძლევა გლობალურ კონკურენციაში, რომელშიც ჩართულები არიან დღეს ფორმები, ქვეყნები, კულტურები და ცივილიზაციები. კოს-კულტურული მენეჯმენტი შეისწავლის იმ ადამიანების ქცევას, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა კულტურებს, მაგრამ მუშაობა უწევთ ერთად, ერთ საორგანიზაციო გარემოში. საზღვარგარეთ საწარმოების გახსნამ პროფესიონალი მენეჯერების წინაშე ადგილობრივი მუშაკების მართვის პრობლემა წამოჭრა, ამასთანავე აღმოჩნდა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონია კულტურული ასპექტის გათვალისწინებას და მის ცოდნას. მოცემულ ნაშრომში განხილულია ეროვნული კულტურის გავლენა საერთაშორისო კომპანიების მენეჯმენტზე.

3. გაზრდილი ყურადღება, რომელიც ეთმობა დღეს მომსახურების სფეროს, განპირობებულია ერთიან ეროვნულ პროდუქტში მომსახურების წილის ზრდით, რაც ზოგადად განვითარებულ ქვეყნებში მნიშვნელოვნად აღემატება მატერიალური წარმოების ზრდას. მოცემულ ნაშრომში განხილულია მომსახურების ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში. ნაჩვენებია მომსახურების წარმოების ტემპები, მომსახურების სფეროს დარგებში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა და სამუშაო ძალის მიგრაცია, ასევე მომსახურების სფეროში საქსპორტო-საიმპორტო ოპერაციების მოცულობები.

4. სტატიაში განიხილება ინოვაციები მომსახურების სფეროში. რადგანაც ინოვაციებს საფუძვლად უდევთ ცვლილებები, ამიტომაც ინოვაციების კლასიფიკაციის საბაზისო ნიშნად

გამოიყენება ცვლილებების ობიექტი, ამასთან შესაბამისობაში შეიძლება გამოიყოს ინოვაციების სახეობები: განხილულია, პროდუქტის, პროცესის (ტექნოლოგიური), საორგანიზაციო და სოციალური ინოვაციები.

წარმოდგენილია ინოვაციური საქმიანობის ძირითადი მიმართულებების სისტემატიზაციის ცდა, ცვლილებების მასშტაბისა (სიახლის) და მის შედეგად გაჩენილი პროდუქტების (მომსახურების) და პროცესების მიხედვით. განხილულია მომსახურების სფეროში ინოვაციების ხელშემწყობი ფაქტორები.

5. შედარებითი მსოფლიო პოლიტიკა და თანამედროვეობა (შედარებითი პოლიტიკის განვითარების ძირითადი ეტაპები).- მოცემულ ნაშრომში განხილულია შედარებითი პოლიტიკის წარმოშობის, ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი საკითხები. კომპარატივისტიკის ტრადიციები ამერიკასა და ევროპაში. შედარებითი პოლიტიკის აყვავების, კრიზისისა და თანამედროვე ტენდენციების საკითხები.

6. სოციოკულტურული ანალიზი შედარებით პოლიტიკაში. - წარმოდგენილ ნაშრომში პოლიტიკური, კულტურული და სოციალური მონაცემების საფუძველზე გაანალიზებული არის აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების საზოგადოებრივი და კულტურული სტრუქტურების ბუნება და ხასიათი.

7. ორგანიზაციული კულტურა. სტატიაში განხილული არის ორგანიზაციული კულტურის ჩასახვის, ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხები. ცნება “ორგანიზაციული კულტურა” -ს სპეციფიკის მრავალფეროვნება და ორგანიზაციულ კულტურათა ტიპოლოგია.

8. ორგანიზაციული ორგანიზაციული ქცევა. (ნაწილი I) - მსოფლიოს ქვეყნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ეკონომიკური განვითარების დონით, პოლიტიკური მოწყობის ფორმით, კულტურით, ისტორიული გამოცდილებით, ბუნებრივ-კლიმატური პირობებით და სხვა მრავალი პარამეტრებით. აქედან გამომდინარე შევეცდებით დავადგინოთ, თუ როგორ აისახება ეს ფაქტორები ადამიანთა ქცევაზე და შესაბამისად საორგანიზაციო კულტურათა თავისებურებებზე.

განხილულია, დღეისათვის არსებულ საორგანიზაციო კულტურათა ტიპოლოგიაში, გ. პოფსტედეს, გ. ჯონსონის, ფ. ჰარისისა და რ. მორანის, ს. ობინისა და მ. კუბრას, ტ. პიტერის და რ. უოტერმანის, ვ. სათის და სხვათა ტიპოლოგიები.

9. სტატიაში მოცემულია ხელისუფლებისა და ძალაუფლების თანაფარდობის კონცეპტუალური ასპექტები. ისტორიულ მაგალითებზე დაყრდნობით განხილულია ამ მიმართულებით საქართველოში განვითარებული პროცესები, არსებული გამოწვევები და პრობლემის გადაჭრის გზები. განხილულია ძალაუფლების უზურპაციის თავიდან აცილების საქმეში დემოკრატიზაციის პროცესის განვითარების აუცილებლობის საკითხები.

10. დამუშავებულია წუნდებული პროდუქციის აღმოჩენისა და პროგნოზირების მეთოდი, რომლის მეშვეობითაც ტექნოლოგიური პროცესის ხარისხის მართვის რუკებზე გათვალისწინებულია დეფექტების წინასწარი აღმოჩენის ალბათური სისტემის გამოყენება.

11. განხილულია ახალი ცივილიზაციის პარადიგმა ეკოლოგიური ეთიკისა და მდგრადი განვითარების კუთხით. ნაჩვენებია, რომ მდგრადი განვითარების მიღწევისთვის აუცილებელია საზოგადოების წევრებსა და, ასევე, ბუნებასა და ადამიანებს შორის ისეთი ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომელიც მიგვაახლოვებს „ჰარმონიული საზოგადოების იდეალთან“, რაც თავის მხრივ, შეუძლებელია ადამიანის ზნეობრივი სრულყოფილების გარეშე.

12. ნაშრომში განხილულია ქონებრივი დეკლარაციების საჯაროობასთან

დაკავშირებული პრობლემები. აღნიშნულია, რომ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონი ითვალისწინებს თანამდებობის პირის მიერ წარდგენილი დეკლარაციების საჯაროობასა და გამჭვირვალობას, რაც კანონმდებლობის ნორმათა შესაბამისად დეკლარირების ინსტიტუტის ძირითად არსს წარმოადგენს. საზოგადოების თითოეულ წევრს შესაძლებლობა ეძლევა მიიღოს ინფორმაცია თანამდებობის პირის ქონებისა თუ შემოსავლების შესახებ.

დეკლარაციების საჯაროობის ასეთი ხარისხით სახელმწიფო იქმნის თანამდებობის პირთა ეკონომიკურ ინტერესებზე საზოგადოების კონტროლის საუკეთესო პირობებს, რაც მნიშვნელოვანი ბერკეტია ხალხის ნდობისა და მხარდაჭერის ამაღლებისათვის.

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

საქართველოში

№	მომსხენებელი/ მომსხენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გენადი იაშვილი, ბესიკ შერაზადაშვილი	„ხარისხის მართვის საკითხები საჯარო სფეროში“	17-18. 10. 2013 თბილისი, სტუ-ს პირველი საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია- IEC 2013.
2	გენადი იაშვილი, თინათინ იაშვილი, ირინე იაშვილი.	„ეროვნული კულტურის გავლენა საერთაშორისო მენეჯმენტის თეორიაში“	17-19. 05. 2013 თბილისი, საერთაშორისო კონფერენცია, მსოფლიო და კავკასია.
3	გენადი იაშვილი ირინე იაშვილი	„კონფლიქტი ორგანიზაციებში და მისი მართვა“	24-25. 05 2013 ქუთაისი, საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენცია
4	გენადი იაშვილი, ირაკლი მანველიძე.	„რეგიონალური ელექტრონული მთავრობის დანერგვა საქართველოში“	16. 11. 2013 თბილისი, სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი

5	გენადი იაშვილი, ირაკლი ბრეგაძე, ბესიკ შერაზადაშვილი	„ფასთწარმოქმნა მომსახურების სფეროში“	16. 11. 2013 თბილისი, სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი
6	შოთა დოღონაძე	„ხელისუფლება და ძალაუფლება“ თანამედროვეაშშ-სა და საქართველოში (შედარებითიანალიზი)	ამერიკისმცოდნეობის XIV ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია მიძღვნილი პრეზიდენტ აბრაჰამ ლინკოლნის გიტსბურგში სიტყვით გამოსვლის 150-ე წლისთავისადმი თბილისი, მაისი, 2013
27. ნაშრომში გადმოცემულია 1918-1921 წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენები. ასევე 1924 წლის აჯანყების მონაწილის შვილის მოგონებები.

28. სტატია ეხება რწმენის ფენომენს და მის ნაირსახეობებს. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება რეგულირ რწმენაზე და მის როლზე კაცობრიობის ისტორიაში.

29. სტატია ეხება განათლების იმ რეფორმას, რომელიც საქართველოში წამოიწყო

ნაციონალურმა მოძრაობამ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში. საუბარია მის უარყოფით შედეგებზე მთლიანად საქართველოს განათლების სისტემაში.

30. სტატია ეხება იუდას სახარების ტექსტს, რომელიც საკმაოდ გვიან იქნა აღმოჩენილი, საუბარია მის სეუთავსებლობაზე ძირითად კანონიკურ ლიტერატურასთან.

31. ნაშრომი ფენომენოლოგიურ-ჰერმენევტიკული გამოკვლევაა. ამგვარი პრობლემატიკა იქმნება ძველი ბერძნული, რომაული, ებრაული, გერმანული, ფრანგული, ინგლისური და ქართული სააზროვნო ნაკადების გადაკვეთის წერტილში და ამდენად მასში გაანალიზებულია აზროვნების ლინგვისტურ-ფილოსოფიური განზომილებები. ამგვარ გამოცდილებას ჯაკ დერიდა ლინგვისტიკის მეტაფიზიკას უწოდებდა. წერილი ითვალისწინებს ე.წ. პოსტმოდერნულ სულისკვეთებას, მაგრამ ავტორის ჩანაფიქრით იგი დაწერილია პოსტპოსმოდერნის სულსკვეთებით. ჭერილის ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ მასში ზემოაღნიშნული პოზიციებიდან განხილულია ილია ჭავჭავაძის “ანრდილი” და მისი მნიშვნელობა თანამედროვე აზროვნებისთვის.

32. წერილში “მარტინ ჰაიდეგერი თანამედროვე ფილოსოფიურ დისკურსებში” განხილულია განხილულია ის მდგომარეობა, რაც სადღეისოდ არის ჰაიდეგერის ფილოსოფიასთან დაკავშირებით დასავლეთში. წინა პლანზეა წამოწეული მისი ნააზრების ისეთი ასპექტები, რომლებზეც ქართულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში კომენტარები არ მოგვეპოვებოდა. იგი ხელს შეუწყოს მკითხველს, რათან მან აღნიშნული მოაზროვნის ნასდომთა სხვადასხვა ასპექტები ცოდნისა და რწმენის დისკურსებში გაიაზროს და ორგანულად დაუკავშიროს დღევანდულობის ყველაზე სენსიტიურ ფილოსოფიურ საკითხებს.

33. წერილი წარმოადგენს თვალსაზრისს, რომელიც ავტორმა შეიმუშავა სოციოლოგიური კვლევების საფუძველზე. იგი შედის იმ გამოკვლევების კრებულში, რომელშიც სოციოლოგიური კვლევების საფუძველზე გამოკვლეული იქნა იმ ზეგავლენათა სხვადასხვა ასპექტები, რომლებიც განაპირობებენ საქართველოში მეწარმის იმიჯის ფორმირებას. გამოვლენილი იქნა, რომ ამგვარი იმიჯის ჩამოყალიბებაში არსებითად მონაწილეობს კულტურალური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, რელიგიური ფაქტორები. შესაბამისად განხილული იქნა მეწარმის იმიჯი კულტუროლოგიური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, რელიგიათმცოდნეობითი ასპექტებით. მომზადდა და გამოქვეყნდა პრაქტიკული რეკომენდაციები ქართველი მეწარმეებისთვის.

34. მ.ჰაიდეგერის მცირე ზომის, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი წერიული გამოქვეყნებულია კრებულში, რომელიც ეძღვნება უდიდეს გერმანელ ფილოსოფოსს მარტინ ჰაიდეგერს და წარმოადგენს მისი ნაშრომების ქართული თარგმანების პუბლიკაციას. იგი პირველი ასეთი კრებულია, რომელიც საქართველოში გამოდის. მისი მიზანია ის, რომ ქართველ მკითხველს დაეხმაროს, შედარებით შევსებული წარმოდგენა შეიქმას ამ ყველაზე გავლენიანი ფილოსოფიური შეხედულებების შესახებ. კრებული თემატურად (და ჟანრობრივადაც) მრავალფეროვანია. ამ ნაშრომებში სრულიად ახლებურად არის გააზრებული ფილოსოფიის არსი და დანიშნულება; დრო და ყოფიერება; ჰოლდერლინის პოეზია; ხელოვნების ნაწარმოების წარმომავლობა და მისი დანიშნულება. იგი მიზნად ისახავს ხელოვნების

35. 1983 წელს რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დადებული ხელშეკრულების დადებიდან 200 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით.

36. საგარეო-პოლიტიკური უშიშროების ავტომატიზებული საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფის შესახებ.

37. სტატიაში „ადამიანი როგორც მიკროკოსმოსი“ განხილულია ადამიანის პრობლემა კოსმოსთან მიმართებით. ამ მხრივ კი ადამიანი არის არსება, რომელიც რაღაცნაირად იმეორებს მთელს კოსმოსს, ოღონდ მცირე მასშტაბით, რის გამოც მას უწოდებენ კიდევ მიკროკოსმოსს. მიკროკოსმიურობა მიჩნეულია ადამიანის უნიკალურ თავისებურებად.
38. რეცენზიაში წიგნზე „ს.ლომინაძე. ბრენდინგი და თანამედროვე ბრენდინგის ტექნოლოგიები“ გარჩეულია წიგნის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ამასთან იგი არსებითად დადებითადაა შეფასებული. რეცენზენტს აღნიშნული აქვს ყველა ის მომენტი, რაც ერთად შეადგენს სარეცენზიო წიგნის ღირსებას.
39. სტატიაში „ენა როგორც ვერბალური კომუნიკაციის საფუძველი“ განხილულია ვერბალური კომუნიკაციისტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხი. მასში ენა მიჩნეულია იმგვარ ფენომენად, რომლის გარეშე ვერბალური კომუნიკაცია ვერც კი შედგებოდა. ხოლო ამით გამოკვეთილია ენის უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანთა შორის ვერბალურ კომუნიკაციაში.
40. სტატიაში ნაჩვენებია საბჭოთა კავშირის დაშლას ისტორიული მიზეზები, ეკონომიკის როლით სსრ კავშირის დაშლაში.
41. სტატიაში ნაჩვენებია ეროვნული იდეოლოგიის როლი და მნიშვნელობა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში.)
42. სტატიაში აღნიშნულია, რომ სოციალურ-ისტორიული განვითარების პროცესში მიმდინარეობს ეთნიკური რეგიონალიზმის ცვლილებები, რომ პოლიეთნიკურ სახელმწიფოში ერთადერთი სწორი დევიზი ერების თანაარსებობა არის. ქვეყნის სტერეოტიპი ეთნოსის გარჩევის ერთადერთ საიმედო კრიტერიუმად არის მიჩნეული. რეგიონალიზაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც პროცესი, „ცვლილებების ციკლი, სისტემის თანდათანობითი ცვლილება“
43. სტატიაში მითითებულია, რომ თითოეული რეგიონი თავისებურად რეაგირებს დროის მოთხოვნაზე. ეს განპირობებულია მისი ეროვნული, კულტურული, ისტორიული, გეოპოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური თავისებურებებით. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გვეჩვენება მომხდარი ცვლილებების შედარებითი ანალიზი. ასევე რეგიონალური პოლიტიკის სფეროში სხვადასხვა დიპლომატიური გამოცდილების შესწავლა. უფრო ცხადი ხდება რეგიონალიზაციის პროცესების არაერთგვაროვნობა. საზღვრების ღიაობის შედეგად მთავრობები შეხებაში მოდიან კაპიტალის მობილობის, შრომითი რესურსების, კულტურული ფასეულობების უკონტროლობასთან არა მარტო სახელმწიფოებრივ , არამედ ინტეგრაციული გაერთიანებების დონეზეც.
44. ნაშრომი „ საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეთა ურთიერთდამოკიდებულების საკითხი საერთაშორისო თეორიულ მიმდინარეობებში“ ეხება საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი მონაწილეების – სახელმწიფოს, არასახელმწიფოებრივი მონაწილეებისა და ორგანიზაციების , ტრანსნაციონალური კორპორაციების, საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემებს.
45. ნაშრომი „ რატომ დაიგმო სტალინის პიროვნების კულტი “ეხება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე ნიკიტა ხრუშჩოვის საიდუმლო მოხსენებას სტალინის პიროვნების კულტის შესახებ. მასში გაანალიზებულია ის მიზეზები, რამაც განაპირობა საბჭოთა ბელადის – იოსებ სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკა.
46. ნაშრომში „ მამაკაცი ფემინიზმში“ გაანალიზებულია გენდერული პრობლემების მნიშვნელოვანი ასპექტები. კერძოდ, მამაკაცის როლი და ადგილი ფემინისტურ მოძრაობაში.
47. სტატიაში განხილულია საკითხები, რომლებიც ეხება ტერორიზმის როლს აგრესიული

სეპარატიზმის ჩამოყალიბებაში. ასევე, ჩვენი პოლიტიკურ-სამართლებრივი ხედვა თუ რა როლი ითამაშა სეპარატიზმის აგრესიულ სეპარატიზმად გადაზრდაში ტერორისტულმა ორგანიზაციებმა და ცალკეულ საერთაშორისო დონის ტერორისტებმა, კერძოდ კი, მათ „გამოჩენილმა“ ფიგურებმა აფხაზეთში განვითარებული მოვლენებისას.

48. სტატიაში განხილულია ფილოსოფიის მსოფლმხედველობრივი ფუნქციის მნიშვნელობა საერთო მსოფლმხედველობრივ შეხედულებათა სისტემაში. აქ მთავარი ყურადღება ეთმობა ირაციონალური და რაციონალური შეხედულებების დაპირისპირების საკითხს, რომელიც ოპტიმალისტურ და პესიმისტურ მსოფლმხედველობრივ დასკვნებს ეხება. მოცემულია ამ პოზიციების ანალიზი და დასკვნები.

49. სტატიაში გაანალიზებულია ნიკო ნიკოლაძის შეხედულებები მოსამართლეებისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების მხარდასაჭერად.

50. სტატიაში წარმოდგენილია კრწანისის ბრძოლის დღემდე უცნობი გმირის ვეზირიშვილის და მისი გვარის ისტორია.

51. სტატიაში გაანალიზებულია ეროვნული დაოუკიდებლობისა და ეროვნული იდეოლოგიის მიმართება და კავშირი ერთმანეთთან.

52-54. წარმოდგენილ სტატიებში განხილულია ორი დიდი ქართველი მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძისა და არჩილ ჯორჯაძის პოლიტიკური შეხედულებები დემოკრატიის ფუნდამენტურ საკითხებზე. არჩილ ჯორჯაძის მოსაზრებანი უმცირესობის უფლებებისა და თავისუფლების შესახებ დღესაც ძალიან აქტუალურია, მას აქცენტი გაკეთებული აქვს ქართველ ერზე, როგორც პოლიტიკურ უმცირესობაზე, რამდენადაც სხვა ევროპული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით საქართველოში სწორედ ქართველები პროცენტულად ყველაზე ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი სახელისუფლებო შტოებში.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ ორი მოღვაწის თვალსაზრისი ნაციონალიზმის შესახებ, რომელიც წმინდა ევროპული წარმომავლობისაა. ისინი ამ ღირებულებას სხვა და სხვა კუთხით აშუქებენ. მათი შეხედულებები თითქოსდა ერთმანეთს უპირისპირდებიან, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად, რეალურად ნიკოლაძის ლიბერალური ნაციონალიზმი არის ჯორჯაძის კულტურული ნაციონალიზმის გაგრძელება.

55-57. სტატიებში გაანალიზებულია პოლიტიკური ლიდერობის ძირითადი მახასიათებლები, მათი მოტივაციის ძირითადი ინდიკატორები, კონკრეტულად პოლიტიკური ლიდერი, “რკინის ლედად” წოდებული მარგარეტ ტეტჩერი, რომელსაც სამი ვადით ეკავა ინგლისის პრემიერ მინისტრის პოსტი, რომელმაც პრაქტიკაში შემოიტანა მთელი რიგი დამატებითი კომპეტენტურობანი. ასევე მოცემულია სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის ხელმძღვანელის პროფესორ მაია ამირგულაშვილის წიგნის “პოლიტიკური ფილოსოფიის” რეცენზია.

58-60. სტატიაში „ბრალის ფილოსოფიური ასპექტები“ ერთმანეთისგან გამიჯნულია ბრალის სამართლებრივი, ეთიკური და მეტაფიზიკური ასპექტები. ნაჩვენებია ადამიანის ბრალეულობის ისტორიული ასპექტი. „ვეფხისტყაოსანი და ფაუსტი“ ეხება საქართველოსა და დასავლური კულტურის განსხვავების საკითხს. ვეფხისტყაოსანი და ფაუსტი ქართულ და პროტესტანტულ კულტურათა მეტაფორებადაა განხილული. სტატიაში „მარტინ ჰაიდეგერის ხელოვნების შესახებ“ ჰაიდეგერის თვალსაზრისი განხილულია მის „ფუნდამენტურ ონტოლოგიასთან“ მჭიდრო კავშირში და ნაჩვენებია ჰაიდეგერის ადგილი ესთეტიკის ისტორიაში.

61-63. ისლამის ისტორიული პოლიტიკური განვითარება და დამოკიდებულება

პოლიტიკური ხელისუფლებისადმი და მისი რამოდენიმე ძირითადი განსაზღვრა.

დღესდღეობით რელიგიური ფანატიზმი იქცა გლობალურ პრობლემად. როდესაც ხელისუფლები წარმომადგენლები ამაოდ მსჯელობენ მის შესახებ, საზოგადოება კარგავს თავის ახალგაზრდა ტაობას, რადგან ამ რელიგიურ ფანატიზმში ძირითადად ახალგაზრდობაა ჩართული.

დღესდღეობით ჩრდილო კავკასია არის რუსეთის დენტის კასრი, სადაც ისლამური რენესანსი გარდაიქცა ისლამურ რადიკალიზმად.

64. გლობალიზაციის პროცესი ერთფეროვანი გლობალური ტრანსსაზოგადოების ჩამოყალიბებას გულისხმობს. ამ ტიპის საზოგადოების წევრები, გაერთიანებული იქნებიან არამარტო საერთო ეკონომიკით არამედ ტრანსლირებულებებით, აზროვნების, რწმენის და ცხოვრების შესაბამისი წესით.

65. XX საუკუნის დასაწყისი, ერთის მხრივ ესაა უდიდესი ცვლილებების, - უახლესი ტექნოლოგიების ათვისების საუკუნე, მეორეს მხრივ კი, იგი მთელი სიმწვავეით სვამს კაცობრიობის წინაშე არაერთ აქტუალურ, პოლიტიკურ, მორალურ, ფსიქოლოგიურ, მედიკო-ბიოლოგიურ პრობლემებს.

66. მსოფლიოს გადანაწილებისათვის ბრძოლა XX საუკუნის დასაწყისისათვის ძირითადად დამთავრდა და იგი გადანაწილებულ იქნა მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს შორის. ამ გარემოებამ განაპირობაროგორც დამპყრობელ, ისე დაპყრობილ ქვეყნებს შორისმრავალმხრივი კავშირების ჩამოყალიბება.

67. გენდერული განათლების გარეშე წარმოუდგენელია ჭეშმარიტი დემოკრატია, სამართლიანი სახელმწიფო, რომელიც მოწოდებულია გაითვალისწინოს ორივე სქესის მოქალაქეთა ინტერესები. გენდერული ცოდნის გავრცელების პირველსაწყისს ხელს უწყობს ინტერნეტი, სადაც მოიძიება უამრავი ლიტერატურა გენდერული პრობლემატიკის შესახებ.

68. საქმიანი კომუნიკაციის ფსიქოლოგიის ხელმძღვანელებს ეფექტური ურთიერთქმედება პქონდეთ საქმიან პარტნიორებთან და შეძლონ ფსიქოლოგიურად კომფორტულ დამოკიდებულებებს რეალიზდება, რომელიც ორიენტირებული იქნება, კომპრომისზე და თანამშრომლობის მიღწევაზე.

69. კრიზისულ პერიოდებს, ბავშვებთან ერთად მშობლებიც განიცდიან, მათაც არანაკლებ უჭირთ, რადგან აღზრდის პრინციპები რადგანაც ჩიხში შედის და შეილებთან გაუცხოებას გრძნობენ.

70. ცნება თვითრეალიზაცია შედარებით ახალია, თუმცა ბოლო წლებში საკმაოდ ხშირად გამოიყენება პედაგოგიურ კვლევებში. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან იგი ჩნდება სამეცნიერო პუბლიკაციებში და გამოიყენება ისეთი ცნებების გვერდით, როგორიცაა „თვითგამორკვევა“, მოგვიანებით კატეგორია „თვითაქტუალიზაცია“ გამოეყო სინონიმთა რიგს, რამ-აც თავისი ასახვა ჰპოვა ფსიქოლოგიურ ლექსიკონებში.

71-75. კონფლიქტების პრევენციას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრესიის მიზეზების გაცნობიერებას სტატიები ეხება ამ მიზეზების კვლევას. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს აგრესიის სოციალური ფაქტორებიდან მასმედია. რამდენადაც მისი ზეგავლენით ხდება სოციალური ფაქტორების ესკალაცია.

ფროიდის ფსიქო ანალიზში ადამიანის ცხოვრების სტილის ჩამოყალიბება ხდება სექსუალურ ფაქტორზე დაყრდნობით. აღნიშნულ სტატიაში საუბარია ადღერის თეორიის მიხედვით ადამიანის ცხოვრების სტილის განმსაზღვრელად ადამიანის თანშობილ უნარზე რასაც უპირატესი სწრაფვა ეწოდება.

სტატიაში საუბარია იმ ცვლილებებზე, რაც ქართულმა დაკრძალვის ტრადიციამ განიცადა ახალ ეკონომიკურ-პოლიტიკურ ფორმაციაში გადასვლის პროცესში.

76. საუბარია გლობალიზაციის ეპოქაში ეროვნული სახელმწიფოების, განსაკუთრებით მცირე ერების განვითარების სამომავლო პერსპექტივებზე. რამდენად შეძლებენ ისინი ეროვნული თვითყოფადობის შენარჩუნებას მსოფლიო ეკონომიკისა და მსოფლიო პოლიტიკის გაერთიანებების შექმნის ფონზე.

77. ავტორების მიზანია, ძვ.წ. VIII საუკუნის ურარტული ლურსმული წერილობითი ძეგლების მონაცემთა საფუძველზე შეძლებისდაგვარად სრულად წარმოაჩინონ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უძველეს ადრესახელმწიფოებრივ წარმონაქმნში, დიოხში (ქართულ პროვინცია ტაოში) არსებული დემოგრაფიული და ეკონომიკური ვითარება. ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად ავტორები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ქართველთა ამ უძველეს პოლიტიკურ ერთეულში ძვ.წ. VIII ს-ში სულ ცოტა 900 000 ადამიანს უნდა ეცხოვრა, ხოლო ეკონომიკაში წამყვანი როლი მესაქონლეობას და მეტალურგიას ეკავა.

78. ჩატარებული კვლევის შედეგად ავტორები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ძველბერძნულ-ლათინურ წერილობით წყაროებში უმნიშვნელოვანესი მონაცემებია დაცული არამხოლოდ ქართველთა ეთნოგენეზისის, ისტორიული გეოგრაფიის პოლიტიკური და სოციალური ისტორიის რეკონსტრუქციისათვის, არამედ ცალკეული ეთნოგრაფიული ჯგუფების დასახლების ტიპების რწმენა-წარმოდგენების ყოფითი რეალიების კვების რაციონის და ანთროპოლოგიური ნიშნების წარმოსაჩენად. ჩატარებული კვლევა, ძირითადად, კოლხეთსა და მის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას მოიცავს.

79. სტატიაში ხაზგასმულია, რომ „გარე“ და „შიდა“ სივრცეებად სამყაროს დაყოფის უნივერსალური თვალსაზრისი ეთნოსის გენეზისითანავე ყალიბდება, რადგან ადამიანთა უბრალო ერთობიდან ეთნოსის წარმოქმნა, როგორც წესი, ბუნებრივად ან ხელოვნურად შექმნილ იზოლირებულ შიდა სამყაროში ხორციელდება. ასევე აღნიშნულია, რომ ამ ტერიტორიაზე განსახლებულთ უკვე აქვთ ეთნოგენეზისისათვის აუცილებელი ყველა წინაპირობა: ვერბალური კომუნიკაცია – საკუთარი ენა, თვითდასახელება – ეთნონიმი, რომელიც ადამიანთა კონკურენტული ჯგუფის განსხვავებულობის ნიშან-თვისებების მატარებელია, სულიერი და მატერიალური კულტურა. სოციალური სტრუქტურა (დახურული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ეგზოგამიით). აქვე ნათქვამია, რომ გარე სამყაროსთან ეთნოსის ურთიერთობა (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) მისი განვითარების ადრეულ ეტაპზევე აღინიშნება. სხვადასხვა ხასიათის პირველწყაროების ზემოაღნიშნულის კონტექსტში ნაჩვენებია გარედამოსულისადმი ქართველთა დამოკიდებულების სხვადასხვა ვარიანტები.

80. ანტიკური ხანის ძველბერძნულენოვანი ავტორების – ჰომეროსის, ჰესიოდეს, ჰეროდოტეს, პლატონის, არისტოტელეს, პლუტარქეს და სხვათა თხზულებებში დაცული ცნობების ანალიზისა და ურთიერთშეჯერების გზით სტატიაში გამოწვეილვითაა შესწავლილი ანტიკური ხანის დემოკრატიულ პოლისებში ქალთა და მამაკაცთა სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური უფლებების თანაფარდობა. ჩატარებული კვლევის შედეგად ავტორები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ანტიკური ხანის საბერძნეთის პოლისებში, რომელთა მართვა-გამგეობა დემოკრატიულ პრინციპებზე იყო დაფუძნებული გენდერული თანასწორობა ყოველმხრივ დარღვეული იყო. ისიცაა

ნაჩვენები, რომ წინაანტიკური ხანის საბერძნეთში დიამეტრალურად საწინააღმდეგო ვითარება დასტურდება. უფრო მეტიც ძველ ახლოაღმოსავლეთსა და ძველ ეგვიპტეშიც ავტოკრატიული მართველობის სისტემის პირობებშიც კი, ქალი გაცილებით თავისუფალი იყო ვიდრე ანტიკური ხანის ბერძნულ პოლისებში.

81. სტატიაში ძვ.წ. XVI ს-ში ლუვიელების მიერ შექმნილ იეროგლიფურ დამწერლობაში ღვინის, ვენახის აღმნიშვნელი იეროგლიფურ სემანტიკური კოდის ახსნის მიზნით შესწავლილია ხეთური და გვიანხეთური წერილობითი ძეგლები. ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ როგორც ხეთურ საზოგადოებაში ასევე გვიანხეთურ სამეფო-სამთავროებში მევენახეობა-მეღვინეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგს წარმოადგენდა.

82. სტატია ეძღვნება ამაგდარი ქართველი ისტორიკოსის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის ნოდარ ასათიანის მეცნიერული მემკვიდრეობის წარმოჩენას.

83. სტატია ეძღვნება ერისკაცისა და ღვთისკაცის ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 150 წლისთავს, რომელსაც იუნესკოს გადაწყვეტილებით 2013 წელს მსოფლიო მასშტაბით აღნიშნავენ. ავტორი მცირე ნარკვევში დიდი მეცნიერის ბავშობისა და ყრმობის საკმაოდ სევდიან ისტორიაზე მოგვითხრობს.

84. სტატიაში შემოთავაზებულია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული ერთ-ერთი სიგელ-გუჯრის მხატვრულ-სტილისტური ანალიზი, ახსნილია მისი სიმბოლიკა. ამ დოკუმენტის მონაცემთა კონტექსტში შეფასებულია მისი მნიშვნელობა XVII ს-ში წმინდა მიწაზე საუკუნეების მანძილზე არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების, სამლოცველოების სავალალო, საგანგაშო მდგომარეობა. ავტორების აზრით, ექვთიმე თაყაიშვილის ეს პუბლიკაცია მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ძნელბედობის ხანის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტის შესასწავლად.

85. ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად ავტორები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ სამშობლოს აღმნიშვნელი ტერმინები საბოლოო ჯამში მიწას უკავშირდება. ისიცაა გარკვეული, რომ ყველაზე პოპულარული მაინც ტერმინები „მამული“ და „ქვეყანაა“. სტატიაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ სამშობლოს აღმნიშვნელი ქართული ტერმინი „ქვეყანა“ სემანტიკურად შორეულ პარალელს სამხრეთ-აფრიკის რეგიონში გავრცელებულ Land-თან (სახნავ-სათესი მიწა – ავლენს. იმ განსხვავებით, რომ ქართულში ის მიწა იგულისხმება, რომელიც მაინც და მაინც ყანას ასაზრდოებს. ავტორის მიერ მოძიებული მონაცემები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს სხვადასხვა კულტურული ტრადიციების მატარებელი ეთნოსების ურთიერთმსგავს დამოკიდებულებას ისეთი ღირებულებისადმი, როგორცაა სამშობლო (მშობლიური მიწა).

86. გამოკვლეულია არმაზ ციხეზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული სამეურნეო დანიშნულების რკინის იარაღი. შესწავლილია მასალის ქიმიური შედგენილობა, მიკროსტრუქტურა და დამზადების ტექნოლოგიური სქემა. მიღებული მონაცემები ახალ ინფორმაციას შეიცავს გვიანრომაული ხანის იბერიის ეკონომიკის შესწავლის საკითხთა განზოგადების საქმეში.

87. ნაშრომში განხილულია ელინისტური ხანის კოლხეთისა და იბერიის რკინა-ფოლადის წარმოების ორანგანიზაციის საკითხი. შესწავლილია სამეურნეო და საბრძოლო დანიშნულების იარაღი. დადგენილია არტეფაქტების დამზადების სქემები.

88. ნაშრომში განხილულია შუასაუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი მაღალმთიანი რეგიონის, კერძოდ მთიულეთის, საჯარო მოხელეთა სოციალური კუთვნილება და სისხლის ფასი. სისხლის ფასში იგულისხმება ფულადი თანხა, რომელიც დამნაშავეს უნდა გადაეხადა ამა თუ იმ მოხელის სიცოცხლის ხელყოფის სანაცვლოდ.

89. ნაშრომში კრიტიკულადაა განხილული მიწაზე კერძო საკუთრების დეფინიციის განსხვავებული ვარიანტები. სათანადო მასალის განხილვის შემდეგ კეთდება დასკვნა, რომ მიწაზე კერძო საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტური უფლება, რომ მიწის მესაკუთრის გონივრული შეზღუდვა სახელმწიფო ხელისუფლების მხრივ თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს.

90. ნაშრომში განხილულია ეროვნული და სახელმწიფო საკუთრების პრობლემა. აღნიშნულია, რომ როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში ისე მოქმედ საკანონმდებლო ძეგლებში ხშირად არასწორადაა განმარტებული მათი შინაარსი. ნაშრომში დაზუსტებულია, რომ სახელმწიფო ტერიტორიის და სახელმწიფო ქონების უზენაესი მესაკუთრეა ერი. სახელმწიფო ხელისუფლება კი უზენაესი მესაკუთრის ნაცვალსუბიექტს წარმოადგენს.

91. შუასაუკუნეებში სამეფო ხელისუფლება მთიანეთის მოსახლეობასთან ურთიერთობაში წამყვან მნიშვნელობას ანიჭებდა სამხედრო-პოლიტიკურ ასპექტს. მთის მწიერი ეკონომიური შესაძლებლობების გამო მთიელთა ძირითად ვალდებულებას ცენტრალური ხელისუფლების წინაშე წარმოადგენდა არა ნატურალური რენტა, არამედ სამხედრო ბეგარა.

92. ნაშრომში „პოლიტიკური კულტურის ზოგიერთი ასპექტი“ განხილულია პოლიტიკური კულტურის თეორიული ასპექტები. განხილულია პოლიტიკური კულტურის შემადგენელი ელემენტები, ტიპოლოგია და ფუნქციები. ავტორი ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკურ კულტურის განსაკუთრებულ როლზე მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გაანალიზებისა და გაცნობიერების თვალსაზრისით. აგრეთვე, სტატიაში ყურადღება ეთმობა ცალკეული პოლიტიკური ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტის კუთხით პოლიტიკური კულტურის ფენომენის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტების მნიშვნელობას. ავტორი დაასკვნის, რომ პოლიტიკური კულტურის როლის სწორი განსაზღვრა, მისი თეორიული ასპექტების გათვალისწინება დიდწილად განსაზღვრავს საზოგადოების პროგრესს.

93. სტატიაში „ქვეყანა და გარედან მოსულის ფენომენი“ ხაზგასმულია, რომ „გარე“ და „შიდა“ სივრცეებად სამყაროს დაყოფის უნივერსალური თვალსაზრისი ეთნოსის გენეზისთანავე ყალიბდება, რადგან ადამიანთა უბრალო ერთობიდან ეთნოსის წარმოქმნა, როგორც წესი, ბუნებრივად ან ხელოვნურად შექმნილ იზოლირებულ შიდა სამყაროში ხორციელდება. ასევე აღნიშნულია, რომ ამ ტერიტორიაზე განსახლებულთ უკვე აქვთ ეთნოგენეზისისათვის აუცილებელი ყველა წინაპირობა: ვერბალური კომუნიკაცია – საკუთარი ენა, თვითდასახელება – ეთნონიმი, რომელიც ადამიანთა კონკურენტული ჯგუფის განსხვავებულობის ნიშან-თვისებების მატარებელია, სულიერი და მატერიალური კულტურა. სოციალური სტრუქტურა (დახურული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ეგზოგამიით). აქვე ნათქვამია, რომ გარე სამყაროსთან ეთნოსის ურთიერთობა (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) მისი განვითარების ადრეულ ეტაპზევე აღინიშნება. სხვადასხვა ხასიათის პირველწყაროების ზემოაღნიშნულის კონტექსტში ნაჩვენებია გარედამოსულისადმი ქართველთა დამოკიდებულების სხვადასხვა ვარიანტები.

94. ძვ.წ III – ახ.წ. IV სს. ქართლის სამეფო, ფლობდა რა სამხრეთ-დასავლეთ ზღვისპირეთს, ერთი მხრივ, აკონტროლებდა კოლხეთ-ლაზიკეს, ხოლო მეორე მხრივ. რომთან და შემდგომში სპარსეთ-ბიზანტიასთან, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე დამოუკიდებელ

სამხარეო პოლიტიკას აწარმოებდა.

95. ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად ავტორები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ სამსობლოს აღმნიშვნელი ტერმინები საბოლოო ჯამში მიწას უკავშირდება. ისიცაა გარკვეული, რომ ყველაზე პოპულარული მაინც ტერმინები „მამული“ და „ქვეყანაა“. სტატიში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ სამსობლოს აღმნიშვნელი ქართული ტერმინი „ქვეყანა“ სემანტიკურად შორეულ პარალელს სამხრეთ-აფრიკის რეგიონში გავრცელებულ Land-თან (სახნავ-სათესი მიწა– ავლენს. იმ განსხვავებით, რომ ქართულში ის მიწა იგულისხმება, რომელიც მაინც და მაინც ყანას ასაზრდოებს. ავტორის მიერ მოძიებული მონაცემები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს სხვადასხვა კულტურული ტრადიციების მატარებელი ეთნოსების ურთიერთმსგავს და მოკიდებულებას ისეთი ღირებულებისადმი, როგორცაა სამსობლო (მშობლიური მიწა).

96. სტატიაში ხაზგასმულია, რომ უნდა მოხდეს თანაბარი გენდერული სისტემის ჩამოყალიბება, რაშიც მამაკაცის ჩართულობა აუცილებელი პირობაა. ორივე მხარემ უნდა გააცნობიეროს, რომ ქალიც და კაციც თანასწორია და მათ შორის უფლებები, ვალდებულებები, პასუხისმგებლობები თანაბრად უნდა გადანაწილდეს. სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს ამ საკითხის პროპაგანდა. აღმასრულებელმა და საკანონმდებლო სტრუქტურებმა უნდა მოახდინონ გენდერის ინტეგრაცია, რაც გულისხმობს პოლიტიკის, პროგრამების განხორციელებას, მათ დაფინანსებას. ქალის შესაძლებლობებსა და უფლებებს უნდა მიენიჭოს სათანადო მნიშვნელობა და მიეცეს მათ საშუალება საკუთარი რესურსების ჯანსაღ გარემოში რეალიზების.

97. ნაშრომში განხილულია XVII-XVIII სს. თბილისის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები აღმოსავლეთის და ნაწილობრივ ევროპულ ქვეყნებთან, რაც განპირობებული იყო მისი კავშირით სავაჭრო სატრანზიტო მაგისტრალთან.

98. ნაშრომში განხილულია ფსიქოლოგიური კონფლიქტის გარე და შიდა პირობები, ამ პირობების შინაარსი და ხასიათი. აღწერილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების განვითარებისა და სტრუქტურის შესწავლას ფსიქოლოგიური კონფლიქტის მიმდინარეობისას.

99. გაანალიზებულია მსოფლიოს ერთ-ერთი დიდი პოლიტიკოსი ქალის დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის ბიოგრაფიის საინტერესო დეტალები. სტატიაში გაანალიზებულია ტეტჩერის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მომენტები, კერძოდ, ფოკლენდის (მალდინის) კონფლიქტი, რომელიც ბრიტანეთის გამარჯვებით დასრულდა. მოთხრობილია მსოფლიოს ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან შეხვედრების შესახებ.

100. თანამედროვე მსოფლიოში არსებობს უამრავი რელიგია და რელიგიური რწმენა. კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე რელიგია რჩებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან შემადგენელ ელემენტად. სულიერი ორიენტირების, საყრდენი წერტილების ძიებას მიჰყვება თანამედროვე მსოფლიოში რელიგიური ფაქტორის ზრდამდე.

101. თანამედროვე დასავლურ საზოგადოებაში სახელმწიფო და რელიგია არსებობს ერთმანეთის პარალელურად. რელიგია უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ღირებულებების აღმოცენებას და მათ მხარდაჭერას. მათ შორის პოლიტიკურისაც, რაც გავლენას ახდენს საზოგადოების დამოკიდებულებას კანონებსა და ხელისუფლებაზე. რელიგიური ორგანიზაციები აქტიურ იდეოლოგიური საქმიანობით იღებენ მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში.

102. ქართველი მზევრავი მანუჩარ კაჭკაჭიშვილი ერეკლე მეორის მიერ გაგზავნილ იქნა პოლიტიკური სიტუაციის შესაფასებლად ეთიოპიაში. მანუჩარ კაჭკაჭიშვილის მოხსენებიდან

ვიგებთ, რომ ეგვიპტელი ბეები-მამლუქების ეთნიკურ შემადგენლობას და მათ რელიგიურ შესედულებებს (ჩუმად ინახავდნენ ქრისტიანობას)...

103. სტატიაში განხილულია საქართველო-რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ისტორია. კერძოდ, XVIII საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიაში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მდგომარეობა. სტატიას თან ერთვის ვაჭართა სიები მათი ეთნიკური შემადგენლობის ჩვენებით.

104. სტატიაში გაანალიზებულია პოლიტიკური ლიდერობის ძირითადი მახასიათებლები, მათი მოტივაციის ძირითადი ინდიკატორები, კონკრეტულად პოლიტიკური ლიდერი.

105. ნაშრომში წარმოდგენილია XIX საუკუნის ორი მოღვაწე ქალის – მარიამ დემურისა და ნინო ნაკაშიძის საქმიანობა. სწორედ მათი ძალისხმევით დაარსდა ჟურნალი „ნაკადული“, რომლის ირგვლივ თავი მოიყარეს ქართული მწერლობის ძველმა და ახალმა თაობებმა.

ამ ორმა ქალბატონმა დიდი ღვაწლი დასდო ქართულ საბავშვო ლიტერატურას და მთელი სიცოცხლის მანძილზე უამრავი კეთილი საქმე გააკეთეს ქართველი ბავშვების განათლებისათვის.

106. ე. თაყაიშვილი იყო საოცრად მრავალმხრივი მეცნიერი, ფასდაუდებელი მკვლევარი. უსაზღვროდ დიდია მისი დამსახურება მშობელი ქვეყნის წინაშე. მან თავისი კვლევის მეთოდებით ქართულ საისტორიო მეცნიერებას ღირსეული ადგილი დაუმკვიდრა მსოფლიო ლიტერატურაში. თაყაიშვილის მრავალმხრივ მეცნიერულ მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის მეთოდოლოგიურ შრომებს, რომლებშიც იგი წარმოგიდგება რამდენიმე ასპექტით: არქეოლოგი-მკვლევარი, გამართული არქეოლოგიური მეთოდებით „შეიარაღებული“, რომელიც დაწვრილებით იცნობს და მოიაზრებს ამ სპეციალობისათვის აუცილებელ დამხმარე ატრიბუციას, წარმოგიდგება როგორც ისტორიის სისტემური მკვლევარი, რომელიც არქეოლოგიურ მეცნიერებას განიხილავს, როგორც ისტორიის შესწავლის უმნიშვნელოვანეს მეთოდს.

107. ნაშრომში განხილულია XX საუკუნის 30-იან წლებში მსოფლიოში განვითარებული მოვლენები. აღნიშნულია, რომ ჰიტლერული გერმანიის აგრესიულ პოლიტიკას ხელს უწყობდნენ დასავლეთის გარკვეული პოლიტიკური წრეები და მათ სურდათ ფაშისტური გერმანია მიემართათ აღმოსავლეთით სტალინის წინააღმდეგ, რომელმაც მთელი რიგი დიპლომატიური სვლების მეშვეობით შეძლო პაქტის დადება იაპონიასთან ნეიტრალიტეტის შესახებ, რითაც მან თავიდან აიცილა ომი აღმოსავლეთში იაპონიასთან.

108. ნაშრომში ყურადღება მახვილდება საქართველოს სახელმწიფოებრივი და პოლიტიკურ-დიპლომატიური ქცევის მოდელზე, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა საქართველოში და მიზნად ისახავდა რომელიმე დიდ ქვეყანასთან მდგრადი და მყარი კავშირების დამყარებას დამოკიდებულების მაღალი დონით. თუმცა ეს არ ეხება დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის ეპოქებს და ნაწილობრივ ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდს, როდესაც საქართველომ უარი თქვა მფარველის ძებნაზე და ცალსახად, პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად რომელიმე დიდ მფარველ სახელმწიფოსთან მიბმაზე. ასევე ნაჩვენებია საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების დამოკიდებულება აღნიშნული პრობლემის მიმართ.

უცხოეთში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამოცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ირმა კეცხოველი, ნ. სულავა	(დამხმარე სახელმძღვანელო)	, „ „ , 2013	77
<p>1. ამავე დროს, პრობლემათა რიგში ვიხილავთ საქართველოში ქრისტიანული რელიგიის კულტურის დამკვიდრების და განვითარების აქტუალურ საკითხებს, რომლებიც განიხილება ისტორიულ, სოციალურ და თანამედროვეობის კონტექსტში. შრომებში განხილულია კავკასიის ხალხთა შორის ტრადიციული კულტურის ფესვები, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ეთნოსთა დაახლოებისა და ინტეგრირების საკითხში.</p>				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამოცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Giorgi Baramidze	Nizschean motives of Z.Kakabadze's philosophy	I	Germany	16
2	იაშა კუტუბიძე	„ “			5
3	, , .	-	10	.	8
<p>1. წერილში განხილულია გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის ზურაბ კაკაბაძის ფილოსოფიური შეხედულებები და მისი კავშირი აზროვნების ნიციანურ მოტივებთან; განსაკუთრებით - ნიჰილიზმის პრობლემა. ნაჩვენებია ის, რომ ზურაბ კაკაბაძე ამ ფენომენს განიხილავს როგორც ე. წ. ეგზისტენციალური კრიზისის წინამორბედს. კაკაბაძის მიხედვით ნიციანურ შეამჩნია ამგვარი კრიზისის სიღრმისეული ნიშნები, მაგრამ ვერ დასახა მისი თერაპიის</p>					

გზები. წერილში ასევე ხაზგასმითაა აღნიშნული ის ვითარება, რომ კაკაბაძე ნიცშესთან დაკავშირებულ პასაჟებში ხშირად მიმართავს ჰერმენევტიკულ წიაღსვლებს, რაც მის ნააზრევს მეტ სიღმესა და დამაჯერებლობას სძენს.

3. ნაშრომში მოცემულია ძვ.წ. II ნახევრის კოლხეთის სამთამადნო წარმოების ძველთა ფუნქციონირების ამსახველი მასალა. განხილულია წარმოების მთლიანი ციკლის ეკონომიკის საკითხები. ჩატარებულია ძველი სამთამადნო წარმოების მოდელირების ამსახველი საველე სამუშაოები. განსაზღვრულია უძველესი სამთამადნო წარმოების ცალკეული ეტაპების განვითარების რაოდენობრივი მახასიათებლები.

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	იგორ კვესელავა	კ. მარქსი და რუსეთის იმპერიული პოლიტიკა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და კავკასია“	თბილისი, სტუ, 17-19 მაისი, 2013
2	იგორ კვესელავა	კაპიტალიზმის ანატომიის შტრიხები. სტუ-ს საერთაშორისო კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“	თბილისი, სტუ, 2013
3	იგორ კვესელავა	კ. მარქსი და რუსეთის იმპერიული პოლიტიკა.	თბილისი, სტუ
4	მ. ამირგულაშვილი	შუალედური გზა რეალურ პოლიტიკასა და იდეალურ პოლიტიკას შორის	თბილისი, სტუ
5	მ. ამირგულაშვილი	გენდერი და ლიდერობა	თბილისი, სტუ
6	ეგვენტაძე	ზვიად გამსახურდია და საქართველოს ნეიტრალიტეტი	თბილისი, სტუ
7	ე. გვენტაძე მ. ყიფიანი	ექვთიმე თაყაიშვილი და ვანის მთავარანგელოზის ეკლესიის სიძველეთა შესწავლის საკითხები	თბილისი, სტუ

8	ე. გვენეტაძე	დასავლეთის დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე პროცესებზე 90-იან წლებში	თბილისი, სტუ
9.	თეიმურაზ ფანჯიკიძე	თანამედროვე ქალი, ქრისტიანობა და საქართველოს დემოგრაფიული პრობლემები	თბილისი, სტუ
10	ჰენრი კუპრაშვილი	ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობის ზოგიერთი ასპექტი	თბილისი. 2013 წლის 24 მაისი
11	ჰენრი კუპრაშვილი	დროშა მარო მაყაშვილის დღიურიდან	თბილისი. 2013 წლის 7 ივნისი
12	ჰენრი კუპრაშვილი	საგარეო-პოლიტიკური უშიშროება და მისი საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფის ზოგიერთი ასპექტი	თბილისი. 2013 წლის 16 ნოემბერი
13	რევაზ რუსაძე	კავკასია დასავლეთის ინტერესებში	თბილისი, სტუ, 2013, ივნისი
14	რევაზ რუსაძე	ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი ქართული ისტორიული მეცნიერების წინაშე	თბილისი, სტუ 2013 მაისი
15	რევაზ რუსაძე	ნიკო ნიკოლაძე ქალთა ემანსიპაციის პრობლემის შესახებ	თბილისი, სტუ, 2013, ივნისი
16	სოფიო მიდელაშვილი – ნონა ლომიძე	ტერორიზმის როლი აგრესიული სეპარატიზმის ჩამოყალიბებაში (საქართველოს მაგალითზე).	თბილისი, სტუ
17	სოფიო მიდელაშვილი – ნონა ლომიძე	„საქართველოს განდგომილი რეგიონები და ნარკოტიზმის პრობლემები“.	თბილისი, სტუ
18	ვაჟა შუბითიძე	როგორ უნდა განვითარდეს საქართველო მომავალში ნიკო ნიკოლაძის მიხედვით.	თბილისი, სტუ
19	ვაჟა შუბითიძე	ნიკო ნიკოლაძე საქართველოს ჩამორჩენის მიზეზთა შესახებ,	თბილისი, სტუ
20	ვაჟა შუბითიძე ელიშერ ჯაფარიძე	ევროკავშირისა და საქართველოს თანამშრომლობა ახალი სამეზობლო პოლიტიკისა და აღმოსავლეთთან პარტნიორობის ფარგლებში.	თბილისი, სტუ
21	ვაჟა შუბითიძე	ნიკო ნიკოლაძე ქალთა ემანსიპაციის პრობლემის შესახებ.	თბილისი, სტუ

22	ვაჟა შუბითიძე	ნიკო ნიკოლაძე საზოგადოებრივ პოლიტიკური გარდაქმნების შესახებ.	თბილისი, სტუ
23	ვაჟა შუბითიძე	ნიკო ნიკოლაძის ადგილისათვის ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში	თბილისი, სტუ
24	გიორგი ჩხიკვიშვილი, ე. ბუსრაშვილი	საქართველო ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და კავკასია“.	სტუ, თბილისი, 2013
25	გიორგი ჩხიკვიშვილი, ქ. ჯიჯეიშვილი	„ნიკო ნიკოლაძე ლიბერალური ნაციონალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი“. ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 170-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია.	გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2013
26	გიორგი ჩხიკვიშვილი, მ. დარჩაშვილი	„არჩილ ჯორჯაძე ქალის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ“.	სტუ, თბილისი, 2013
27	გიორგი ჩხიკვიშვილი	ორგანიზებული დანაშაული თანამედროვე მსოფლიოში	თბილისი, სტუ
28	ირმა კეცხოველი	„განმანათლებელი ქართველი თავადაზნაურობა მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში“	ქუთაისი, 2013
29	ირმა კეცხოველი	ღვთისკაცი ექვთიმე თაყაიშვილი და ნიკო კეცხოველი	თბილისი, 2013
30	ირმა კეცხოველი	გენდერული კონფლიქტი ან გენდერული თანაფარდობა	თბილისი, 2013
31	ირმა კეცხოველი	კულტურა – კავკასიური სივრცის ფენომენი	თბილისი, 2013
32	ირმა კეცხოველი	ქართველი ქალი კულტურათა სისტემების სივრცეში	თბილისი, 2013
33	ირმა კეცხოველი	საქართველოში განათლების კულტურის საკითხისათვის	ქუთაისი, 2013
34	ქეთი ჯიჯეიშვილი	მარგარეთ თეთჩერი – XX საუკუნის უდიდესი ქალი-პოლიტიკოსი.	თბილისი, სტუ

35	ქეთი ჯიჯეიშვილი	დემოკრატიის პარადიგმები: ახლო აღმოსავლეთის კრიზისი	თბილისი, სტუ
36	ზურაბ ხასაია	საქართველო და დასავლური კულტურა	თბილისი, სტუ
37	ზურაბ ხასაია	საინტოლოგიის თეორიული და პრაქტიკული საკითხები	თბილისი, სტუ
38	ზურაბ ხასაია	ქართული მსოფლმხედველობის სპეციფიკის დადგენისათვის	თბილისი, საქართველოს საპატრიარქო
39	ემილია ალავერდოვი	ქალი ისლამში: სათუთი ბროილს სამკაულიდან ტერორისტ თვითმკვებლობამდე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, მსოფლიო და გენდერი	6 ივნისი 2013 წ.
40	ემილია ალავერდოვი	ჩენეთის ბრძოლა პოსტკომუნისტურ რუსეთთან, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “მსოფლიო და კავკასია”, საზოგადოებრივ მეცნიერებათა დეპარტამენტი,	17-19 მაისი 2013 წ.
41	ემილია ალავერდოვი	რელიგიური ექსტრემიზმი, 81-ე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, საზოგადოებრივ მეცნიერებათა დეპარტამენტი, (I ადგილი)	10 ივნისი, 2013 წ.
42	ემილია ალავერდოვი, გიორგი თოღაძე	ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკა, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, “ხელისუფლება და საზოგადოება”	9 ნოემბერი 2013წ
43	იაშა კუტუბიძე	სულიერ ღირებულებათა პრობლემა გლობალიზაციის პირობებში	თბილისი, მაისი
44	გაფრინდაშვილი როზა	ტელევიზია - აგრესიის გამოვლენის ერთ-ერთი მიზეზი,	ქუთაისი
45	გაფრინდაშვილი როზა	ცხოვრების სტილის გამოძევა-შავების ფაქტორები	თბილისი, სტუ
46	გაფრინდაშვილი როზა	„ცრურწმენები“ თუ ღირებულებათა ჩანერგვის მექანიზმები	ახალციხე

47	სალომე სიზანიშვილი	ვინ არის "მომავლის ადამიანი?!"	ქუთაისი, იანვარი,
48	სალომე სიზანიშვილი	სახელმწიფო სუვერენიტეტის საკითხისათვის.	თბილისი, 17-19 მაისი,
49	სალომე სიზანიშვილი, ს. კურტანიძე	თვითგანვითარების შინაგანი და გარეგანი ფაქტორები.	ქუთაისი, 2013
50	ცუცქირიძე დარეჯანი	თამარი:-ქალი-მეფე-ლიდერი,	თბილისი, სტუ
51	ცუცქირიძე დარეჯანი	განათლების გზით გენდერული თანასწორობისკენ,	თბილისი, სტუ
52	ცუცქირიძე დარეჯანი/მაია ყიფიანი/ ხათუნა ჩაფინაძე	გენდერული ინფორმირებულობის კვლევა სტუ-ს ბიზნეს ინჟინერინგის ბაკალავრიატის სტუდენტებს შორის	თბილისი, სტუ
53	მაია ქუთათელაძე	„ქართული სამოხელეო ინსტიტუტის კვლევისათვის – ეზოსმოდვარი“ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მსოფლიო და კავკასია“ მასალები	თბილისი, სტუ
54	მაია ქუთათელაძე	„ექვთიმე თაყაიშვილი და ცხენისგამოსახულებიანი პინაკების კვლევის საკითხი“ ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-საიუბილეო კონფერენციის „გზა ერისკაცობიდან ღვთისკაცობამდე“ შრომები	თბილისი, სტუ
55	მაია ქუთათელაძე	თამარ ბაგრატიონი და 1832 წლის „შეთქმულება“	თბილისი, სტუ
56	მაია ქუთათელაძე	ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენების კვლევისათვის	თბილისი, თსუ
57	გურამიშვილი	რუსეთ-ინგლისის დიპლომატიური ურთიერთობა XVII ს-ის ბოლოს	ქუთაისი, 2013, მაისი
58	მაია გურამიშვილი	საქართველოში არსებული მცირე კონფესიები	თბილისი, 2013, ივნისი

59	მაია გურამიშვილი	კავკასიის კონფლიქტები	თბილისი, 2013, ივნისი
60	მაია გურამიშვილი	ექვთიმე თაყაიშვილი ახალი ქართველი წმინდანი	თბილისი, 2013, მაისი
61	მაია გურამიშვილი	გენდერი და კონფლიქტი	თბილისი, 2013, ივნისი
62	მაია გურამიშვილი	რელიგიური ფაქტორი საერთაშორისო და რეგიონალურ კონფლიქტებში	თბილისი, 2013, მაისი
63	მაია გურამიშვილი	ოსეთის სასულიერო კომისია	თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტი, 2013, მაისი
64	მაია გურამიშვილი	პოლკოვნიკ კოცებუს ცნობები (შამშადინის დისტანცია)	თბილისი, თსუ, 2013, მაისი
65	მაია გურამიშვილი	გლობალიზაცია და კონფლიქტი	თბილისი, ევრაზიის ინსტიტუტი, „მედიაკავშირი ობიექტივი“
66	მაია გურამიშვილი	პოლიტიკა და კულტურა	თბილისი, ხელისუფლება და საზოგადოება, 2013, ნოემბერი
67	მაია გურამიშვილი	ახალი მსოფლიო წესრიგი	თბილისი, ხელისუფლება და საზოგადოება, 2013, ნოემბერი
68	ნათელა ჯორჯიკია	ღავერენტი ბერიას ინიციატივები ეროვნულ საკითხში.	თბილისი, სტუ, 17-19 მაისი, 2013
69	ნათელა ჯორჯიკია	XX ს. 30 იანი წლების საქართველოს ინტელექტუალური ცხოვრების რამდენიმე გამოვლინება პარტიული არქივის მასალების მიხედვით.	თბილისი, თსუ, 20013, 30-31 მაისი.
70	ნათელა ჯორჯიკია	ბარბარე ხერკელაძე ოჯახისა და ქალთა უფლებების შესახებ.	თბილისი, სტუ, 7 ივნისი, 2013
71	ეკა ბუხრაშვილი	მარიამ დემურია და ნინო ნაკაშიძე – ქართველი მოღვაწეები საერთაშორისო სამეცნიერო	თბილისი, სტუ

		კონფერენცია „მსოფლიო და გენდერი“	
72	თოდაძე ხ.	ქართული და ბიზანტიური სამონასტრო ცხოვრების პარალელები	2013წ. მაისი, თბილისი, თსუ.
73	თოდაძე ხ.	ქართულ- ბიზანტიური სამონასტრო ცხოვრების სტრუქტურა	“ბიზანტიანოლოგია საქართველოში 4” 2013წ. სექტემბერი თბილისი-ბათუმი-კაპადოკია
<p>1. მოხსენებაში „კ. მარქსი და რუსეთის იმპერიული პოლიტიკა“ მიმოხილულია კ. მარქსის ნაშრომი „XVIII საუკუნის რუსეთის დიპლომატიის მხილება“, რომელიც რუსულ ენაზე მომძიებულ მარქსის არც ერთ პუბლიკაციაში არ შესულა, 1989 წელს დაიბეჭდა რუსულკაჟურნალში „...“ და ამის შემდეგ არსად არ გამოქვეყნებულა. ნაშრომის გამოუქვეყნებლობის მთავარი მიზეზი იყო მისი მეოთხენ თავის შინაარსი, რომელიც მოიცავს რუსეთის მმართველების იმპერიული ექსპანსიის პოლიტიკის მკვეთრ კრიტიკას, მითუმეტეს მარქსის ნააზრევი მძაფრად ეწინააღმდეგებოდა ზესახელმწიფოებრივ, ისტორიულ-პატრიოტულ კონცეფციას, რომელსაც ასე გულმოდგინედ ბუნერგავდა ხალხს საბჭოთა იდეოლოგია.</p> <p>2. მოხსენება „კაპიტალიზმის ანატომიის შტრიხები“ ეხება თანამედროვე კაპიტალიზმის პრობლემებს. პოლიტიკოსთა, უმსხვილესი კაპიტალის წარმომადგენლების, პუბლიცისტების, მეცნიერთა და სხვების წიგნებში, საჟურნალო და საგაზეთო გამოცემებში, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმების დისკუსიებში თუ სხვა შეხვედრებში, რამდენიმე ათეული წელია აქტიურად განიხილება საკითხი თანამედროვე კაპიტალიზმის ისტორიული ბედის შესახებ. 2012 წლის იანვარში შვეიცარიის ქალაქ დავოსში შეკრებილ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე გაცხადდა, რომ დღევანდელი ფორმატით კაპიტალისტურმა სისტემამ თავისი თავი ამოწურა და არ ეწერება თანამედროვე მსოფლიოს მოდელში. შეიძლება ითქვას, რომ კაპიტალიზმის კრიზისის სათავე პოლიტიკურ მმართველობაშია, როდესაც ხორციელდება ზეგავლენა საბაზრო პოლიტიკაზე. დემოკრატიული პროცესი უზურპირებული აქვთ კარგად ორგანიზებულ ჯგუფებს, რომლებიც ძირითადი მოსახლეობის ინტერესებს არ წარმოადგენენ.</p> <p>3. მოიცავს თანამედროვე კაპიტალიზმის შესახებ მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერთა, პოლიტიკოსთა და ეკონომიკური ელიტის წარმომადგენელთა კრიტიკულ შეფასებას.</p> <p>4. სტატიაში გატარებულია აზრი, რომ პოლიტიკის ხელოვნება მოდერნის შემდგომი პარადიგმისა მოითხოვს თანამედროვე რეალური პოლიტიკის სულისკვეთებით გაკეთებული პოლიტიკური გათვლის დამაჯერებლად შეხამებას იდეალური პოლიტიკის საფუძველზე გაკეთებული ეთიკურ დასკვნებთან.</p> <p>5. სტატიაში ნათლადაა წარმოჩენილი თუ რა გავლენას ახდენს ლიდერობაზე გენდერი. რომ გენდერი ეფექტური ლიდერობის, სტილის ხედვის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ტრადიციულად მამაკაცური და ავტოკრატიული სტილიდან უფრო დემოკრატიულ და ტრანზფორმაციულ ლიდერობის ქალურ სტილში გადაიზარდა.</p> <p>6. მოხსენებაში განხილულია ზვიად გამსახურდიას შეხედულებები საქართველოს შესაძლო ნეიტრალიტეტის შესახებ. და ამ საკითხთან დაკავშირებით მეზობელი ქვეყნების შესაძლო</p>			

რეაქციები.

7. საარქივო მასალების ფონზე გამოვლენილია ბევრი ახალი მასალა რომელიც დაკავშირებულია, ვანის მთავარანგელოზის ეკლესიასთან.

8. მოხსენებაში გაანალიზებულია ის გამოსმაურებები, რომლებიც ჰქონდა დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით საუკუნის 90-იან წლებში.

9. სტატიაში ყურადღება მახვილდება იმ მწვავე დემოგრაფიულ პრობლემებზე, რომელიც დამახასიათებელია დღევანდელი საქართველოსათვის, ქართველი ქალის როლზე დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტაში. ეს საკითხები განიხილება ქრისტიანული რელიგიური მსოფლმხედველობის კუთხით.

10. საქართველოს ეკლესიის წინაშე ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლის შესახებ.

11. მარო მაყაშვილის თავდადება და სიკვდილი სამშობლოს თავისუფლებისათვის.

12. ნაშრომში განხილულია კონკრეტული მაგალითი, იმისა თუ საგარეო-პოლიტიკური უშიშროების სფეროში წინმსწრები გადაწყვეტილებების ფორმირებისა და რეალიზაციისთვის რა სახის ანალიტიკური ინფორმაციის აკუმულირება უნდა მოხდეს მოცემულ სისტემაში.

13. სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხულ მასალაში განხილულია ის ძირითადი საკითხები, რაც დასავლეთის ინტერესებშია.

14. სტატიაში განხილულია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი ქართული ისტორიული მეცნიერების წინაშე.

15. სტატიაში მიმოხილულია ქალის როლის შესახებ მეცნიერებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

16. სტატიაში განხილულია საკითხები, რომლებიც ეხება ტერორიზმის როლს აგრესიული სეპარატიზმის ჩამოყალიბებაში. ასევე, ჩვენი პოლიტიკურ-სამართლებრივი ხედვა თუ რა როლი ითამაშა სეპარატიზმის აგრესიულ სეპარატიზმად გადაზრდაში ტერორისტულმა ორგანიზაციებმა და ცალკეულ საერთაშორისო დონის ტერორისტებმა, კერძოდ კი, მათ „გამოჩენილმა“ ფიგურებმა აფხაზეთში განვითარებული მოვლენებისას.

17. სტატიაში განხილულია ნარკოტიკული საფრთხეები საქართველოს განდგომილ რეგიონებში. ნარკოტიკული საფრთხეები ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა თანამედროვე მსოფლიოსთვის, რის გამოც საერთაშორისო თანამეგობრობა სახსრებით სამართლიანად განიხილავს აღნიშნულ საფრთხეებს გლობალურ საფრთხეთა ჭრილში. მრავალი კონვენცია და ხელშეკრულება იქნა მიღებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. საქართველოსთან მიმართებაში ხაზგასმით აღსანიშნავია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთიდან მომდინარე საფრთხეები და რეალური საშიშროებები, რომლებიც შეიძლება შეიქმნას აღნიშნულ რეგიონებში საერთაშორისო მონიტორინგის არარსებობის გამო.

18. სტატიაში გაანალიზებულია ნიკო ნიკოლაძის შეხედულებები ქართული სახელმწიფოს გონივრული მოწყობის შესახებ.

19. სტატიაში გაანალიზებულია ნიკო ნიკოლაძის შეხედულებები საქართველოს სოციალური და ეკონომიკური ჩამორჩენის მიზეზების თაობაზე.

20. თეზისებში მოცემულია ევროკავშირის და საქართველოს თანამშრომლობის მნიშვნელობა ახალი სამეზობლო პოლიტიკისა და აღმოსავლეთთან პარტნიორობის ფარგლებში.

21. სტატიაში გაანალიზებულია ნიკო ნიკოლაძის ძალიან თანამედროვე შეხედულებები ქალთა ემანსიპაციის პრობლემებისა და მათი გადაწყვეტის შესახებ.

22. სტატიაში გაანალიზებულია ნიკო ნიკოლაძის შეხედულებები საზოგადოებრივ

პოლიტიკური გარდაქმნების ფილოსოფიის შესახებ.

23. სტატიაში წარმოჩენილია ნიკო ნიკოლაძის ფენომენი და მისი უდიდესი დეალოგი ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში.

24. 1. მოხსენებაში გაანალიზებულია საქართველოს ადგილი და როლი მსოფლიოს ცივილიზაციების კონტექსტში, განხილულია საქართველოს ცივილიზაციურის მიკუთვნებულობის შესახებ სხვადასხვა თეორიები და გამოკვეთილია ავტორისეული პოზიცია და მიდგომა.

25. მოხსენებაში მოცემულია ნაციონალიზმის შესახებ ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკურ შეხედულებათა ანალიზი. ნიკო ნიკოლაძის ლიბერალური ნაციონალიზმის თეორიაში სავსებით არის დაძლეული ეთნოგენეტიკური მიდგომა და საკითხი გადატანილია სრულიად სხვა დონეზე-ლიბერალური ნაციონალიზმის ფორმატში, რომელიც სოციალურ-პოლიტიკური და მოქალაქეობრივი ზნეობრივი ყოფიერების სიმადლეზე დგას და ხელს უწყობს სხვადასხვა ერის გაერთიანებას მათი უფლებების დაცვის საფუძველზე.

26. მოხსენებაში საუბარია არჩილ ჯორჯაძის პოლიტიკურ შეხედულებებზე ქალის უფლებრივი მდგომარეობის საკითხთან დაკავშირებით. მისი მოსაზრებანი ქალის პლიტიკური უფლებების მოპოვებისა და მისი მამაკაცთან პოლიტიკურად გათანაბრების შესახებ ოცდამეერთე საუკუნეში კვლავაც აქტუალურია.

27. მოხსენებაში გაანალიზებულია ორგანიზებული დანაშაულის ფორმები და ტენდენციები თანამედროვე გლობალურ პოლიტიკაში, განსაკუთრებით არის გამოკვეთილი მისი ახალი ფორმის-„შავი ჭირის“ ნარკოტერორიზმის-მზარდი როლი თანამედროვე პროცესებზე და მოცემულია საერთაშორისო კოალიციის მიერ ორგანიზაციულ დანაშაულთან ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის პოლიტოლოგიური ანალიზი.

28-33. XXI საუკუნე ხასიათდება უდიდესი პოლიტიკური და სოციალური ძვრებით. პრობლემები განსაკუთრებით წარმოიშვა განათლების სისტემაში. ჩემი სტატიები ძირითადად ეხება საქართველოში განათლების სისტემის განვითარებას და საგანმანათლებლო კერებს. შევისწავლეთ ეს პრობლემა როგორც ისტორიულ რაკურსში, ასევე თანამედროვე ხედვით.

ჩემი კვლევის საგანია, აგრეთვე, გენდერის და გენდერული თანაფარდობის პრობლემატიკა, რომელიც სოციო-კულტურულ სისტემათა სივრცეში ტრადიციული მოდელების დამკვიდრებასა და კვლევის საშუალებას გვაძლევს. ამავე დროს, საინტერესოა აღინიშნოს, გენდერის კულტურა, როგორც კავკასიური სივრცის ფენომენი.

34. XX საუკუნემ გლობალურ პოლიტიკურ კულტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. ნაწილობრივ ცვლილებები განიცადა მამაკაცის მიერ შემუშავებულმა პარადიგმულმა წესებმა, რეალურმა გარემომ და ღირებულებრივ-მსოფლმხედველობრივმა კლიმატმაც, თუმცა დღეს მეცნიერებს შორის არსებობს კონსენსუსი ქალის ფაქტორის უდიდესი მნიშვნელობის თაობაზე პოლიტიკური აზროვნების სივრცის განვითარებისა და ჰარმონიული სოციუმის შექმნისათვის, რადგანაც ქალს პოლიტიკაში შემოაქვს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღირებულებები და დამატებითი კომპეტენტურობა. ამის საუკეთესო მაგალითი არის „რკინის ლედად“ წოდებული მარგარეტ თეთნერის მოღვაწეობა, რომელსაც 1979 წლიდან მთელი სამი ვადის განმავლობაში ეკავა ინგლისის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა და ხელში ეჭირა ხელისუფლების სადავეები.

35. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში განვითარებული პოლიტიკური პროცესების შეფასების კუთხით პოლიტოლოგებს შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ავტორის

აზრით დემოკრატიის კორელატების სრული არქონის შემთხვევაში და შედეგების გათვალისწინებით დემოკრატიზაციის სახელით მიმდინარე ეს პროცესები შეიძლება შეფასდეს, როგორც მესამე დემოკრატიული ტალღის რევერსიული პროცესი ანუ, როგორც დე-დემოკრატიზაციის პროცესი.

36-38. მოხსენებები ეხება საქართველოს, ჩვენი ეროვნული მსოფლმხედველობისა და სულიერი კულტურის ფილოსოფიურ პრობლემებს. მათში გატარებულია აზრი, რომ ერის სიცოცხლე მისი მსოფლმხედველობის სიჯანსაღეზეა დამოკიდებული; ეს უკანასკნელი კი – საკუთარ ფესვების გაცნობიერებასა და მასთან ორგანულ კავშირზე. სიახლის ათვისება და განვითარება მხოლოდ საკუთარ ფესვებთან კავშირითაა შესაძლებელი.

39-42. სტატიებში განიხილება ქალის როლი და ადგილი ისლამში. გაანალიზირებულია რუსეთში ბოლო 20 წლის ყველაზე ყველაზე ხმაურიანი ტერორისტული აქტები. აგრეთვე საუბარია იმაზე თუ როგორ მოხდა ქალის - როგორც სუსტ და სათუთი არსების ტერორისტ-თვითმკვლელად დაგაქცევა.

ბოლო 15 წლის მოვლენებმა გვიჩვენა რომ, რუსეთში ისლამის აღორძინება გადადის პოლიტიკური ორგანიზაციების აღორძინებაში და საქმიანობაში, სადაც რელიგია გადაჯაჭურია პოლიტიკით და კრიმინალურ საქმიანობით. განიხილებოდა რელიგიური - ისლამური ექსტრემიზმი ჩრდილოეთ კავკასიის მაგალითზე.

კონფერენციაზე განიხილა ნაპოლეონ ბონაპარტეს აღმოსავლური პოლიტიკის ძირითადი მიზეზები და მისწრაფებები, ასევე საუბარია ინგლისზე როგორ ნაპოლეონის მთავარ მტერზე და რუსეთისა და მისი ინტერესების შეჯახებაზე.

43. გარდა სოციალურ-ეკონომიკურისა გლობალიზაციას აქვს ეროვნულ-კულტურული ასპექტი. რომლის გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ერებისა და მისი კულტურის თვითმყოფადობას, მათ შემდგომ არსებობასა და განვითარებას.

44. კონფლიქტების პრევენციას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრესიის მიზეზების გაცნობიერებას სტატიები ეხება ამ მიზეზების კვლევას. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს აგრესიის სოციალური ფაქტორებიდან მასმედია. რამდენადაც მისი ზეგავლენით ხდება სოციალური ფაქტორების ესკალაცია.

45. ფროიდის ფსიქო ანალიზში ადამიანის ცხოვრების სტილის ჩამოყალიბება ხდება სექსუალურ ფაქტორზე დაყრდნობით. აღნიშნულ სტატიაში საუბარია ადღერის თეორიის მიხედვით ადამიანის ცხოვრების სტილის განმსაზღვრელად ადამიანის თანშობილ უნარზე რასაც უპირატესი სწრაფვა ეწოდება.

46. სტატია ეხება ჩვენში უსამართლოდ დაჩაგრულ ცრურწმენებს რამდენადაც მათში გადმოცემულია ხალხის ფსიქოლოგიური სიბრძნეები და თითოეული „ცრუ“ რიტუალი რომელიმე მაღალი ღირებულების დანერგვას ემსახურება, სიკეთის, სილამაზის, სიმდიდრის და ა.შ.

47-49. მოხსენებაში „ვინ არის „მომავლის ადამიანი?!“ განხილულია მატერიალურ კეთილდღეობაზე ორიენტირებული ადამიანის თავისებურებები; საუბარია სულიერი კრიზისის დაძლევის აუცილებლობაზე და გზებზე.

საკონფერენციო მოხსენებებში „თანამედროვე ეროვნული სახელმწიფოების სუვერენიტეტის საკითხისათვის“ საუბარია გლობალიზაციის ეპოქაში ეროვნული სახელმწიფოების, განსაკუთრებით მცირე ერების განვითარების სამომავლო პერსპექტივებზე. რამდენად შეძლებენ ისინი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას მსოფლიო ეკონომიკისა და მსოფლიო პოლიტიკის გაერთიანებების შექმნის ფონზე. საქართველოს

მაგალითზე განხილულია მისი გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობა, ეროვნული სუვერენიტეტის შენარჩუნების საქმეში.

მოსხენებაში „თვითგანვითარების შინაგანი და გარეგანი ფაქტორები“ საუბარია თანამედროვე შრომით ორგანიზაციებში მომუშავეთა სტიმულირების სისტემის არსებობაზე. ხაზგასმულია, რომ თანამედროვე შრომით ორგანიზაციებში უმთავრესი კაპიტალი თავად ადამიანია. აქედან გამომდინარე, ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე პარალელური გავლენებია საქართველოში არსებულ რეალობაზე, რამდენად შორდება აქ არსებული ვითარება თანამშრომელთა შრომითი ანაზღაურების თანამედროვე სტანდარტებს.

50. ნაშრომში „თამარი-ქალი-მეფე-ლიდერი“ გენდერული თანასწორობის პრინციპების ნათელსაყოფად ავტორმა შემოგვთავაზა ქალის როლის ისტორიული ასპექტების წარმოჩინება. ხაზგასმულია, რომ ქალის როლი საქართველოში მართლაც, ისტორიულ-პოლიტიკური ფაქტორებითაა განპირობებული, რის საილუსტრაციოდაც ავტორს მეფე თამარის მაგალითი მოჰყავს. თამარი: ქალი-მეფე-ლიდერი. რომელიც ერთიანი საქართველოს სიმბოლოდ იქცა და დღემდე ასეა. ნაშრომში გამოკვეთელია თამარის პიროვნული ფაქტორების, მისი როგორც ქალის, მეფისა და ლიდერის მნიშვნელობა და ზეგავლენა მისი დროის მიმდინარე პროცესებზე. ავტორს მიაჩნია, რომ მაშინ როცა საქართველოში გენდერული თანასწორობის პრობლემატიკა გააქტიურდა, თამარის ეპოქა არა მხოლოდ ღირსასსოვარ მოგონებად და ისტორიად უნდა დარჩეს, არამედ გარკვეული მნიშვნელობით, საქართველოს ქალის სახელმძღვანელოდ იქცეს. მითუმეტეს, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ეს ყოველივე არა მხოლოდ მსოფლიოში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესის შედეგია, არამედ ისტორიულად განპირობებული რეალობა.

51. ნაშრომში „განათლების გზით გენდერული თანასწორობისკენ“, განხილულია XIX საუკუნეში ქალთა მოღვაწეობა და მისი მნიშვნელობა, რაც განპირობებული იყო ქალთა შორის განათლების ამაღლებით. ნაშრომში გადმოცემულია ზოგიერთი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის პოზიტიური დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ წარსულის გათვალისწინებით, გენდერული თანასწორობის მისაღწევად განათლება უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს. თანამედროვე გლობალიზაციისა და დემოკრატიზაციის პირობებში, ქალთა განათლებას განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება ქალთა წარმატებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების თვალსაზრისით, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს დემოკრატიული პრინციპების გამყარებასა და სამოქალაქო კულტურის ფორმირებას.

52. ნაშრომში „გენდერული ინფორმირებულობის კვლევა სტუ-ს ბიზნეს ინჟინერინგის ბაკალავრიატის სტუდენტებს შორის“ ავტორები წარმოაჩენენ საქართველოსთვის გენდერული პრობლემატიკის აქტუალობას და მკითხველს სთავაზობენ სტუ-ს გენდერული თანასწორობის კვლევითი ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის პირველად შედეგებს.

53. ქართული სამოხელეო ინსტიტუტის კვლევისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემები. ინფორმაცია ქართლის სამეფო კარზე ეზოსმოდვრის თანამდებობის არსებობის შესახებ პირველად არმაზის ბილინგვამ მოგვავლიდა. ეზოსმოდვარია მოხსენიებული, აგრეთვე, არმაზციხე-ბაგინეთის ტერიტორიაზე II-III საუკუნეებით დათარიღებულ ბერძნულენოვან წარწერაში. ამჯერად საქმე ეხება ქართლის მეფის ამაზასპეს ეზოსმოდვარ ანაგრანესს, რომელმაც საკუთარი სახსრებით აგებული აბანო შესწირა „არმენიის მეფის ვოლოგეზეს ასულსა და იბერთა მეფის ამაზასპეს მეუღლეს“. საყურადღებოა, რომ აღნიშნულ წყაროში ეზოსმოდვარი ანაგრანესი ქართლის

მეფის მეუღლის მამამძუქედ მოიხსენიება. ქართულ წყაროებში დაცული ცნობა, რომ აზომ არიან-ქართლიდან გადმოასახლა რამდენიმე ოჯახი „მამამძუქეთა და დედამძუქეთა” და მოგვიანებითი ხანის ეს ეპიზოდი ქართლში ნათესავობის ამ ფორმის არსებობის ხანგრძლივ გენეტიკაზე მეტყველებს. ამასთანავე, არმაზციხე-ბაგინეთის ეს წარწერა გვაფიქრებინებს, რომ ეზოსმოდღერის თანამდებობა, ისევე როგორც სპასპეტისა, სამეფო საგვარეულოს ნათესავთა ხელშია.

54. ქართული წარმართული პანთეონის კვლევა ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ამავე დროს, ურთულესი პრობლემაა. ქართველთა სულიერი კულტურის წარმოჩენა თანამედროვე ეტაპზე მეტად აქტუალურია. ამისათვის საუკეთესოა კვლევის კომპლექსური მეთოდით სარგებლობა, რომელიც პარალელურად წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემების გამოყენებას ითვალისწინებს. ჩვენი კვლევის მიზანია, ნარატიული წყაროების, არქეოლოგიური არტეფაქტებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენების ზოგიერთი ასპექტის ახლებურად წარმოჩენა. საქმე ეხება საქართველოში მაზდეანობისა და მისი ერთ-ერთი განშტოების – მითრაიზმის გავრცელების პრობლემატიკის შესწავლას. ამის შესახებ ქართულ წყაროებში ინფორმაცია არ მოიპოვება, თუმცა ამ კუთხით მრავალფეროვანი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა მეტად საყურადღებო და ანგარიშგასაწვეია.

55. განსაკუთრებულია ექვთიმე თაყაიშვილის დვაწლი ქართული არქეოლოგიის განვითარების საქმეში. მან აღწერა და ფოტოები გადაუღო შორაპნის მაზრის სოფელ ბორში 1902-1908 წლებში აღმოჩენილ არქეოლოგიურ ნივთებს, რითაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართულ არქეოლოგიურ მეცნიერებას. მან პრაქტიკულად გადაარჩინა და მომავალ თაობებს შემდგომი კვლევისათვის შემოუნახა ეს უნიკალური კულტურული მონაპოვარი. ბორის ინვენტარში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 1902 წელს ნაპოვნი ვერცხლის პინაკი, რომელზეც სამსხვერპლოს წინაშე მდგომი ცხენია გამოსახული. ამ ნივთის უნიკალურობას მის ძირზე ამოკვეთილი არამეული დამწერლობით შესრულებული II ს-ის I ნახევრით თარიღებული წარწერაც განაპირობებს, რომლის თარგმანი ასეთია: „ბუზ-მიპრ კეთილი პიტიახში”.

მაზდას სარწმუნოების მიმდევარი უნდა ყოფილიყო არა მარტო ბორის პინაკის მფლობელი ბუზმირ პიტიახში, არამედ ანალოგიური პინაკების მფლობელებიც, რომლებიც არმაზისხევში, არავისპირში, ჟინვალსა და ზღუდერშია აღმოჩენილი. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა სამარხი, რომლებშიც მითრას კულტის თაყვანისცემასთან დაკავშირებული პინაკები აღმოჩნდა, განსაკუთრებით მდიდრული ინვენტარით გამოირჩევა.

56. 1832 წლის შეთქმულება, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში. ამ შეთქმულებაში ქალთა მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია მწირია. მათ შორის ყველაზე ნათლად თამარ ბაგრატიონის აქტიური მონაწილეობა გამოიკვეთა. თუმცა ის ფაქტი, რომ ამ შეთქმულების ყველა ძალები ერთი ქალის ხელთ იყო და საჭირო განკარგულებებსა და გეგმებს ის იძლეოდა, მოწმობს, რომ ქალებიც ერივნენ შეთქმულთა წრეში, მაგრამ, სავარაუდოდ ისინი შეთქმულების მონაწილეების მხრიდან ნაკლებ იყვნენ გაცემულნი. თამარ ბატონიშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა და წვლილი განსაკუთრებულია შეთქმულების ჯერ მოსამზადებელ, შემდგომ საორგანიზაციო და საკოორდინაციო საქმიანობაში, აჯანყების სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში. გამორჩეული ავტორიტეტის გამო პირველ ეტაპზე აჯანყებულები

დედოფლადაც მოიაზრებდნენ ერეკლეს შვილიშვილსა და იულონ ბატონიშვილის ღირსეულ შთამომავალს. ცარისტულმა რეჟიმმა სასჯელიც მამაკაცების სიმძიმის არგუნა თამარს და იგი შორეულ ციმბირში გადაასახლა.

57-67. სტატიაში – რუსეთ-ინგლისის დიპლომატიური ურთიერთობა XVII ს-ის ბოლოს – განხილულია მალტის პრობლემა რუსეთ-ინგლისის დიპლომატიურ ურთიერთობებში.

საქართველოში არსებული მცირე კონფესიების ჩამოყალიბების ისტორია და მათი გავლენა ქართულ პოლიტიკაზე.

კავკასიის კონფლიქტებში ასახულია კავკასიაში არსებული კონფლიქტების წარმოქმნის სხვადასხვა ფაქტორების და მიზეზების გააზრება.

ექვთიმე თაყაიშვილი ახალი ქართველი წმინდანი – განხილულია ექვთიმე თაყაიშვილის დეაწლი ქართული საზოგადოების, ქართული მეცნიერების წინაშე.

გენდერი და კონფლიქტი – საომარი ქმედების დროს გენდერული ბალანსის სწორად დაცვის მექანიზმების შემუშავება და გამოყენება.

რელიგიური ფაქტორი საერთაშორისო და რეგიონალურ კონფლიქტებში – რელიგიური ფაქტორის სპეციფიკა საერთაშორისო და რეგიონალურ კონფლიქტებში მაგალითების ფონზე.

ოსეთის სასულიერო კომისიის დაფუძნების ისტორია და მათ მიერ გაწეული დეაწლის შეფასება.

პოლკოვნიკ კოცებუს ცნობები (შამშადინის დისტანცია) – პოლკოვნიკ კოცებუს საარქივო ცნობებში გადმოცემულია შამშადინის დისტანციის სრული აღწერილობა: სტატისტიკური, ადამიანთა სულადობის, ეროვნების, სქესის, შემადგენლობის ჩვენებით.

გლობალიზაციის გავლენა თანამედროვე ახალ მსოფლიო წესრიგზე და კონფლიქტების მიზეზები კულტურათა შორის არასწორი დიალოგის გამო.

68. განხილულია ლ. ბერიას 1953 წლის წერილები და მისივე ინიციატივით განხორციელებული ღონისძიებები, რომლებიც საბჭოთა ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სფეროს მეტ-ნაკლებ მოგვარებას ისახავდა მიზნად.

69. განხილულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული, ყოფილ პარტიულ არქივში დაცული ზოგიერთი დოკუმენტი, რომლებიც მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალური ცხოვრების შესასწავლა.

70. განხილულია საზოგადო მოღვაწე ქალბატონ ბარბარე ხერკელაძის 1910-1912 წლების საჯარო ლექციები, რომლებშიც ქალის უფლებების, პიროვნების მიერ საკუთარი მოთხოვნებისა და ინტერესების დაკმაყოფილების, საზოგადოების მხრიდან ადამიანის მიმართ შემწეობის დამოკიდებულების საკითხები იყო წამოყენებული.

71. სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს ადგილი და როლი მსოფლიოს ცივილზაციების კონტექსტში, განხილულია საქართველოს ცივილიზაციური მიკუთვნებულობის შესახებ სხვადასხვა თეორიები და გამოკვეთილია ავტორებისეული პოზიცია და მიდგომა.

72. მოხსენებაში განხილულია 11 საუკუნის 3 ტიპიკონი. შედარებითი ანალიზის საფუძველზე აღწერილია მათი თავისებურებანი.

73. ნაშრომში ტიპოლოგიური შედარების საფუძველზე შესწავლილია ქართული და ბიზანტიური სამონასტრო ცხოვრებია სტრუქტურა.

ქართული ფილოლოგიისა და იმედიოლოგიის დეპარტამენტი

დეპარტამენტის ხელმძღვანელი – სრული პროფ. თემურ ჯაგოდნიშვილი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

სრული პროფესორები:

თემურ ჯაგოდნიშვილი
 ივანე ჯაგოდნიშვილი
 ვაჟა პაპასკირი
 ბორის იმნაძე

ასოცირებული პროფესორები:

მანანა დათუკიშვილი
 ქეთევან გიორგობიანი
 თამარ მაღალურაძე
 ლია ქათამაძე
 მამუკა შელევია
 მარიამ ვარდიაშვილი
 გიგლა გობეჩია
 რევაზ ძნელაძე
 ირინა ცინცაძე
 მარინე ხარატიშვილი
 თამარ ბონდარენკო
 ელიზაბეტა კოზლოვა

ასისტენტ პროფესორები:

ქეთევან გაფრინდაშვილი
 ეკატერინე შაკიაშვილი

**საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული
 სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ქართული ენის ინტელექტუალური ელექტრონული ლექსიკონის შექმნა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი თ. ჯაგოდნიშვილი	პროფესორი ლ. ჩხაიძე, პროფ. თ. უთურგაიძე, დავით ჯაში

პროექტის მიზანია ქართული ენის მხარდაჭერის ინფორმაციული, ქსელური და პროგრამული ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ქართულენოვანი მომხმარებლის მონაცემთა დამუშავების უმნოშვნელოვანეს კომპონენტებს მის მშობლიურ ენაზე. პრინციპული პრობლემა უკავშირდება ქართული ენის აგლუტინაციურ ბუნებას და ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმს, რის საფუძველზედაც ქართულ ფუძეთა უმრავლესობა სხვა ენებთან შედარებით წარმოებული სიტყვა-ფორმების დიდ რაოდენობას ქმნიან.

ორენოვან ლექსიკონში რეალურად შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ერთი (იშვიათად-ორი) სიტყვა-ფორმა (როგორც მეთაური სიტყვა), რომელიც არის მოცემული ფუძე. ეს გარემოება მიიმე სირთულეებს უქმნის იმ მომხმარებელს, რომლისთვისაც ქართული მშობლიური ენა არ არის.

ელექტრონული სახის ლექსიკონში ქართული ენის ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების საფუძველზე მორფოლოგიის ცოდნის ბაზასთან გაერთიანება ნებისმიერი სიტყვა-ფორმის გრამატიკული ანალიზის ჩატარების საშუალებას მოგვცემს. იმავდროულად გადაწყდება შესაბამისი ფუძის გამოყოფის ამოცანა, მეთაურის სიტყვის მიღება; მიეთითება ის ლექსიკური სტატია, რომლის თარგმნაც დასჭირდება მომხმარებელს.

პუბლიკაციები:

საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	ბეგრდების რაოდენობა
1	ვაჟა პაპასკირი	საზოგადოება და კომუნიკაცია	თბ., “იურისტების სამყარო” 2013 წ	272

კომუნიკაცია ადამიანური ხელოვნებაა, თავისი ქმედებით ის აღძრმავებს ცხოვრებით ტკობას, მასვე შეუძლია “ტკივილიც კი სიამოვნებად” გადააქციოს. კომუნიკაცია არ ნიშნავს მშვენიერთან მხოლოდ მისივე ტოლისა და ესთეტიკურის დაკავშირებას, არც სიმახინჯის უფრო დიდ სიმახინჯესთან მიბმას, დიდსა და პატარას შორის უთანასწორო კონტაქტს. იგი, უპირველესად, გონებრივ-ინტელექტური ხილია, კავშირია გარდასულსა და მომავალს შუა გადებული.

კომუნიკაცია მარადიული წრებრუნვის თანმდევი პროცესია, რომელიც ადამის მოდგმას როგორც მემკვიდრეობითი, ასევე საკაცობრიო გამოცდილების საფუძველზე ჩამოუქნია

მონოგრაფიაში განხილულია კომუნიკაციური პროცესების უმთავრესი, განმსაზღვრელი

ასპექტები, კომუნიკაციის კერძო და საზოგადოებრივი აქტები.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მამუკა შელეგია	„რეკლამა მასკომუნიკაციაში“	თბილისი, „უნივერსალი“	214
2	ქეთევან გაფრინდაშვილი მარიამ ვარდიაშვილი	ჟურნალისტიკის სოციოლოგიის საკითხები	თბილისი, „უნივერსალი“	133
3	თამარ მაღალურაძე	თანამედროვე მასკომუნიკაციური თეორიები და კონცეფციები	თბილისი, „უნივერსალი“	291

1. წიგნი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს, რომელიც განკუთვნილია ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის, რომელთა ინტერესის სფეროში შედის რეკლამა და სარეკლამო საქმიანობის ნიუანსები. ნაშრომში შესწავლილია ქართული ბეჭდური რეკლამის ისტორია, განხილულია რეკლამის შექმნისა და გამოყენების ხერხები და საშუალებები, რეკლამის ადგილი XXI საუკუნის გლობალურ სტრუქტურებში.

2. ჟურნალისტიკის სოციოლოგია მკითხველთან ცოცხალ, შთამბეჭდავ დიალოგს ქმნის, თანაც ისეთნაირად, რომ ჟურნალისტურ შემოქმედებით თვითმყოფადობასაც არ უქმნის არანაირ საფრთხეს. სოციოლოგია თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს თეორიულ და გამოყენებით მეცნიერულ დარგადაა მოაზრებული, თავისი უაღრესად მრავალფეროვანი, კონკრეტული ინტერესების შემცველი ქვედარგებით.

ჟურნალისტიკის სოციოლოგია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შემსწავლელ მეცნიერებათა შორისაა, ყველაზე ახლოს კი ჟურნალისტიკის ზოგად თეორიასთანაა რომელიც არკვევს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, კერძოდ, ჟურნალისტიკის როლს კულტურულ პროგრესში, მის პრინციპებს, ფუნქციებსა და დანიშნულებას, ჟურნალისტური შემოქმედებითი საქმიანობის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს.

3. დამხმარე სახელმძღვანელოში მიმოხილულია ის მასკომუნიკაციური თეორიები და კონცეფციები, რომლებიც XX ს-ში ყალიბდებოდა ევროპასა და ამერიკაში. გამოკვეთილია მედიის მეცნიერული კვლევების ძირითადი ტენდენციები, პარადიგმათა ჩამოყალიბების რთული და ხშირად წინააღმდეგობრივი პროცესები. ნაშრომი განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ ჟურნალისტიკის სპეციალობის ყველა საფეხურის სტუდენტთა და ჟურნალისტიკამცოდნეობის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	ბჰერდების რაოდენობა
1	თემურ ჯაგოდნიშვილი	„ჟურნალისტური აუდიტორიის სოციოლოგიურ ფორმირება“, ჟურნალი „განათლება“	№1	თბილისი, სტუ	130-135
2	თემურ ჯაგოდნიშვილი	„კომუნიკაცია და მასობრივი კომუნიკაცია“, ჟურნალი „განათლება“	№2	თბილისი, სტუ	124-130
3	ივანე ჯაგოდნიშვილი	სუნთქვის ფუნქცია ვერბალურ კომუნიკაციებში ჟურნალი „განათლება“	№1 (7)	თბილისი, სტუ	135-139
4	ივანე ჯაგოდნიშვილი	მასობრივი კომუნიკაციის ველი და სოციალური სივრცე ჟურნალი „განათლება“	№2 (8)	თბილისი, სტუ	131-136
5	მანანა დათუკიშვილი	ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრესა უცხოეთში ჟურნალი „განათლება“	№1	თბილისი, სტუ	106-111
6	ქეთევან გიორგობიანი	რადიომაუწყებლობა-კომუნიკაციის ახალი ენა ჟურნალი „განათლება“	№1 (7)	თბილისი, სტუ	102-106
7	ქეთევან გიორგობიანი	ეფექტური დიზაინი – გაზეთის წარმოების ხელშემწყობი ფაქტორი ჟურნალი „განათლება“	№2(8)	თბილისი, სტუ	109-113
8	ლია ქათამაძე	მედის როლი კულტურული ფასეულობების ფორმირებაში	№1 (7)	თბილისი, სტუ	128-130

		ჟურნალი "განათლება"			
9	მამუკა შელგია	„ერთი ლექსის ინტერპრეტაცია“ გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი	№5-6	ქუთაისი, „ინტელექტი“	26-34
10	მამუკა შელგია	„ბარათაშვილი, მოემი... და სოლიფსიზმი“, ჟურნალი „პარალელი“	№5	სტუ გამომცემლობა, თბილისი	276-279
11	ქეთევან გაფრინდაშვილი, მარიამ ვარდიაშვილი	ჟურნალისტის სოციოლოგიური შეგნება ჟურნალი "ხელისუფლება და საზოგადოება"	№1 (25) ტ. 1	თბილისი, სტუ	92-96
12	ქეთევან გაფრინდაშვილი, მარიამ ვარდიაშვილი	ჟურნალისტის სოციოლოგიური შეგნება ჟურნალი "ხელისუფლება და საზოგადოება"	2 (26), ტ. 1	თბილისი, სტუ	36-45
13	ეკატერინე შაკიაშვილი	უზუალური ეპითეტი, როგორც მწერლის ენობრივი სურათ-ხატის დეკოდირების ერთ-ერთი მარკერი ჟურნალი "განათლება"	№1 (7)	თბილისი, სტუ	80-84
14	ეკატერინე შაკიაშვილი	მწერლის ენობრივ სამყაროში შეღწევის გზები ჟურნალი "განათლება"	№2 (8)	თბილისი, სტუ	81-89
15	ეკატერინე შაკიაშვილი	ინტერტექსტური კავშირების მარკერების ენობრივი ექსპლიკაცია ჟურნალი "განათლება"	№3 (9)	თბილისი, სტუ	
16	ბორის იმნაძე	“თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის ზოგიერთი ფილოსოფიური პრობლემა”. ჟურნალი "განათლება"	№1(7)	თბილისი, სტუ	122-127

17	ბორის იმნაძე	“ფასეულობის პრობლემა მასკომუნიკაციაში”. ჟურნალი “განათლება”	N2(8)	თბილისი, სტუ	113-116
16	მარიამ ვარდიაშვილი	ქართული მედიის თვითრეგულაციის პროცესების ისტორიიდან ჟურნალი ”განათლება”	№1 (7)	თბილისი, სტუ	11-115
17	მარიამ ვარდიაშვილი	ჟურნალისტის პროფესიული და სამსახურეობრივი ეთიკის ზოგიერთი საკითხი ჟურნალი ”განათლება”	№1 (7)	თბილისი, სტუ	116-121

1. სოციალური კვლევების შედეგები სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ჟურნალისტიკისათვის და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მასობრივი აუდიტორიის რაობას, მის რაოდენობრივსა და თვისებრივ პარამეტრებს. ამის გამო ჟურნალისტიკა სულ უფრო ღრმად აფუძნებს ჟურნალისტიკაში. მასობრივი აუდიტორიის ფორმირებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს სოციოლოგიური კვლევებისა ტრადიციული და ახალი ხერხები და მეთოდები. ჟურნალისტური აუდიტორიის ფორმირების პროცესი ჟურნალიტური და სოციოლოგიური ცოდნის სხვადასხვა დონეების მიზნობრივ ინტეგრირებას ემყარება.

2. გამოკვლეულია კომუნიკაციისა და მასობრივი კომუნიკაციის ზოგიერთი პროცესუალური თავისებურებები, აღწერილია მასობრივი აუდიტორიის ცნობიერებაზე ზემოქმედების ასპექტები.
მითითებულია, რომ მასობრივმა კომუნიკაციამ გაიარა განვითარების ისტორიული გზა და მიაღწია ფუნქციონირების ახალ საფეხურს – მრავალხარისხიანობას.

3. „სუნთქვის ფუნქცია ვერბალურ კომუნიკაციებში“ – განხილულია მეტყველების თავისებურებები, სუნთქვის როლი წარმოთქმასა და კომუნიკაციურ პროცესებში, ცალკეულ სიტყვათა და გამოთქმათა სიცხადეში; გაანალიზებულია სუნთქვასთან დაკავშირებული ის მეტყველებითი თავისებურებები, რომლებიც დაბრკოლებებს ქმნიან პიროვნებათაშორის კომუნიკაციებში.

4. „მასობრივი კომუნიკაციის ველი და სოციალური სივრცე“ – განხილულია მასობრივი კომუნიკაციის სივრცის ადგილი სოციალურ სივრცეში ფრანგი სოციოლოგიის პიერ ბურდიეს სივრცის თეორიის საფუძველზე. მკიცებამ რომ პ. ბურდიეს სოციალურ და სხვა სახის სივრცეთა რთულ იერარქიაში მასობრივი კომუნიკაციის სივრცეს, თანამედროვე საზოგადოებისათვის თავისი, მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამ სივრცის ადგილი უნდა განისაზღვროს ფიზიკურ და სოციალურ სივრცეებს შორის.

5. ნაშრომში განხილულია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრესა, რომელიც გამოდიოდა უცხოეთში: ჟურნ. “სამშობლოსათვის” და გაზ. “მამულიშვილი”. საუბარია მათ მიზნებსა და ამოცანებზე, გარკვეულია მათი ეროვნული მრწამსი,

- როლი და მნიშვნელობა ქართული ჟურნალისტიკის ისტორიასა და ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლაში.
6. ნაშრომში საუბარია თანამედროვე რადიოს შექმნის წინაპირობების, მისი განვითარების რთული და გრძელი გზის შესახებ; მორზეს, ჰერცის, მარკონის, სერნოვის და სხვათა აღმოჩენების მნიშვნელობაზე; ასევე ყურადღება გამახვილებულია კომუნიკაციის ორი საშუალების – რადიოსა და ტელევიზიას შორის მსგავსებასა და განსხვავებაზე. აღნიშნულია, რომ რადიოს თავისი შესაძლებლობები არ ამოუწურავს, მისი შემდგომი განვითარებისა და დახვეწის, ახალ ეპოქასთან მაქსიმალურად მორგების და თანამედროვეობის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების პროცესი დღესაც გრძელდება.
 7. ნაშრომში საუბარია მკითხველის მოზიდვის მიზნით გაზეთების არა მარტო შინაარსობრივი, არამედ ვიზუალური მხარის მოწესრიგების აუცილებლობისა და ტიპოგრაფიული დიზაინის ფუნქციის შესახებ. აღნიშნულია, რომ ჟურნალისტიკის ოსტატობაზეა დამოკიდებული, როგორ მიაწოდებს სათქმელს მომხმარებელს, დიზაინერის ფუნქცია კი ინფორმაციის აღქმის გაადვილებაში მდგომარეობს. ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ მასალების, ილუსტრაციების და რეკლამის ეფექტური და გონივრული განაწილება, გვერდების სწორი ორგანიზება გაზეთის წარმატებისა და მკითხველის კომუნიკაციის პროცესში ჩართვის საწინდარია.
 8. კულტურული ფასეულობები და კრიტიკიუმები ცვალებადია. თანამედროვე ეპოქამ შექმნა სრულიად განსხვავებული კულტურა, რომელიც განპირობებულია არა მემკვიდრეობითობით, ფილოსოფიითა და ხელოვნებით, არამედ მეცნიერებითა და ტექნიკით, ინფორმაციული ტექნოლოგიებით. ჩვენს დროში, როდესაც ასე გაზრდილია სოციალური ინსტიტუტების როლი საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, ლომის წილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე მოდის. კულტურის ტრანსფორმირებამ ღირებულებების ცვლილება მოიტანა – მასობრივ კულტურაზე ორიენტირებულმა ტენდენციებმა ჩაანაცვლეს ზოგადსაკაცობრიო ჭეშმარიტი ღირებულებები. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კომერციალიზაციამ საზოგადოების კულტურული დეგრადაციის საფრთხე შექმნა.
 9. ნაშრომი გალაკტიონის ლექსის „უძილო ღამეების“ სიმბოლოებით აღძრული წარმოდგენების ასოციაციურ-ლოგიკური წიაღსვლებით ერთიანი სურათის აღდგენის, ლექსის ინფარიანტული წაკითხვის ცდას წარმოადგენს.
 10. ნაშრომში საუბარია – სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის ზევით მოხმობილ მწერალთა მაგალითი ადასტურებს – მსოფლმხედველობრივი და განწყობათა მსგავსება აზრისა და სათქმელის გამოხატვის პროცესში, საშუალებათა და მოსაზრებათა თანხვედრას იწვევს.
 11. სტატიაში განხილულია ჟურნალისტიკის სოციოლოგიური შეგნება, თანამედროვე სოციოლოგიის შემეცნების ზოგადი მეთოდოლოგიის კონტექსტში. ამოვლენილია გონივრული შეფარდების თავისებურებები რეალური სამყაროს გაგებასა და ჭეშმარიტების მეცნიერულ წვდომას შორის.
 12. სტატიაში გადმოცემულია ჟურნალისტიკის სოციოლოგიური აზროვნების თავისებურება, როგორც მოვლენის მოძრაობაში დანახვის უნარი. შემეცნების თანმიმდევრული, დიალექტური მეთოდი იმის აღიარებას ითხოვს, რომ მოვლენები უახლოეს და გრძელვადიან შედეგებს უნდა შეიცავდეს. ფუნდამენტური

გამოკვლევები ყოველთვის ვერ იძლევა პასუხს სიტუაციის განვითარების ფაქტზე, რადგან ჩამორჩება საზოგადოებრივი ცხოვრების დაჩქარებულ ტემპებს. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ პოლიტიკური პროცესების შესასწავლად ძლიერდება ინტუიციის, გამოცდილებისა და ოპერატიული ექსპერიმენტის როლი.

13. სტატიაში საუბარია მხატვრული სახე-ხატის ფუნქციაზე. განხილულია უზუალური ეპითეტი, როგორც ენობრივი სამყაროს სურათ-ხატის დეკოდირების ერთ-ერთი მარკერი. არგუმენტირებულადაა დასაბუთებული, რომ მხატვრული თხრობის ეპითეტის ინტენსიური გამოყენება სახეობრივ-ემოციური ეფექტის მიღწევის საუკეთესო საშუალებაა.
14. სტატიაში განხილულია თანამედროვე ლინგვისტური მიდგომები მწერლის ენობრივ სამყაროში შესაღწევად. დასაბუთებულია, რომ კულტურული და ენობრივი ცნობიერებისაკენ მიმავალი გზა ტექსტის ლინგვისტიკაზე გადის, რადგან ტრექსტია მწერლის ენობრივი სამყაროს ენობრივი ნიშნებით განსხეულებული ხატი. ამდენად, ტექსტის ლინგვისტიკა არის ერთადერთი შედეგის მომტანი გზა მწერლის სამყაროს სურათ-ხატის დეკოდირებისა და მისი ენობრივი სამყაროს შესწავლისა.
15. სტატიაში დასაბუთებულია ის, რომ ცალკეური ტექსტის ინტერტექსტური კავშირების კვლევა შესაძლებელია ტექსტის სიეთი ლექსიკური ელემენტების – ერთეულების ანალიზით, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ტექსტის ექსპლიკაცია. ასეთ ინტერტექსტში „შესასვლელ“ ენობრივ ერთეულებს – მერკერებს მიეკუთვნებიან ტროპები, რომელთაგან უმეტესობა ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომის შემთხვევაში სტრუქტურირდება კონცეპტებად. ენის ლექსიკური ერთეული გაგებულია, როგორც სუბიექტის სახეობრივი მოდელის შემცველი, რომელსაც მინიჭებული აქვს ინფორმაციული, კომუნიკაციური და კოგნიტური ფუნქციები, რაც იმის დასტურია, რომ სიტყვა არის არა მარტო სახელი, მნიშვნელობისა და აზრის მატარებელი, არამედ სიმბოლო, თვითგამოხატვის საშუალება.
16. სტატიაში გაანალიზებულია და ფილოსოფიის კონტექსტში გააზრებულია საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებზე დამოკიდებული ურთიერთგამომრიცხავი პრობლემები: დრო და სივრცე, მათი რეალიზება, ტრანსფორმაცია, არეკვლის ფორმები, საშუალებანი და საინფორმაციო სივრცეში მოძრაობის ფორმები და სახეობანი და დასკვნები. ხაზგასმულია, რომ ტექნიკა იქვემდებარებს და წარმართავს მის სვლას და საგრძნობლად ზრდის მასობრივ აუდიტორიასთან ყველანაირ ტექსტუალურ კონტაქტებს.
17. კომუნიკაციაში შეფასების და ფასეულობების ნიშანთა ფუნქციონირების თავისებურებანი იმ ფაქტით განისაზღვრება, რომ ერთი და იგივე ფასეულად მიჩნეული ობიექტი ორი სუბიექტის შეხედულების მიხედვით განიხილება, ერთი მათგანი როგორც კომუნიკაციის ინფორმანტი მოქმედებს, მეორე კი- როგორც ადრესატი. ინფორმანტი ინფორმაციას საკომუნიკაციო არხების მეშვეობით სხვადასხვა ნიშნების ფორმით გადასცემს, რაც მისი ფასეულებრივი მსჯელობის შედეგს წარმოადგენს და ადრესატის მიერ ამგვარადვე აღიქვება.
სტატიაში დასაბუთებულია, რომ საზოგადოებრივი კომუნიკაციის ფასეულ სისტემებში მტკიცდება მთელი კაცობრიობისათვის ობიექტური იერარქიების აგების შეუძლებლობა.

უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	ბჰერდების რაოდენობა
1	თ. ჯაგოდნიშვილი, ბ. იმნაძე	„დიალოგის და კომუნიკაციის თეორია		2013, 11-13 ნომბერი, თურქეთი, არზრუმი	
<p>მოსხენებაში, რომელიც წაკითხულ იქნა ერზრუმის (თურქეთი) ათა თურქის სახელობის უნივერსიტეტში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით და რომლის სახელწოდებაც არის „დიალოგი და კომუნიკაციური თეორია“. ავტორთა მიერ განხილულია დიალოგის არსი, ჟურნალი სახეობები (ინფორმაციული, პრესერიპტული, ჭეშმარიტების დამდგენი, პიროვნებათშორისი ურთიერთობების მარეგულირებელი, ფუნქციკვა, ინტელექტური) და გაანალიზებულია მათი კომუნიკაციური თავისებურებები კომუნიკაციის ზოგადი თეორიის საფუძველზე.</p>					

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თ. ჯაგოდნიშვილი	ვახტანგ კოტეტიშვილი ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიის სივრცეში	2013, 5 ივნისი, თბილისი, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
2	თ. ჯაგოდნიშვილი	ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ფოლკლორისტიკა	2013, 24 მაისი, სტუ და საქართველოს საისტორიო საზოგადოება

3	თ. ჯაგოდნიშვილი	XIX ს. პირველი ნახევრის ქართული ფოლკლორისტიკის ზოგიერთი ტენდენციის შესახებ	2013, 24-26 ოქტომბერი თელავი, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4	ბ. იმნაძე	“ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრების უცნობი ფაქტები”	2013, 24 მაისი, სტუ და საქართველოს საისტორიო საზოგადოება
5	მ. ხარატიშვილი	„სცენის რეფორმატორთა როლი, რეალობის კონსტრუირების საკითხისათვის”	თბილისი
6	მ. შელეგია	„ერთი ლექსის ისტორია” (გალაკტიონის „თოვლი”), მსოფლიო წესრიგი და საქართველო	თბილისი, 17-19 მაისი

1. შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ბაზაზე ჩატარებული ფოლკლორისტთა 50-ე სამეცნიერო კონფერენცია მიეძღვნა ცნობილი ქართველი მეცნიერის ვახტანგ კოტეტიშვილის 120 წლისათვის.

მოსხენებაში „ვახტანგ კოტეტიშვილი ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიის სივრცეში” ახლადგამოვლენილი მასალების საფუძველზე გაანალიზებულია XX ს. დასაწყისის ქართული მეცნიერული ფოლკლორისტული აზრის თავისებურებები, ვ. კოტეტიშვილის ფოლკლორისტული ნაშრომები და გაკეთებულია დასკვნა, რომ იგი არის ქართული საბჭოთა ფოლკლორისტიკის ადრეული წარმომადგენელი და თეორიული საფუძვლების შემქმნელი.

2. მოსხენება „ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ფოლკლორისტიკა” წაკითხულია ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და საქართველოს საისტორიო საზოგადოების თაოსნობით.

მოსხენებაში წარმონეწილია ე. თაყაიშვილის წვლილი ქართულ ფოლკლორისტიკაში. მითითებულია, რომ მან საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოებაში თავი იჩინა XIX ს. ქართულ ფოლკლორისტულ პროდუქციას, უმეტაურთ XX საუკუნის დასაწყისის პრაქტიკულ ფოლკლორისტულ საქმიანობას, მეცნიერულ კვლევებსა და სერიოზულად უჭირისუფლა ქართულ ფოლკლორისტიკას.

3. თელავში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენცია მიეძღვნა კულტურათაშორისი დიალოგების პრობლემებს. მოსხენებაში „XX ს. პირველი ნახევრის ქართული ფოლკლორისტიკის ზოგიერთი ტენდენციების შესახებ” გაშუქდა აღნიშნული პერიოდის ქართული მეცნიერული ფოლკლორისტული აზრის თავისებურებები, XIX საუკუნის მეცნიერული ტრადიციების სანაცვლოდ იდეოლოგიზებული საბჭოთა ფოლკლორისტიკის ტენდენციების თავჩენისა და დამკვიდრების თავისებურებები. სამივე კონფერენციაზე

წაკითხულ მოხსენებებს ართიანებს ავტორის კონცეპტუალური ხედვა და თემატიკურ-პრობლემური ურთიერთმიმართებაში და ისინი გაერთიანდება ავტორის ნაშრომში „ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია“, ტ. II, (XX საუკუნეში), რომლის დასრულებაც 2014 წლის ბოლოსათვის იგეგმება.

4. სტატიაში განხილულია ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრების ზოგიერთი ფაქტი ახლებურ ინტერპრეტაციაში.

5. გასული საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს, თანამედროვე ცხოვრებამ, თეატრის მოღვაწეთა წინაშე დააყენა ახალი შემოქმედებითი ამოცანები, განსაზღვრა ახალი დრამატურგიული სტილი, ასევე ახლებური სცენური საშუალებები, თეატრალური ფორმები. ამ მხრივ ვლ. მაიაკოვსკისა და ვ. მეიერხოლდის შემოქმედება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ამ ორი დიდი შემოქმედის შეხვედრა ბედნიერი შემთხვევა იყო, როგორც პოზიციის, თვალსაზრისის ერთიანობა, ერთსულოვნება. ორივე მოვლენებს მეამბოხის თვალთ ხედავენ, მათ აქვთ აშკარად გამოკვეთილი მოქალაქეობრივი პოზიცია. ნაშრომში მოხმობილია ვლ.მაიაკოვსკის პირველი საბჭოთა პიესის „მისტერია ბუფის“ სცენური ინტერპრეტაცია ვ.მეიერხოლდის მიერ. ამ სპექტაკლით მეიერხოლდმა საფუძველი ჩაუყარა მაშინდელ თანამედროვე თეატრალურ ხელოვნებას, აჩვენა მასში შემაჯავლი ერთ-ერთი პრობლემის მნიშვნელობა: სცენის მოღვაწეთა, დრამატურგისა და რეჟისორის, სცენის რეფორმატორთა მსოფლმხედველობრივი ურთიერთობის, პოზიციათა მსგავსების არსი – სასცენო ქმნილების – სპექტაკლის შექმნის, მისი კონსტრუირების საკითხში.

6. ნაშრომში ნაჩვენებია – პირველი პუბლიკაციის შემდეგ (1927 წ.) ამ ლექსის („თოვლი“, („ხეები თოვლით დაფენილია“...)) საკვანძო სიტყვების ამოღებით, თვისობრივად როგორ შეიცვალა პოეტის სათქმელი, როგორ უმაღლავდა ცენზურა მკითხველს გალაკტიონის ნამდვილ განწყობას.

უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თ. ჯაგოდნიშვილი, ბ. იმნაძე	„დიალოგის და კომუნიკაციის თეორია“	2013, 11-13 ნოემბერი, თურქეთი, არზრუმი
2	მ. ხარატიშვილი, მ. ლომიძე	რეგიონალური თეატრის პიარ საქმიანობის ზოგიერთ თავისებურებათა შესახებ	მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნაშრომი გაგზავნილია საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციაზე

1. მოსხენებაში, რომელიც წაკითხულ იქნა ერზრუმის (თურქეთი) ათა თურქის სახელობის უნივერსიტეტში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საერთაშორისო ორგანიზაციის ვედიით და რომლის სახელწოდებაც არის „დიალოგი და კომუნიკაციური თეორია“. ავტორთა მიერ განხილულია დიალოგის არსი, ჟურნალი სახეობები (ინფორმაციული, პრესერიპტული, ჭეშმარიტების დამდგენი, პიროვნებათშორისი ურთიერთობების მარეგულირებელი, ფუწისიტყვა, ინტელექტური) და გაანალიზებულია მათი კომუნიკაციური თავისებურებები კომუნიკაციის ზოგადი თეორიის საფუძველზე.
2. რეგიონალური თეატრის მოდელი წარმოადგენს თვალსაჩინო ნიმუშს სათეატრო ხელოვნების ფაქტორის გააზრებისათვის, როგორც პიარ სისტემის ეფექტური ინსტრუმენტისა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქგორის გ. ერისთავის სახელობის დრამატული თეატრი. ნაშრომში მოხმობილია თეატრის ისტორია, ამასთანავე წარმონიშნულია თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის მიერ იმიჯის კონსტრუირებისა და მაყურებელთან, საზოგადოებასთან კომუნიკაციის ტექნოლოგიები, თანამედროვე სათეატრო პროცესში დამკვიდრების სახეობა. აქედან გამომდინარე, რეგიონალური თეატრი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს პიარ სისტემაში და ბევრად განსაზღვრავს რეგიონის საინფორმაციო ველის თავისებურებებს, ასახავს, როგორც რეგიონის, აგრეთვე ქვეყნის პრობლემების სპექტრს. სწორედ ეს თავისებურებები საშუალებას იძლევა გამოვყოთ რეგიონალური თეატრი, როგორც პიარ მოღვაწეობის ობიექტი.

ლიბერალურ მენეიერებათა დეპარტამენტი

დეპარტამენტის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ზურაბ გამეზარდაშვილი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

- 1 თამარ მებუკე
- 2 რუსუდან გოცირიძე
- 3 თინათინ სინჯიაშვილი
- 4 ნუგზარ სიხარულიძე
- 5 რუსუდან თაბუკაშვილი
- 6 ზურაბ გამეზარდაშვილი
- 7 ნინო გომართელი
- 8 ლიანა ჩხენკელი
- 9 ტატიანა მეგრელიშვილი
- 10 ჟანეტა ვარძელაშვილი
- 11 მარინა ზორანიანი
- 12 თამარ ბაკურაძე
- 13 მანანა ჩხარტიშვილი
- 14 მარიამ შონია

- 15 თამარ მაჭავარიანი
- 16 ია ბურდული
- 17 ნანა გამყრელიძე
- 18 ია ჩიქვინიძე
- 19 ხათუნა ჩაფიჩაძე
- 20 ნუგზარ ბარდაველიძე
- 21 ზაირა გურამიშვილი
- 22 ნინო ბოჭორიშვილი
- 23 მანანა ივანისელი
- 24 თეა ცომაია
- 25 ნინო ჯანჯღავა
- 26 ნატო სონღულაშვილი
- 27 ოლღა კალანდარიშვილი
- 28 სვეტლანა ჩუპრინინა

**საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საქართველო შუა საუკუნეების ევროპულ სამყაროში	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ზურაბ გამეზარდაშვილი (სამეცნიერო ხელმძღვანელი)	მურმან პაპაშვილი (წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი) ბექან ჯავახია (უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი) ხათუნა ჩაფიჩაძე (უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი)
2	ფსევდონიმების ლექსიკონი - რუსული ემიგრაცია ევროპაში (1917-1944) (« – 1917-1944»).	Deutsche Forschungsgemeinschaft (DFG) (გერმანული კვლევითი საზოგადოება), გერმანია,	სრ. პროფ. მანფრედ შრუბე (რური-უნივერსიტეტი ბოხუმი), გერმანია, რუსული კულტურის ლოტმანის ინსტიტუტი	ფილ. მეცნ. დოქტორი, სრ. პროფ. ტატიანა მეგრელიშვილი (ძირითადი შემსრულებელი)

		ევროკავშირი		
3	(მრავალმეტყველება რუსეთის სოციოკულტურულ სივრცეში)	ურალის ფედერალური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ხელოვნების ინსტიტუტი (რუსეთის ფედერაცია)	სრ. პროფ. ბ. გასპაროვი, კოლუმბიის უნივერსიტეტი (აშშ)	ფილ. მეცნ. დოქტორი, სრ. პროფ. ტატიანა მეგრელიშვილი (ძირითადი შემსრულებელი)
4	“საქართველოს რუსულენოვანი ლიტერატურა” ისტორია და თანამედროვეობა		ფილ. მეცნ. დოქტორი, სრ. პროფ. ტატიანა მეგრელიშვილი	ზ. გურამიშვილი

1. საანგარიშო პერიოდის ვადა: 25.04.2013-24.10.2013

სამუშაო ადგილი – კოსტავას 77, სტუ კორპ. 6, სართული 8, ოთახი 812. ამოკითხული იქნა იტალიური და ლათინურენოვანი 18 დოკუმენტი, რომელმაც 43 დაბეჭდილი თაბახი შეადგინა. წყაროები დალაგდა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და 7 რელაციის ავტორის ვინაობა და მისი დაწერის თარიღი დადგინდა. ამ წყაროებში მოყვანილი ცნობები შეჯერდა პარალელურ მასალებთან, რომლებიც მიხეილ თამარაშვილს მოტანილი აქვს თავის ორ ცნობილ ნაშრომში – „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ და „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“. შედარების შედეგად დადგინდა, რომ მ. თამარაშვილის მიერ მოტანილი მასალების დიდი ნაწილი აღებულია არა ვატიკანის არქივებიდან, არამედ იმდროინდელი სხვა პუბლიკაციებიდან. ამან გამოავლინა გარკვეული სხვაობა ჩვენს ხელთ არსებულ მასალებსა და მ. თამარაშვილის მიერ მოტანილ მასალებს შორის. ამდენად, ამოკითხული 18 დოკუმენტი უპირველესი წყარო ხდება XIII-XVI სს. საქართველო-ვატიკანის რელიგიური, პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობის საკითხების შესასწავლად.

ამ წყაროების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ აღებულ პერიოდში ორ კონფესიას შორის ურთიერთობებს საქართველოში სპეციფიკური ხასიათი არ შეუძენია და დოქტრინალურ დონეზე კამათი არ გამართულა. დადგინდა, რომ კათოლიკობის წარმატებები საქართველოში ეფუძნებოდა ქართული ეკლესიის მესვეურთა პოზიტიურ ტოლერანტობასა და მართლმადიდებლობის მიმართ კათოლიკეთა კონფესიურ კულტურულ ურთიერთობებს. მიღებული შედეგები გვაძლევს საშუალებას დავამტკიცოთ, რომ XIII-XVI სს. რომისა და საქართველოს ეკლესია გაუფორმებელ ურთიერთთანაზიარობაში იმყოფებოდა უტყუარ ფაქტად ჩანს, რომ კათოლიკე მისიონერები საქართველოში მმართველი ზედაფენების მფარველობით, ნდობითა და მორალური მხარდაჭერით სარგებლობდნენ. ეს თეზისი პოლიტიკურ და დიპლომატიურ ასპექტში დამატებით ანალიზს საჭიროებს.

2. პროექტი გათვლილია სამ წელიწადზე. პროექტს საფუძვლად უდევს 1917-1944 წწ. პერიოდის რუსული ემიგრაციის ყველა წარმომადგენლის ფსევდონიმების ლექსიკონის შედგენა. იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ საქართველო, კერძოდ, თბილისი, იყო რუსული ემიგრაციის განთესვის ერთ-ერთი პირველადი ცენტრი, ჩნდება იმ ბეჭდვითი გამოცემების კვლევის აუცილებლობა, რომლებიც გამოდიოდა საქართველოში 1918-1921 წწ. პერიოდში. მოცემულ ეტაპზე ჩემ მიერ განხილულია და შესწავლილია საქართველოს არქივებში არსებული ყველა ბეჭდვითი გამოცემა, რომლებიც ქვეყნდებოდა მოცემულ პერიოდში. ჩატარებულია მასალის შერჩევა, შეგროვილია სავალდებულო ფაქტები. შედგენილია ფსევდონიმების კარტოთეკა.

3. პროექტი გულისხმობდა კოლექტიური მონოგრაფიის შექმნას, რომელსაც ერთობლივად შეასრულებდნენ სხვადასხვა ქვეყნის რუსისტი სპეციალისტები. პროექტში მე წარმოვადგენდი საქართველოს. პროექტის შესრულების პროცესში ჩემ მიერ შეიქმნა კოლექტიური მონოგრაფიის თავი, მიძღვნილი რუსული ენის ფუნქციობის საკითხებისადმი თანამედროვე საქართველოში. კერძოდ, განხილულია სკოლებში რუსული ენის სწავლების რეფორმის საკითხები, სწავლების დონეებრივი სისტემის დანერგვა. მთლიანობაში განიხილება საქართველოს რუსისტიკაში ბოლო წლებში ჩამოყალიბებული სიტუაციის სხვადასხვა ასპექტი. გაანალიზებულია წამყვანი ტენდენციები სამეცნიერო გამოკვლევებში, დაცულ დისერტაციათა ძირითადი მიმართულებები, აგრეთვე უნივერსიტეტების პროგრამების ის საკითხები ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში, რომლებიც უკავშირდება რუსული ფილოლოგიის სფეროში პროფილურ სპეციალიზაციას. შექმნილია შემაჯამებელი პროდუქტი 3 ნაბეჭდი ფორმის მოცულობით.

პუბლიკაციები:

საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ზურაბ გამეზარდაშვილი, მურმან პაპაშვილი	საქართველო შუა საუკუნეების ევროპულ სამყაროში	თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“	520 გვ.
2	ხათუნა ჩაფიჩაძე	ნეოლიბერალიზმი და საქართველო	თბილისი, საქართველოს მაცნე	132 გვ.

3	ნუგზარ ბარდაველიძე	ქრისტიანული ქორწინების საიდუმლო	თბილისი, „უსტარი“	120 გვ.
4	ნ. გამყრელიძე	ინტერსუბიექტურობა და სოციალური ფაქტორი გერმანულ, ქართულ, რუსულ ფრაზეოლოგიზმებში	საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბილისი. 2013	170 გვ.
5	თამარ მებუკე	Reader in Text Linguistics and Discourse Analysis. 2013 Tbilisi, Georgian Technical University. 314 pages	Tbilisi, Georgian Technical University	314 გვ.

1. ყველა წყაროს, რომელიც მოიპოვება უცხოეთის არქივებსა და წიგნსაცავებში კერძოდ, ვატიკანში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიის პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური და დიპლომატიური პრობლემების შესწავლისათვის.

ქართული წერილობითი წყაროების სიმცირით და ზოგჯერ ცალმხრივობით აიხსნება ის გარემოება რომ XIII-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხებმა სათანადო გაშუქება დღემდე ვერ ჰპოვა ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

ჩვენს მიერ რომის და ვატიკანის არქივებში მიკვლეული დოკუმენტები საშუალებას იძლევა ახლებურად გავიაზროდ თუ როგორ იყო წარმოდგენილი საქართველოს შუა საუკუნეების ევროპულ სივრცეში.

2. მონოგრაფიის პირველ თავში „თანამედროვე ნეოლიბერალიზმი“ საუბარია ნეოლიბერალიზმის ზოგად განსაზღვრებაზე თეორიულ და პრაქტიკულ რაკურსებში.

მეორე თავში „ნეოლიბერალიზმის ძირითადი დებულებები და მისი თანამედროვე ქართული კონტექსტი (კრიტიკული ხედვა)“ გააზრებულია ნეოლიბერალიზმისადმი სხვადასხვაგვარი კრიტიკული მიდგომები, წარმოდგენილია ძირითად დებულებათა კრიტიკული ანალიზი.

მესამე თავში „ნეოლიბერალიზმის კრიზისი“ დასაბუთებულია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და თანამედროვე კაპიტალიზმის – ნეოლიბერალიზმის კრიზისის იგივეობა. აქ საუბარია ნეოლიბერალიზმის კრიზისის არსზე და შემოთავაზებულია ალტერნატივა კრიზისში მყოფი სისტემის სანაცვლოდ.

მეოთხე თავში „ნეოლიბერალიზმი და საქართველო“ მოცემულია „ნეოლიბერალიზმის“ განმარტება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, განხილულია ლიბერალიზმისა და ნეოლიბერალიზმის ქართველ მიმდევართა შესხედულებები, ამ სისტემათა ადგილობრივი კრიტიკოსების ნააზრევი და პირველადია გააზრებული საქართველოში ამჟამად მიმდინარე რეფორმების ნეოლიბერალური ხასიათი, თეორიული ბაზა და პრაგმატული პოლიტიკური დისკურსი.

3. მონოგრაფია ეძღვნება ქრისტიანობის შვიდი საიდუმლოდან ერთ-ერთს – ქორწინებას. მასში განხილული და გაანალიზებულია სხვადასხვა რელიგიებში არსებული ქორწინების ტრადიციები. ცალკე თავში განხილულია ქრისტიანობაში ქორწინების ტრადიციის ჩამოყალიბება და მისი თავისებურებები ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ცალკე თავი ეძღვნება ქორწინების ტრადიციასა და საეკლესიო სამართალს. შედარებულია

ერთმანეთთან დიდი რჯულის კანონისა და რუის-ურბნისის ადგილობრივ კრებაზე მიღებული კანონთა ის მუხლები რომლებიც არეგულირებენ ქორწინებას.

4. მონოგრაფიაში წარმოდგენილია უნივერსალური სემანტიკური კატეგორიის: “ინტერუბიექტური მიმართებებისა და სოციალური ფაქტორის” კვლევა, მის ზოგად კონცეპტუალურ შინაარსზე დაყრდნობით. განხორციელებულია ენობრივი ერთეულების ლინგვისტური სპეციფიკის კულტუროლოგიური ანალიზი ინტერლინგვური მეთოდით სინქრონულ-შეპირისპირებით დონეზე. კვლევის კონცეპტუალური ინტერპრეტაცია ეყრდნობა თანამედროვე ლინგვისტიკაში დომინანტურ ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმას. ნაშრომებში ენობრივი ერთეულები განხილულია არა მხოლოდ ლინგვისტურ ჭრილში, არამედ, როგორც ეთნოკულტუროლოგიური ფენომენი, სამყაროს და მისი ცალკეული ფრაგმენტების ასახვის საშუალება. მონოგრაფია განკუთვნილია ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის სტუდენტებისათვის და ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის. ნაშრომს აქვს კონკრეტული პრაქტიკული მნიშვნელობა გერმანული ენის შემსწავლელი ქართული აუდიტორიისათვის. მისი გამოყენება შესაძლებელია გერმანული ენის პრაქტიკული სწავლებისას, ფრაზეოლოგიური ლექსიკონების შედგენისას, გერმანული ენის ლექსიკოლოგიის, კულტუროლოგიის და შედარებითი ტიპოლოგიის სალექციო კურსებში.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნინო გომართელი	მსოფლიო ხელოვნების შედეგები	თბილისი, „საზოგადოება ცოდნა“	126 გვ.
2	Zoranyan, M. & Aslanishvili, M.	Modern English in Topics. English for Adult Learners (Intermediate/Advanced). Part II.	Publishing House “Technical University”. Tbilisi	280 pp
3	სვეტლანა ჩუპრინინა		საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”.	

1. ნაშრომში განხილულია იტალიური რენესანსის სამი გენიოსი ხელოვანის ლეონარდო დავინჩის, მიქელანჯელო ბუნაროტის და რაფაელ სანტის შემოქმედებიდან ჩვენს მიერ შერჩეული რამდენიმე შედეგრი ნაშრომს ერთვის მათი რჩეული აზრები, ხატოვანი სიტყვა-თქმანი აფორიზმები იგავები პოეტურ ქმნილებათა ფრაგმენტები ლირიკული სტროფები და სხვა.

2. სალაპარაკო თანამედროვე ინგლისური ენა” (მეორე ნაწილი) – არის მოზრდილთა სახელმძღვანელო, და ეს ფაქტი ასახულია შესასწავლ თემებში და სწავლების საკმაოდ სწრაფ ტემპში. ეს სახელმძღვანელო შესაძლოა გამოყენებულიქნას მათთვის, ვისაც აქვს გარკვეული ენობრივი უნარი, აგრეთვე საშუალო და კარგი დონის მცოდნე სტუდენტებისათვის სიტყვათა მარაგის გაუმჯობესების მიზნით. სახელმძღვანელოში მოცემული სიტყვათა მარაგი შეისწავლება სტუდენტების მიერ სალაპარაკო თემების საშუალებით, რაც დახმარებას უწევს ყოველდღიური ცხოვრების საუბრის დროს.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნუგზარ ბარდაველიძე (პასუხისმგებელი რედაქტორი), ხათუნა ჩაფიჩაძე (პასუხისმგებელი მდივანი)	ივანე გვარამაძის მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სიმპოზიუმების შრომები - „ევროპული კვლევები“	თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“	391 გვ.
2	ნუგზარ ბარდაველიძე (პასუხისმგებელი რედაქტორი), ხათუნა ჩაფიჩაძე (პასუხისმგებელი მდივანი)	ივანე გვარამაძის მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სიმპოზიუმების შრომები (დამატება) - „ევროპული კვლევები“	თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“	30 გვ.
3	ტატიანა მეგრელიშვილი	« » - « », საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული	თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2013	12 გვ.
4	ტატიანა მეგრელიშვილი	: „განათლება“, სამეცნიერო ნაშრომების კრებული №2 (8)	თბილისი, 2013, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა	12 გვ.
1. „ევროპული კვლევები“ წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებინტეგრაციის პროცესების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ 2012				

წლის 8 და 28 ნომბერს ახალციხესა და თბილისში ორგანიზებულ დიდი ქართველი მამულიშვილის, ცნობილი მეცნიერის, სასულიერო პირისა და საზოგადო მოღვაწის - ივანე გვარამაძის მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სიმპოზიუმებზე წაკითხული მოხსენებების კრებულს.

კრებული გათვალისწინებულია ევროპის შესწავლის საკითხებით დაინტერესებული მკვლევარების, სტუდენტებისა და ფართო საზოგადოებისათვის.

2. ისტორიული წყაროების პუბლიკაცია განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში – „საქართველო შუა საუკუნეების ევროპულ სამყაროში“.

ვატიკანის არქივიდან აღებული ეს მასალები ქართულ ენაზე პირველად გამოქვეყნდა. აღნიშნული წყაროები სამ ასპექტში გვარკვევენ სხვადასხვა პერიოდში საქართველოს ურთიერთობას წმინდა ტახტთან. კერძოდ, ფერარა-ფლორენციის კრებაზე ქართველ სასულიერო პირთა ერთ-ერთ სხდომაში მონაწილეობისას გამართულ დიალოგს. მეორე წყარო აზუსტებს თუ როგორი პატივით მიიღეს ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის ელჩი ნიკიფორე ირბახი მადრიდში 1628 წლის მარტის დასაწყისში. დანარჩენი ექვსი წყარო წარმოაჩენს კათოლიკე მისიონერთა დევნის ეპიზოდებს XVII საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში.

მოტანილი წყაროები იტალიური და ლათინური ენებიდან თარგმნეს და კომენტარები დაურთეს მ. პაპაშვილმა, ზ. გამეზარდაშვილმა, ბ. ჯავახიამ და ხ. ჩაფჩაძემ.

3. ნაშრომში გამოყენებულია ლიტმცოდნეობის ერთ-ერთი საკამათო საკითხი - ნ.ზაბოლოცკის თარგმანის როლი.

4. განიხილება თანამედროვე ლექსიკოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საკითხი - რუსული ენის ანტროპონიმების სემანტიკა და სტრუქტურა მის ისტორიულ ჭრილში. თანამედროვე ლინგვისტიკის ანტროპოცენტრული პრინციპის ჭრილში ანტროპონიმების, როგორც ადამიანის მაიდენტიფიცირებელი საკუთარი სახელების შესწავლა, საშუალებას იძლევა დავინახოთ სამყაროს ნაციონალური სურათის სიღრმისეული კომპონენტები და შევისწავლოთ საზოგადოებაში ისტორიულად ჩამოყალიბებული სხვადასხვა სუბკულტურების ლინგვისტური თავისებურებანი.

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	ბჰერდების რაოდენობა
1	ნინო გომართელი	XIX საუკუნის ქართული პრესა შუა საუკუნეების ესპანეთის შესახებ, ივანე გვარამაძის მე-100		თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური	გვ. 249-261

		წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სიმპოზიუმების შრომები - „ევროპული კვლევები“		„უნივერსიტეტი“	
2	ნინო გომართელი	რელიგიისა და ეკლესიის მოწყობის საკითხები ე. დადლის ტრაქტატში, საისტორიო ვერტიკალები	27	თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“	გვ. 134-136
3	ნინო გომართელი	რამდენიმე შტრიხი უინსტონ ჩერჩილის ბიოგრაფიიდან, პარალელები	5	თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“	გვ. 260-265
4	ხათუნა ჩაფიჩაძე	„სოციალური ფობიები და სახელმწიფოებრიობის კრიზისი 21-ე საუკუნის დასაწყისის საქართველოში“, მსოფლიო და გენდერი: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები	2	თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“	გვ. 270-275
5	ხათუნა ჩაფიჩაძე, მაია ყიფიანი, დარეჯან ცუცქერიძე	„გენდერული ინფორმირებულობის კვლევა სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებს შორის (მიმოხილვა)“, მსოფლიო და გენდერი: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები	2	თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“	გვ. 262-265
6	ხათუნა ჩაფიჩაძე	„სოლიდარობის ევროპული პარადიგმები“, ივანე გვარამაძის მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სიმპოზიუმების შრომები - „ევროპული კვლევები“		თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“	გვ. 355-373
7	ხათუნა ჩაფიჩაძე	„სოლიდარობის ცნობიერების		თბილისი, საგამომცემლო	გვ. 137-

		პრობლემებისათვის საქართველოში“, ივანე გვარამაძის მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სიმპოზიუმების შრომები - „ევროპული კვლევები“		სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“	154
8	ხათუნა ჩაფინაძე	„საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების საკითხისათვის“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - “მსოფლიო და კავკასია” მასალები		თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“	გვ. 26-27
9	ვაჟა შუბითიძე, ხათუნა ჩაფინაძე, ვანო პავლიაშვილი	„როგორ უნდა განვითარდეს მომავალში საქართველო ნიკო ნიკოლაძის მიხედვით“, გლობალიზაცია და მეცნიერების აქტუალური პრობლემები 21-ე საუკუნეში		თბილისი, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 423-427
10	ნუგზარ ბარდაველიძე	ქრისტიანული ოჯახი და გლობალიზაციის გამოწვევები, ივანე გვარამაძის მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სიმპოზიუმების შრომები - „ევროპული კვლევები“		თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“	155-188 გვ.
11	ნუგზარ ბარდაველიძე	მულტიკულტურულობა და ევროპული რეფორმაცია, ივანე გვარამაძის მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სიმპოზიუმების შრომები - „ევროპული კვლევები“		თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“	374-391 გვ.
12	ნუგზარ ბარდაველიძე	მასკულინობა, ფემინურობა, გენდერი და საზოგადოება, მსოფლიო და გენდერი: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები	2	თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“	265-270 გვ.

13	ნატო სონდულაშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ბიზნეს- ინჟინერინგის ფაკულტეტი. საერთაშორისო კონფერენციის „მსოფლიო და კავკასია“ მოხსენებათა თეზისები (2013). მოხსენება: „ქართული გამოწვევა და ეროვნული იდენტობა (XX საუკუნის დასაწყისი).		თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“	271-273 გვ.
14	ნატო სონდულაშვილი	ბურჟუაზია 1900-1910 წლების საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“	23	თბილისი	138-146 გვ.
15	ნატო სონდულაშვილი	ქართველი ინტელიგენცია 1900-1910 წლებში, კრებული, „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“	23	თბილისი	120-132 გვ.
16	მანანა ივანისელი, თინათინ სინჯიაშვილი	მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნათა კომპონენტური ანალიზი. „Scripta manent“	№ 2(18) 2013	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	5 გვ.
17	მანანა ივანისელი, თინათინ სინჯიაშვილი	ზმნები, რომლებსაც გააჩნიათ მოძრაობის მეორადი მნიშვნელობა. „განათლება“	№ 1(7) 2013	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	3 გვ.
18	რუსუდან გოცირიძე	“The education Value and Learning Potential of Computer Games”, Scripta Manent	#1 (17)	თბილისი, 2013	4 გვ.
19	რუსუდან გოცირიძე	“Virtual World and Language Learning”, Scripta Manent	#2 (18)	თბილისი, 2013	5 გვ.
20	რუსუდან გოცირიძე	“Internet Slang a Medium of Online Communication”, Scripta Manent	#3 (19)	თბილისი, 2013	5 გვ.
21	ჩხარტიშვილი მ., ბაკურაძე თ., შონია მ.	“ინფინიტივის შემცველი კონსტრუქციების ინგლისურიდან ქართულად თარგმნის ზოგიერთი	31 (7)	თბილისი, 2013	96-101 გვ.

		თავისებურებანი”, სტუ ჟურნალი “განათლება”			
22	მ. ჩხარტიშვილი, თ. ბაკურაძე, ნ. გოგუაძე	ზმნის უპირო ფორმების შემცველი კონსტრუქციების თარგმნის სპეციფიკა, ჟურნალი “განათლება”	№1(7)	თბილისი, 2013	90-96 გვ.
23	თ. ბაკურაძე, მ. ჩხარტიშვილი	ელექტრონული ინგლისურის ვარიანტულობა, ჟურნალი “განათლება”	№1(7)	თბილისი, 2013	55-57 გვ.
24	თ. ბაკურაძე, მ. ჩხარტიშვილი	ელექტრონული დისკურსის ზოგიერთი თავისებურება, ჟურნალი “განათლება”	№1(7)	თბილისი	51-55 გვ.
25	Zoranyan, M.	Concepts of Figure and Ground in Literary Stylistics, სამეცნიერო ჟურნალი “Scripta Manent”	1 (17)	თბილისი	50-53 pp
26	Zoranyan, M.	Schema Theory and Its Application to Cognitive Stylistics, სამეცნიერო ჟურნალი “Scripta Manent”	2 (18)	თბილისი	65-69 pp
27	Zoranyan, M.	The Concept of Foregrounding in Literary Stylistics, სამეცნიერო ჟურნალი “Scripta Manent”	3 (19)	თბილისი	იბეჭ.
28	, .	სამეცნიერო ჟურნალი “Scripta Manent”	4 (20)	თბილისი	იბეჭ.
